ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

გიორგი გოგსაძე

პოპულიზმი საქართველოში: პოლიტიკური პარტიების 2016 და 2020 წლების წინასაარჩევნო გზავნილების დისკურსული ანალიზი

ნაშრომი წარმოდგენილია პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

გია ჟორჟოლიანი

თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორი, ისტორიის დოქტორი

თბილისი

2024

აბსტრაქტი

პოპულისტურ გზავნილებსა და დისკურსებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქართულ პოლიტიკაში. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელებულმა ცვლილებებმა ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკად აქცია, რამაც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების როლი კიდევ უფრო გაზარდა. გაფართოვდა პოლიტიკური და მედია მრავალფეროვნება, რამაც უფრო მეტ პოლიტიკურ აქტორს მისცა საშუალება საკუთარი შეხედულებები გაეცნო მოსახლეობისთვის. შედეგად, პოპულისტურმა რიტორიკამ ფართო გავრცელება მიიღო.

ნაშრომის მიზანია 2016 და 2020 წლების საპარალამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების მიერ გამოყენებული პოპულისტური გზავნილების საფუძველზე შექმნილი დისკურსების გამოვლენა და შეფასება. შერჩეულ იქნა ის პოპულისტური თემები და მიმართულებები, რომლებიც პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო გამოსვლებში ყველაზე ხშირად გვხვდებოდა. ამოცანებს შორის იყო, იმ პოპულისტური გზავნილების და დისკურსების გამოვლენა, რომლებიც საგარეო პოლიტიკის, სექსუალური უმცირესობებისა და ბანკების საქმიანობის მიმართულებებს ეხებოდა.

ნაშრომში განხილულია ის მიდგომები, რომლებიც პოპულიზმის კვლევებში ყველაზე ხშირად გამოიყენება. კვლევაში პოპულიზმი გაგებულია, იდეაციური მიდგომის მიხედვით (რომელსაც დისკურსულ ჩარჩოდაც მოიხსენიებენ). პოპულიზმი ყველა პოლიტიკური აქტორისთვის არის ხელმისაწვდომი. კვლევა ეფუძნებოდა ბენჯამინ დე კლინის თეორიას, რომელიც პოპულიზმსა და ნაციონალიზმს ერთგანზომილებიან სივრცედ განიხილავს და მათ განსხვავებულ დისკურსებად წარმოგვიდგენს. ამ მიდგომის თანხმად, ნაციონალისტები (და ნატივისტები) პოპულიზმს იყენებენ, როგორც ინსტრუმენტს.

პოპულისტური გზავნილების, რომლებსაც პარტიები მიმართავდნენ, მრავალმხრივი შეფასების მიზნით პოლიტიკური დარგის ექსპერტებთან ჩატარდა სიღრმისეული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები. უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ საქართველოში პოპულისტურ გზავნილებს თითქმის ყველა პარტია იყენებს. პოლიტიკური პარტიების პროგრამების და მათი წევრების საჯარო გამოსვლების მეცნიერული განხილვის მხრივ,

გამოყენებულ იქნა კონტენტანალიზის და დისკურსული ანალიზი. პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნო გზავნილებში იყენებდნენ იდეოლოგიური დისკურსის სხვადასხვა ელემენტებს (რითაც ხაზს უსვამდნენ „ჩვენი“ პოზიტიურ და მეორეს მხრივ, „სხვების“ უარყოფით თვისებებს). გარდა ამისა, დამაჯერებელი არგუმენტების არქონის პირობებში, ხდებოდა ტოპოსების გამოყენება.

კვლევამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა პარტიების პოპულისტური ნარატივები საგარეო პოლიტიკურ (ანტიდასავლურ) ვექტორთან და სექსუალური უმცირესობების უფლებებთან მიმართებაში. ამ მხრივ, აღსანიშნავია ისეთი გზავნილები და დისკურსები როგორიცაა, მაგ., „დასავლეთი საკუთარი ცხოვრების წესს გვახვევს თავს“, „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა“, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“. აღნიშნული ნაციონალისტური დისკურსების გაერთიანება ხდება ანტილიბერალურ პოპულისტურ დისკურსებთან. ამ დისკურსების მიხედვით, გლობალური, ლიბერალური („სოროსული“ და მასონური) ძალები აკონტროლებენ საქართველოს ხელისუფლებას, ებრძვიან ეროვნულ ძალებს, ქართულ ტრადიციებსა და ფასეულობებს. ნიშნადობლივია, რომ ნაციონალურ-პოპულისტური პარტიების რიტორიკისთვის პრაქტიკულად უცხოა რუსეთის კრიტიკა. მეტიც, ხდებოდა რუსეთის უარყოფითი ქმედების მინიმიზირება, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთის (მაგ., ნატო, აშშ) ნეგატიური ზეგავლენის ხაზგასმა. პარტიები ნატოს წინააღმდეგ ორ მთავარ არგუმენტს იყენებდნენ: მასში გაწევრიანება საფრთხის შემცველია და ის ვერ დაიცავს საქართველოს. პოპულისტურ დისკურსში, სექსუალური უმცირესობები წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც ძალაუფლების და პრივილეგიების მქონე ჯგუფი, რომლებიც დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. საბანკო სექტორის საქმიანობის წინააღმდეგ გვხვდებოდა „ბანკები ხალხს ძარცვავენ“ პოპულისტური გზავნილები/დისკურსები. ანტისაბანკო გზავნილებს როგორც ინსტრუმენტს, სხვადასხვა იდეოლოგიისა და შეხედულებების მქონე პოლიტიკური პარტიები ელიტის (ხელისუფლების) წინააღმდეგ მიმართავდნენ.

საკვანძო სიტყვები: პოპულიზმი, დისკურსი, გზავნილები, საპარლამენტო არჩევნები, პოლიტიკური პარტიები.

Abstract

Populist messages and discourses occupy an important place in Georgian politics. Reforms that were implemented after 2012, have turned the country into a parliamentary republic, which in its turn further elevated the role of the parliamentary elections. Political and media diversity has increased, allowing more political actors to convey their views to the public. As a result, populist rhetoric became widespread.

The aim of this study is to identify and evaluate the discourses created on the basis of populist messages used by political parties participating in the 2016 and 2020 parliamentary elections. For this purpose, populist themes and trends were selected, which were most often found in the election campaign speeches of political parties. One of the objectives was to identify populist messages and discourses regarding foreign policy, sexual minorities and banking activity.

The study discusses the approaches that are most frequently used in populism research. Populism is understood according to the ideational approach (also called the discursive approach); It is available to all political actors. The research is based on the theory of Benjamin De Cleen, which views populism and nationalism as a one-dimensional space and presents them as different discourses. According to this approach, nationalists (and nativists) use populism as a tool.

In-depth, semi-structured interviews were conducted with field experts to assess the parties' populist narratives. The majority of them noted that in Georgia almost all political parties use populist messages. Content and Discourse analysis was used in order to review political party programs and public speeches of their members. In their election messages, political parties used various elements of ideological discourse (thus emphasizing the positive qualities of "us" and, also the negative qualities of "others"). In addition, in the absence of convincing arguments, topos were used.

The research made it possible to identify populist narratives of parties regarding the foreign policy (anti-Western) vector and the rights of sexual minorities. The following messages and discourses were revealed such as: "The West imposes its way of life over us", "Georgia being country of Virgin Mary," "We should be lords of ourselves". Nationalist discourses are combined with illiberal populist discourses. According to these discourses, global liberal (Masonic and "Soros") forces control the Georgian government and fight against national forces, Georgian values and traditions. It is notable that the rhetoric of national-populist parties practically did not contain criticism towards Russia. At the same time, Russia's negative actions were minimized, while, the negative influence of the West (in particular NATO and USA) was emphasized. The political parties used two main arguments against NATO: joining it is dangerous,

and it cannot protect Georgia. In populist discourse, sexual minorities were presented as a group with power and privilege, supported by the West. “Banks rob people” populist narratives/discourses prevailed against the activities of the banking sector. Anti-banking messages have been used by political parties with different ideologies and views as a tool against the elite (authorities).

Key words: populism, discourse, messages, parliamentary elections, political parties.

სარჩევი

შესავალი 1

მეთოდოლოგია 8

თავი 1. თეორიული ჩარჩო, პოპულიზმი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში 18

1.1 პოპულიზმის ზრდის მიზეზები 18

1.2 პოპულიზმის განმარტებები და კონცეპტუალიზაცია 20

1.3 მემარჯვენე და მემარცხენე პოპულიზმი 32

1.4 თეორიული ჩარჩო: ნაციონალიზმის და პოპულიზმის ურთიერთმიმართება 34

1.5 ქართული პოპულიზმის ისტორია 37

1.6 კვლევები ქართული პოპულიზმის შესახებ 39

თავი 2. საგარეო პოლიტიკური და სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილები და დისკურსები 47

2.1 საგარეო პოლიტიკური წინასაარჩევნო პოპულისტური გზავნილები და დისკურსები 47

2.2 სექსუალური უმცირესობების უფლებების წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილები და დისკურსები 80

2.3 შეჯამება 95

თავი 3. მემარცხენე პოპულიზმი, საბანკო სექტორის წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილები და დისკურსები 101

3.1 მემარცხენე პოპულიზმი საქართველოში 101

3.2 ბანკების წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილები და დისკურსები 107

3.3 შეჯამება 124

დასკვნა 127

გამოყენებული ლიტერატურა: 134

დანართი 146

შესავალი

21-ე საუკუნეში პოპულიზმის მომძლავრება თვალსაჩინოა მთელს მსოფლიოში. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე პოპულისტურმა პოლიტიკურმა აქტორებმა (მათ შორის, ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე პოლიტიკურმა პარტიებმა) მნიშვნელოვან ელექტორალურ წარმატებას მიაღწიეს. გაიზარდა ისეთი პარტიების საარჩევნო შედეგები, როგორიც არიან „ეროვნული ფრონტი“ საფრანგეთში, „ვოქსი“ ესპანეთში, „ავსტრიის თავისუფლების პარტია“ ავსტრიაში, „5 ვარსკვლავის მოძრაობა“ იტალიაში, „შვედეთის დემოკრატები“ შვედეთში, „AfD” გერმანიაში, „ოქროს აისი“ საბერძნეთში. 2010 წელს უნგრეთში „ფიდესმა“, ხოლო 2015 წელს პოლონეთში „კანონი და სამართლიანობამ“ და საბერძნეთში „სირიზამ“ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება მოახერხეს.[1] აშშ-ს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, დონალდ ტრამპის გამარჯვება პოპულისტების წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. 2017 წლის გერმანიის საპარლამენტო არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატების მიერ ერთბლივად მიღებული ხმების რაოდენობა 53%-ს შეადგენდა, რაც ყველაზე დაბალი შედეგია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ეს ორი პარტია პოლიტიკურ სპექტრზე ცენტრის გარშემო პოზიციონირებდა, რამაც დიდი სივრცე შეუქმნა ექსტრემალურ პარტიებს (The Rise of Global Populism, 2018). მართალია დიდ ბრიტანეთში პოპულისტებს ეროვნულ არჩევნებში წარმატება არ მოუპოვებიათ (ეს ნაწილობრივ ქვეყანაში არსებული მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით შეიძლება აიხსნას), მაგრამ UKIP-ის („გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია“) მიერ წარმოებულმა კამპანიამ დიდი როლი ითამაშა დიდი ბრიტანეთში ჩატარებულ “Brexit”-ის რეფერენდუმის დროს, რის შედეგადაც ქვეყანამ ევროკავშირი დატოვა. (ამავდროულად, გარკვეულ შემთხვევებში, პოპულისტების პოლიტიკას „მეინსტრიმული“ პარტიები ითვისებენ. ნორისი (IAPSS Live..., 2019) მიიჩნევს, რომ „ბრექსითის“ შემთხვევაში“UKIP”-ის პოლიტიკა კონსერვატიულმა პარტიამ აითვისა).[2]

---

[1] დაწვრილებით იხილეთ: Robert Schuman Fondation, 2019 და McCarthy, 2019.

[2] აღსანიშნავია, რომ იმ პოლიტიკური აქტორების წარმატებამ, რომლებიც პოპულისტურად მიიჩნევიან, აკადემიურ (და ჟურნალისტურ) სფეროზეც ჰპოვა ასახვა. 2010-იან წლებში, Webscience data base-ში დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა (7 ათასამდე) იმ კვლევების რაოდენობა, რომლებიც „პოპულიზმს“ შეიცავს საკვანძო სიტყვად (keyword), სათაურში ან აბსტრაქტში (Brown & Mondon, 2020, 1-2).

პოპულიზმი და პოპულისტური გზავნილები ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. პოპულისტურმა (და ნაციონალისტურმა) რიტორიკამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეროვნული მოძრაობისა და მის შემდგომ მომხდარ მოვლენებზე. პოლიტიკური ძალები და მათი ლიდერები მიმართავენ პოპულისტურ გზავნილებს მხარდაჭერის მოსაპოვებლად. გარკვეულ შემთხვევებში მათ მიერ არჩეული სტრატეგია, წარმატების მომტანია (გოგსაძე, 2022, 4). უკანასკნელ პერიოდში გაჩნდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც გამოკვეთილად პოპულისტურ რიტორიკას იყენებენ. მიუხედავად ამისა, პოპულიზმი და მისი გავლენა საქართველოში კარგად არ არის გამოკვლეული. ქართული პოპულისტური გზავნილების შესწავლა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების უკეთესად ახსნასა და გააზრებაში.

საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ცვლილებების შედეგად გაიხსნა პოლიტიკური სივრცე და გაიზარდა დემოკრატიის მაჩვენებელი,[3] რამაც სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სოციალურ ჯგუფებს მისცა საშუალება საკუთარი პოზიციები უფრო თავისუფლად გაეჟღერებინათ. ამ ყოველივემ, ულტრა-მემარჯვენე და ანტიდასავლური ძალების გააქტიურება გამოიწვია. ეს ძალები, ასევე გამოირჩევიან ჰომოფობიური და ქსენოფობიური პოზიციებით. აღნიშნულმა ჯგუფებმა სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის წინააღმდეგ არაერთი აქცია გამართეს (მათ შორის, 2013 წლის 17 მაისს და 2021 წლის 5 ივლისს) რასაც გარკვეულ შემთხვევებში დაპირისპირება და მოქალაქეების დაზიანება მოჰყვა. მხარდაჭერის მოსაპოვებლად ან მოქალაქეების მობილიზებისთვის ისინი ანტი-ლგბტ გზავნილებს/დისკურსებს მიმართავენ, რომელიც ხშირად პოპულისტურ ფორმას იძენს; მათი „იდეოლოგია“ შეიძლება არ იყოს პოპულისტური, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ისინი პოპულისტურ რიტორიკას იყენებენ. ეს ყველაზე ხშირად წინასაარჩევნოდ ვლინდება, რადგან ზოგიერთი პარტია მიიჩნევს, რომ ეს მათ დივიდენდებს მოუტანს. საქართველოში პოპულისტური ძალების გაძლიერება ბუნებრივ რეაქციას წარმოადგენს არსებულ მოვლენებზე, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ

[3] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში დემოკრატიის ინდექსმა კლება დაიწყო (საქართველოს ქულა დემოკრატიის ინდექსში უარესდება, 2022).

ხელისუფლებაში ყოფნის დროს გადადგა, რის შედეგადაც ზოგიერთი ჯგუფები და ინსტიტუტები თამაშგარეთ აღმოჩნდნენ. მათი გაძლიერება, ევროპულობის ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს (When Populism Meets Nationalism…, 2020).

2013 წლიდან ქვეყანა საპარლამენტო მმართველობაზე გადავიდა, რაც საპარლამენტო არჩევნებს ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად აქცევს ქვეყანაში. ეს თავის მხრივ, პოლიტიკური პარტიების როლს უფრო ზრდის. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაზე მეტ მხარდაჭერას იღებენ, მათ მიერ ერთობლივად მიღებული ხმების რაოდენობა 95%-დან (2012 წელს), შემდგომ საპარლამენტო (2016 და 2020 წლის) არჩევნებში 75%-მდე შემცირდა (გოგსაძე, 2022, 4).

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გაზრდილმა მედია პლურალიზმმა, მეტ პოლიტიკურ ძალას მისცა საშუალება საკუთარი პოზიციები გაეცნოთ ამომრჩევლისათვის. პოპულიზმის ზრდის ერთ-ერთ მიზეზად, სოციალური მედიის განვითარებაც უნდა მივიჩნიოთ. 2010-იან წლებში განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობა. მის თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უფრო მეტ ადამიანს აქვს შესაძლებლობა ინფორმაციის როგორც მიღების და მასთან ერთად მისი გავრცელების საშუალება. შესაბამისად, მწირი რესურსების მქონე და მარგინალურ (ულტრამემარჯვენე ან ულტრამემარცხენე) პარტიებს მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ ამომრჩევლებს თავიანთი შეხედულებები და გზავნილები მიაწოდონ. მსგავსი ტიპის პარტიებისთვის ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნა პოპულისტური გზავნილების და დისკურსების გასავრცელებლად (გოგსაძე, 2022).[4]

ზემოთ აღნიშნული მოვლენები და პოპულიზმის მომძლავრება მსოფლიოში ხაზს უსვამს ამ საკითხის მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების მანძილზე განვითარებული მოვლენები (ქართული მარშის, ქართული იდეის, კონსერვატიული მოძრაობის აქციები იმიგრანტების და ლგბტ პრაიდის წინააღმდეგ) აჩვენებს, რომ ნაციონალურ-პოპულისტურ

[4] პოპულიზმის არსებობას, ასევე, ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის მოსახლეობის სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ელიტის მიმართ უნდობლობა. NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ მთავრობა (59%) და ოპოზიცია (67%) ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ არ მოქმედებდნენ (NDI 2022, 32).

ჯგუფებს/ძალებს მნიშვნელოვანი სამობილიზაციო რესურსი გააჩნიათ, შესაბამისად მათ მიერ გამოყენებულ დისკურსებს (და გზავნილებს) აქვთ პოტენციალი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებზე, გავრცელდნენ და მეინსტრიმული დისკურსის ნაწილი გახდნენ, რაც მოცემული კვლევის აქტუალობაზე მიუთითებს.

პოპულისტური აქტორების გაძლიერებამ და მათი დისკურსების ნორმალიზაციამ, გარკვეული გავლენები იქონია ქართულ პოპულიზმზე. როგორც ვნახავთ, ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ (მაგალითად: პატრიოტთა ალიანსმა, ქართულმა მარშმა, თავისუფალმა საქართველომ) ევროპული ნაციონალურ-პოპულისტური გზავნილების, კერძოდ ანტი-იმიგრანტული გზავნილების გამოყენება დაიწყეს, რაც მანამდე ქართულ ნაციონალურ-პოპულიზმს მანამდე არ ახასიათებდა. ანტიიმიგრაციული დისკურსი არის ქართული ნაციონალური-პოპულიზმის სიახლე და ქართული მარშის მთავარი სამობილიზაციო თემა (გოზალიშვილი 2021, 11).

კვლევა ფოკუსირებულია წინასაარჩევნო პოპულისტური გზავნილების მიმოხილვის და მათი (დისკურსის) ანალიზზე. უკანასკნელ წლებში საქართველოში იმატა ინტერესმა პოპულიზმის მიმართ. ძირითადად, სტატიები და ნაშრომები დაეთმო ულტრამემარჯვენე, ანუ ნაციონალისტურ-პოპულიზმს, თუმცა არსებული კვლევები პოპულიზმთან დაკავშირებით ძირითადად პროექტულია და არა აკადემიური. არსებული ნაშრომები ძირითადად ეთმობა იმ პარტიებს, რომელთა იდეოლოგიაც პოპულისტურად არის მიჩნეული (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი და ლეიბორისტული პარტია).

წინასაარჩევნო პერიოდში ყველაზე უკეთ იკვეთება პოპულისტური გზავნილები, განსაკუთრებით პარტიის ლიდერების სიტყვით გამოსვლების დროს. მათი ანალიზი საშუალებას მოგვცემს გამოიკვეთოს პოლიტიკაში არსებული დაპირისპირებები და შეხედულებები, ყველაზე მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით, რომელიც გააჩნიათ პოლიტიკურ პარტიებს, რაც გარკვეულწილად ასახავს საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს (და სტერეოტიპებს). თავის მხრივ, პარტიები პოპულისტური გზავნილებით საზოგადოების მანიპულაციას ცდილობენ. ისინი ამისთვის სხვადასხვა თემებზე ამახვილებენ ყურადღებას და განსხვავებულ სტრატეგიას მიმართავენ. ზოგიერთი პარტიის „იდეოლოგია“

შეიძლება არ იყოს პოპულისტური, თუმცა პოპულიზმი მხოლოდ პოპულისტური აქტორებისთვის, არამედ ყველა პოლიტიკური აქტორისთვის ხელმისაწვდომია. ხშირად პოპულისტური დისკურსები ნაციონალისტურ ან მემარცხენე დისკურსებთან არის არტიკულირებული. მემარცხენე პოპულისტური თემები, ხშირად საბანკო სექტორის წინააღმდეგ მიმართულ მოწოდებებში აისახება, რაც პრაქტიკულად შეუსწავლელია. გვხვდება ნაციონალისტურ-პოპულისტური მოწოდებები, რომელიც ანტიდასავლურია, მას მიმართავენ მცირე ზომის პარტიები და სახელმწიფოს პროდასავლურ კურსს საქართველოს მოსახლეობისთვის დამაზიანებლად წარმოაჩენენ. მნიშვნელოვანია გამოკვლეულ იქნას ასეთ შემთხვევებში რა დისკურსებს იყენებენ პოლიტიკური პარტიები.[5] ნაშრომი გამოიკვლევს წინამდებარე თემებს და ხელსშეუწყობს მათ სამომავლოდ უკეთ შესწავლას.

კვლევის მთავარი მიზანია 2016-2020 წლების საპარალამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პოპულისტური გზავნილების და მათ საფუძველზე შექმნილი დისკურსების გამოვლენა და შეფასება.

კვლევითი შეკითხვა - რომელი ძირითადი დისკურსები გამოიკვეთა 2016 და 2020 წლების საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების პოპულისტური გზავნილების საფუძველზე? მიზნის მისაღწევად აღებული იქნა 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ყველა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო გზავნილი. გზავნილებში იკვეთება მნიშვნელოვანი თემები (საკითხები), რომელზეც პოლიტიკური პარტიები ამახვილებენ ყურადღებას. ამ საკითხების განხილვისას ზოგიერთი პარტია პოპულიზმს მიმართავს (როდესაც ხდება ამ თემების ხალხი-ელიტის დაპირისპირების ჭრილში განხილვა ან გარკვეული ანტაგონიზმის კონსტრუქცია „ჩვენს“ და „სხვებს“ შორის).[6] ამ კუთხით, მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას, პოპულისტური გზავნილები. პარტიების მხრიდან თუ რა გზავნილებზე ხდება აპელირება. ამის გამოვლენის

[5] საქართველოში არსებული ანტირუსული პოპულიზმი, რომელიც ხელისუფლებას აბრალებს, რომ მან ქართველი ხალხის არჩეულ, ისტორიულ, პროდასავლურ, კურსს გადაუხვია, ამ ნაშრომში არაა გამოკვლეული.

[6] სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განსხვავებული მიდგომები პოპულიზმის შესწავლასთან დაკავშირებით და ლიტერატურის მიმოხილვა იხილეთ მომდევნო თავში.

საუკეთესო საშუალება დისკურსის ანალიზია, რომლითაც პოპულისტური მახასიათებლები უკეთ გამოიკვეთება.

ვერბეეკისა და ზასლოვის თანახმად, დასავლურ დემოკრატიებში, გლობალიზაციის და რეგიონული ორგანიზაციების (ევროკავშირის) განვითარების გამო, საშინაო საკითხებმა საერთაშორისო განზომილებაც შეიძინეს, სადაც ახალი დემარკაცია-ინტეგრაციის „დაპირსპირება“ (ე.წ cleavage) მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამომრჩევლების მზარდი რაოდენობა ემხრობა ეკონომიკურად და კულტურულად ღია ან ჩაკეტილ საზოგადოებას. შესაბამისად, პოპულისტებს ამ საკითხებთან დაკავშირებით, პოზიციის დაკავება უწევთ (Verbeek & Zaslove, 2017, 498).

საქართველოში საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები მნიშვნელოვან როლს თამაშობს წინასაარჩევნოდ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სახელმწიფო ელიტებისთვის, საქართველო როგორც ევროპული ცივილიზაციის ნაწილი უმნიშვნელოვანესს დისკურსს წარმოადგენს. პარტიების უმრავლესობა საარჩევნო კამპანიის დროს ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირთან დაახლოებას. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის უსაფრთხოების გარანტირების მიზნით ნატოში გაწევრიანების დაპირებას. ამავდროულად, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული პოლიტიკური პარტიები ანტიდასავლურ გზავნილებს (ნარატივებს) იყენებს და არ ემხრობა ევროკავშირსა ან ნატოში გაწევრიანებას (გოგსაძე, 2022, 6). გარკვეულ შემთხვევებში ზოგიერთი პარტია ემხრობა ევროკავშირში ინტეგრაციას, მაგრამ ეწინააღმდეგება ნატოში გაწევრიანებას. იმ პარტიების შემთხვევაში, რომლებიც პოპულისტურ რიტორიკას მიმართავენ საგარეო პოლიტიკაზე მსჯელობა მიმდინარეობს ხალხი-ელიტის დაპირისპირების ჭრილში. სადაც ხელისუფლებას (მოქმედს თუ ყოფილს) ბრალდება, ქართველი ხალხის ნების იგნორირება და (ძირითადად) დასავლეთის ინტერესების მორჩილება (ან დასავლური კურსიდან გადახვევა), რასაც ქვეყნისთვის საზიანო შედეგი მოაქვს.

შესაბამისად, ამოცანებს შორის არის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ანტიდასავლური (ნაციონალისტური) პოპულისტური გზავნილების ანალიზი, რომელსაც

პოლიტიკური პარტიები მიმართავდნენ. კერძოდ, საარჩევნო კამპანიის პერიოდში იმ დისკურსების გამოვლენა, რომელიც საგარეო პოლიტიკურ ვექტორებს უკავშირდება.

კვლევის ერთ-ერთი ამოცანაა დადგინდეს თუ რა პოპულისტური გზავნილების გამოყენება ხდება სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ. ის საშუალებას მოგვცემს გამოვლინდეს დისკურსები, რომელსაც პარტიები იყენებენ ამ საკითხებზე აპელირებისას. ხშირად პოპულისტური დისკურსები, რომლებიც გამოიყენება სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ, არტიკულირებულია ნაციონალისტურ (ან ნატივისტურ) დისკურსებთან. ჩვენი ვარაუდით, პოპულისტურ გზავნილებს ნაციონალისტური/ნატივისტური შეხედულებების მქონე პოლიტიკური აქტორები მიმართავენ და ანტიდასავლური[7] ნაციონალისტური შინაარსის გზავნილებს/დისკურსებს პოპულისტური დისკურსებით გადმოსცემენ. ნაშრომში გამოკვლეული იქნება საარჩევნო კამპანიის გზავნილები, რომლებსაც იყენებენ პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება და გზავნილები სექსუალური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით.

პოლიტიკური პარტიები ხშირად მიმართავენ ბანკების საწინააღმდეგო გზავნილებს და ცდილობენ რომ მხარდაჭერა მოიპოვონ. აღნიშნული თემები ფინანსური ელიტის და პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ არის მიმართული. ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები შეიძლება მათ ბრალდებოდეთ და ბანკებს მოქალაქეების სხვადასხვა პრობლემების არსებობაში ადაშაულებენ. შესაბამისად, კვლევის ერთ-ერთი ამოცანაა ანტისაბანკო პოპულისტური გზავნილების ანალიზი და იმ დისკურსების გამოვლენა, რომლებიც ბანკების საქმიანობას უკავშირდება.

ნაშრომი სტრუქტურულად შედგება შესავალის (მათ შორის, მეთოდოლოგიის), სამი თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართისაგან. შესავალის შემდეგ განხილულია ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგია. პირველ თავში მოცემულია ლიტერატურა პოპულიზმის შესახებ და თეორიული ჩარჩო. პოპულიზმი ზოგადად ბუნდოვანი ცნებაა და მის გარშემო არაერთი მოსაზრება არსებობს. აქედან გამომდინარე,

[7] კვლევაში ასევე შეტანილია პოლიტიკური პარტიების ანტითურქული, ანტიისლამური, ანტიიმიგრანტული პოპულისტური გზავნილები.

მოვიყვანთ სხვადასხვა მიდგომებს და განვმარტავთ თუ როგორ გამოვიყენებთ ამ ტერმინს ნაშრომში. ასევე, წამოდგენილია საქართველოში 1980-იანი წლების ბოლოდან პოპულიზმის განვითარების ისტორიული თავისებურებები. მეორე თავის პირველ ქვეთავში განხილულია პოლიტიკური პარტიების 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გზავნილები, კერძოდ რომელი პარტიები იყენებდენ საგარეო პოლიტიკური პოპულისტურ გზავნილებს და დისკურსებს. მეორე თავის მეორე ქვეთავი დაეთმობა სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული დისკურსების და გზავნილების გამოკვლევას. მესამე თავი შეეხება მემარცხენე პოპულიზმის თავისებურებებს საქართველოში და ბანკების წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილებისა და დისკურსების კვლევას. დასკვნაში წარმოდგენილი იქნება კვლევის მიგნებები.

მეთოდოლოგია

კვლევაში, მრავალრიცხოვანი, პირველადი და მეორადი დოკუმენტები არის მოპოვებული, გამოყენებული, მიმოხილული და გაანალიზებული კრიტიკული პოზიციიდან. კერძოდ, ქართული და ინგლისურენოვანი ტექსტუალური, აუდიო და ვიდეო მასალა.

კვლევა მოიცავს 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდებს. კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა პოლიტიკური პარტიების და მათი ლიდერების (ან წევრების) წინასაარჩევნო საჯარო გამოსვლები და პარტიების პროგრამები.[8] კვლევაში გავეცანით და გავაანალიზეთ მედიის მიერ გავრცელებული 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიის საპროგრამო გზავნილები და საარჩევნო დებულებები. ინტერვიუები (კერძოდ, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საარჩევნო პროგრამებთან დაკავშირებული გამოსვლები) მოპოვებულ იქნა შემდეგ ტელემაუწყებლებზე: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, ტვ იმედი, ტვ პირველი, ტვ ფორმულა და რადიოებზე, როგორიც არის საქართველოს რადიო და რადიო თავისუფლება (გოგსაძე, 2022, 14).

[8] არსებული კანონმდებლობით, საარჩევნო პერიოდი საქართველოში არჩევნებამდე 60 დღით ადრე იწყება (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 2011).

ზემოთ აღნიშნული მასალის მოძიება მოხდა ონლაინ პლატფორმა "YouTube"-ზე და ზემოთ ჩამოთვლილი არხების ოფიციალურ ვებგვერდზე. წინასაარჩევნოდ, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (კანონმდებლობის თანახმად) და რადიო თავისუფლება ყველა პარტიას უთმობდნენ დროს. გარკვეულ შემთხვევებში მცირერიცხოვანი და ნაკლებად გავლენიანი პარტიების (მაგ., ქართული მარში) იდეების და შეხედულებების შესწავლის მხრივ საჭირო გახდა ამ პარტიების ფეისბუქის გვერდებზე არსებული ინფორმაციის გამოყენება, რადგან მათ წინასაარჩევნოდ, საეთერო დრო ფაქტიურად არ ეთმობოდათ.

პოპულიზმის ხარისხის დასადგენად ჩატარდა კონტენტანალიზის თემატური ანალიზი; ამ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებულია ტექსტის შინაარსზე, კერძოდ იმაზე, თუ „რა" ითქვა (წულაძე 2020, 222). შედეგად გამოიყო შემდეგი პარტიები, რომლებიც პოპულისტური გზავნილებით გამოირჩეოდნენ საგარეო პოლიტიკის და სექსუალური უმცირესობების საკითხების მიმართ: ქართული იდეა, ქართული მარში, თავისუფალი საქართველო, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ლეიბორისტული პარტია, თეთრები, კომუნისტური პარტია - სტალინელები, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, სახალხო ხელისუფლება, ქართული დასი. საბანკო სექტორის საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილებით გამოირჩეოდნენ ლეიბორისტული პარტია, ტრიბუნა, სტრატეგია აღმაშენებელი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (ქდმ), საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, სოლიდარობის ალიანსი, თავისუფალი საქართველო.

ანალიზის ერთეული იყო სიტყვები. შერჩეულ იქნა შემდეგი სიტყვები: ხალხი, საზოგადოება, ადამიანი/ადამიანები, მოქალაქე/მოქალაქეები, ჩვენ/ჩვენი[9], ელიტა, პოლიტიკოსები, ისინი, მათ/მათი[10], ქართველი/ქართველები, ქართული,

[9] აღსანიშნავია, რომ ამომრჩევლებისადმი მიმართვისას, სიტყვა „ჩვენ" ხშირად გამოიყენებოდა, როგორც პარტიის აღმნიშვნელი ან როგორც ჩვენ ქართველი ერის ან ხალხის აღმნიშვნელი. ამავდროულად, „ხალხი", „მოსახლეობა", „საზოგადოება", პარტიების მიერ ხშირად გამოიყენებოდა როგორც ქართველი ერის ან ხალხის აღმნიშვნელი, რაც უფრო ნაციონალისტური გზავნილების (დისკურსის) ნაწილია და არა ხალხი როგორც უმწიკვლო, ჩაგრული (ანუ პლებეა), რაც პოპულისტური გზავნილების (დისკურსის) ნაწილს წარმოადგენს.

[10] ასევე სიტყვა მათ/მათი და ისინი სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენებოდა, რაც კვლევაში მხოლოდ ის შემთხვევებში გამოიყენებოდა, როდესაც აღნიშნული სიტყვები გვხვდებოდა, როგორც ხალხის, როგორც ელიტის ან ხელისუფლების როგორც მჩაგვრელის და კორუმპირებულის სინონიმი.

ერი/ეროვნება/ეროვნული, ოლიგარქია/ოლიგარქები/ოლიგარქიული, ივანიშვილის/სააკაშვილის/შევარდნაძის, მთავრობა/მთავრობები, ხელისუფლება/ხელისუფლებები, რეჟიმი, პარტიები, პოლიტიკური კლასი, მდიდრები, მილიარდელები, მილიონერები, ბანკი/ბანკები/ბანკირები, კორუმპირებული/კორუფცია, (სახელმწიფო, ქვეყანა, საქართველო), ნატო, აშშ, დასავლეთი, ევროკავშირი, ჰომოსექსუალიზმი, სოდომიტები, ლგბტ, ლიბერალური[11], ლიბერასტები[12].

ზემოთ მოცემული სიტყვების შერჩევა მოხდა, როდუინისა და პაუელსის (2011) სტატიის შესაბამისად. სტატია, ევროპულ ქვეყნებში, სხვადასხვა პერიოდში, კონტენტანალიზის მეშვეობით, პოპულიზმის ხარისხის გაზომვის კარგ ნიმუშს წარმოადგენს. მათ თანახმად, "ხალხოცენტრიზმის" გაზომვა მხოლოდ ცალკეული სიტყვებით თითქმის შეუძლებელია. ხშირ შემთხვევაში, „ხალხს" მოიხსენიებენ სიტყვებით „ჩვენ/ჩვენი". კვლევის მიხედვით, ანტიელიტიზმი პოპულიზმის საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, რაც შემდეგი შეკითხვით ფასდებოდა, აკრიტიკებდა თუ არა კონკრეტული აქტორი ელიტებს (მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკოსი არ არის საკმარისად ზოგადი) (Rooduijn & Pauwels 2011, 1275). ჩვენს კვლევაში, ყურადღება გამახვილებულ იქნა ანტიელიტისტურ სიტყვებზე, მათ შორის, შერჩეულ იქნა ის სიტყვები, რომლებსაც კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე ჰქონდა მნიშვნელობა (ბანკები, მევახშეები, აშშ, ნატო). ასევე გათვალისწინებულ იქნა თუ როგორ და რა კონტექსტში იხმარებოდა სიტყვა „ხალხი".

ჩატარდა პარტიების ლიდერების და წევრების საჯარო გამოსვლების თვისებრივი კონტენტანალიზი. აღნიშნული მიდგომის გამოყენების შემთხვევაში ყურადღება ექცევა ზემოთ მოცემული სიტყვების მნიშვნელობის დადგენას. ასევე, ჩვენთვის საინტერესო იყო დაგვედგინა, თუ რამდენად „დატვირთული" იყო პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები პოპულიტური გზავნილებით, ამ მიზნით მოხდა კონკრეტული სიტყვების გამოყენების სიხშირის დათვლა.

[11] პოპულიზმის კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია იხილეთ შემდეგ თავში.
[12] ეს ტერმინი აერთანებს ორ სიტყვას, ლიბერალ პიროვნებას და „პედერასტს".

ამავდროულად, ანალიზის ერთეულს წარმოადგენენ აქტორები (წულაძე 2020, 233). კერძოდ, თუ რა კონტექსტში ახსენებენ პოლიტიკოსები სექსუალურ უმცირესობებს და ხელისუფლებას და რა როლს მიაწერენ მათ არსებული ვითარებაში და მიმდინარე მოვლენებში. რა კონტექსტში ახსენებენ ნატოს, დასავლეთს, ხელისუფლებას და როლი მიეწერებათ მათ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებში. რა კონტექსტში ახსენებენ ბანკებს და რა როლი მიეწერებათ მათ ხალხის მდგომარეობაში. ზემოთ აღნიშნულ სიტყვებიდან იკვეთება შემდეგი აქტორები, კერძოდ ესენია: ხელისუფლება/მთავრობა, ელიტა, ნატო, აშშ, ევროკავშირი, დასავლეთი, რუსეთი, ლიბერასტები, ლგბტ ჯგუფები, ბანკები/ბანკირები და იმის ანალიზი, თუ რა კონტექსტში და რა პერფორმატიული ფუნქციით გვევლინებიან ისინი. ეს ჯგუფები ნეგატიური კონტექსტში არიან წარმოდგენილნი, ებრძვიან ქართულ ტრადიციებს (რუსეთის გარდა), ან იყენებენ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ იარაღად, ხოლო ბანკები უბრალო და გაჭირვებული ხალხის ხარჯზე უსამართლოდ მდიდრდებიან.

ანალიზის ერთეულად ასევე შერჩეული იყო თემები. თემა, მარტივი წინადადებაა, სადაც სუბიექტი და მისი ქმედებაა წარმოდგენილი (ანუ არსებითი სახელი და ზმნა) (წულაძე 2020, 232-233). თემები წინამდებარე კვლევაში არის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების პოპულისტური შეფასებები ელიტისა და ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური ნაბიჯებთან დაკავშირებით; სექსუალური უმცირესობების საკითხებთან მიმართებით; საბანკო სექტორის მიერ განხორციელებული ქმედებების შეფასება და მათ წინააღმდეგ მიმართული გზავნილები. წინადადებებში, პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლების დროს, იკვეთებოდა დამოკიდებულება გარკვეული საკითხის მიმართ. ანალიზის ერთეულების იდენტიფიცირების შემდეგ მოხდა კატეგორიების გამოყოფა.

ნაშრომში გამოყენებულია დისკურსული (დისკურსის) ანალიზი. დისკურსი შეიძლება განიმარტოს, როგორც „ენა ქმედებაში“. ის სწავლობს ტექსტებში და საუბარში „გაცოცხლებულ“ ენას, რომლის მეშვეობით მას შეუძლია საზოგადოებაზე გავლენა იქონიოს. „დისკურსი სოციალური პრაქტიკის თუ ინტერაქციის ფორმაა, რომელიც ამა თუ იმ სოციალურ კონტექსტში გარკვეულ სოციალურ ზემოქმედებას ახდენს“ (წულაძე, 2020, 250).

ფართო გაგებით დისკურსული ანალიზი გამოიყენება ენის დაწვრილებითი (ახლო) შესწავლის დროს. თუმცა უნდა განიმარტოს რა იგულისხმება „ენაში“.[13] დისკურსის ანალიზი არის ტექსტების შესწავლის იმ განსხვავებული მიდგომების მრავალფეროვნება, რომლებიც განვითარდა სხვადასხვა თეორიული ტრადიციებიდან და დისციპლინარული სფეროებიდან. კერძოდ, არ არსებობს ერთი კონკრეტული „დისკურსის ანალიზი“, არამედ მრავალი განსხვავებული ანალიზის სტილი. თუმცა ამ მიდგომებისთვის საერთოა ის, რომ ისინი უარყოფენ რეალიზმიდან გამომდინარე შეხედულებას, ენის როგორც სამყაროს აღწერის უბრალოდ ნეიტრალურ საშუალებას. მათი რწმენით, დისკურსს გააჩნია ცენტრალური როლი სოციალური ცხოვრების კონსტრუქციის დროს (Rosalind, 2000, 172).

დისკურსის ანალიზი შეიძლება უკეთ იქნას გაგებული, უფრო, როგორც კვლევის სფერო, ვიდრე ცალკეული პრაქტიკა. ის გამოიყენება როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივი მეთოდის კუთხით (Taylor, 2001, 10). კრიტიკული დისკურსის სწავლებაში, როგორც ყველა სოციალურ კვლევაში, თეორიები, მეთოდები და ანალიზი ახლო კავშირშია და ისინი (მათში ცვლილებები) ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. შეგროვებული მონაცემები და მისი ინტერპრეტაცია თეორიულ პერსპექტივაზეა დამოკიდებული (Wodak & Meyer, 2016, 14).[14]

დისკურსის კრიტიკული ანალიზი ძალაუფლებასა და დისკურსს შორის კავშირს იკვლევს. „კერძოდ, ის სწავლობს, თუ როგორ ხდება სოციოპოლიტიკურ კონტექსტში ძალაუფლების ასახვა, კვლავწარმოება და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ტექსტის და საუბრის გზით“ (წულაძე, 2020, 266). ეს მიდგომა ლინგვისტურ ანალიზს სოციალურ ანალიზთან აკავშირებს (Addy & Ofori, 2020, 1281). თოინ ვან დაიკის თანახმად, გავლენიანი დისკურსების კონტროლი, სხვების ქცევების და აზროვნების კონტროლის მეტ საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ამ მიდგომის თანახმად, ძალაუფლებასთან დაკავშირებული

[13] რადგან დისკურს ანალიზი ფოკუსირებულია „ენაზე“, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის გამოიყენება ლინგვისტიკასა და სოციო-ლინგვისტიკაში. საზოგადოებაზე ფოკუსის გამო ის ასევე გამოიყენება სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებებში, მათ შორის, პოლიტიკის შესწავლისას (Taylor, 2001, 5-6).

[14] უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკული დისკურსის ანალიზის ჩატარებისას ზოგიერთი ავტორი საერთოდ არ ახსნენებს მონაცემების შერჩევის მეთოდებს. მონაცმების შეგროვება არ მიიჩნევა სპეციფიკურ ფაზად, რომელიც ანალიზის ჩატარებამდე უნდა მოხდეს; კვლევის პროცესში მონაცემების შეგროვება არასოდეს არის სრულად დასრულებული. შეიძლება გაჩნდეს ახალი შეკითხვები, რომელიც ახალ მონაცემებს მოითხოვს ან ძველი მონაცემების თავიდან შეფასებას (Wodak & Meyer, 2016, 21).

ურთიერთობები ყოველთვის დისკურსულია (წულაძე, 2020, 266). თავის მხრივ, დისკურსი საზოგადოების და კულტურის კონსტრუირების მექანიზმია. ეს მეთოდი საზოგადოებაში არსებულ ძალაუფლებრივ ასიმეტრიას ავლენს და მის განსხვავებულ ფორმებს იკვლევს. შესაბამისად, ეს მიდგომა ვერასოდეს იქნება ღირებულებით-ნეიტრალური (წულაძე, 2020, 266-267).

კვლევაში გამოყენებულია დისკურსის ანალიზის თვისებრივი მეთოდი. არსებობს განსხვავებული მიდგომები, მათ შორისაა დისკურსულ-ისტორიული მიდგომა, რომლის ცნობილი წარმომადგენელია რუთ ვოდაკი. ის ცნობილია ინტერდისციპლინარული კვლევების ფართო შესწავლით, რომელთა შორის არის: სექსიზმი, რასიზმი და ანტისემიტიზმი.

კვლევა ეყრდნობა ვან დაიკის სოციო-პოლიტიკურ დისკურსის ანალიზს.[15] ის გამოჰყოფს ორ ცნებას, კერძოდ იდეოლოგიასა და მანიპულაციას. იდეოლოგიებს ინდივიდები იყენებენ სოციალური შემეცნებისთვის. სხვა სიტყვებით, იდეოლოგიები, ძირითადად, სოციალურად გაზიარებული რწმენის სისტემებია (Van Dijk, 2006, 177). იდეოლოგიებს გააჩნიათ საკუთარი სქემები (სტრუქტურა) (იდენტობა, მიზნები, ფასეულობები და ა.შ), რომლებიც ჯგუფის ზოგადი თვითშეფასების სტრუქტურად შეიძლება ჩაითვალოს. ძირითადად, ასეთი ჯგუფი პოზიტიურად აფასებს საკუთარ თავს, ხოლო, გარე ჯგუფებს - უარყოფითად (Van Dijk, 2006, 178).

დისკურსის იდეოლოგიურ სტრუქტურაში ვან დაიკი ყურადღებას ამახვილებს პოზიტიურ თვით-აღწერაზე და სხვის ნეგატიურ აღწერაზე. იდეოლოგიები ხშრად ორგანიზებულია პოზიტიური თვით-სქემებით, რასისტულ და ქსენოფობიურ დისკურსში ხაზგასმულია სხვის ნეგატიური აღწერა. საკუთარი ცუდი მინიმიზირებულია (მაგ პასიური წინადადებებით ან ევფემიზმებით), ხოლო სხვების კარგი იგნორირებული. ამ რიტირიკულ კომბინაციას, რომელიც ჰიპერბოლით და მინიმიზირებით გამოირჩევა იდეოლოგიური

[15] ეს მიდგომა სოციო-კოგნიტური მიდგომის სახელითაც არის ცნობილი, რომელიც უფრო დახურულ თეორიულ ჩარჩოს იყენებს და საკუთარ ვარაუდს რამდენიმე მაგალითით აჩვენებს, რომელიც ყველაზე უკეთ ერგება მის მტკიცებულებებს. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფართო ლინგვისტურ ოპერაციონალიზაციას (Wodak & Meyer, 2016, 18-20).

კვადრატი ეწოდება (Wodak & Meyer, 2016, 73-74). საქართველოში პოლიტიკური აქტორები შეიძლება ხაზს უსვამდნენ „ჩვენ“ პოზიტიურ თვისებებს, ანუ ეროვნულ ტრადიციებს (რომელიც დაპირისპირებულია გლობალიზაციასთან და ზოგადად ლიბერალურ ღირებულებებთან, რომელიც დასავლეთიდან ვრცელდება), ხოლო „სხვებს“ ნეგატიური მიეწერებოდეს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დასავლეთის ნეგატიურზე აქცენტირება.

ვან დაიკი აღნიშნავს, რომ იმის გამო, რომ ძალაუფლება და ძალაუფლების გადამეტება სოციალურ ჯგუფებს ან ორგანიზაციებს შორის ურთიერთობებით განიმარტება, ასეთი დისკურსები ზოგადად იდეოლოგიაზე იქნება დაფუძნებული (Wodak & Meyer, 2016, 73-74). იდეოლოგიური მნიშვნელობის შეფასებისას დისკურსის შემდეგ ელემენტებზე კეთდება აქცენტი: თემები, არგუმენტები, ლოკალური თანმიმდევრობა, მოდალობა (მაგ., სასურველის რეალობად წარმოჩენა), აქტორთა აღწერა, უარყოფა, მოვლენისა და ქმედების აღწერის ხარისხი, ნაგულისხმევი მნიშვნელობები და მეტაფორები (წულაძე, 2020). აქტორთა აღწერისას მნიშვნელოვანია ნაცვალსახელების გამოყენება. იდეოლოგიური ერთობის (ან პარტიის) წარმომადგენლები, საკუთარი თავის და მათი ჯგუფის წევრებზე მსჯელობისას მიმართავენ სიტყვა „ჩვენ“ (ჩვენი); მეორეს მხრივ, განსხვავებულ ან დომინირებულ ჯგუფებზე საუბრისას იყენებენ ნაცვალსახელს „სხვები“ (მათი) (გოგსაძე, 2022, 15). პოლარიზაციიდან გამომდინარე ნაცვალსახელი არის ჩვენ მათ წინააღმდეგ. ნეგატიური დამოკიდებულება გამოიხატება ხოლმე „ამ ხალხის“ თქმით. იდენტიფიცკაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ჯგუფური იდეოლოგიებისთვის მთავარი კატეგორია მათი იდენტობაა (Wodak & Meyer, 2016, 73). არგუმენტები ემოციებზე და შიშებზე აპელირებას ან თემების გამსხვილებას ცდილობს (მაგ., „დასავლეთი ერთსქესიანთა ქორწინებას თავს გვახვევს“). შესაბამისად, არგუმენტაციის სქემების დადგენა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პოპულისტური გზავნილების შეფასებაში და დისკურსების გამოვლენაში.

პოლიტიკური პარტიების გზავნილების და დისკურსების გამოსაკვლევად ნაშრომში ასევე გამოყენებულია რუთ ვოდაკის ტოპოსის სტრატეგია. ტოპოსი შეიძლება განიმარტოს, როგორც „ძიების ფორმულა, რომელიც გეუბნება სად და როგორ ვნახოთ არგუმენტები. ასევე ტოპოსი არის საფუძველი რომელიც გარანტიას გვიქმნის არგუმენტიდან დასკვნაზე ტრანზიციისთვის. გამოყოფენ შედარების, ანალოგის, ხელისუფლების, საფრთხის,

განსაზღვრების ტოპოსებს. დისკურსულ-ისტორიული ანალიზის მიდგომა ემყარება ტოპოსის ცნებას (Wodak, 2015, 76). ხშირად, როდესაც პოლიტიკოსებს მტკიცებულებები არ გააჩნიათ ისინი ყოველდღიურ ცოდნაზე აკეთებენ აქცენტს. ასევე, ხდება პირადი თავდასხმები ოპონენტებზე, რაც დამაჯერებელი არგუმენტის არქონის დროს ან ყურადღების გადატანის მიზნით ხდება, რათა მოხდეს საზოგადოებისთვის მათი თავსმოხვევა. ვოდაკი ასევე იკვლევს დაშინების სტრატეგიას, მისი დისკურსული ანალიზი პოლიტიკის კეთების სტრატეგიისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. ის პოლიტიკოსების დისკურსებსა და რიტორიკულ დაშინებას უკავშირდება, სხვადასხვა უმცირესობების დადანაშაულებით საზოგადოებაში არსებული ყველა პრობლემის მათზე დაბრალებით (წულაძე, 2020, 279-280).

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩატარდა ათი სიღრმისეული (ნახევრად სტრუქტურირებული) ინტერვიუ დარგის ექპერტებთან. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების თავისებურებიდან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევებში ხდებოდა შეკითხვების თანმიმდევრობის ცვლილება რესპოდენტის პასუხებიდან გამომდინარე, რომელიც ამავდროულად სხვა შეკითხვებსაც პასუხობდა და დამაზუსტებელი შეკითხვების დასმა ან ამოღება, როდესაც პასუხი აღარ საჭიროებდა მეტ კონკრეტიკას. ინტერვიუს ჩატარების მიზანი იყო მნიშვნელოვან საკითხებზე გამოგვევლინა ამ სფეროში მომუშავე ექსპერტების მოსაზრებები, რაც დაგვეხმარა პოპულიზმის სხვადასხვა მიმართულებების სპეციფიკის გამოვლენაში.

შეკითხვები დაყოფილი იყო ხუთ ბლოკად, სადაც რესპოდენტებს უნდა წარმოედგინათ მათი მოსაზრებები შემდეგ თემებზე: 1. ქართული პოპულისტური პარტიები და მათი ძირითადი მიმართულებები. 2. პოპულისტური ნარატივები და ნაციონალური-პოპულიზმი. 3. სექსუალური უმცირესობები და პოპულიზმი. 4. ანტისაბანკო პოპულისტური გზავნილები. 5. მემარცხენე პოპულიზმი. ინტერვიუები ჩატარდა და ჩაწერილ იქნა 2023 წლის მარტი-მაისის პერიოდში სოციალური პლატფორმის Zoom-ის საშუალებით. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა დაახლოებით 40-45 წთ. რესპოდენტთა უმრავლესობა იყო პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. მათ შორის, იყვნენ კულტურის კვლევების მეცნიერებათა დოქტორი და ნაციონალიზმის მეცნიერებათა დოქტორი. გამოკითხულთა შორის გახლდათ ორი პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი, რომლებსაც აქვთ გამოქვეყნებული სამეცნიერო

პუბლიკაციები პოპულიზმსა და ულტრამემარჯვენე პოლიტიკის შესახებ საქართველოში. ზოგიერთი ექსპერტის კონტაქტის მოძიება მოხდა სხვა რესპონდენტებისგან.

კვლევის შეზღუდულობა: საკვლევ პერიოდად შერჩეულ იქნა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პერიოდის (2016 და 2020 წლების) გზავნილები. შესაბამისად, კვლევაში არ არის შეტანილი სხვა პერიოდი. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური აქტორები პოპულისტურ ნარატივებს არასაარჩევნო პერიოდშიც მიმართავენ.

შერჩეულ იქნა შემდეგი აქტუალური საკითხები (თემა): საგარეო პოლიტიკა, სექსუალური უმცირესობების უფლებებთან კავშირში მყოფი თემები, საბანკო სექტორის წინააღმდეგ დაკავშირებული საკითხები. თუმცა, კვლევაში არ არის შეტანილი სოფლის მეურნეობასთან, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. ამ სფეროების განხილვა გაცილებით დიდ და დამატებით კვლევას მოითხოვს.

მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს დისკურსების წარმოებასა და გავრცელებაში, თუმცა, ნაშრომში კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მედიაში არსებული დისკურსები არ არის გამოკვლეული. მედია გამოყენებულია, როგორც პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკური პარტიები ავრცელებენ საკუთარ გზავნილებს ამომრჩევლებისადმი.

იმის, გამო, რომ პოპულიზმს ცალსახა განმარტება არ გააჩნია, სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებისას, ამგვარი განსხვავებული მიდგომა რესპოდენტების პასუხებშიც აისახა.

სიტყვების დათვლამ აჩვენა, რომ 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროგრამებში, სიტვა „ხალხი“ ძირითადად არის ნახსენები, როგორც ქართველი ხალხი (ერის მნიშვნელობით) და იშვიათად, როგორც ჩაგრული ელიტასთან მიმართებით (გამონაკლისს წარმოადგენს ლეიბორისტული პარტია). ზოგიერთი პარტიის პროგრამა ნაკლებად შეიცავს პოპულისტურ გზავნილებს. მათ შორის, სექსუალური უმცირესობების და ლგბტ საკითხები და მასთან დაკავშირებული სიტყვები, იშვიათად არის ნახსენები იმ პარტიების პროგრამებშიც, რომლებიც გამოირჩევიან ამ ჯგუფებისადმი ნეგატიური დამოკიდებულებით, მაშინ როდესაც საჯარო გამოსვლებში ან სატელევიზიო ინტერვიუების დროს ამ თემებს გაცილებით უფრო ხშირად მიმართავენ. პროგრამები რეალურად და სრულად არ ასახავენ

პარტიების პოპულისტურობის მაჩვენებელს.[16] პოლიტიკური პარტიები ელიტებს (ხელისუფლებებს/მთავრობებს) უფრო ხშირად ახსენებდნენ და აკრიტიკებდნენ, ვიდრე ყურადღებას უთმობდნენ ხალხის ცენტრალურობაზე საუბარს პოლიტიკაში (ე.წ „ხალხოცენტრიზმი“).

პოპულისტური გზავნილები სხვადასხვა პარტიებისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში პოპულიზმის ხარისხი (გრადაცია), თვითონ პარტიის შიგნით, მის წევრებზე არის დამოკიდებული (ასე იყო სილვიო ბერლუსკონის და მისი პარტიის შემთხვევაში). მაგალითად, ძალოვანთა და ვეტერანთა კავშირის ერთი წევრი ანტიიმიგრანტული და ანტიელიტისტური გზავნილებით გამოირჩეოდა, როდესაც პარტიის სხვა წევრები მსგავს რიტორიკას ფაქტობრივად არ იყენებდნენ. 2016 წელს, ბურჯანაძე-დემოკრატების ერთ-ერთი წევრი, ლორთქიფანიძე უფრო მეტად მიმართავდა ანტიელიტისტურ, ნატოსა და ბანკების საწინააღმდეგო განცხადებებს. სოლიდარობის ალიანსის წევრები, გოგიჩაიშვილი და ფოფხაძე ანტისაბანკო მოწოდებებით უფრო მეტად გამოირჩეოდნენ, ვიდრე პარტიის ლიდერი. ამასთან ერთად, ამ პარტიის პროგრამაში ბანკები მხოლოდ ერთხელ მოიხსენიება და მას პოპულისტური ხასიათი არ აქვს. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ სხვა პარტიაზე. როგორც აღინიშნა, პოპულისტური გზავნილები უფრო საჯარო გამოსვლების ან სატელევიზიო ინტერვიუების დროს გვხვდება, ვიდრე მათი პარტიების პროგრამებში.

[16] პარტიული პროგრამები ან მანიფესტები შესაძლოა ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას ასახავდეს, აქედან გამომდინარე, პარტიის რეალური დამოკიდებულება პოლიტიკურ დისკურსში შესაძლოა არ იკვეთებოდეს მის ოფიციალურ დოკუმენტებში (Silagadze, 2020b, 7).

თავი 1. თეორიული ჩარჩო, პოპულიზმი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში

1.1 პოპულიზმის ზრდის მიზეზები

საქართველოს კონტექსტში, თემის აქტუალობაზე მსჯელობამდე, შევეხები პოპულიზმის ზრდის და პოპულისტური აქტორების მოძლიერების მიზეზებს მსოფლიოში, რომელიც სხვადასხვა ფაქტორებს უკავშირდება.

ტაგარტი (2003, 16-17) მიიჩნევს, რომ პოპულიზმს თანამედროვე ევროპაში სამი განსხვავებული გამოვლინება (მანიფესტაცია) გააჩნია. უპირველესს ყოვლისა მას ვხედავთ სოციალური მოძრაობების მობილიზაციისას (ასევე ანტი-გლობალისტური მოძრაობების), რომელთაც საპროტესტო ხასიათი აქვთ. 2) პოპულიზმი ვლინდება გარკვეული სახის ევროსკეპტიციზმში, რომელთაც გამოხატავენ ევროპაში არსებული ძალები. 3) ის ასევე ჩანს ახალი მემარჯვენე პოპულისტური პარტიების გამოჩენის სახით, რომლებმაც დაიმკვიდრეს ადგილი ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პოპულიზმის ზრდის ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ფაქტორებს გამოჰყოფს ფრენსის ფუკუიამა. მისი თქმით, ნეოლიბერალურ ეკონომიკას ბარიერების შემცირება მოჰყვა. ამ მოსაზრების მიხედვით, ნეოლიბერალური რეფორმების გატარება საერთო მოგებას გაზრდიდა, მაგრამ ამ ნაბიჯით, დასავლეთის ქვეყნებში, მცირე კვალიფიკაციის მქონე მშრომელები დაზარლდნენ (Prof. Francis Fukuyama:, 2017). პოპულიზმის მომძლავრების მიზეზებს შორის, ზოგიერთი, საშუალო ვადიან, სტრუქტურულ ცვლილებებს გამოჰყოფს (ე.წ გლობალიზაციით დაზარალებულების თეორია). კერძოდ, ცვლილებებმა სამუშაო ძალებში (პოსტ-ინდუსტიალიზაციამ) ცუდად იმოქმედა ზოგიერთის სამსახურზე. ბაზარზე ორიენტირებულმა გლობალიზაციამ (მაგალითად, სახელმწიფო საკუთრების დენაციონალიზაციამ) მცირე კვალიფიკაციის მქონე მშრომელები თამაშგარეთ დატოვა და მათ პოპულისტურ პარტიებს მიანიჭეს უპირატესობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ევროპისგან განსხვავებით პოპულიზმი პერიოდულად ჩნდებოდა ლათინურ ამერიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, აქედან გამომდინარე ამ არგუმენტს ბევრი არ ეთანხმება (Hawkins, 2017, 346-347).

ეკონომიკურ მიზეზებს, შორის აღსანიშნავია „დეპრივაცია“ (სხვებთან შედარებით ნაკლებ შემოსავლის მიღების შეგრძნება). ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკური უთანასწორობის ზრდამ, ბევრი ადამიანის უკმაყოფილება გამოიწვია.[17] ბევრ მოქალაქეს და გარკვეულ ჯგუფებს აერთიანებთ შიში მომავალთან დაკავშირებით და, რომ ისინი სხვებთან შედარებით უკან იქნენ მიტოვებულნი (Chatham House Premier:, 2018).

პოპულიზმის ზრდის, პოლიტიკურ მიზეზებს შორის გამოჰყოფენ, გრძელვადიან ასპექტებს. მათ შორისაა, დემოკრატიული მმართველობის (გადაწყვეტილების მიღების) სირთულეები და კორუფცია (Hawkins, 2017, 347). ერთ-ერთ მიზეზთა შორის გამოჰყოფენ გარკვეულ პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით პარტიების პროგრამების დაახლოებას (ე.წ „პროგრამულ შერწყმას“), რაც რთულს ხდის ამომრჩევლისთვის კონკურენტ პარტიებს შორის განსხვავების დანახვას. პოპულისტურმა პარტიებმა წინ ისეთი საკითხები წამოწიეს (იმიგრაციის შეზღუდვა, ევროპული ინტეგრაციისადმი ოპოზიცია), რომლებიც მანამდე („მეინსტრიმულ“ პარტიებს შორის) განხილვის საგანი პრაქტიკულად არასდროს ყოფილა. “მეინსტრიმული“ პარტიები იძულებულნი გახდნენ საკუთარი პოლიტიკისთვის გადაეხედათ (Roberts, 2017, 374-375).

გუდვინისთვის (Chatham House Premier:, 2018), პოპულიზმის მოზღვავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს იმიგრაცია და ამით გამოწვეული ეთნო-დემოგრაფიული ცვლილებები წარმოადგენს (კულტურული ფაქტორი). იმიგრაციის მაღალი დონე მიმღები ქვეყნის მოსახლეობაში ყოველთვის უარყოფით რეაქციას იწვევდა. სწრაფმა დემოგრაფიულმა ცვლილებებმა იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები გააქტიურა. ნაციონალური პოპულიზმი აქცენტს აკეთებს მოსახლეობის წუხილზე იმასთან დაკავშირებით, რომ ეთნო-

[17] მეისონის (The Rise of Populism, 2017) თანახმად, ამას 2008 წლის ფინანსური რეცესია და მის შედეგად გატარებული ე.წ „ბეილ-აუთი“ მოჰყვა (მთავრობების მიერ გატარებული მკაცრი ეკონომიკური ზომები), რომელიც მხოლოდ ბანკებსა და აქციათა მფლობელებს შეეხოთ, ხოლო ამ კრიზისით დაზარალებულ უბრალო მოსახლეობას შეღავათები არ უგრძვნია. მათი შემოსავლები პრაქტიკულად არ გაზრდილა. ამ მოვლენამ, მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია მთავრობებისა და არსებული პოლიტიკური ელიტებისადმი. შესაბამისად, ხალხს იმედი გაუცრუვდა „მეინსტრიმული“ პარტიებით და მათ უკიდურესს მემარჯვენე-მემარცხენე პარტიებს დაუჭირეს მხარი.

დემოგრაფიულმა ცვლილებებმა შეიძლება სატიტულო მოსახლეობის ცხოვრების წესი „ჩამოშალოს“.

2015 წლის იმიგრაციული კრიზისის შედეგად მომხდარმა, ტერორისტული თავდასხმების ტალღამ დიდი ბიძგი მისცა პოპულისტური პარტიების გაძლიერებას. ქსენოფობიური სენტიმენტები, პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად კარგად გამოიყენეს უკიდურესმა მემარჯვენე (პოპულისტურმა) პარტიებმა (Inglehart & Norris, 2016, 15). ამ შეტევების შემდეგ, მემარჯვენე პოპულისტებმა საფრთხის და დაუცველობის განცდა დათესეს. ახალ პროტექციონისტულ ნარატივში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს წინააღმდეგობაზე შიდასა და გარეთაზე (უფრო ვიდრე მემარჯვენე-მემარცხენეზე). მთავარი იმპერატივი „ხალხის“მსგავსი საფრთხეებისგან დაცვა გახდა (Brubaker, 2017, 21-22).

გუდვინი (Blame Liberals For The Rise Of Populism, 2019) აღნიშნავს, რომ კულტურულმა ფაქტორებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს „ბრექსითის“ დროს, პოპულისტებმა წარმატებით აპელირებდნენ ისეთი საკითხებით, როგორიც არის ეროვნული იდენტობა, ტრადიცია და კუთვნილება. 2016 წლის მოვლენებმა („ბრექსითმა“ და ტრამპის არჩევამ) აჩვენა, რომ ამომრჩევლებს ეკონომიკური თვით-დაინტერესება არ ამოძრავებთ, როგორც ამას რაციონალური არჩევანის თეორია ქადაგებს. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია ფართო საზოგადოების ნაწილად საკუთარი თავის მოაზრება (Chatham House Premier:, 2018).

ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ცვლილებები, ფართო მასშტაბიანი იმიგრაცია და ლიბერალურ-პროგრესული ცვლილებების ტალღები აღქმულ იქნა, როგორც ლიბერალური ელიტის პოლიტიკის შედეგები. ამან პოპულიზმისთვის, ორმაგი შესაძლებლობა შექმნა: ა) „ხალხის“ სახელით საუბარი ელიტების წინააღმდეგ და იმის მტკიცება, რომ ბ) ისინი ახდენენ „ხალხის“ დაცვას გარედან მომავალი მარგინალური საფრხეებისგან (Brubaker, 2017, 16-17).

1.2 პოპულიზმის განმარტებები და კონცეპტუალიზაცია

ლიბერალურ ელიტური ხედვის მიხედვით, პოპულიზმზე საუბრისას ყურადღება გამახვილებულია მანიპულაციასთან, რაც „დემაგოგიის“ სინონიმთან ასოცირდება, ასევე

მასობრივ „დემოკრატიასთან“. არის ცდუნება, რომ პოპულიზმი გაგებულ იქნას როგორც პერსონალური, ვიდრე სოციალური ან პოლიტიკური ფენომენი. ზოგიერთი ლიდერის პოლიტიკური შეხედულებების უეცარი ცვლილებები (მაგ: ვარგასი), ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პოპულიზმი გარკვეული ლიდერების ოპორტუნიზმია, რომლებიც ძალაუფლებისკენ ისწრაფვიან და მზად არიან მასების მანიპულირებისთვის. ამ მოსაზრებაში არის გარკვეული სიმართლე, მაგრამ რეჟიმის პოლიტიკური სტილი არ უნდა იქნას გაიგივებული წმინდა მანიპულაციასთან. პოპულიზმის მიზანი შეიძლება იყოს მასების მანიპულაცია, მაგრამ ეს მანიპულაცია არასრდოს არ ყოფილა აბსოლუტური (Taguieff, 1995, 22-23).[18]

ფართო გაგებით, პოპულიზმი არის ქმედება/იდეა, რომლის მიხედვითაც ხალხი პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში დგას, ხოლო ვიწრო გაგების შესაბამისად, პოპულისტურ პოლიტიკაში ელიტასა და ხალხს შორის დაპირისპირება (cleavage) არის უმთავრესი (გოგსაძე, 2022, 7). ედუარდ შილის მიხედვით, პოპულიზმი გულისხმობს ხალხის ნების უზენაესობას და უშუალოდ პირდაპირ ურთიერთობას ხალხსა და მთავრობას შორის (Jakobson, 2012, 4-5).

ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა სახის მიდგომები პოპულიზმთან მიმართებით. მათ შორის, გამოყოფენ პოპულიზმს, როგორც იდეოლოგიას, დისკურსს, იდეაციურ მიდგომასა და პოლიტიკურ სტრატეგიას.

პოპულიზმი როგორც იდეოლოგიის მკვლევართა შორისაა კას მუდე. იგი (2004, 543) პოპულიზმს ვიწროდ განსაზღვრულ იდეოლოგიად მიიჩნევს, სადაც საზოგადოება დაყოფილია ორ ჰომოგენურ, ანტაგონისტურ და ერთმანეთთან დაპირისპირებულ ჯგუფად. ერთ მხარეს არის „უბრალო/უმწიკვლო ხალხი“, ხოლო მეორე მხარეს, „კორუმპირებული ელიტა“ და რომ პოლიტიკა უნდა ასახავდეს უმრავლესობის ნებას. ვიწროდ განსაზღვრულ იდეოლოგიაში იგულისხმება, რომ პოპულიზმი სხვა სრულყოფილი მსოფლმხედველობებისგან განსხვავებით არ მოიცავს თანმიმიდევრულ პასუხებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ შეკითხვებზე. პოპულიზმი განცალკევებულად არ გვხვდება და

[18] დე კლინი, გლინოსი და მონდონი (2018), თავიანთ სტატიაში აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში თუ პოპულიზმი არის ლოგიკა ან „მიზეზი“, მაშინ ყველა პოლიტიკურ პროექტს არ ექნება ეს ლოგიკა. პოპულიზმი არ არის: დემაგოგია ან ოპორტუნიზმი, პოლიტიკური აუთსაიდერის სინონიმი, რადიკალური მემარჯვენეობის სინონიმი, ნაციონალიზმი, ავტორიტარიზმი. ასევე პოპულარული სტილი, რადგან პოპულისტებს არ უწევთ „ხალხის“ მიმართ მოზიდვისთვის „პოპულარული“ გზებით მოქმედება.

ის კავშირშია სხვადასხვა იდეოლოგიებთან, როგორიც არის სოციალიზმი, ნაციონალიზმი და სხვა (Bonikowski & Gidron, 2016, 8).

პოპულისტური ფილოსოფია იდეების ფართო კომპლექტია, რომელიც იზიარებს სამ ძირითად მახასიათებელს: ანტიელიტიზმს/ანტი-ისტებლიშმენტიზმს, ავტორიტარიზმსა და ნატივიზმს (Mudde, 2004). 1) პოპულიზმი გაგებულია, როგორც ფილოსოფია, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს „ჩვეულებრივი“ ადამიანების (ჩუმი უმრავლესობა) სიბრძნესა და ღირსების რწმენას კორუმპირებული ელიტასთან შედარებით. 2) პოპულისტებისთვის დამახასიათებელია ავტორიტარული მიდრეკილებანი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს პიროვნულ ძალაუფლებას, რომელიც მოიაზრება, რომ ასახულია ხალხის ნების გამომხატველ ძლიერ და ქარიზმატულ ლიდერში. პოპულისტები ასევე უპირატესობას ანიჭებენ მაჟორიტარული დემოკრატიის პირდაპირ ფორმებს ხალხის ხმის გამოსახატად (საზოგადოებრივი გამოკითხვები, რეფერენდუმი, პლებისციტი), წარმომადგენლობით დემოკრატიასთან შედარებით (ინსტიტუციური დაბალანსების მექანიზმები უმცირესობათა უფლებების დაცვა და ა.შ). 3) „ჩვეულებრივ ხალხში“ პოპულისტური დისკურსი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ნატივიზმზე. პოპულიზმი უპირატესობას მონოკულტურალიზმს ანიჭებს მულტიკულტურალიზმთან შედარებით. ეროვნულ ინტერესებს, ჩაკეტილ საზღვრებსა და ტრადიციონალიზმს უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს, საერთაშორისო დახმარებათან, მუშახელის თავისუფალ მოძრაობასთან და პროგრესულ სოციალურ ლიბერალურ იდეებთან შედარებით. ზოგიერთი მკვლევარი, პოპულიზმს ქსენოფობიურ ავტორიტარიზმად განმარტავს (Inglehart & Norris, 2016, 7).

ნატივიზმი (რომელსაც ხანდახან „ნატივისტური ნაციონალიზმის“ ან „ქსენოფობიური ნაციონალიზმის“ სახელითაც მოიხსენიებენ) ქადაგებს, რომ კონკრეტულ ერს მიეკუთვნებიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც, ამ ერის კუთვნილ ტერიტორიაზე დაიბადნენ, ხოლო დანარჩენები ვინც ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ (მათ შორის, მოქალაქეებიც) იმიგრანტებად მიიჩნევიან (ნაციონალიზმი: ენციკლოპედიური ცნობარი, 2021, 104). მუდეს თანახმად (Nativism, ECPS), ნატივისტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს მაცხოვრებლები მხოლოდ მშობლიური ჯგუფის წარმომადგენლები უნდა იყვნენ, ხოლო არამკვიდრი ადამიანები და მათი იდეები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჰომოგენურ ეროვნულ

სახელმწიფოს. პოპულისტური რადიკალური მემარჯვენეები ნატივიზმს უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევენ ვიდრე პოპულიზმს (გოგსაძე, 2022, 11-12).

პოპულისტური დისკურსის იდენტიფიკაციისთვის საჭიროა შემდეგი „მინიმალური“ კრიტერიუმები 1) ცენტრალური მითითება „ხალხზე“ 2) „ხალხისა“ და ელიტის ერთმანეთისგან განცალკევება და მათი ანტაგონიზმი. პოპულისტებმა იციან, რომ პოლიტიკა უკავშირდება კოლექტიური იდენტობების შექმნას, სადაც ერთის მხრივ არიან „ჩვენ“, ხოლო მეორეს მხრივ - „სხვები“ (Panayotu, 2017). სტენლიმ, გამოავლინა პოპულიზმის ოთხი, განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული მახასიათებელი: ანალიზის ორი ერთგვაროვანი ერთეულის არსებობა: „ხალხი“ და „ელიტა“. ანტაგონისტური ურთიერთობა ხალხსა და ელიტას შორის. პოპულარული სუვერენიტეტის იდეა. „ხალხის“ დადებითი შეფასება და „ელიტის“ დამცირება (Van Kessel 2014, 101).

პაპასი (2016, 12) პოპულიზმს ხედავს როგორც ობიექტის კონცეფციას, რომელიც გამოიყენება სხვადასხვაგვარ რეფერენტების იდენტიფიცირებისას. აქედან გამომდინარე, არსებითად, პოპულიზმი შეიძლება განსაზღვრულ იქნას როგორც იდეად, რომ პოლიტიკური სუვერენიტეტი ეკუთვნის და უნდა ხორციელდებოდეს „ხალხის“ მიერ.[19] თავისთავად, ცნება „ხალხი“ განსხვავებულია დროისა და სივრცის ჭრილში, თუმცა ემპირიული და შედარებითი კვლევა მას სიცხადეს შესძენს.

თუ პოპულიზმს განვმარტავთ, როგორც იდეოლოგიას, მაშინ კვლევა სპეციფიკური მიმართულებით უნდა იქნას წარმართული. ამ შემთხვევაში ემპირიული კვლევა კონცენტრირებული უნდა იყოს, პარტიის პროგრამებზე და ლიდერების განცხადებებზე, ეს უკანასკნელი უნდა იყოს კვლევის ობიექტი. აღნიშნული შემთხვევებისას, ძირითადად, ყურადღება ექცევა პარტიულ მასალებს, ან საჯარო მანიფესტებს ან შიდა პარტიულ პუბლიკაციებს, იმისათვის რომ გაირკვეს თუ შესაბამისი პოლიტიკური აქტორი პოპულისტია თუ არა. პარტიზანული ტექსტების შესწავლისას გამოიყენება თვისებრივი შინაარსის ანალიზი. პარტიული მასალების დაწვრილებითი განხილვა, საკმაოდ შრომატევადია და

მინიმალისტური განმარტების მიხედვით, თანამედროვე პოპულიზმი დემოკრატიულ ალიბერალიზმად (democratic illiberalism) მიიჩნევა; შესაბამისად, დიქოტომიური მიდგომით, თანამედროვე პოპულიზმი მუდამ დემოკრატიულია, მაგრამ არასოდესაა ლიბერალური (Pappas, 2016).

ძირითადად ფოკუსირებულია ცალკეული სახელმწიფოების შესწავლაზე (Gidron & Bonikowski, 2013, 6-7).

შემდეგი კონცეპტუალური მიდგომა, პოპულიზმს განმარტავს როგორც დისკურსს (ან დისკურსულ სტილს) სხვადასხვა პოლიტიკურ აქტორებს შორის, სადაც აქცენტი კეთდება პარტიულ პროგრამებსა და მანიფესტებზე, ლიდერთა საჯარო გამოსვლებზე რომელშიაც იკვეთება პოპულისტური ნარატივები (დისკურსის ანალიზი). ამ მიდგომის წარმომადგენელი არის ერნესტო ლაკლაუ (Gidron & Bonikowski, 2013, 7-8)

ზემოთ მოცემულ მიდგომას ორი მთავარი მიმართულება გააჩნია. პირველი ლაკლაუს თეორიულ ნაშრომებსა და „ესექსის სკოლის“ დისკურსის ანალიზთან, ხოლო მეორე კლასიკურ და რაოდენობრივ კონტენტანალიზთან არის დაკავშირებული. პირველი მიდგომა პოპულიზმს ხედავს, როგორც ანტი-სტატუს კვო დისკურსს, რომელიც პოლიტიკურ სივრცეს ჰყოფს ორ მხარედ, სადაც „ხალხი“ (როგორც დაჩაგრული) უპირისპირდება „სხვებს“ (ძირითადად ელიტას) (Moffit & Tormey, 2013, 5-6). ესექსის სკოლა პოპულისტური იდეების განხორციელებაზე არის კონცენტრირებული („დისკურსი“ საუბრის გაგებით, რომელიც ვითარდება და არა უბრალოდ მეტყველების შინაარსზე); ამ თვალსაზრისით, პოპულისტური იდეები სრულად არ არსებობს მოქალაქეებისა და აქტივისტების გონებაში, მაგრამ იქმნება პოლიტიკური ლიდერების და დიალოგის მიერ, რომელსაც ისინი ანვითარებენ (Hawkins, 2019, 118).

ლაკლაუს თანახმად, პოპულისტურ დისკურსში ვხვდებით „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის სიმბოლურ განსხვავებას, რაც მისთვის კონტექსტიდან გამომდინარე, სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე „ცარიელი აღმნიშვნელია“.[20] პოპულიზმი არის პოლიტიკის კონსტრუქციის საშუალება და არა იდეოლოგიური ორიენტაციის მანიშნებელი. ეს შეხედულება გვაძლევს პოპულიზმის მინიმალისტურ განსაზღვრებას. სხვა სიტყვებით, პოპულიზმი წარმოადგენს პოლიტიკურ ლოგიკას, რომლის დროსაც ხდება პოპულარული

[20] პოპულისტური იდენტობების ჩამოყალიბებისას, სხვადასხვა უკმაყოფილებები და მოთხოვნები კონკრეტული საერთო სიმბოლოს გარშემო კრისტალიზირდება. მას ლაკლაუ ცენტრალურ წერტილად მოიხსენიებს. ამ მოთხოვნების დაკავშირებით ის მრავალ მნიშვნელობას იძენს. ჯაჭვის გაზრდა მანიშნებლის დაცილებას იწვევს მისი ორიგინალური მნიშვნელობისგან. აღნიშნულის თეორიული ფორმულირების შემდეგ, მკვლევარი მას „ცარიელ აღმნიშვნელს“ (empty signifiers) უწოდებს (ე.წ სახელი კონცეპტის გარეშე) (Panizza, 2017, 521).

სუბიექტურობის თანმიმდევრული კონსტრუქცია, სადაც „ჩვენ ხალხი“ დაპირისპირებულია „მათ, ელიტის“ წინააღმდეგ. ეს კატეგორიები იძენენ საკუთარ მნიშვნელობას „იდენტიფიკაციის“ (კლასიფიკაციის) პროცესისას, რამდენადაც გარკვეული სოციალური ჯგუფები გაგებულნი არიან როგორც „ხალხი“ (ჩვენ) და უპირისპირდებიან ოპრესიულ/მჩაგვრელ „სხვებს“ (ისინი) (Gidron & Bonikowski, 2013, 10). პოპულიზმისთვის უმთავრესია ანტაგონიზმის შექმნა. კონფლიქტი უნდა გადაწყდეს დიალექტიკით და არა კონსენსუსით (Jakobson, 2012, 14-15). პოპულიზმი ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს სოციალური ველის დიქოტომიური დაყოფა, სადაც კონკრეტული იდენტობების განთავსება ხდება ამ ველის ერთმანეთისგან საპირისპირო მხარეს. ეს ფუნქცია ლიდერმა, პარტიამ ან მოძრაობაც შეიძლება შეასრულოს. ლიდერი ანტაგონისტური ფრონტის კონსტრუქციას ახდენს. პოპულიზმის მიზანია კონტრ-ჰეგემონიის კონსტუქცია, რომ საბოლოო ჯამში შეიცვალოს მოქმედი ელიტა (Roberts, 2017, 376-378). ხალხი არის რიტორიკული კონსტრუქციის პროდუქტი, რომელიც კრებს ჰეტეროგენულ დემოკრატიულ მოთხოვნებს, რომლებიც კონკრეტულ მომენტში საზოგადოებაშია გამოხატული. (შესაძლოა არსებობდეს პოპულიზმი, რომელიც ავტორიტარულ მიდრეკილებებს მოიცავს. თუმცა, შესაძლოა გვქონდეს სრულიად დემოკრატიული პოპულიზმიც) (Samuele Mazzolini..., 2015). პოპულიზმი უკავშირდება არტიკულაციას, რომელიც გამოხატავს პოპულარულ ინტერესებსა და იდენტობას. სწორედ ამიტომ, ლაკლაუს პირველი კრიტერიუმი დისკურსის პოპულისტურ იდენტიფიცირებაში არის ის, თუ რა დოზით ანიჭებს ის პრივილეგიას „ხალხს“ როგორც მის მთავარ მიმართვის წერტილს, რომელიც ლაკლაუსთვის მოქმედებს როგორც „კვანძოვანი წერტილი“ (nodal point) ან „ცარიელი აღმნიშვნელი“ (Stavrakakis, 2017, 676-677).

პანიცასთვის პოპულისტურ დისკურსში, რომელიც არსებულ სტატუს კვოს უპირისპირდება, ანტაგონიზმი იდენტობის ფორმირების საშუალებაა, რომელიც ჰეგემონიისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლის ნაწილს წარმოადგენს (Gidron & Bonikowski, 2013, 10). პოპულისტური იდენტიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ხალხის როგორც ჰომოგენური ერთობის კონსტრუქცია. ის ექვივალენტურობის (იგივეობის) პოლიტიკას ეყრდნობა. ექვივალენტურობის ლოგიკა ცალკეულ ელემენტებს (მოთხოვნები, იდეები, პრაქტიკები და აგენტები) საერთო მახასიათებლების მქონე დისკურსში აქცევს (Panizza, 2017, 520).

კაზინი ემხრობა დისკურსულ მიდგომას და მიაჩნია, რომ პოპულიზმი არის პოლიტიკური გამოხატვის ფორმა. პოპულიზმს შერჩევით და სტრატეგიულად იყენებენ პოლიტიკურ სპექტრზე მყოფი განსხვავებული პოზიციების მქონე პოლიტიკური ძალები და ინდივიდები (გოგსაძე, 2023, 4). ავტორის განმარტებით, პოპულიზმი არის ენა რომლის მიმდევრებსაც ჩვეულებრივი ხალხი მიაჩნიათ კეთილშობილ ჯგუფად (კლასობრივი ბმის გარეშე), ისინი თვით დაინტერესებულ და არადემოკრატიულ ელიტებს უპირისპირდებიან (Gidron & Bonikowski, 2013, 8). დე ლა ტორე თვლის რომ, პოპულიზმი არის რიტორიკა, რომელიც ახდენს პოლიტიკის კონსტრუქციას, როგორც მორალურ და ეთიკურ ბრძოლას „ხალხსა“ და ოლიგარქიას შორის. ჰოკინსისთვის, პოპულიზმი არის მანიქეური[21] დისკურსი რომელიც ადგენს პოლიტიკური კონფლიქტების ორმაგ მორალურ განზომილებას (Pappas, 2016, 16). რიჩარდ ჰოფსტადერის კვლევა პოპულისტური პოლიტიკა, როგორც დისკურსული სტილი (ანუ მისთვის, „გამოხატვის საშუალება/ფორმა“, „რიტორიკა“), პარანოიდული სტილი ხასიათდება გაზვიადებით, ეჭვებითა და აპოკალიპტური შეთქმულებითი მსოფლმხედველობით (Gidron & Bonikowski, 2013, 9).

აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა არ მიიჩნევს, რომ პოპულისტები ყოველთვის ელიტის წინააღმდეგ გამოდიან. ეს კონტექსტზეა დამოკიდებული, და შესაძლოა „ხალხის“ ანტაგონიზმი პირველ რიგში სხვადასხვა ჯგუფებისადმი (იმიგრანტები, უმცირესობები და ა.შ) ან ინსტიტუტებისადმი იყოს მიმართული. ლაკლაუს (2005, 39) მოსაზრებით, პოპულიზმისთვის აუცილებელია მტრის დისკურსული კონსტრუქცია. ძირითადად, პოპულიზმისთვის „სხვა“ არის ელიტა, თუმცა ის ამავდროულად, შეიძლება იყოს ყოფილი რეჟიმი ოლიგარქია და სხვა (Moffit & Tormey, 2013, 11).

აღნიშნული მიდგომისას, ანალიზის ერთეულები და გაზომვის სკალა პოპულიზმის ოპერაციონალიზაციის დროს არის გრადაციული. შესაბამისად, მხოლოდ პოპულისტური/არა-პოპულისტური არ არის პოლიტიკური პარტიების ან მათი ლიდერების აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი. პოლიტიკურ მოთამაშეებს შეუძლიათ თავიანთი

[21] მანიქეური ფილოსოფია ყველაფერს თეთრ და შავად, კეთილად და ბოროტად ჰყოფს. შესაბამისად, მანიქეური დისკურსი ახდენს კეთილის იდენტიფიცირებას ხალხის ნებასთან, ხოლო ცუდის/ბოროტის შეთქმულ ელიტასთან.

რიტორიკული სტილი უფრო მარტივად შეცვალონ, ვიდრე მათი იდეოლოგიური შეხედულებები, ამიტომ, ასეთი განმარტება, შესაძლებელს ხდის პოპულისტური პოლიტიკის ტიპებსა და დონეებს შორის სახეცვლილებების მოძებნას. პოპულიზმი გაგებულია, როგორც პოლიტიკური საუბრის (მეტყველების) თავისებურება, ვიდრე როგორც პოლიტიკური მოთამაშეების იდენტურობა. შეფასებისას ყურადღება გამახვილებულია ხარისხზე, მეტი თუ ნაკლები პოპულისტური მახასიათებლები აქვს პარტიას (Gidron & Bonikowski, 2013, 7-9).

აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა, ძირითადად ლიტერატურის ანალიზის ნაცვლად, ლაკლაუს პოზიციების დადასტურებას ცდილობს (მეორე მიდგომა უფრო ემპირიულია). კრიტიკოსების თანახმად, ეს მიდგომა უფრო მეთოდოლოგიურია (და ვერ გამოდგება პირდაპირ ჩარჩოდ პოპულიზმის გაგებისთვის) და უფრო დამხმარე როლის შესრულება შეუძლია პოპულიზმის კვლევისას. ის ყურადღებას არ აქცევს პერფორმატიულ, ვიზუალურ და ესთეტურ მხარეებს (Moffitt & Tormey, 2013, 5-6). დისკურსული მიდგომების მთავარი კონცეპტუალური ინსტრუმენტებია: ცარიელი აღმნიშვნელები, დისლოკაცია, ცენტრალური პუნქტები და ანტაგონიზმი.

ამასთან ერთად, პრობლემებს შორის უნდა აღინიშნოს, რომ პოპულიზმის შემთხვევაში, გრადაციის (ხარისხის) პრობლემა სულაც არ არის დაკავშირებული თავად ცნების თვისებებთან, ვინაიდან შესაძლებელია დადგინდეს, არის თუ არა კონკრეტული გამოთქმა პოპულისტური მინიმალური განმარტების გამოყენებით. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ გაურკვეველია, რამდენად უნდა გამოიყენოს პოლიტიკოსმა პოპულისტური ენა, რომ ის პოპულიზმის „სრულ“ შემთხვევად ჩაითვალოს (Van Kessel, 2014, 104-105).

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში პარტიული სისტემები, რომლებიც ფორმირების პროცესში არიან, რთულია რეალური პოლიტიკური ისტებლიშმენტი პოპულისტური პარტიებისგან განსხვავების პოვნა, რომლებიც მას უპირისპირდებიან. მრავალი პარტია იყენებდა პოპულიზმს, რომელიც არსებულმა უკმაყოფილებამ გააჩინა, აქედან გამომდინარე საკმაოდ რთული იყო „პოპულისტური პარტიების“ მკაფიოდ განსაზღვრული ერთობის იდენტიფიცირება (Van Kessel, 2014, 111). ვან კესელი (2014) ცდილობს იდეოლოგიური და დისკურსული მიმართულებების გაერთიანებას და პოპულიზმის კვლევისთვის საერთო

მიდგომის შემუშავებას. არსებული პრობლემის გამკლავების მიზნით, უნდა გაირკვეს, თუ როგორ იჩენს თავს პოპულიზმი კონკრეტული აქტორის მოხსენიებისას. ამისთვის, მკვლევარი სარტორის აბსტრაქციის კიბეს იყენებს, რომლის იდეაა, რომ კიბეზე მაღლა მდგომ ცნებებს ნაკლები თვისებები აქვთ და, შესაბამისად, უფრო მეტ შემთხვევაზე ვრცელდება.

სარტორის კიბის იდეის გამოყენებით პოპულიზმი შეიძლება გამოვლინდეს როგორც „კლასიფიკატორი“ ან უფრო „აღმწერი“, ანუ მსჯელობას იმის შესახებ, თუ აბსტრაქციის რა დონეზე ვლინდება პოპულიზმი. პოპულისტური გამოვლინებების აბსტრაქციის კიბე შემდეგია: პოპულისტური დისკურსი; პოპულისტური პარტიები; პარტიული ოჯახები პოპულისტური კომპონენტით (Van Kessel, 2014, 111). კიბის ზედა ნაწილში ვხვდებით დისკურსის გამონათქვამებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პოპულიზმის მინიმალურ განმარტებას. ამ თვალსაზრისით, პოპულიზმი არ ნიშნავს რიტორიკულ სტრატეგიაზე მეტს, რომელსაც ნებისმიერი პოლიტიკური აქტორი იყენებს. ამრიგად, „პოპულისტური დისკურსის“ გავრცელება საკმაოდ ფართოა. პოპულიზმის ეს გამოყენება განსაკუთრებით შესაფერისია პოსტკომუნისტური ქვეყნების შემთხვევებისთვის, სადაც პოპულისტური დისკურსი არცთუ იშვიათად გამოიყენება (Van Kessel, 2014, 111).

პოპულიზმი როგორც „აღმწერი“, უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც პოლიტიკოსი გამოხატავს დისკურსს, რომელიც აკმაყოფილებს პოპულიზმის მინიმალურ განმარტებას და პოპულიზმი არ არის პოლიტიკური პარტიის ან მოძრაობის სტაბილური შემადგენელი მახასიათებელი და კვლევის მიზანია პოპულიზმის ხარისხის ანალიზი. ამ შემთხვევაში აქტორის პოპულისტურ განცხადებების კვლევას აქვს ადგილი (და არა მის ბუნებას). პოპულიზმი, როგორც „კლასიფიკატორის“ შემთხვევაში, პოპულიზმი პოლიტიკური აქტორის მნიშვნელოვანი მახასიათებელია და ადგილი აქვს პოპულისტური აქტორის ექსკლუზიურ კატეგორიების გამოყოფას (მაგალითად, „პოპულისტური პარტიები“). პოპულისტური დისკურსი უნდა იყოს თანმიმდევრულად არტიკულირებული ამ პოლიტიკური ძალების მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში (Van Kessel, 2014, 113).

ერთ-ერთი მიმდინარეობის ყურადღებას იზიდავს ასევე სოციოლოგია, ამ ტერმინის მიღმა განიხილავენ პოლიტიკურ სტრატეგიას, როგორც გარკვეულ გზას პოლიტიკის

წარმოებისათვის მაგალითად თუ როდის ხდება პოპულისტური მობილიზაცია და გავლენას ახდენს აღნიშნული მოვლენები პოლიტიკაზე. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენელია იანსენი (Gidron & Bonikowski, 2013, 10). ბონიკოვსკის და გიდრონის (2016, 10) აზრით, პოპულიზმს აქტორები იყენებენ სტრატეგიულად, როდესაც შესაბამისი პირობები არსებობს. შესაბამისად, პოპულიზმი არის არა შემადგენელი იდეოლოგია, არამედ ჩარჩო რომლის მეშვეობითაც სხვა ტიპის პოლიტიკური განცხადებები არის გამოხატული. შესაძლოა გარკვეული პრეფერენციები, რომლებიც იდეოლოგიურ პოზიციებთან არის დაკავშირებული, პოპულისტური ტერმინებით იყოს გადმოცემული. პოპულიზმი როგორც პოლიტიკური განცხადებების გაკეთება შეიძლება ანალიტიკურად გაიმიჯნოს პოპულიზმის როგორც იდეოლოგიისგან (Bonikowski & Gidron, 2016, 13).

ამ გაგების თანახმად, პერსონალისტურ ლიდერს ჰყავს არაორგანიზებული მომხრეები. ლიდერი არამედიაციური და არაინსტიტუციონალიზირებული მხარდაჭერით ცდილობს ხელისუფლებაში მოსვლას (Bonikowski & Gidron, 2016, 8). ვეილანდისთვის, პოპულიზმი ასოცირებულია დომინანტური ლიდერის მიერ პოპულარული (ეროვნული) სუბიექტურობის მითვისებასთან. საბოლოო ჯამში პოპულიზმი არის ანტი-ელიტიზმის და ანტი-ისტებლიშმენტის (მაგ., პარტიული ორგანიზაციების) არსებითი გამოხატულება (Roberts, 2017, 367-368).

იანსენი პოპულიზმს, როგორც პოლიტიკურ პროექტს ისე განიხილავს; მისი განმარტება შედგება ორი განზომილებისგან: მობილიზაცია და დისკურსი. პირველში ის მდგრად და ფართომასშტაბიან პოლიტიკურ პროექტს გულისხმობს, რომელიც მარგინალიზებული ჯგუფების ან ფენების მობილიზებას ახდენს საჯარო და საკამათო პოლიტიკურ ქმედებებში, რომელიც არის ანტიელიტისტური, ნაციონალისტური და განადიდებს უბრალო ხალხს. მისთვის პოპულისტური დისკურსი გულისხმობს, „ხალხის“ ბუნებრივ სოციალურ ერთობას და თანდაყოლილ სათნოებას. ავტორის მიდგომიდან იკვეთება, რომ პოპულიზმის სამი ზემოთ მოყვანილი მიდგომა არ არის ურთიერთგამომრიცხავი (Gidron & Bonikowski, 2013, 14).

იდეოლოგიური და დისკურსული მიდგომების საერთო მახასიათებლებს შორისაა, პოლიტიკის ხედვა მანიქეური სისტემის მიხედვით. კერძოდ, სხვაობა „ჩვენსა“ და „სხვებს“

შორის, რომელიც პოპულისტური რიტორიკის ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენს. ჰოკინსი და სხვა მკვლევარები ამ განმარტებებს აერთიანებენ (Gidron & Bonikowski, 2013, 14-15). კონკრეტულად, ამ მიდგომების ნარევით ჰოკინსი ცდილობს პოპულიზმის შესწავლას სხვადასხვა ამხსნელი მოდელით (Poblete, 2015), რომელიც იდეაციური მიდგომის სახელით არის ცნობილი. ის უფრო მეტად აკეთებს აქცენტს პოპულისტური იდეების შინაარსზე. მეცნიერები, რომლებიც იყენებენ იდეაციურ მიდგომას, პოპულიზმს განსაზღვრავენ, როგორც ვიწროდ ორიენტირებულ იდეოლოგიას ან დისკურსულ სტრუქტურას (ჩარჩოს), რომელშიც ხალხი პოლიტიკას აღიქვამს, როგორც ბრძოლას უბრალო ადამიანების გააზრებულ ნებასა და ბოროტ, შეთქმულ ელიტას შორის (Hawkins, 2019).

იდეაციური მიდგომის თანახმად, პოპულიზმს მყარი ფესვები აქვს ადამიანების (როგორც პოლიტიკოსების, ასევე ამომრჩევლების) გონებაში. კერძოდ, წარმატებული პოპულისტური ძალების გაჩენა განპირობებულია კონტექსტის, ჩარჩოსა და ორგანიზაციის ერთობლიობით. ამავდროულად, კონტექსტი უნდა იყოს დაკავშირებული რიტორიკასა და პოპულისტურ არგუმენტთან (Hawkins, 2019, 111-112).[22]

თუმცა არის მნიშვნელოვანი თეორიული და მეთოდოლოგიური განსხვავებები, რაც იდეოლოგიურ და დისკურსულ მიდგომებს ცალკე მდგომ თეორიებად წარმოაჩენს. ლაკლაუს პოპულიზმი როგორც დისკურსული სტილის მიდგომა გაკრიტიკებულია, რადგან პოპულიზმი გაიგივებულია დუალისტური რიტორიკის ყველა ფორმასთან. ამის გამო, ის თავის თეორიულ საზღვრებს (ლიმიტს) სცდება და ხდება ზედმეტად აბსტრაქტული ემპირიული ანალიზის ჩასატარებლად. თავის მხრივ, დისკურსული მიდგომის მომხრეები, აკრიტიკებენ იდეოლოგიურ მიდგომას, რადგან პარტიულ იდეოლოგიაზე ექსკლუზიური ყურადღება არის ზედმეტად შემზღუდავი და ზედმეტად არსებითი. პოპულიზმი ყველა აქტორისთვის არის ხელმისაწვდომი. პოპულიზმის ეს ორი მიდგომა განსხავებულ

[22] იდეაციურ მიდგომაზე ორიენტირებული მეცნიერები ზოგადად არ განიხილავენ ქარიზმატულ ლიდერობას, როგორც გადამწყვეტს (მაგ., დაიკავე უოლსტრიტი და ჩაის პარტია), თუმცა, ამასთან ერთად, ქარიზმატული ლიდერობის არსებობას პოპულისტური ძალების საარჩევნო წარმატების უზრუნველსაყოფად ინსტრუმენტალურად მიიჩნევენ. ქარიზმატული ლიდერები მოქმედებენ როგორც „ცარიელი აღმნიშვნელები“ ან ობიექტები, რომლებშიც პოპულიზმის მხარდამჭერებს შეუძლიათ დაინახონ თავიანთი ინდივიდუალური ნება (Laclau 2005). ასეთ ლიდერს შეუძლია პოპულისტური კოორდინაციის პრობლემების დაძლევა (Hawkins, 2019, 113).

ონტოლოგიურ სტატუს იძენს, აქედან გამომდინარე, ისინი სხვადასხვა ანალიტიკურ სტრატეგიებს იყენებენ ამ მოვლენის გაზომვისას და ოპერაციონალიზაციისას. დისკურსული მიდგომის შესაბამისი მეთოდი ინტერპრეტაციული ტექსტუალური ანალიზია, ხოლო იდეოლოგიური მიდგომის ტექსტების თვისებრივი ანალიზი (Gidron & Bonikowski, 2013).

სტრატეგიული მიდგომა, ესექსის სკოლის მსგავსად, უგულებელყოფს პოპულიზმის უფრო მცირე, ინტიტუციონალიზებულ ფორმებს, განსაკუთრებით რადიკალური მემარჯვენეების არამეინსტრიმულ პარტიებს. ამ ტიპის პარტიები უკიდურესად პოპულისტურად განიხილება იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყვიან ბიუროკრატიულ მართვაზე და დაემორჩილებიან პერსონალისტურ ხელმძღვანელობას (Hawkins, 2019, 119).

ნაშრომში პოპულიზმი გაგებულია, იდეაციური მიდგომის შესაბამისად. კერძოდ, პოპულიზმი როგორც დისკურსი ან დისკურსული ჩარჩო (რომელიც ახლო კავშირშია ვიწროდ ორიენტირებულ იდეოლოგიის გაგებასთან). აგრეთვე ვან კასელის მიხედვით, უმრავლესობა შემთხვევებში პოპულიზმი არის „აღმწერი“, კერძოდ, პარტიები და პოლიტიკოსი გამოხატავენ დისკურსს, რომელიც აკმაყოფილებს პოპულიზმის მინიმალურ განმარტებას. შესაბამისად, პოპულიზმი რიტორიკულ სტრატეგიაზე მეტს არ გულისხმობს, რომელსაც ნებისმიერი პოლიტიკური აქტორი იყენებს. იმისთვის, რომ თავი ავირიდოთ დისკურსული მიდგომებისთვის დამახასიათებელი კრიტიკისთვის, სადაც პოპოულიზმი გაიგივებულია დუალისტური რიტორიკის ყველა ფორმასთან, პოპულიზმი უნდა გულისხმობდეს, „ჩვენ და „სხვებს“ შორის ურთიერთობას უნდა გააჩნდეს ვერტიკალური (ქვედა/ზედა) ურთიერთქმედება (ანუ უნდა ხდებოდეს ხალხის ანტაგონიზმი ელიტა/ხელისუფლებასთან).[23] პოპულისტური ტერმინები ხშირად გამოყენებულია როგორც ინსტრუმენტი. როგორც ზემოთ აღინიშნა, პოპულიზმი არ არის მხოლოდ იდეოლოგიური მახასიათებელი. პოლიტიკურ აქტორებს შეუძლიათ თავიანთი რიტორიკული სტილი უფრო მარტივად შეცვალონ, ვიდრე მათი იდეოლოგიური შეხედულებები. შესაბამისად, მისი გამოყენება ყველა პოლიტიკურ ძალას შეუძლია.

[23] უფრო დაწვრილებით იხილეთ ქვეთავი პოპულიზმის და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების შესახებ.

1.3 მემარჯვენე და მემარცხენე პოპულიზმი

კალტვასერის მიხედვით (Is populism gaining in popularity?, 2019), მემარცხენე პოპულისტები „ხალხში“ მოიაზრებენ ინდივიდებს სამოქალაქო გაგებით (და არა საერთო ეთნიკური წარმომავლობით), რომლებიც გარიყულები არიან. მსგავსი წარმოდგენა აქვს ესპანურ პარტია „პოდემოსს“, შესაბამისად, „ელიტაც“ განსხვავებულად განიმარტება. მემარცხენე პოპულიზმი, უფრო ნაკლებად მოიცავს ექსკლუზიონიზმს ვიდრე მემარჯვენე პოპულიზმი. ის ძირითადად, უფრო დიდი ბანკების „დამარცხებას“/“დანაწევრებას“ (მაგ: ბერნი სანდერსის კამპანიის შემთხვევაში) გულისხმობს ან მმართველი „კასტის“ წინააღმდეგაა მიმართული (მაგ., „პოდემოსი“). მისი მიზანია ფინანსური ელიტისთვის მაღალი გადასახადების დაკისრება (Santiago Zabala, 2017).

ლუკ მარჩის (2017) თანახმად, მემარცხენე პოპულიზმი უფრო ინკლუზიურია (მოიცავს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს) და მასში არის ფარული ინტერნაციონალიზმი (მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირითადად ეროვნულზე არიან ფოკუსირებულნი). მემარცხენე-პოპულისტურ პარტიებს ახასიათებთ პოპულიზმი, თუმცა იდეოლოგიურად უფრო ასოცირებულნი არიან დემოკრატიულ სოციალიზმთან. მას ნაკლები დოქტრინალიზმი ახასიათებს. მემარცხენე თემებს (მაგ: პროტექციონიზმს), იყენებენ მემარჯვენე პოპულისტები, ხოლო მემარცხენეები მემარჯვენე (ნაციონალისტურ) თემებს ვერ მიმართავენ, რადგან ის უფრო ინკლუზიურია (Luke March..., 2017). პოპულისტებისთვის „ხალხი“ წარმოადგენს „ჰართლანდის“[24] მაცხოვრებლებს. ამ ფენომენის ერთ-ერთი მახასიათებელია, რომ ის ერთჯერადი (უნიტარული) ბუნებისაა. ეს ქმნის უბრალოების/სიმარტივის პოლიტიკას. პოპულისტურ კარგ ცხოვრებას არ ეხება კლასობრივი დაყოფა (მიუხედავად იმისა, რომ პოპულისტურ მოძრაობებს გააჩნიათ კლასობრივი საფუძვლები, მაგ: ხალხის პარტია აშშ-ში). (Taggart, 2003, 11-12). მემარცხენეებისგან განსხვავებით, პოპულიზმი არ უნდა იყოს

[24] ტაგარტი გამოჰყოფს იდენტობის პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს ე.წ „ჰართლანდს“. ეს არის მითები და პათოსი, რომელიც აუცილებელია წარმატებული საზოგადოების შენებისთვის, რომელიც წინ წამოწევს ჯგუფის მორალურ მოთხოვნებს. ავტორის თანახმად „ჰართლანდი“ არის, გარკვეული ადგილი დროსა და სივრცეში, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესაბამება ისტორიულ ფაქტებს (მისი მიზანია ემოციური ბმის შექმნა). ის წარმოადგენს ინსტრუმენტს ნარატივის შექმნისათვის. მის საპირისპიროდ ანტი-ჰართლანდის ცნება გამოხატავს იმ ნეგატიურ და არასასურველ დროს, რომელიც გამოიყენება შიშზე დაფუძნებული პოლიტიკის ინსტრუმენტად (Jakobson, 2012, 16).

განსაზღვრული პროგრამული ან იდეოლოგიური ტერმინებით. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კვეთა მემარცხენე პოლიტიკურ აქტორებსა და პოპულიზმს შორის, არიან არა-პოპულისტი მემარცხენეები და არა-მემარცხენე პოპულისტები (Gidron & Bonikowski, 2013, 12). აღსანიშნავია, რომ მემარცხენე პოპულიზმს შეზღუდული წვდომა და მიმზიდველობა აქვს და უფრო მეტად არსებული სიტუაციიდან მემარჯვენე პოპულისტურმა პარტიებმა ისარგებლეს (A talk with Cas Mudde…, 2016).

მემარჯვენე პოპულისტები, ელიტის გარდა, უბრალო ხალხს საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენას უპირისპირებენ (ვისაც არ უნდა მუშაობა და სხვების ხარჯზე ცხოვრობენ) (Muller, 2017, 747-748). მემარჯვენე პოპულიზმისთვის მნიშვნელოვანია წარმომავლობა, ნატივიზმი, ანტი-პლურალიზმი, ის ნაციონალისტურ-პოპულიზმად შეიძლება ჩაითვალოს. ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ანტი-ელტიზმთან ერთად ანტი-ინტელექტუალიზმია. ისინი ყურადღებას აქცევენ „კანონისა და წესრიგის“ პოლიტიკის დაცვას, ეს უკანსკნელი ლეგიტიმაციას ტერორისტული თავდასხმებისგან იძენს. ამავდროულად, ადამიანის უფლებები იზღუდება რაც გამოწვევაა დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის. ამ კუთხით ის ავტორიტარიანიზმისკენ იხრება. ის გარკვეულწილად კონსერვატიზმს ეფუძნება, ყურადღებას ამახვილებს ტრადიციულ გენდერულ როლებზე, „შოვინისტურ კეთილდღეობაზე“ (სოციალურ მომსახურებაზე მხოლოდ იმ კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს უნდა მიუწვდებობდეთ ხელი) (The Politics of Fear:, 2018).

„ხალხის“ კონსტრუირება (კონსტრუქცია) პოპულიზმის საფუძველს წარმოადგენს („ხალხი“ მოქალაქეთა ჯგუფს ან ერთობას წარმოადგენს, თუ გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს, რაც არის ეთნო-ნაციონალიზმი); მემარჯვენე პოპულიზმი არის გამოხატულება და კატალიზატორი იმისა, თუ როგორ მოხდა კლასობრივი პოლიტიკიდან ღირებულებათა/ფასეულობათა პოლიტიკაზე გადასვლა, იდეოლოგიურიდან - იდენტობის პოლიტიკამდე. ეკონომიკურ უთანასწორობაზე საუბრის ნაცვლად, საუბარი მიდის იდენტობაზე და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე (The Politics of Fear:, 2018).

დონალდ ტრამპის რიტორიკა მემარჯვენე პოპულიზმს უნდა მივაკუთვნოთ, რადგან იგი ძირითადად ქსენოფობიას მოიცავს და იმიგრანტების წინააღმდეგაა მიმართული. თუმცა

აღსანიშნავია, რომ ტრამპის ისეთი განცხადებები, როგორიცაა პროტექციონიზმის მხარდაჭერა და იმპორტის ტარიფის ზრდა ჩინურ საქონელზე, უდავოდ მემარცხენე პოპულიზმის ნაწილია (Inglehart & Norris, 2016, 8).

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ პოპულიზმი შეიძლება მრავალგვარი იყოს, მემარჯვენე, მემარცხენე (ან ჰქონდეს ჰიბრიდული ფორმა). მათი სოციალური ბაზა შეიძლება იყოს როგორც აგრარული, ურბანული, ნეოლიბერალური და კავშირში იყოს სხვადასხვა იდეოლოგიებთან. შეიძლება იყოს სეკულარული ან რელიგიური (Brubaker, 2017, 2-3).

1.4 თეორიული ჩარჩო: ნაციონალიზმის და პოპულიზმის ურთიერთმიმართება

მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს ნაციონალიზმსა და პოპულიზმს შორის.

პოპულისტურ დისკურსს გააჩნია ორი პოლუსი: პროტესტის, რომელიც სოციალურია და იდენტურობის, რომელიც ნაციონალურია. პირველში ელიტის კრიტიკა მოიაზრება (Taguieff, 1995, 32). იდენტობის პოპულიზმი მოიცავს ეროვნულ განზომილებას ანუ ის მიმართულია მთელი ხალხის მიმართ. ამ შემთხვევაში, ხალხისადმი აპელირება ფიქსირებულია ეროვნულ განზომილებაზე. აპელირება ხდება ჰომოგენურ ხალხზე, რომელიც შეცდომით არის გაიგივებული ეროვნულ ჯგუფთან, რომელსაც მუდმივი იდენტობა და ერთობა გააჩნია. მთავარი სხვაობა პირველი მიდგომისგან არის ის, რომ უპირველეს ყოვლისა გაკრიტიკებული და დაგმობილია არა ელიტა, არამედ უცხოელები, იმიგრანტები. ხოლო, ელიტებთან დაპირისპირება განპირობებულია, მათი „უცხოელების პარტიად“ წარმოჩენა. კონკრეტულად, ქსენოფობია არის მთავარი ელემენტი და ანტი-ელიტიზმი მას ემორჩილება. პოპულიზმი კომბინირებულია ნაციონალიზმთან, რომელიც მტერს უცხოელ დამპყრობელად გარდასახავს. ეს მიდგომა ექსკლუზიონისტურია. იდენტობის დაცვა პირველ ადგილზე გადადის დემოკრატიის მოთხოვნასთან შედარებით. ჩნდება ჰეტეროფობია, რასაც შეუძლია რასიზმის (ბიოლოგიური) ან ნეო-რასისტული (კულტურული) ფორმა მიიღოს (Taguieff, 1995, 34).

დე კლინი აღნიშნავს, რომ უნდა განიმარტოს კონცეპტუალური სხვაობები ნაციონალიზმსა და პოპულიზმს შორის იმისთვის, რომ მათი ერთიანი მოქმედების არსი გავიგოთ. ნაციონალიზმის კონცეფციებში, ხალხი გაიგივებული ერთან, პოპულიზმის შემთხვევაში კი ხალხი წარმოჩენილია, როგორც ჩაგრული (ან „აუთსაიდერი“). პირველს ახასიათებს ჰორიზონტალური (შიდა/გარე) ურთიერთქმედება ცენტრალურ პუნქტსა და გარე შემადგენელს შორის. ის აქცენტს ერის წევრობაზე, იდენტობასა და მოქალაქეობაზე ამახვილებს (When Populism Meets Nationalism…, 2020). მეორეს მხრივ, პოპულიზმი, ვერტიკალურ „ქვემოდან/ზევით“ ღერძზე არის განლაგებული, რომელიც დაკავშირებულია იერარქიულ პოზიციასთან, სტატუსსა და ძალაუფებასთან. შესაბამისად, პოპულიზმის ეს განსხვავებული სტრუქტურა მისი სხვა დისკურსებისგან გამიჯვნის საშუალებას იძლევა, რომლებიც აგრეთვე იყენებენ „ხალხის“ ცნებას. „ხალხის“ კონსტრუქცია განსხვავებულია, კერძოდ, დემოკრატიის შემთხვევაში (ხალხი როგორც დემოსი), ხოლო ნაციონალიზმის შემთხვევაში (ხალხი როგორც ნაცია/ერი) (De Cleen, 2017, 440).

პოპულიზმის იყენებენ ნაციონალისტები, რომლის მიზანია ექსკლუზიური ნაციონალიზმის მოთხოვნების ლეგიტიმაცია; ის შეფუთულია, როგორც ხალხის ნების გამოხატვა (De Cleen, 2017, 444). დე კლინის თანახმად, პოპულიზმის თანამედროვე კრიტიკოსები, რეალურად (ექსკლუზიური) ნაციონალიზმის კრიტიკოსები არიან (De Cleen, 2017, 455). მემარცხენე პოპულისტურ-ნაციონალისტური არტიკულაციები, მიუხედავად იმისა, რომ ორიენტირებულია ხალხის და ერის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებზე, ასევე ორიენტირებულია ეროვნულ (კულტურულ) იდენტობაზე და ერის სიამაყეზე. ის ცდილობს ეკონომიკურ პოლიტიკაზე ეროვნული სუვერენიტეტის დაიბრუნოს (De Cleen, 2017, 450).

ბრუბაკერი (2020, 60) არ ეთანხმება პოპულიზმის ზემოთაღნიშნულ მინიმალურ, ერთგანზომილებიან განმარტებას. ის კომპლექსურ და ამბივალენტურ მიდგომას ანვითარებს. პოპულიზმი ყველაზე კარგად გაგებული არის როგორც დისკურსული და სტილისტური რეპერტუარი, რომელიც მოიცავს შემუშავებული ძირითადი ელემენტების რიგს.

თეორიულად ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ღერძზე პოპულიზმისა და ნაციონალიზმის განცალკევება ვერ მოხდება. ზემოთ აღნიშნული გამიჯვნა ვერ გვთავაზობს

პოპულიზმის არაერთგვაროვანებას, პროდუქტიულობასა და „ხალხისადმი“ აპელირებას. პოპულისტური დისკურსის მითითება ყველაზე უკეთ გაგებულია, როგორც ორ განზომილებიანი, უთანასწორობისა და განსხვავებულობის სივრცე. შესაბამისად, ძირითადად, ორგანზომილებიან სივრცეში ხდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ოპოზიციის გადახლართვა და ელიტა განლაგებულია, „გარეთ“ და ამავდროულად „ზემოთ“ (Brubaker, 2020, 44). აღნიშნული ოპოზიციის გადახლართვა ცხადია, როდესაც „ქვევით მყოფები“ (მაგ., იმიგრანტები ბოშები, და სხვა), როგორც „გარეთ მყოფნი“ არიან წარმოდგენილნი. ამასთან ერთად, მათი რთული ვითარება, მათი „განსხვავებულობით“ აიხსნება. მკვლევარს მიაჩნია, რომ ასეთი შეხედულება არ არის პოპულისტური და ის პოპულისტური მაშინ გახდება, როდესაც ელიტებს დაბრალდებათ აღნიშნული ჯგუფებისთვის პრიორიტეტებისა და პრივილეგიების მინიჭება, უბრალო ხალხის ხარჯზე (Brubaker, 2020, 55).

ზემოთ აღნიშნული მიდგომის ნაკლს შორის აღსანიშნავია, რომ „ოჯახური მსგავსების“ განმარტება არ იძლევა „ნათელ“ კრიტერიუმს თუ რა შეიძლება ჩაითვალოს პოპულისტურად. პოპულიზმი შეიძლება ჩაითვალოს ხარისხის (გაზომვის) საკითხად, შემთხვევები გარკვეული თვალსაზრისით პოპულისტურია და ხანდახან არა. ძლიერი მხარეებს შორის არის - „ხალხის“ ორაზროვნების გათავისებით (ინტერნალიზაციით), ის უკეთესად აფიქსირებს პოპულისტური მიმზიდველობის ძალაუფლებას და ამბივალენტურობას, რომელიც პლებეებს, სუვერენულ დემოსსა და შეკავშირებულ საზოგადოებისადმი აპელირებს (Brubaker, 2020, 61).

კვლევაში პოპულიზმისა და ნაციონალიზმის კავშირი დე კლინის თეორიის მიხედვით არის გაგებული. კერძოდ, პოპულიზმს ინსტრუმენტად იყენებენ ნაციონალისტები. შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალიზმი (ან ნატივიზმი) არის შინაარსი, ხოლო პოპულიზმი წარმოადგენს მის დისკურსულ ფორმას. ამავდროულად, პოპულიზმს შეიძლება იყენებდნენ სხვა იდეოლოგიის მქონე პარტიები (გოგსაძე, 2022, 13).

1.5 ქართული პოპულიზმის ისტორია

წინამდებარე ქვეთავში მოკლედ მიმოვიხილავთ ქართული პოპულიზმის ისტორიას, რომლის საწყის პერიოდად, ეროვნული მოძრაობის პერიოდი შეიძლება მივიჩნიოთ. ამ კუთხით, გამორჩეული იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდი. სტივენ ჯონსის (2013, 79) თანახმად, ამ დროის ქართული პოპულიზმის თავისებურებას თავდაცვითი ეთნოპოპულიზმი წარმოადგენს - ეროვნული ერთობა, პატრიოტიზმი, თავგანწირვა, პატარა ადამიანის დაცვა ძლიერთაგან ამა ქვეყნისა, უცხოების არმიღება და მტრების ძიება.[25]

გამსახურდიას პერიოდის ქართული ნაციონალიზმი და ეროვნული მოძრაობა, ძირითადად ეთნოცენტრისტული შეხედულებებით, ავტორიტარული და არა ლიბერალური ტენდენციებით და სამყაროზე გულუბრიყვილო წარმოდგენებით ხასიათდებოდა (ასეთი შეხედულებები და ტენდენციები საბჭოთა ხალხური ნაციონალიზმის სტილის გაგრძელებას წარმოადგენდა) (Sabanadze, 2010, 95).

გამსახურდია იყო სოციალ კონსერვატიზმის მიმდევარი. იგი აპელირებდა საბჭოთა უმანკო დროებამდელი ნოსტალგიური სწრაფვით. „მისი მხარდაჭერა სოციალური ჰეტეროგენულობით ხასიათდებოდა და ემყარებოდა უსულგულო თანამედროვეობის და სოციალური არამობილურობის გამო დაგროვილ აღშფოთებას, რასაც სოციალური სტატუსისა და სიმდიდრის მოპოვების სირთულე და მსოფლიოს მიერ საქართველოს არაღიარებით გამოწვეული უკმაყოფილება ემატებოდა“ (ჯონსი, 2013, 75). მისი პოლიტიკური ქმედების მეთოდები წარმოადგენდა, ნაციონალიზმის, პოპულიზმის, რელიგიურობისა და კონსერვატიზმის რადიკალურ ნარევს. ქართული ენა და მართმადიდებლური ეკლესია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ პერიოდში. ადგილი ჰქონდა, ქართული მართმადიდებლური ეკლესიის ქართულ სახელმწიფოებრიობასთან გაიგივებას. ხდებოდა ქართული ენის განდიდება და არაქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე

[25] უნდა აღიშნოს, რომ ჯონსის მიერ მოყვანილი ზოგიერთი მახასიათებელი, როგორიც არის ეროვნული ერთობა, პატრიოტიზმი და უცხოების არმიღება უფრო ნაციონალიზმის განზომილებაში ხვდება.

ქართველების ჩასახლება (ჯონსი, 2013, 83). ასევე, გამსახურდიას ეკუთვნის განცხადება: „არაქართველებს არ მინდა მივცე მიწა“ (გაჩეჩილაძე, 2011, 290).

ნაციონალისტურ დისკურსს ახასიათებდა შიშებისა და საფრთხეების გაზვიადება. ეს შიშები წაქეზებული იყო ქვეყნის უცხოური დაპყრობების ისტორიით, საზღვრისპირა რეგიონებში სუსტი დემოგრაფიული წარმომადგენლობით და რუსიფიკაციის საფრხით. ეროვნული მოძრაობის და გამსახურდიას მმართველობის პერიოდისას ხაზგასმა ხდებოდა საქართველოს უნიკალური გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობისადმი შექმნილ საფრთხეებზე. შემდგომ გაბატონდა დისკურსი დემოგრაფიულ პრობლემებსა და ეროვნული უმცირესობებისგან მომავალ საფრთხეებთან დაკავშირებით. აღნიშნულ პერიოდში პრობლემების მიზეზები ქვეყნის გარედან, ძირითადად მოსკოვიდან მოდიოდა (Sabanadze, 2010, 95-96).

პოპულიზმის სამიზნეს ნომენკლატურული ინტელიგენცია წარმოადგენდა - ისინი ჩვეულებრივი ადამიანებისთვის მიუწვდომელები, ელიტის წარმომადგენლები, და ევროპიზირებულები იყვნენ. ისინი „რეალური“ ქართული ფასეულობებისგან, რასაც ჩვეულებრივი ქართველი ხალხი წარმოადგენდა დაშორებულნი იყვნენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯონსისთვის პოპულიზმი მეტროპოლიასა და პროვინციას შორის დაძაბულობის შედეგად წარმოშობილი ფენომენია. გამსახურდიას მმართველობის დროს და სამოქალაქო ომის დროს, გვხვდებოდა კუთხური ერთგულება და ქალაქ-სოფლის დაყოფა შიდა კონფლიქტის დროს (გვხვდებოდა ლოზუნგები „თბილისელებო გაეთრიეთ ქალაქიდან“, ხოლო ომის დროს ოპოზიციამ თბილისის დროშა ააფრიალა) (ჯონსი, 2013, 82-84).[26]

გამსახურდია ერთდროულად იყო ანტირუსული და ანტიდასავლურიც (ჯონსი, 2013, 103). მსგავს განწყობებს დღესაც ვხვდებით სხვადასხვა სახის პოპულისტურ მოძრაობებს შორის. ანტიდასავლური ნარატივი, გლობალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების

[26] თომას გოლცის (2014, 7) წიგნში, აღნიშნულია, რომ 1991 წელს, როდესაც გამსახურდიას ოპონენტები აქციებს მართავდნენ, მას სათავეში ძირითადად განათლებული და ინგლისურის კარგად მცოდნე ხალხი ედგა სათავეში. უცხოური მედია მათ „დასავლურად ორიენტირებულ ინტელიგენციად“ მოიხსენიებდა. გამსახურდიას მომხრეებს, რომლებიც ძირითადად სოფლის უბრალო ხალხი იყვნენ, რომლებიც არც ინგლისურ ენას ფლობდნენ და ძირითადად ცუდი რუსულით მეტყველებდნენ, უცხოელი ჟურნალისტები მათ „ულტრანაციონალისტ მეამბოხეებს“ ეძახდნენ.

წინააღმდეგ არსებულ უკმაყოფილებას გამოხატავს. ხოლო, ანტირუსული ნარატივი, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლასთან და საქართველოს ევროპის ისტორიულ შემადგენელ ნაწილად ყოფნას უსმევს ხაზს.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ეთნორელიგიურმა და ნაციონალურმა პოპულიზმმა ანტი-გლობალისტური ხასიათი შეიძინა. იგი გლობალიზაციისგან მომდინარე საფრთხეებისგან გაჩენილი თავდაცვითი რეაქცია გახლდათ ქართული კულტურისა და იდენტობის დასაცავად. თუმცა მისი ძირითად მიზეზი ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემები იყო, როგორიცაა: ელიტის კორუფცია, გაჭირვება და რესურსების არასწორი გადანაწილება. იმის გამო, რომ ხელისუფლებამ მოახდინა პროდასავლური დისკურსის მონოპოლიზირება, დასავლეთი გახდა სახალხო (პოპულარული) უკმაყოფილების მიზეზი. ასეთი ჯგუფებისთვის, დასავლეთთან შედარებით რუსეთთან თანამშრომლობას ენიჭებოდა უპირატესობა (Sabanadze, 2010, 112-113).

სააკაშვილის მმართველობის პერიოდისთვის, ნაციონალისტური დისკურსი განვითარდა და ცვლილებები განიცადა. შეხედულებათა ძირითადი ნაწილი აღარ იყო ეთნოცენტრისტული და ეთნიკური უმცირესობებისადმი ნეგატიურად განწყობილი. ძირითადად იგი ინკლუზიურ, მრავალეთნიკურ და სამოქალაქო ტენდენციით ხასიათდებოდა (Sabanadze, 2010, 112). გახშირდა რიტორიკა ქვეყნის ევროპის განუყოფელ ნაწილად ყოფნის და საქართველოს „ვესტერნიზაციის“ შესახებ (განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობისა და სხვა პრო-დასავლური პარტიების მიერ, ასევე მათი მხრიდან გახშირდა ანტირუსული ნარატივი).

1.6 კვლევები ქართული პოპულიზმის შესახებ

აღნიშნულ ქვეთავში, მოცემულია საქართველოში უკანასკნელ წლებში პოპულიზმის გავლენის ზრდის საკითხი, რომელსაც არაერთი სამეცნიერო კვლევა მიეძღვნა. მათ უმრავლესობაში მოცემულია ნაციონალური (ნატივისტური) პოპულიზმის გავლენა ქართულ დემოკრატიაზე და მათი ანალიზი.

ტუღუშის და სხვების კვლევა „ანტილიბერალური პოპულიზმი და რუსული გავლენის საფრთხე საქართველოს რეგიონებში“ ფოკუს ჯგუფების გამოკითხვის შედეგად ასკვნის, რომ რადიკალური რიტორიკით აღჭურვილ პოპულისტ ნარატივებზე მოთხოვნა მემარჯვენე კონსერვატიულ ფლანგზე გამოიკვეთა. ანალოგიური მოთხოვნა მემარცხენე ფლანგზე ნაკლებად შესამჩნევია. თუმცა, თუ პირველი საკუთარ პროპაგანდაში მემარცხენე ლოზუნგებსაც გამოიყენებს, ამან შეიძლება ერთგვარი სინერგიული ეფექტი იქონიოს, რაც ელექტორალური მხარაჭერის გაზრდის საფუძველი გახდება (ტუღუში და სხვა, 93). წინამდებარე შეხედულება ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეშიც აისახება, რადგან მემარცხენე პოპულისტური პარტიები გაცილებით ნაკლებ მხარდაჭერას იღებენ არჩევნებში. მემარჯვენე პოპულისტებისგან განსხვავებით ისინი ვერ ახდენენ არაპირდაპირ გავლენას ქართულ პოლიტიკაზე, მათ შორის, პოლიტიკური ინიციატივებისა და საკანონმდებლო ცვლილებების ლობირებას.

ნაციონალურ-პოპულიზმის[27] აღზევება იდენტობის კრიზისს უკავშირდება, ამასთან ერთად, გარკვეულ როლს თამაშობს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ანტილიბერალური რიტორიკა ეროვნულობასთან არის გაიგივებული, რაც საფრთხისშემცველია (სილაგაძე და სამხარაძე პოპულიზმზე საქართველოში, 2020).[28]

გია ნოდიასთვის (When Populism Meets Nationalism, 2020), ნაციონალური (ნატივისტური) პოპულისტების გაძლიერება შემდეგმა ფაქტორებებმა განაპირობეს: 1) ეს არის ერთგვარი რეაქცია არსებულ მოვლენებზე, რომელიც წინა ხელისუფლებამ (ნაციონალურმა მოძრაობამ) გადადგა, რამაც გარკვეული ჯგუფები და ინსტიტუტები თამაშგარეთ დააყენა. 2) მათ გაძლიერებას ასევე იწვევს, რუსეთის ფინანსური დახმარება. 3) ისინი არიან არსებული ხელისუფლების მოკავშირეები წინა ხელისუფლებასთან ბრძოლაში, რომელიც მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს მათ გაძლიერებას.

[27] ამ ქვეთავში ნაციონალური-პოპულიზმი, ულტრამემარჯვენე პოპულიზმი და მემარჯვენე პოპულიზმი სინონიმების სახით იქნება გამოყენებული.

[28] თუმცა აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის პოპულისტური რიტორიკა დასავლურ ქვეყნებშიც ხშირად იგივდება ეროვნულობასთან. გამომდინარე იქიდან, რომ პოპულიზმი, მუდეს განმარტებით არალიბერალური დემოკრატიის ფორმაა.

გოზალიშვილის (2020) თანახმად, უკიდურესი მემარჯვენე ნაციონალისტური ჯგუფები ნაკლები პოლიტიკური წარმატების მიუხედავად, ძირითადად მედია სივრცეში და საზოგადოებრივ მოძრაობებში მოქმედებენ და ქართულ პოლიტიკაზე არაპირდაპირ გავლენას ახდენენ. ულტრამემარჯვენე ძალების მნიშვნელობა უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლიათ მათ პოლიტიკურ ინიციატივებსა და კანონში ცვლილებებზე ზეგავლენის მოხდენა. ქართული მარში მოითხოვდა ეროვნულობის გრაფის აღდგენას პირადობის მოწმობაში. პოლიტიკურ ინიციატივებზე და კანონმდებლობის ცვლილებებზე გავლენებს შორის არის ქორწინების განსაზღვრა კონსტიტუციაში (როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა), რაც „ქართველი ხალხის“ სახელით ხდებოდა. მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვა რაც კონსტიტუციაში 2017 წლის ცვლილებებით აისახა (გოზალიშვილი, 2020).

ბიძინე ლებანიძე (2019), საქართველოში პოპულისტების დისკურსებს შორის გამოყოფს: 1) ანტილიბერალიზმს, რომ დასავლეთი ხელს უწყობს ლგბტ უფლებების პროპაგანდას და ებრძვის ქართულ ეროვნულ და რელიგიურ იდენტობას. 2) ქსენოფობია, რომელიც მიმართულია (ახლო) აღმოსავლეთის ქვეყნებზე, მის მოთხოვნებს შორის არის საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება და მიწის უცხოელებზე აკრძალვის მოთხოვნა. 3) ნაციონალურ-პოპულისტების დისკურსებს შორის გავრცელებულია ანტიდასავლურობა, რომელიც ცდილობს რუსეთთან უფრო რბილი პოზიცია ჰქონდეს და დასავლეთისადმი მეტად კრიტიკულია. სალომე კანდელაკის (2021, 25) თანახმად, ევროკავშირსა და მასში ინტეგრაციის პროცესის მიღმა, ულტრამემარჯვენე პარტიები (პატრიოტთა ალიანსი, ქართული იდეა და ქართული მარში), აქტიურად უწევენ წინააღმდეგობას დემოკრატიულ კულტურას, ლიბერალიზმსა და თანასწორობას.

ლია წულაძის და სხვების ნაშრომი, იკვლევს პოლიტიკურ და პოპულარულ დისკურსებს ევროპეიზაციასთან მიმართებით. ევროპეიზაციის უარყოფით გავლენებს შორის (განსაკუთრებით უფროსი თაობის ადამიანებში) აღინიშნება, რომ მან შეიძლება შეცვალოს ქართული ფასეულობები ისეთი დასავლური ღირებულებებით, რომლებიც ნაკლებად მისაღებია (წულაძე და სხვ, 2016, 261). უმრავლესობისთვის მიუღებელია ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება და პრაიდების ჩატარება, რაც მომავალში შეიძლება მოხდეს.

გამოკითხულები ანტი-დისკიმინაციულ კანონს ევროკავშირის მიერ თავსმოხვეულად თვლიან (წულაძე და სხვა 2016, 262). აღნიშნული დისკურსები ასახვას ჰპოვებს ნაციონალური (ნატივისტური) პოპულისტების დისკურსებში.

გივი სილაგაძე, რომელიც პოპულიზმის იდეურ (მუდეს) განმარტებას იყენებს, აღნიშნავს, რომ საქართველოში ორი პარტია შეიძლება მიჩნეულ იქნას პოპულისტურად „ლეიბორისტული პარტია“ და „პატრიოტთა ალიანსი“. ნაციონალისტურ-პოპულისტურ ჯგუფებისთვის/პარტიებისთვის ელიტის ლიბერალური „იდეოლოგია“ თამაშობს მნიშვნელოვან როლს (მათ შორის არიან პარტიები, არასამთავრობო ორგანოები და ა.შ). ხალხი ეთნიკური და რელიგიური მახასიათებლის საფუძველზე განისაზღვრება (Silagadze, 2020a, 5). უკიდურესი მემარჯვენე ჯგუფები ხაზს უსვამენ პატრიოტიზმს, ეროვნულ ტრადიციებს, რომელშიც ქართული მართმადიდებლური ეკლესია მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მათთვის, მართმადიდებლობას ყველაზე დიდ საფრთხეს უცხოელი იმიგრანტები (მუსულმანები), ჰომოსექსუალები და დასავლეთი უქმნის (სტეფანი, 2018, 3).

„ქართული იდეას“ - რელიგიურ (მართმადიდებლურ) რწმენასთან დაკავშირებული ხედვა ახასიათებს. „ქართული მარში“ ცდილობს რადიკალური პოპულისტური გზავნილებით მოიგოს გული (გელაშვილი, 2019, 3). „ტრადიციული და თანამედროვე ცრურწმენების შერეული გამოყენების გამო, „ქართული მარშის“ დისკურსში შემდეგი კატეგორიებია გამორიცხული: „არალეგალური იმიგრანტები“ (ძირითადად არაბი და ინდოელი მოქალაქეები), „ლიბერასტები“ და ბუნდოვანი იარლიყების მქონე „მოღალატეები“.“ (Gozalishvili, 2021, 9) „ქართული იდეა“ ეწინააღმდეგება ლიბერალურ ფასეულობებსა და სეკულარიზმის პრინციპებს. ლიბერალური პოლიტიკა მიჩნეულია, როგორც „ნეო-ლიბერალური დიქტატურა“. რუსეთთან ურთიერთობები ერთმორწმუნეობის და ანტიდასავლური შეხედულებების გამო არის მისაღები (სართანია და წურქავა, 2019, 32-33).

2019 წლის კვლევის „ქართული ონლაინ ჯგუფების ულტრანაციონალისტური ნარატივის“ მიხედვით, ქართული მარშის „რიტორიკაში ჭარბობს ქსენოფობიური და რასისტული ხასიათის განცხადებები, დიდი ნაწილი ეთმობა ლგბტ თემს, როგორც მტრის ხატის შესაქმნელად მნიშვნელოვან ჯგუფს“ (სართანია და წურქავა 2019, 35). შეფასების

თანახმად „ქართული მარში“ ულტრანაციონალისტური, პოპულისტური ნარატივის გამოყენებით, საკუთარ თავს წარმოადგენს ისტორიის, სამშობლოს და მათ მიერ ინტერპრეტირებული ეროვნული ღირებულებების დამცველ ჯგუფად“ (სართანია და წურქავა, 2019, 36).

2020 წლის საპარალამენტო არჩევნების, ნაციონალურ-პოპულისტური პარტიების (პატრიოტთა ალიანსი, ქართული მარში, ქართული იდეა) ევროსკეპტიციზმსა და მათ განსხვავებულ ხარისხზე ყურადღებას ამახვილებს სალომე კანდელაკი საკუთარ სტატიაში, რომლის თანახმადაც, აღნიშნული პარტიები განსხვავდებიან დისკურსული სტილით, ასევე სკეპტიციზმის ხარისხითა და პოლიტიკური შინაარსით (კანდელაკი, 2021, 24). ევროსკეპტიციზმის კატეგორიზაციის პრიზმიდან გამომდინარე, საქართველოს ყველაზე კარგად ერგება „ცივილიზაციური“ პარადიგმა. ანუ ამ შემთხვევაში, იკვეთება პოზიტიური დამოკიდებულება ევროპული ცივილიზაციის მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ, ევროკავშირის პოლიტიკური პროექტი უარყოფითად არის წარმოჩენილი, რადგან ამ უკანასკნელში ლიბერალური დღის წესრიგი ბატონობს, რომელიც ევროპულ ცივილიზაციას უარყოფს. განხილული პარტიების დისკურსის ანალიზი აჩვენებს, რომ პარტიების მიერ გამოყენებული რელიგიის, ქრისტიანობის და ტრადიციის დისკურსები გამოიყენება უარყოფითი შინაარსით. ანუ, მისი მიზანია პოლიტიკური პოზიციის დაკავება, რათა გამოიკვეთოს „სხვა“, რომელიც არის პოლიტიკური მტერი (კანდელაკი, 2021, 25).

ქართული მარშის მაგალითზე, ექსკლუზიური პოპულისტური დისკურსების გავრცელების მნიშვნელოვან კვლევას წარმოადგენს ნინო გოზალიშვილის სტატია. ამ მიზნებისათვის ავტორმა სისტემურად გაანალიზა რიტორიკის მაგალითები, ნაციონალურ-პოპულისტური ლოზუნგები და დისკურსული სფეროები, რომლებიც იკვეთება და ეხება წარმომადგენლობით მაგალითებს ძირითადად უნგრეთიდან, ასევე ავსტრიიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან და აშშ-დან (Gozalishvili, 2021, 20). ნაციონალურ-პოპულიზმის გაჩენა საქართველოში „პოპულიზმის გლობალურ აღზევებას“ უკავშირდება.“ ქართული მარში ახდენს დასავლეთში მიმდინარე დისკურსების ადაპტაციას და მოვლენების ქართულ რეალობისადმი მისადაგებას (Gozalishvili, 2021, 20).

პოლიტიკური მოთხოვნების ანალიზი მოგვაგონებს საქართველოში კარგად დამკვიდრებულ ანტიდასავლურ მემარჯვენე და კონსერვატიულ დისკურსებს. თუმცა, საკამათოა სიტყვა „დასავლეთის“ გამოყენება მოძრაობის დისკურსებშიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასავლეთის ტრადიციული „პროგრესული“ იმიჯი ეწინააღმდეგება ევროპის ორმაგი იმიჯის აგებას“ (Gozalishvili, 2021, 20). „მიუხედავად იმისა, რომ ქართული მარში იყენებს დასავლეთის პოზიტიურ კონოტაციას თავის მოწინავე დისკურსებში, ის ასევე იყენებს ტოპოსის მაგალითს, რათა დაიცვას ტრადიციული ანტიდასავლური დისკურსები ლიბერალიზმთან, მულტიკულტურალიზმთან, ევროკავშირის სკეპტიციზმთან და უცხო კულტურულ გავლენებთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, ის ასევე ახდენს „ევროპული ღირებულებების“ ტრადიციული გაგების რეკონტექსტუალიზაციას.“ (Gozalishvili, 2021, 21)

სტრატეგიული ადაპტაცია ცენტრალურია დიფუზიის (პოპულიზმის გავრცელების) პროცესში. გარკვეულ შემთხვევებში იდენტიფიცირებული დისკურსული თემა წააგავს რუსულ დისკურსებს. თუმცა ქართული მარში ლეგიტიმიზაციის მოპოვების მიზნით, ერიდება რუსეთის შემთხვევებზე ნებისმიერ მითითებას, საზოგადოების დიდ ნაწილში რუსეთის არაპოპულარულობის გამო (Gozalishvili, 2021, 8).

დიფუზიის დასაბუთების მიზნით, ქართული მარშის ლიდერები იყენებენ ნაციონალიზმის გავრცელებას დასავლეთში, იმისთვის რომ პარტიის მიზნები წარმოაჩინონ, როგორც პროგრესული, „ნამდვილი ევროპული“ და დემოკრატიული. „იმიგრაციის შესახებ დისკურსები (როგორც საპროტესტო გამოსვლები „უცხოური გავლენის წინააღმდეგ“, ასევე „ანტი-სოროსი“ ლოზუნგები და ვიზუალური ელემენტები), როგორც მოძრაობის გაჩენის მთავარი თემა, ძირითადად აგებულია სხვაგან განვითარებული (ჩამოყალიბებული) ენის გამოყენებით და ამ ფორმით ისტორიულ პერსპექტივაში მიუთითებს ქართული ნაციონალიზმის ახალ პრობლემაზე. პარტია იყენებს ონლაინ მედიას დისკურსული ჩარჩოების გავრცელებისა და კოლექტიური იდენტობების ფორმირებისთვის (Gozalishvili, 2021, 21).

ნინო სამხარაძე ხაზს უსვამს, რომ ქართული პოპულიზმი ძირითადად მემარჯვენეა. ის ორიენტირებულია ეთნიკურ, რელიგიურ და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე,

ამავდროულად, იკვეთება მემარცხენე იდეების გამოყენება. მემარჯვენე და მემარცხენე პოპულისტები ელიტას სხვადასხვანაირად ხედავენ; პირველისთვის მასში ჩვეულებრივად ლიბერალური ძალები და წინა რეჟიმი (ნაციონალური მოძრაობა) მოიაზრება, ხოლო უკანასკნელთათვის ყველა ხელისუფლება ხალხს უპირისპირდებოდა (სამხარაძე, 2020, 10). ავტორის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახის პოპულისტებს ანტიიმიგრაციული, ანტიაღმოსავლური რიტორიკა ახასიათებთ, მოტივი განსხვავებულია, კერძოდ, მემარჯვენე აქტორებს უფრო ნატივისტური პოზიციები გააჩნიათ, ხოლო მემარცხენე აქტორები იმიგრაციის შეზღუდვის მოთხოვნისას სოციალურ საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას (სამხარაძე, 2020, 10).

ლეიბორისტული პარტიის რიტორიკა მემარცხენე პოპულიზმის გზავნილებს მოიცავს. ლეიბორისტულ პარტიას გააჩნია რელიგიური გზავნილები, თუმცა მათ რიტორიკაში ანტილიბერალური მოწოდებები თითქმის არ იკვეთება (სამხარაძე, 2020, 8). საგარეო პოლიტიკური კუთხით, პარტიისთვის მნიშვნელოვანია რუსული ბაზრის გახსნა, თუმცა ამავდროულად, ლეიბორისტები რუსეთის-თურქეთ-ირანის კავშირს, საქართველოს წინააღმდეგ მიმართულად თვლიან და მისგან ერთადერთი დაცვის საშუალებად დასავლეთთან ინტეგრაციას ხედავენ (სამხარაძე 2020, 10-11). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავეს ვერ ვიტყვით სხვა ე.წ მემარცხენე საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებიც რუსეთისადმი შემრიგებლური ტონით გამოირჩევიან (მაგ., საქართველოს „ერთიანი კომუნისტური პარტია“, „საქართველოს კომუნისტური პარტია - სტალინელები“).

ლეიბორისტული პარტიის მაგალითზე, სილაგაძე ვარაუდობს, რომ მემარცხენე პოპულისტური პარტიები, განსხვავებით ნაციონალურ-პოპულისტური პარტიებისგან, ევროსკეპტიკურები არ არიან (Silagadze, 2020b, 7). (თუმცა როგორც ზემოთ აღნიშნულ კანდელაკის ნაშრომში გამოჩნდა, ეს უკანასკნელნიც განსხვავებული ევროსკეპტიკური ხარისხით გამოირჩევიან, რადგან საზოგადოებაში ევროპისადმი ძირითადად პოზიტიური დამოკიდებულება არსებობს).

ზემოთ მოცემული განხილვა ცხადყოფს, რომ ქართული სამეცნიერო კვლევების დიდი ნაწილი მემარჯვენე ნაციონალურ-პოპულიზმის თემატიკას ეთმობა. აღნიშნულ შრომებში

შედარებით ნაკლები ყურადღება დაეთმო მემარცხენე პოპულისტური გზავნილების და დისკურსების ანალიზს. ეს შეიძლება აიხსნას იმ მიზეზით, რომ მემარცხენე პოპულისტურ პარტიებს არჩევნებში მემარჯვენე ნაციონალურ-პოპულისტური პარტიების მსგავსი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ. ამავდროულად, მემარჯვენე პოპულისტებისგან განსხვავებით მემარცხენე პოპულისტებს ნაკლები სამობილიზაციო რესურსი გააჩნიათ. მემარჯვენე ნაციონალურ-პოპულისტურმა ძალებმა არაერთი ფართომასშტაბიანი აქცია მოაწყვეს. ამასთან ერთად, ამ უკანასკნელს პატრიოტთა ალიანსის სახით, 2016-2020 წლების მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში, საპარლამენტო ტრიბუნაც კი გააჩნდათ (თუმცა 2020 წლის არჩევნებში მოპოვებულ მანდატებზე პარტიამ უარი თქვა, რადგან მას გაყალბებულად მიიჩნევდა).

თავი 2. საგარეო პოლიტიკური და სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილები და დისკურსები

2.1 საგარეო პოლიტიკური წინასაარჩევნო პოპულისტური გზავნილები და დისკურსები[29]

2016 და 2020 წლების საკანონმდებლო არჩევნებში არაერთი პოლიტიკური პარტია მიმართავდა პოპულისტურ გზავნილებს. საგარეო პოლიტიკა ერთ-ერთ იმ საკითხთა შორის არის სადაც იკვეთებოდა პოპულისტური ნარატივები. ამ მიმართულებით შესაძლებელია გამოვლინდეს პოპულისტური და მასთან ერთად ნაციონალიტური/ნატივისტური დისკურსები. ამ მხრივ, აღსანიშნავია შემდეგი პოლიტიკური პარტიები: ერთიანი კომუნისტური პარტია - სტალინელები, თავისუფალი საქართველო, თეთრები, ლეიბორისტული პარტია, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ქართული იდეა, ქართული მარში (გოგსაძე, 2022, 15).

საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ანალიზის ერთეულების იდენტიფიცირების და საერთო მახასიათებლების საფუძველზე დაჯგუფების შემდეგ გამოიყო შემდეგი კატეგორიები: „დასავლეთს მორჩილი მარიონეტი ხელისუფლება“, „ნატოს საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის“, „ხელისუფლება ხელს უწყობს მასობრივ იმიგრაციას“.

პარტიების პროგრამებში ნატოსთან მიმართებით სკეპტიციზმი ან უარყოფითი დამოკიდებულება გამოიხატებოდა, იმით, რომ ნატოში გაწევრიანება საქართველოზე არ არის დამოკიდებული. გარკვეულ შემთხვევებში, ვხვდებით დებულებებს, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნეიტრალიტეტს (სამხედრო მიუმხრომლობას ან უბლოკო სტატუსს).

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი ნატოში გაწევრიანების კუთხით აცხადებდა, რომ საქართველოს ნატოში არავინ არ მიიღებდა. 2016 წელს პარტიის ერთ-ერთი წევრი ამბობდა, რომ „ჩვენ ნატოში არავინ მიგვიღებს, ეს არაერთხელ განაცხადა ნატოს ხელმძღვანელობამაც. უთავმოყვარეობაა ეს ჩვენი ხვეწნა, ნატოში მიგვიღეთ, ნატოში მიგვიღეთო. ეს არის მოტყუება

[29] აღნიშნული ქვეთავის ძირითადი ნაწილი გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალ პოლიტიკაში (2022, ტომი 6, N 5) სახელწოდებით: „2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური პარტიების პოპულისტური და ნატივისტური დისკურსები“.

ხალხისა, რასაც ამდენი ხანი აცხადებენ. „... უბრალოდ, ჩვენი ბიჭები ავღანეთში იბრძვიან და მსგავსი საზარბაზნე ხორცი იბრძოდა საბჭოთა პერიოდშიც ავღანეთში“ (ოთარაშვილი, 2016). ზემოთ აღნიშნული ანტიდასავლური დისკურსის ნაწილია, რომ ნატოს არ სურს და არ შეუძლია საქართველოს მიღება, ის არ დაუპირისპირდება რუსეთს, ხოლო ქართული პოლიტელიტა საკუთარი ინტერესებისთვის ხალხს ფუჭი დაპირებებით ატყუებს. ოთარაშვილი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით სასურველს შესაძლებლად აცხადებს. პატრიოტთა ალიანსის წევრს ასევე მოჰყავს ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის შემთხვევები (მეტი ემოციურობისთვის მათ ბიჭებად მოიხსენიებს) და ამ ფაქტს საბჭოთა-ავღანეთის ომთან აიგივებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დასავლეთის მიმართ არსებული პოზიტიური განწყობებიდან გამომდინარე, მრავალი პარტია ცდილობდა, რომ მათი პოზიციები ანტიდასავლურად არ გამოჩენილიყო. 2020 წელს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი წევრი ამბობდა, რომ მათი პარტია აღიარებდა ნატოში შესაძლო გაწევრიანების დადებით მხარეებს, როგორიც იყო უსაფრთხოების განმტკიცება და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა. ამავდროულად, მისი თქმით, ამ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებას საფრანგეთი და გერმანია არ ემხრობოდნენ, რომელთა თანახმადაც, საქართველოს ნატოში გაწევრიანება უახლოეს ათწლეულებში ვერ მოხდებოდა (თევდორაძე, 2020).

საარჩევნოდ, პარტია ამომრჩეველს სთავაზობდა სამხედრო მიუმხრომლობას, რაც მათი აზრით, მოსახლეობის უმრავლესობას აკმაყოფილებდა, რადგან ნატოს წევრობა შეუძლებელი გახლდათ (თევდორაძე, 2020).[30] პატრიოტთა ალიანსის გზავნილებში ნატოს მიმართ სკეპტიციზმი შემდეგი არგუმენტით იყო გამართლებული, რომ არ შეუძლია საქართველოს დაცვა საფრთხეებისგან, ამავდროულად, მას არ სურს საქართველოს მიღება, შესაბამისად ხდება აქტორის ნეგატიური აღწერა, მის უარყოფით მახასიათებელზე ხაზგასმით და ყურადღების გადატანა ამ საკითხზე.

[30] თევდორაძე ემხრობოდა საქართველო-აშშ-ს შორის ისეთი ტიპის თავდაცვით შეთანხმებას, როგორიც ამერიკას გააჩნდა ისრაელთან, მაგრამ აცხადებდა, რომ მსგავს ხელშეკრულებას საქართველოსთან არავინ გააფორმებდა.

ერთ-ერთი ექსპერტის (22.03.2023) მიხედვით, ნეიტრალური სტატუსის მოთხოვნა ანტიდასავლურია და პოპულისტური იმ კუთხით, რომ ანტიელიტურია და ამავე დროს რთული პრობლემების მარტივად გადაწყვეტას ისახავს მიზნად (ანუ დემაგოგიაა). ჩვენთან ეს მოთხოვნები პოპულისტურია იმ კუთხით, რომ ის დემაგოგიურია და ცდილობს აპელირებას ადამიანების მიერ პოლიტიკური რეალიების არცოდნაზე. პოლიტიკური კონტექსტიდან გამოდინარე ის ანტიდასავლურია, რადგან საქართველოში პირდაპირ პრორუსულობა ზედმეტად არაპოპულარულის გამო, ნეიტრალიტეტის იდეით არის შენიღბული.

საგარეო პოლიტიკის კუთხით, მემარცხენე ალიანსი ემხრობოდა სამხედრო ნეიტრალიტეტს და ნატოში გაწევრიანებაზე უარის თქმას და ქვეყანაში არ უნდა მდგარიყო არცერთი უცხოელი ჯარისკაცი. სამხედრო ნეიტრალიტეტის გამოცხადების შემთხვევაში რუსეთისთვის ეს პოზიტიური სიგნალი იქნებოდა, რაც გამოიწვევდა ამ ქვეყანასთან უვიზო რეჟიმის შემოღებას. გარდა ამისა, სახალხო დიპლომატიის მეშვეობით მოხდებოდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე მოლაპარაკებების პროცესის ინიცირება, რაც ხელს შეუქყობდა ოსებთან შერიგებას და აფხაზებთან ურთიერთობების დალაგებას. პუტინის განცხადება, რომ ყველა კონფლიქტის გადაწყვეტა იყო შესაძლებელი ნიშნავდა, რომ რუსეთი არ იყო იმის წინააღმდეგი, თუ ქართველები ოსებთან და აფხაზებთან მოილაპარაკებდნენ, შესაბამისად რუსეთი პრაქტიკულად თანახმა იყო საქართველოს გაერთიანებაზე. ქართული პოლიტიკური ელიტა გაკრიტიკებული იყო, რომ ბოლო დროს რუსეთიდან წამოსულ პოზიტიურ სიგნალებს სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ არ ითვალისწინებდნენ და არ ჩადიოდნენ რუსეთში (ცენტრისტები, 2016).

ზემოთ მოყვანილ იდეოლოგიურ დისკურსში ფაქტები წარმოდგენილია, როგორც სასურველი და შესაძლებელი, რომ თუ საქართველო ამ ნაბიჯს გადადგამს ნეიტრალიტეტის მიმართულებით, მაშინ რუსეთი ჩვენს სასარგებლო ნაბიჯებს გადმოდგამს, რასაც მოჰყვება ქვეყნის გამთლიანება. აქტორთა აღწერის კუთხით რუსეთი პოზიტიურად არის წარმოჩენილი, რომ ის თანახმაა ქვეყნის ნეიტრალიტეტზე. პარტიის წევრი, პოზიტიური მხრიდან ცდილობს წარმოაჩინოს, ნატოში გაწევრიანებაზე უარი, კერძოდ ხდება ე.წ ეროვნულ სიამაყეზე აპელირება, რომ საქართველოში მხოლოდ ქართული ჯარი უნდა იდგეს. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, ნებისმიერი სხვა ქვეყნის ჯარისკაცის ყოფნა ხიფათის

შემცვლელია (ვხვდებით, ნატოს წინააღმდეგ მოწოდებებს, თუმცა ევროპისკენ სვლა დადებითად არ წარმოჩენილი. მრავალი პარტია ემხრობა ევროკავშირში გაწევრიანებას, რადგან ქართულ საზოგადოებაში ძლიერია დისკურსები ევროპის ნაწილად ყოფნის შესახებ. შესაბამისად, ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოდგენილია როგორც სასარგებლო, თუმცა ამ პარტიების უმრავლესობა რეალურად ემხრობა რუსეთთან დაახლოებას, ვიდრე ევროკავშირთან. მათ მოწოდებებში იკვეთება თუ რა სარგებელს მოუტანს რუსული ბაზარი ქართულ ეკონომიკას და ნაკლებად ჩანს ევროკავშირთან ურთიერთობების პოზიტიური მხარეები. შესაბამისად ვლინდება ანტიდასავლური დისკურსი, კერძოდ ჩანს, რომ ნეიტრალიტეტი ჯობს ნატოში გაწევრიანებას, ხოლო რუსული ბაზარი ევროკავშირისაზე უკეთესია. გარკვეული პოპულისტური გზავნილები ეხებოდა ქართულ პოლიტიკური ელიტას, იმ მხრივ, რომ ის თავისი უმოქმედობით არ იცავდა ხალხის ინტერესს და ქვეყნის გამთლიანების საშუალებას ხელიდან უშვებდა. ქართული დასის თავმჯდომარეს იგივე პოზიცია გააჩნდა და აცხადებდა, რომ საქართველოსთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა უპერსპექტივო ამბიცია გახლდათ და შესაძლებელი იყო საქართველო რუსეთ-ნატოს (დასავლეთს) დაპირისპირების ასპარეზად ქცეულიყო, სირიის მსგავსად, რომელიც 22 მილიონიანი ქვეყანა იყო და ამჟამად ნანგრევებშია; ეს ყოველივე თავიდან უნდა აგვერიდებინა (ბაღათურია, 2020).

კიდევ ერთი არგუმენტად განიხილება დასავლეთს უუნარობა მიიღოს საქართველო ნატოში და დაიცვას რუსეთისგან. ნეგატიური ასოციაციის გამოსაწვევად ზემოთ მოყვანილია სირიის "ნანგრევების" მაგალითი. აგრეთვე, გვხვდება აქტორთა უარყოფითი აღწერა; ადგილი აქვს შიშებსა და ემოციებზე აპელირებას, სადაც დასავლეთი არის წარმოჩენილი, როგორც „სხვა" (გოგსაძე, 2022, 17).

2016 წელს ბაღათურია (ქართული დასი, 2016) აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი პასუხობს ე.წ. პარტნიორების ინტერესებს და ამის გამო ქვეყანამ ტერიტორიები დაკარგა. საქართველოს ხელისუფლება კონტროლდება დასავლეთის მიერ, რაზეც მიუთითებს მთავრობის წარმომადგენლები ციტატა, რომ ისინი დასავლეთის არსებულ რეკომენდაციებს სრულად ასრულებენ. რუსეთთან დაპირისპირების არჩევა იყო შეცდომა და ღალატი, რადგან ომში რუსეთი არავის არასოდეს დაუმარცხებია. საქართველოს ნატოში

გაწევრიანების სურვილი კრემლისთვის საფრთხეა, რადგან მათ არ სურთ, რომ რუსეთზე დამიზნებული იყოს რაკეტები. პარტია ემხრობოდა უბლოკო სტატუსს. მათი ინიციატივა იყო რეფერენდუმის ჩატარება შეკითხვით: „უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწვრიანებას ნატოში?“. ამ რეფერენდუმის ჩატარებას აშშ-ს საელჩო ეწინააღმდეგება, რადგან საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ნატოში გაწევრიანებას მხარს არ დაუჭერდა (ქართული დასი, 2016).

ბაღათურიას (ქართული დასი, 2016) თქმით, პარლამენტის თავმჯდომარის მოწოდებები, რომ საქართველოში აშშ-ს ჯარები განლაგების შესახებ უნდა შეფასდეს, როგორც ქვეყნისთვის სახიფათო. პარალელის გავლება ხდებოდა კვლავ სირიასთან, სადაც რუსული ჯარები იდგნენ, იქ ამერიკელებმაც გადაწყვიტეს შესვლა და დღეს სირიისგან მხოლოდ ნანგრევები დარჩაა, რაც, მისი თქმით, აშშ-ს ხელისუფლების ბრალია. შესაბამისად, ხელისუფლებაში არ უნდა იყვნენ ისეთი მარიონეტები, როგორც იყვნენ ბოლო 30 წლის განმავლობაში. არგუმენტი წარმოდგენილია, რომ ნატო საქართველოს მეშვეობით რუსეთს ემუქრება და ამ პროცესში საქართველო განადგურდება.

ქართული დასის მოწოდებებში იკვეთება, ნაციონალისტურ-პოპულისტური გზავნილები, სუვერენიტეტის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება არა ქართველი ხალხის არამედ, ამერიკის დავალებებს ასრულებს და ნატოში გაწევრიანების სურვილით ქართველი ხალხის ნებას არ ასრულებს. გამოყენებულია ისტორიის ტოპოსი, მათ შორის, მოვლენების არამართებული წარმოჩენით, სადაც სირია თითქოს რუსეთის გავლენის სფეროა და ამერიკელებმა გადაწყვიტეს რუსეთის ინტერესების საპირისპიროდ ემოქმედათ. ამ მაგალითის მიზანია პარალელი გაატაროს საქართველოზე - აშშ/ნატო იგივეს ცდილობს, შესაბამისად მსგავსი სცენარის განვითარების შემთხვევაში საქართველოდან არაფერი დარჩება (გამოყენებულია საფრთხის ტოპოსი).

ნატოსადმი სკეპტიკური და ანტიელიტისტური მოწოდებები გააჩნდა „თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველოსთვის“ პარტიას. მისი წარმომადგენლის თანახმად, ელიტები ილუზიებში გვამყოფებდენ, რადგან, ერთი მხრივ, ისინი ნატოს წევრობას გვპირდებოდნენ, ხოლო ნატოს მაღალჩინოსნები სხვას გვეუბნებოდნენ. აღნიშნული პოლიტიკური პროცესი არ

იყო კარგად დაგეგმილი, რადგან ნატოს მეხუთე პუნქტი ჩვენზე არ ვრცელდება, თუმცა კურსი ნატოსკენ გვქონდა და მეზობელ ქვეყნებს ვაღიზიანებდით, ამასთან დაცულობის ელემენტი არ გაგვაჩნდა. ამ შემთხვევაშიც, გვხვდება არგუმენტი საქართველოსთვის ნატო საფრთხეს შესახებ, რადგან ეს უკანასკნალი ვერ/არ დაგვიცავს. ასევე, გვხვდება სასურველის რეალობად წარმოჩენა, კეძოდ ის, რომ ნატო ჩვენს გაწევრიანებაში დაინტერესებული სულაც არ არის (თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის, 2016).

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაწევრიანებას დასავლურ სტრუქტურებში. კერძოდ, ფიფია (2016) აცხადებდა, რომ ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების სურვილმა, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცესთან, კონკრეტულად, რუსეთთან დააპირისპირა. ნატოში გაწევრიანების მცდელობამ, ამერიკის ხელში, საქართველო აქცია „სამკვდრო იარაღად“ რუსეთის წინააღმდეგ. ამ ნაბიჯმა ქვეყანა მძიმედ დააზარალა და დამღუპველ გზაზე დააყენა, რის შედეგადაც დაირღვა ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობა.

ნაგულისხმევი მნიშვნელობის თანახმად, საქართველო არ არის დასავლური სივრცის ნაწილი და არც უნდა ისწრაფვოდეს დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ. წარმოდგენილია საფრთხის ტოპოსი, რომლის მიხედვითაც, ნატოში სწრაფვა განხილულია, როგორც არა ქართველი ხალხის, არამედ პოლიტიკური ელიტის ნება. ის კი ასრულებს დასავლეთის დაკვეთას რუსეთის წინააღმდეგ. პარტიის ლიდერი რამდენიმეჯერ იმეორებს სიტყვა „იარაღს“, როგორც მეტაფორას, რომლის მიხედვითაც საქართველო ნატოს ხელში უბრალოდ ინსტრუმენტია.

საქართველოსთვის შესაძლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მნიშვნელოვანია, როდესაც მსჯელობა ეხება რუსეთთან ურთიერთობების დათბობას (მათ შორის, ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების კუთხით). ამავდროულად, უნდა აღდგეს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა რუსეთთან, რომლის მეშვეობითაც გაერთიანდება ის სივრცე, სადაც იგულისხმება აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და სრულიად საქართველო (ფიფია, 2016). ის პარტიები, რომლებიც ემხრობიან რუსეთთან დაახლოებას, აღნიშნავენ, რომ საქართველო გამთლიანდება, თუ რუსეთთან სამხედრო პარტნიორობა განახლდება.

ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვას ძირითადად ნატივისტური პოზიციების მქონე პარტიები იყენებდნენ. ამასთან ერთად, აღნიშნული გზავნილები პოპულისტურ განზომილებას იძენდა, როდესაც ქვეყნის ყოფილი თუ მოქმედი მმართველი ძალა ამ ქმედებას საკუთარი ფინანსური ინტერესის გამო ახორციელებდა. ქართული იდეის თავმჯდომარე ხელისუფლებას აბრალდებდა, რომ ისინი საკუთარი გამდიდრების მიზნით ყიდდენ მიწას, წყალსა და მოსახლეობას, კერძოდ, ირანში „მათი რაღაც დამშრალი ტბის“ მომარაგებას აპირებდნენ საქართველოს მდინარეებიდან გადაქაჩული მილებით. კერძოდ, ამ ფაქტს სოციალურ ქსელები და ირანელი ბიზნესმენები ადასტურებდნენ (ჩაჩუა, 2016). აქტორების აღწერის მხრივ, ირანის ტერიტორია „იქ მათი რაღაც დამშრალი ტბის“ ეპიტეთით არის მოხსენიებული. აქ ვლინდება ქსენოფობიური დამოკიდებულება, კონკრეტულად, ანტიირანული (ზოგადად ანტიისლამური) გზავნილი, რაც უკანასკნელ პერიოდში ქართული ნაციონალური-პოპულიზმის ერთ-ერთი თვისება გახდა. აღნიშნული გზავნილი ანტილიბერალური დისკურსის ნაწილად შეგვიძლია მოვიაზროთ. ელიტები დაგმობილნი არიან უცხოელებისთვის („საკუთარი“) ქართული მიწა-წყლის და რესურსების გადაცემისთვის. ამასთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია ნაციონალისტურ განზომილებაზე, რომელიც პოპულისტურ ფორმას იძენს, რადგან მმართველი ძალა ქართველი მოსახლეობის საკუთრებას ყიდის (გოგსაძე, 2022, 18).

ჩაჩუა (2016) აცხადებდა, რომ ქვეყნის რომელიმე მიმართულებით საგრძნობ გადახრას ქვეყნისთვის ტერიტორიების დაკარგვა მოყვა. მისი აზრით, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე რუსეთი და ნატო, ორივე მნიშვნელოვანია. მაგრამ, მისი აზრით, საქართველომ ნატო უნდა დაივიწყოს, რადგან ეს არარეალურ დაპირებებს გვთავაზობდა. ნატოში გაწევრიანების მომხრე პოლიტიკოსებს პარტიის ლიდერი „პოლიტიკანებს“ უწოდებდა, რომლებიც მანიპულირების ხარჯზე ცდილობდნენ დაფინანსების მოპოვებას, რათა ძალაუფლება შეენარჩუნებინათ (ჩაჩუა, 2016). ნეგატიური ასოციაციისთვის, პოლიტიკოსები „პოლიტიკანებად“ არიან წარმოდგენილნი. მოწოდების მიხედვით, საქართველოს ყველასთან თანამშრომლობა სჭირდება, მაგრამ, ამავდროულად ნატო უნდა დავივწყოთ, რადგან მასში გაწევრიანება არარეალურია.

ქართული იდეის თანახმად, პოლიტიკურ ელიტას ნატოში გაწევრიანება დაფინანსების მიღების და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით სურდა. ამ ყოველივეს კი ქვეყანა შეიძლებოდა ნატო-რუსეთის დაპირისპირების პოლიგონად ექცია. საქართველო არ უნდა ყოფილიყო რომელიმე ქვეყნის მანიპულირების ობიექტი: „რა თქმა უნდა, ჩვენთან ზესახელმწიფოები, მხედველობაში მყავს რუსეთი და აშშ, ბევრს წყვეტენ, მაგრამ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ დაპირისპირების პოლიგონად არ ვიქცეთ, თორემ სირია და უკრაინა მონაგონი იქნება“ (ჩაჩუა, 2016). პოლიტიკოსი საუბრობდა, რომ უკრაინას ბირთვულ იარაღზე უარი ამერიკამ ათქმევინა და უსაფრთხოების გარანტიებს შეპირდა და „რა მიიღო უკრაინამ ამით, ჯერ მოუწყვეს ნარინჯისფერი რევოლუცია, მერე მაიდანი, ყირიმს კარგავს უკრაინა და დონეცკს და ლუგანსკში დასავლეთი აგზავნის დამკვირვებლებს, რომ იქ დემოკრატიული არჩევნები ჩატარდესო. ეს არის დაცინვა“ (ჩაჩუა, 2016), შესაბამისად, საქართველო არ უნდა მოქცეულიყო ამერიკის მანიპულაციის ქვეშ და ურთიერთობა უნდა დაელაგებინა ყველასთან, რაც ნიშნავდა, რომ რუსეთთან პირდაპირი, ყოველგვარი მესამე მხარის გარეშე, საუბარია საჭირო.

ერთ-ერთ ინტერვიუში ჩაჩუა (ქართული იდეა, 2016) ამბობდა, რომ ნატოს თვითონ არ ჰქონდა ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მოგვარებული, მათ შორის, საბერძნეთსა და თურქეთს კვიპროსთან, ხოლო გერმანიას კალინინგრადის ოლქთან მიმართებაში. ქართველ კაცს არ უნდა დაევიწყებინა ქართული ტერიტორიების მესამედი, რომელიც თურქეთმა მიიტაცა, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური თბილისი არ აცხადებდა პრეტენზიებს ამ მიწებზე. ადგილი აქვს ისტორიის ტოპოსის (და არამართებულ ფაქტებზე აპელირებას გერმანიის შემთხვევაში) გამოყენებას და სხვადასხვა მოვლენების დაკავშირების მცდელობას, რომ მოხდეს ყურადღების გადატანა რუსეთიდან, ხოლო ნატო და თურქეთი ნეგატიურად წარმოჩნდეს.

ქართული იდეის მოწოდებებში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ნატოს/აშშ-ს საქართველოს დაცვა არ შეუძლია. ნატოში გაწევრიანებაზე უარის თქმის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია ის, რომ საქართველოს უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს; ამ მიზნით

განხილულია უკრაინის მაგალითი, სადაც ამერიკამ ის ვერ/არ დაიცვა.[31] ქმედების აღწერილობის დონე - საქართველო იქცევა პოლიგონად და სირიის მსგავსად განადგურდება. ნაგულისხმევი მნიშვნელობა - აშშ/ნატო დაპირისპირებულია რუსეთთან, საქართველო უკრაინის მსგავსად არ უნდა გახდეს მათი იარაღი და ამ კონფლიქტში არ უნდა ჩაერთოს. ამასთან ერთად, დასავლეთი ჟენევის ფორმატს იყენებდა საქართველოს გასაკონტროლებლად და კონფლიქტი მოგვარება არ სურდა. პარტია ახსენებდა, რომ საქართველო მოლაპარაკებების სივრცე უნდა ყოფილიყო და ამით ნეიტრალიტეტზე მიანიშნებდა, თუმცა, როგორც ექსპერტების უმრავლესობა აღნიშნავდა, ნეიტრალიტეტის მოთხოვნები ძირითადად პრორუსულ გზავნილებს წარმოადგენს. როგორც ზემოთ გამოჩნდა, მათი დისკურსი ანტიდასავლურია, რომელიც აშშ-ს, ნატოს და დასავლეთის უარყოფით მხარეებს წარმოაჩენს. საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში რუსეთისადმი ნეგატიური განწყობის გამო, არ ხდება რუსეთის პოზიტიურად მოხსენიება, თუმცა რუსეთი პასიურ როლში არის გამოყვანილი (მაგ „ყირიმს კარგავს უკრაინა“) და უარყოფითი ქმედებები არ არის გამოყოფილი. ნატოსთან დაკავშირებით მოწოდებები ნაციონალისტურ/ნატივისტურ განზომილებას მოიცავს, ამასთან ერთად, გვხვდება პოპულისტური დისკურსი კორუმპირებული ელიტის/ხელისუფლების შესახებ, რომელიც დასავლეთის ინტერესებს ემსახურება ხელისუფლებაში დარჩენის მიზნით, რასაც ქართველი ხალხის ინტერესები ეწირება.

ნატოში გაწევრიანებაზე უარს და რუსეთთან სტრატეგიულ თანამშრომლობას ემხრობოდა „საქართველოს კომუნისტური პარტია - სტალინელები“, რაც დევნილების აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დროული დაბრუნების საფუძველი გახდებოდა. პარტია აღნიშნავდა, რომ ისინი ერთადერთი ე.წ „პრორუსული“ ძალას წარმოადგენდა, რომელიც ცალსახად და ღიად ემხრობოდა რუსეთთან ამ ტიპის ურთიერთობას და საკუთარ პოზიციას პროქართულად მიიჩნევდა (საქართველოს კომუნისტური პარტია - სტალინელები, 2016b). მთავარი იყო ნატოზე უარის თქმა, რასაც იგი აფასებდა, როგორც „ჩვენს მიერ გადასახდელი

[31] ნარატივი, რომელიც ამერიკას და ნატოს აბრალებს კონფლიქტების გაღვივებას პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, ევრომაიდანის მოწყობას რუსულია. რუსეთთან კონფლიქტების არიდება შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა ამ ქვეყნებში პროდასავლური და ანტირუსული ხელისუფლებები და მათი ნატოში გაწევრიანების სურვილი, შესაბამისად, ეს კონფლიქტი ნატო-რუსეთს შორისაა (გოგსაძე, 2022, 19).

ხარკი“ (ხაჩიშვილი, 2016). პარტიას მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოს მიმართ გაყალბებულად მიაჩნდა, რაც თავის დროზე სააკაშვილმა გააკეთა. ამ ორგანიზაციის წევრობა მხოლოდ ყოფილი და ახლანდელი პოლიტიკური ელიტის ინტერესებში შედიოდა. ის ნატოს აბრალებდა, რომ თვითონ ეს ორგანიზაცია ვერ იღებდა საქართველოს საკუთარ შემადგენლობაში, მას და რუსეთს შორის არსებული სირთულეების გამო. ის ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმართავდა, რომ მათ დამოუკიდებლობის შემდეგ ვერ გააწევრიანეს საქართველო ნატოში (ხაჩიშვილი, 2016). რუსეთის მმართველმა პირებმა განაცხადეს, რომ სააკაშვილის შემდეგ, რომ ისინი მზად იქნებოდნენ საქართველოსთან მოსალაპარაკებლად. ხოლო საქართველოს ხელისუფლება არ ესაუბრება რუსეთის ხელისუფლებას, რასაც აშშ და მისი ელჩი ეწინააღმდეგება. ხაჩიშვილის (საქართველოს კომუნისტური პარტია - სტალინელები, 2016a) განმარტებით, საქართველო იყო ერთადერთი სახელმწფო, რომელსაც ამერიკა რუსეთთან საუბარს უკრძალავდა. მისი მოსაზრება ნაციონალურ-პოპულისტურ გზავნილებს შეიცავს, სადაც აშშ საქართველოს ხელისუფლებას აკონტროლებს. საქმე გვაქვს მოდალობასთან, როდესაც ფაქტების დაკავშირება მტკიცებულებების გარეშე ხდება.

ვან დაიკის აზრით, ასეთ შემთხვევებში ხდება „ჩვენ“ ჯგუფის პოზიტიურის, ხოლო „სხვების“ უარყოფითის ხაზგასმა. კონკრეტულად, აქცენტი კეთდება ამერიკის უარყოფით მახასიათებლებზე, რომელიც „სხვაა“. მთავარი მიზეზები თუ რატომაც არ მოხდა საქართველოს ნატოში გაწევრიანება არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სისუსტე და საქართველოს პოლიტიკური ელიტის მიერ, ხალხის შეცდომაში შეყვანა ამ საკითხთან დაკავშირებით. ადგილი აქვს აქტორთა უარყოფით აღწერას და პოპულისტურ მოწოდებებს, რომ მმართველი ძალა იტყუება და არაკომპეტენტურია (გოგსაძე, 2022). ამ შემთხვევაში ანტიდასავლური ნაციონალიზმი პოპულისტური დისკურსით არის გადმოცემული.

გარკვეულ შემთხვევებში, ვხვდებით მოწოდებებს, რომ ნატოს წევრობა არასასურველი და მიუღებელია, რადგან ეს ნაბიჯი ქვეყნის გამთლიანებაზე უარყოფითად იმოქმედებს და ოკუპირებულ ტერიტორიებს საბოლოოდ დააშორებს. კერძოდ, ჯაფოშვილის (2016) განცხადებით, თუ ქვეყანა ნატოს წევრი გახდებოდა, ეს დაგვაცილებდა აფხაზებთან და ოსებთან და შემდეგ საუბრის შესაძლებლობა აღარ იარსებებდა; შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო რუსებთან მოგველაპარაკა და მათი ლანძღვა-გინება არ დაგვეწყო. ნაგულისხმევი

მნიშვნელობის მიხედვით, საქართველოს ხელისუფლებების ქმედებებმა რუსეთთან დაპირისპირება გამოიწვია. 2020 წელს პარტიის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ ნატოში გაწევრიანება ახალი ომის კერას გააჩენდა (ნემსაძე, 2020).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიწის უცხოელებზე გაყიდვა 2016 წელს საარჩევნოდ ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი იყო. ამ მოთხოვნით გამოირჩეოდა პატრიოტთა ალიანსი, რომლის თავმჯდომარე აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოს მცირემიწიანობის გამო, ბევრ მილიარდელს შეეძლო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არაერთხელ შეესყიდა. მათ შორის, ჩამოთვლილი იყვნენ ბრუნეის სულთანი, ჯორჯ სოროსი და ბილ გეითსი (საქართველოს პატრიოტი, 2016, 6). მოწოდების მიზანია, რომ მკითხველს უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდეს. კერძოდ, სოროსი მიჩნეულია ლიბერალურ-მასონური ძალების წარმომადგენლად და ულტრამემარჯვენე აქტორების ძირითადი მტერია. ქართული მარშის ლიდერის თანახმად, სოროსი არა პიროვნება არამედ ინსტიტუცია იყო და ზოგადად კაცობრიობის უბოროტესი მტერი (ბრეგაძე, „ინგა გრიგოლიას საარჩევნო რეაქცია“, 2020). ბილ გეითსს ბრალდება შობადობაზე კონტროლის დაწესების სურვილი.[32] ბრუნეის სულთანი სახით წარმოდგენილია მდიდარი მუსულმანი მმართველი, რომელსაც სურს ქართული მიწების დაუფლება. ამასთან ერთად, აღნიშნული, რომ უცხოეთში მიწის გაყიდვა აკრძალულია ან უკიდურესად იზღუდება. მოწოდების მიხედვით, სხვა ქვეყნის მოქლაქეებს დიდი რაოდენობის მიწის ყიდვა შეუძლიათ, რაც საბოლოო ჯამში ქართველებს საქართველოს მიწა-წყლის პატრონებას დააკარგვინებდა (საქართველოს პატრიოტი, 2016, 6). პარტიის ლიდერი ასახელებს თურქებს, ჩინელებს და ინდოელებს. მისი მოწოდება საფრთხის ტოპოსის ინტეგრირებას ახდენს გზავნილში, კერძოდ ამ სამი ქვეყნის წარმომადგენლების დასახელება დაკავშირებულია პატრიოტთა ალიანსის ანტითურქულ ნარატივებთან. კერძოდ თურქებს საქართველოს დაპყრობა სურთ და ახლა ამისთვის მეტი საშუალება ექნებათ, ხოლო ჩინელების და ინდოელების მოხსენიება უკავშირდება ამ ეროვნების გაზრდილი იმიგრაციის მაჩვენებლის შეზღუდვას. ეს მოწოდება ძირითადად ნატივისტურია და სხვადასხვა ეროვნებების მიმართ უარყოფით და ქსენოფობიურ შეხედულებებთანაა დაკავშირებული,

[32] ბილ გეითსის გარშემო არსებული შეხედულები შეგიძლიათ იხილოთ: (Reuters, 2021).

რომელიც პოპულისტურ განზომილებას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობას საქართველოს ტერიტორიების გაყიდვაში ადანაშაულებენ.

პატრიოტთა ალიანსის წარმომადგენელი ხელისუფლებას აბრალებდა, რომ ის ქართველ ერს შეგნებულ გენოციდს უწყობდა, როგორიც იყო გლეხების აყრა სოფლებიდან და ქართული მიწების ფარულად მიყიდვა უცხოელებზე, მათ შორის, არაბებსა და ირანელებზე. აღნიშნულია, რომ ეკონომიკის სამინისტრომ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, ორგანიზაციები და დაწესებულებები გაყიდა (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, 2016). ნაციონალისტურ-პოპულისტურ გზავნილებში, გვხვდება პოპულისტური განზომილება, კერძოდ „ჩვენი ჩაგრული ხალხის საკუთრება“ იყიდება არაეროვნული ხელისუფლების მიერ უცხოელებზე, რაც სპეციალურად ხდება, რომ ქართველები წავიდნენ ქვეყნიდან. აღნიშნული დაკავშირებულია ნაციონალისტურ გზავნილებთან, დემოგრაფიული კრიზისთან და განსაკუთრებით რეგიონების და სოფლების მოსახლეობის შემცირებასთან, სადაც ქმედება აღწერილია, როგორც გენოციდი. გამოყენებულია საფრთხის ტოპოსი, მისი მიზანია ნეგატიური ასოციაცია გამოიწვიოს მოსახლეობაში, რომ ეს ყოველივე არაბების და ირანელების დაპყრობებს დაუკავშირდეს.

ზემოთ მოცემული მოთხოვნა ლეიბორისტულ პარტიასაც გააჩნდა. მისი თავმჯდომარის განცხადებით, მხოლოდ მათი პარტია მოუწოდებდა ხელისუფლებას, რომ ქართული მიწები უცხოტომელებზე არ გაეყიდათ (ლეიბორისტული პარტიის წარდგენა..., 2016). ვხედავთ აქტორთა ნეგატიურ აღწერას, კერძოდ, უცხოელები უცხოტომელებად არიან მოხსენიებულნი, რომ მტრის და დამპყრობლის ასოციაცია გამოიწვიოს.

პატრიოტთა ალიანსი, 2020 წელს საარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩეველს მოუწოდებდა, რომ აჭარას თურქეთის ექპსანსიისაგან დაცვა ესჭიროებოდა. ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს ამ რეგიონში ბიზნესისა და სასატუმროების დიდ ნაწილს თურქები ფლობდენ. პარტიის განცხადებით, სააკაშვილის დროს 20 000-მა თურქმა მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, რამაც მათი საკუთარ ოჯახებსა და ნათესავებთან ერთად ჩამოსვლა განაპირობა. ისინი კი ცდილობენ ქართველ მოსახლეობას თავს მოახვიონ საკუთარი რწმენა და ტრადიციები. აქცენტი კეთდებოდა იმ საკითხზე, რომ თურქეთში, მათი ხელისუფლების

ხარჯებით, მიჰყავდათ ღარიბი ქართული ოჯახის შვილები, რომლებიც მერე ან არ ბრუნდებოდნენ ან იძენდნენ უცხოურ სასულიერო განათლებას (საქართველოს პატრიოტი, 2020, 7).

ზემოთ მოყვანილ მაგალითში, გვხვდება ქმედების აღწერილობის დონე, რასაც თურქეთი საქართველოში, განსაკუთრებით აჭარაში „ექსპანსიის“ სახით ახორციელებს. დიდი რაოდენობით თურქების ჩამოსახლებით, დამატებითი უარყოფითი ფონის შექმნის მიზნით აღნიშნულია, რომ ისინი ნათესავებთან ერთად სახლდებიან (რომლის მიზანია მსმენელში გამოიწვიოს თურქ-სელჩუკებისა და მონღოლების დაპყრობის ასოციაცია). პოპულისტური გზავნილი იკვეთება ყოფილი რეჟიმის წინააღდეგ, რომელიც თურქეთთან თანამშრომლობდა საკუთარი მოგების მიღების მიზნით და ქართველი ხალხის გასაჭირს უგულებელყოფდა. თურქეთის ქმედების ნეგატიურად წარმოჩენის მიზნით, ასევე ყურადღება გაამახვილებულია, რომ მათ ყველაზე მოწყვლადი და გაჭირვებული ოჯახის შვილები მიჰყავთ, რომლებიც დაუცველები არიან. შესაბამისად, ხდება მათი წარმოჩენა, როგორც ქართულ ოჯახებსა და ტრადიციებთან დაპირისპირებული მხარის. იმავდროულად, მოწოდებაში არის მცდელობა, რომ გარკვეული პარალელი გაივლოს საქართველოს ისტორიასთან, როდესაც ტყვეთა გაყიდვის შედეგად საქართველოდან ოსმალეთის იმპერიაში ბევრი ქართველი ახალგაზრდა აღმოჩნდა. მოცემული მაგალითის გადმოცემით, პარტია ცდილობს მოქალაქეებში საქართველოს ისტორიის ეს მტკივნეული მოვლენა „გააცოცხლოს“ და თურქეთისადმი უფრო ნეგატიური განწყობები გააჩინოს. აღნიშნული მოსაზრება უფრო მკაფიო ხასიათს იძენს, როდესაც იმავე სტატიაში მოცემულია ფაქტები ისტორიიდან, რომელშიც გვახსენებს, რომ თურქეთმა საუკენეების განმავლობაში საქართველოდან ხარკის სახით, 200 ათასი ქალ-ვაჟი წაიყვანა. მათი განცხადებით, აღნიშნული ქუჩუკ-კაინარჯის ზავში დაფიქსირდა. გარდა ამისა, თურქეთს ბრალად ედება ისიც, რომ პრეტენზიას აცხადებს ბათუმზე, ახალციხესა და ოზურგეთზე (საქართველოს პატრიოტი, 2020, 7). პარტიის ლიდერი იყენებს შედარების ტოპოსს, რომ დღევანდელი მოვლენები ისტორიულ შემოსევებს, მასობრივ ჩამოსახლებებს და ქართველების ქვეყნიდან ძალით გასახლებას დაუკავშიროს.

პატრიოტთა ალიანსის წევრის თანახმად, „აქ დგება მეორე საკითხი - რომ რუსეთი არის ჩვენი დამპყრობი, რომელმაც ოკუპაცია მოახდინა საქართველოს მიწების 22%-ზე მეტისა,

მაგრამ ჩვენ გვავიწყდება, რომ თურქეთს 35%-ზე მეტი აქვს ქართული ტერიტორიებისა“ (ოთარაშვილი, 2016). პარტიის წარმომადგენელისთვის თურქეთი და რუსეთი, ორივე იმპერიაა. თურქეთს წაღებული აქვს ქართული კულტურის სავანეები (ოთარაშვილი, 2016). გვხვდება აქტორთა ნეგატიური აღწერა, რომ თურქეთი და რუსეთი იმპერიები არიან, თუმცა ხაზგასმულია რომ თურქეთმა კულტურული ძეგლები წაართვა საქართველოს. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, თურქეთმა არამარტო უფრო მეტი ტერიტორია დაიპყრო, არამედ ქვეყნის ისტორიული მტერია, უფრო მეტი ტერიტორია დაიპყრო და განსხვავებული აღმსარებლობა აქვს, ხოლო რუსეთის ოკუპაციაზე არაფერი არ არის ნახსენები. ამ განცხადებაში, მრავლადაა სწორედ ანტითურქული დისკურსები.

პატრიოტთა ალიანსისთვის თურქეთის საწინააღმდეგო მოწოდებები ეკონომიკური მიზეზებითაც იყო გამართლებული. კერძოდ, საჭირო იყო თურქეთიდან შემოტანილი პროდუქციის განბაჟება, ხოლო ქართული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა. თურქეთიდან (და სხვა ქვეყნებიდან) შემოდიოდა შხამქიმიკატებით და პესტიციდებით დასნებოვანებული პროდუქტები, რითაც საქართველოს მოსახლეობას ავადდებოდა და ონკოლოგიურ დაავადებათა რიცხვმა კოლოსალურ რაოდენობას მიაღწია. თურქეთის საზღვარი ღიაა და ფაქტობრივად არ კონტროლდებოდა. ჩვენი ისტორიული მეგობრის კი არა და ისტორიული მტრის საზღვარი, რაც ფაქტობრივად იმას ნიშნავდა, რომ ამით ჩვენ თურქეთს კაპიტულაციას ვუცხადებდით. ასეთი ღია საზღვარი ჩვენ გვჭირდებოდა არა თურქეთთან, არამედ რუსეთთან. ამასთან ერთად აღნიშნულია იყო, რომ თურქეთი არის საქართველოს ისტორიული დამპყრობელიც (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, 2016).

ანტითურქული მოწოდებების პრეზენტაცია აქტორთა უარყოფითი აღწერით მეშვეობით ხდება. კერძოდ, აღნიშნულია, რომ თურქეთი საქართველოში იაფფასიან უხარისხო პროდუქციას ასაღებს და ქართველ ხალხს აავადებს. ასევე მეტაფორით, რომ თურქეთის საზღვარი ღიაა და ხელისუფლება მას არ აკონტროლებს; თურქეთი ჩვენი ისტორიული მტერია და მას საქართველო კაპიტულაციას უცხადებს. ხდება იმის ასოციაცია, რომ თურქეთი იპყრობს ქვეყანას და საქართველო ნებდება, ხოლო ამის საპირისპიროდ რუსეთმა უნდა გახსნას საზღვარი, რაც გადარჩენის საწინდარი იქნება.

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი, თარხან-მოურავი (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020) ტელევიზიაში საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ მას უკვირს რატომ არის თურქეთი საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე. მისი თქმით, ამჟამად რუსეთი მხოლოდ იმას ითხოვს, რომ საქართველო არ ყოფილიყო ჩართული არანაირ წინააღმდეგობაში ამ ქვეყნის მიმართ. ყურადსაღებია მისი სიტყვით გამოსვლის (დიალოგის) შემდეგი ფრაგმენტი ტვ ფორმულის ჟურნალისტ ვახო სანაიასთან. პარტიის თავჯდომარე ეკითხებოდა ჟურნალისტებს, „თუ რაში იყო ჩართული თურქეთი 1918 წელს როცა მიიტაცა ჩვენი ტერიტორიების 33%?!“ (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020). ჟურნალისტი აღნიშნავდა, რომ ეს ყოველივე ბოლშევიკური რუსეთის თანხმობით მოხდა. რაზეც პარტიის თავჯდომარემ უპასუხა „არა რა თანხმობით, რა სისულელეა კაცო! ... არა მან უბრალოდ მიიტაცა ჩვენი ტერიტორიები, არავის თანხმობა არ სჭირდებოდა მას. ... თქვენ 100 წლის მერე, თქვენ რუსეთთან არ გექნებათ სოხუმის პრობლემა? გექნებათ თუ არა?“ (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020). ჟურნალისტის შენიშნვაზე, რომ რა შუაში იყო ეს? მან მიუგო, რომ შუაში იყო, რადგან თითქმის 100 წელი იყო გასული რაც თურქეთმა საქართველოს ტერიტორიების 1/3 წაიღო; ჟურნალისტმა აღნიშნა, თუ რატომ არ საუბრობს მათი პარტია ამდენს რუსეთის ოკუპაციაზე? რაზეც პოლიტიკოსმა მიუგო: „რას არ ვსაუბრობ, გიხსნით იგივე პრობლემა გვაქვს! აქ 22%, იქ 33% პროცენტი!“ (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020).

თარხან-მოურავი იდეოლოგიური დისკურსის შემდეგ ელემენტებს მიმართავს. აქტორთა აღწერა, თურქეთი უფრო უარყოფითად არის წარმოჩენილი ვიდრე რუსეთი, „აქ 22%, იქ 33%“, ხაზს უსმევს რომ მათ უფრო მეტი ტერიტორია აქვთ ოკუპირებული ვიდრე რუსეთს. შესაბამისად მათი დანაშაული უფრო მძიმეა. ქმედების აღერის მხრივ, რუსეთის უარყოფითი ქმედება მინიმიზირებულია, რადგან თურქეთი შეთანხმებული არ იყო 1921 წელს ბოლშევიკურ რუსეთთან, როდესაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას ახდენდა. ის სასურველს რეალობად წარმოაჩენს (მოდალობა), თითქოს ეს რუსეთს არ სურდა. პარტიის ლიდერი თავს იმართლებს, რომ ის რუსეთის ოკუპაციაზე საუბრობს, მაგრამ ამავდროულად ის ბრალდებას უყენებს ჟურნალისტს, რომ მას არ ესმის პრობლემის არსი. პარტიის ლიდერი იყენებს ისტორიის ტოპოსს, რომ ბოლშევიკური რუსეთი არ იყო დამნაშავე თურქეთის მიერ

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაში. ამასთანავე ხდება კონტექსტის და ფაქტების გათანაბრება, რაც 100 წლის წინანდელი მოვლენებისა და ვითარების 2008 წლის ოკუპაციის მისადაგებაში გამოიხატება. ამასთან, ეს ყველაფერი სხვა არაფერია, თუ არა დასმული შეკითხვიდან სხვა საკითხზე ყურადღების გადატანა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, აღიარებდა, თუ არა ის საერთაშორისო სამართალს თარხან-მოურავმა (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020), უპასუხა, რომ საერთაშორისო სამართალი არაფერ შუაშია, ასევე საზღვრების ურღვევობის პრინციპი, ეს პირობითი ცნებებია, და საქართველომ არ უნდა აღიაროს არც რუსული და არც თურქული ოკუპაცია. მისი თქმით, აღნიშნულ ტერიტორიებთან დაკავშირებით თურქეთთან, მუდმივი მოლაპარაკება უნდა გაგრძელებულიყო; ოკუპაციასთან დაკავშირებით რუსეთს და თურქეთს ერთნაირი სტანდარტით უნდა მივდგომოდით. თურქეთთან დაკავშირებით ის ასევე ხაზს უსვამდა, რომ „არანაკლებ რამეს შვება თურქეთი აჭარაში, ვიდრე ესენი აკეთებენ, რას მეუბნებით ახლა?“ (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020). პარტიის თავდჯომარეს თანახმად, ცოტა ხნის წინ 5 ჰექტარი საქართველომ აჩუქა თურქეთს, რაც თურქეთში გუბერნატორმა დაადასტურა ეს ფაქტი. კირნათში (აჭარაში) შეიცვალა საზღვარი, სადაც ჩასულები გამოყარეს და ამბობდნენ, რომ კალაპოტი შეიცვალაო. თარხან-მოურავის თქმით, ამის დამადასტურებელი ვიდეო მასალა არსებობდა. პარტიის ლიდერს მოჰყავდა დაუდასტურებელი ცნობა თურქეთის ბრალეულობის ხაზგასასმელად და კიდევ ერთხელ იმეორებდა რომ თურქეთი, რუსეთზე არანაკლებ ოკუპანტი იყო (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020). თურქეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების „მიტაცებასთან“ დაკავშირებით ხდება საფრთხის ტოპოსის გამოყენება.

თარხან-მოურავის (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020) განცხადებით, კარგი ვითარება იყო შექმნილი, რომ რუსეთთან საქართველოს ნეიტრალიტეტზე და ტერიტორიებზე ემსჯელათ, რაც მართებული პოზიცია იყო. როგორც ჩანს, პატრიოტთა ალიანსი ნეიტრალიტეტზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო მათ დისკურსში ნათლად იკვეთება ანტითურქული დისკურსები, მოყვანილია, არაერთი ისტორიული მაგალითი, რომ თურქეთი ოკუპანტია. რუსეთის ნეგატიური ქმედებები

მინიმიზირებულია, მართალია ის ოკუპანტია, მაგრამ მას ნაკლები ტერიტორია აქვს ოკუპირებული და ხდებოდა ყურადღების გადატანა სხვა საკითხზე.

თარხან-მოურავი (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020) გადაცემაში აღნიშნავდა:

> რატომ ფიქრობთ, რომ დასავლეთის წინააღმდეგ ვარ?! ეს არ ... მე დასავლეთში ოთხი წელი ვცხოვრობდი ახლა, ცოტა მეტი ვიცხოვრე ვიდრე თქვენ, რა შუაშია ეს?! არავითარი წინააღმდეგობა არ არის, კიდევ მინდა გაიგოთ, განთავისუფლდით ამ აზრისგან, თუ კაცი გეუბნებათ, რომ ნეიტრალიტეტი მინდა, არ ნიშნავს, რომ არ არის დასავლური და თუ კაცი გელაპარაკებათ რომ რუსეთთან უნდა ვილაპარაკოთ...

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მიუგო, რომ საქართველოს არსებული სიტუაციის გათვალისწინებით ეს ამას ნიშნავდა! რაზეც თარხან-მოურავმა (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020) გაბრზებით განაცხადა:

> არ ნიშნავს ახლა! ბრალდებებს ნუ მიყენებთ აქ! მე გეუბნებით თქვენ ... თქვენ თუ ახლა პროკურორი ხართ? მე გეუბნებით, რომ თუ კაცი თვლის, რომ ნეიტრალიტეტი რეალობაა და სხვა მიუღწევადია, ეს არც დანაშაულია და არც აგენტობაა! და ასევე თუ ადამიანი თვლის, რომ რუსეთთან სამშვიდობო პოლიტიკა უნდა აწარმოოს და მოძებნოს, ეს არ არის არც დანაშაული არც რუსეთის აგენტობა. ეს თუ გაიაზრებთ ამას და გაითავისებთ ძალიან კარგი იქნება თქვენთვის!

თარხან-მოურავ თანახმად, ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან გარანტიები უნდა ყოფილიყო (მათ შორის, რუსეთისგანაც), რაც ტერიტორიების დაბრუნებამდე მიიყვანდა საქართველოს (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020).

ის პოლიტიკური აქტორები, რომლებიც ნეიტრალიტეტს (ან უბლოკო სტატუსს) ითხოვენ, ცდილობენ თავიდან აიცილონ პრორუსულობის იარლიყი გავრცელებული

პროდასავლური/პრორუსული დიქოტომიური დისკურსების გამო. შესაბამისად, ნეიტრალიტეტის შემოთავაზება მთავარი საშუალებაა პროდასავლურობის საპირისპიროდ ქმედითი ალტერნატივა წარმოადგინონ (ისე, რომ პრორუსულად არ გამოჩნდნენ).

ის პოლიტიკური აქტორები, რომლებიც ნეიტრალიტეტს (ან უბლოკო სტატუსს) ითხოვენ, ცდილობენ თავი აარიდონ პრორუსულობის იმიჯს გავრცელებული პროდასავლური/პრორუსული დიქოტომიური დისკურსების გამო. აშკარაა მცდელობა, რომ მათ ქმედითი ალტერნატივა წარმოადგინონ, კერძოდ, პროდასავლურობის საპირისპიროდ, შემოგვთავაზონ ნეიტრალიტეტის იდეა, ისე, რომ პრორუსულად არ გამოჩნდნენ. ექსპერტის თანახმად, პარტიების მხრიდან ნეიტრალური სტატუსის (ან სხვა მსგავსი სტატუსის) მოთხოვნა გამოწვეულია იმით, რომ პირდაპირ პრორუსულ პოზიციაზე დადგომა მხარდამჭერების დიდი ნაწილის დაკარგვას გამოიწვევს. შესაბამისად, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ საქართველოს „საკუთარი თავი თვითონ უნდა ეყუდნოდეს“ საკუთარი ინტერესები მარტოობაში დაიცვას, რაც თეორიულად მართებულია, მაგრამ ქვეყნის კონტექსტიდან გამომდინარე ქვეყანას საკუთარი ინტერესების დამოუკიდებლად დაცვა არ შეუძლია, და ნებისმიერ ასეთ ქვეყანას ესაჭიროებოდა ძლიერი მოკავშირე და ერთობლივი უსაფრთხოების სისტემა, რომელიც მისი ინტერესების დაცვას უზრუნველყოფდა; ნეიტრალიტეტის შესახებ განცხადება რეზონანსულია, რომლის მთავარი მიზანი იმ შეთანხმებული და გავრცელებული აზრის, რომ რუსეთს დასავლეთი ჯობია, ჩანაცვლდეს იმ შეხედულებით, რომ ორივეს მაგივრად გამოვიყენოთ ნეიტრალიტეტი, რაც საბოლოო ჯამში პრორუსი ლიდერებისთვის საუკეთესო გამოსავალია (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 28.03.2023). ერთ-ერთი რესპოდენტის მიხედვით, ნეიტრალიტეტის შესახებ მოწოდებები, შეიძლება ასევე პრორუსული ნარატივების ნაწილად ჩაითვალოს, რადგან კოლექტიურად საქართველოს მთავარი დამცველი არის დასავლეთი და მათგან დაშორება რუსეთის ინტერესებშია (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 22.03.2023). იმ დისკურსებისა და კავშირების გათვალისწინებით, რაც საქართველოსა და რუსეთს შორის არსებობს, პოლიტიკურ სპექტრში, გულუბრყვილო იქნებოდა, იმის წარმოდგენა, რომ ქვეყანაში არის პოლიტიკურ ჯგუფი, რომლისთვისაც ნეიტრალიტეტის მოთხოვნა რუსეთთან დაახლოების გარკვეული გეგმის ნაწილი არ არის, შესაბამისად, ეს არის რუსული ნარტივის ნაწილი

(პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 29.03.2023). ერთ-ერთ რესპოდენტს მიაჩნია, რომ ნეიტრალიტეტის მოთხოვნა მისი შინაარსის გათვალისწინებით ანტიდასავლურია, შედეგად საქართველო რუსული ძალის და გავლენების მიმართ უფრო მოწყვლადი გახდება და ის ვეღარ მიიღებს პოლიტიკურ გარანტიებს. ამასთან, ის პოპულისტურიც არის რადგან მას, როგორც ინსტრუმენტს იყენებენ (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 12.04.2023).

პატრიოტთა ალიანსის მოწოდებები ძირითადად მოიცავს ნაციონალისტურ (ნატივისტურ) ანტითურქულ გზავნილებს, მათ შორის ანტიდასავლურ დისკურსებს, რომ ნატო ვერ მიიღებს საქართველოს საკუთარ შემადგენლობაში. პოპულისტური დისკურსები იკვეთება ყოფილი რეჟიმის წინააღმდეგ, ნაციონალური მოძრაობა წარმოდგენილია, როგორც „სხვა“ და „სისხლიანი 9 წლის“ ავტორი, რომელმაც თავიანთი ქმედებებით საქართველო რუსეთს დაუპირისპირეს.

ზემოთ მოცემულ დიალოგში, ადგილი აქვს იდეოლოგიური დისკურსის შემდეგ ელემენტებს. თარხან-მოურავი იყენებს უარყოფას, რადგან, თუ ის რამდენიმე წელიწადი დასავლეთში ცხოვრობდა ე.ი ის ვერ იქნება დასავლეთის წინააღმდეგი. მოსახლეობაში არსებული დასავლური დემოკრატიულ ინსტიტუტებში გაწევრიანების მომხრეთა მაღალი რიცხვის გამო, პოლიტიკოსი ცდილობს გააჟღეროს, რომ მას დასავლეთის მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვს. იმავდროულად ის ამტკიცებს, რომ ნეიტრალიტეტი არ არის ანტიდასავლური ხასიათის მოვლენა. ზემოთ მოცემული ციტატიდან ჩანს, რომ თარხან-მოურავი ჟურნალისტს პროკურორობას აბრალებდა. ასევე, ქმედების აღწერის კუთხით აქცენტირებული იყო, რომ მისი ქმედებები რუსეთთან მოლაპარაკებაზე იყო ორიენტირებული. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, ნეიტრალიტეტის მოთხოვნით ქართული პოლიტიკურ ელიტას (განსაკუთრებით ყოფილს), ბრალად ედებოდა, რომ ის არ ითვალისწინებდა ქართველი ხალხის ინტერესებს და ნატოში გაწევრიანების სურვილით საქართველო რუსეთთან დაპირისპირების გზით წაიყვანა.

პატრიოტთა ალიანსი, რომელიც ანტითურქულ გზავნილებს ხშირად მიმართავს, მათ შორის, საარჩევნო კლიპებში, განსაკუთრებით იმას, თუ რამდენჯერ შემოიჭრა თურქეთი საქართველოში. ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რატომ არ აკეთებდნენ ისინი იგივეს

რუსეთთან მიმართებით ის პასუხობდა, რომ პარტიას რუსეთთან მოლაპარაკებები მიჰყავდა, სადაც განიხილავდნენ თუ რა ხდება იმ „საზღვარზე“ (ოკუპაციის ხაზთან), ხოლო იმის გამო, რომ თურქეთთან არანაირი მოლაპარაკება არ მიდის. შემდეგ იგი შეკითხვას უბრუნებს ჟურნალისტებს, თუ ვინ მოაწერა ხელი ამ ე.წ „საზღვარს“; მისი თქმით 2006-2007 წლებში ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო დოკუმენტი, სადაც დადგინდა ეს „საზღვარი“ (რაზეც მას ერთი ჟურნალისტი არ ეთანხმებოდა). რუსეთთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ჩვენ ვითხოვთ რომ რუსეთმა უნდა დააბრუნოს ეს ტერიტორიები და ეს ყველაფრი წერია გამოქვეყნებულ სტენოგრამებში (პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს 2020). თარხან-მოურავი ხშირად მიმართავდა ჟურნალისტებს შემდეგი სიტყვებით: „რა არ გესმით“. „სულ ყველაფერი წერია იქ, არაფრის წაკითხვა არ გინდათ!“ ადგილი აქვს პირად თავდასხმებს, რომ ჟურნალისტები არ კითხულობენ მასალას და არ იციან ფაქტები, რაც ყურადღების გადატანის მიზნით გამოიყენება. ხდება სასურველის რეალობად წარმოჩენა, რომ საქართველოს ნატოში სწაფვამ გამოიწვია რუსეთის რეაქცია და შესაბამისად დამნაშავე არის ქართული პოლიტიკური ელიტა და დასავლეთი, ხოლო რუსეთი მოპასუხის როლში არის გამოყვანილი (ეს თითქმის ყველა ანტიდასავლურ პარტიას ეხება).

პოპულისტური გზავნილებით გამოირჩეოდა „სახალხო ხელისუფლება“ 2016 წელს. პოლიტიკური პარტია ნეიტრალიტეტს უჭერდა მხარს. მათ თანახმად, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მორგებული იყო არა საქართველოს, არამედ კონკრეტულ ჯგუფების და კლანების ინტერესებს (შუკაკიძე, 2016). პარტიის მოწოდებებში იკვეთებოდა პოპულისტური ვერტიკალური განზომილება, სადაც ხალხი წარმოჩენილია, როგორც ჩაგრული. პოლიტიკური ელიტა (რომელსაც პარტიისთვის „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენდა, ხალხის ნების იგნორირებას ახდენდა). ამასთან ერთად ვლინდებოდა ნაციონალისტური განზომილება, რადგან მათი განცხადებები ანტიდასავლური დისკურსის ნაწილს შეადგენდა (გოგსაძე, 2022, 22-23).

პარტიის წარმომადგენელს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება უპერსპექტივოდ მიაჩნდა. მისი თქმით, კარგი იქნებოდა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გავწევრიანებულიყავით, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯები არ ჩანდა. ამასთან ერთად, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მიღება ვერ

ხერხდებოდა (შუკაკიძე, 2016). ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ნატოში გაწევრიანებას არ ემხრობიან, საკუთარი პოზიციების გასამყარებლად საფრთხის არგუმენტს იყენებდნენ. კერძოდ, რომ ნატო საქართველოს დაცვას ვერ შეძლებს და შედეგად სამხედრო აგრესიის ობიექტად იქცევა (გოგსაძე, 2022, 23). შუკაკიძე ცდილობდა, სასურველი ფაქტად გაესაღებინა, ევროკავშირთან და ვიზა ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით.[33]

„რამდენი ჯარისკაცი უნდა დაიღუპოს ერაყში ... არც რუსეთი, არც ამერიკა არ არის მოწადინებული, რომ საქართველო განვითარდეს. არა ყველა ქვეყანა მოწადინებულია, რომ საკუთარი ქვეყანა განვითარდეს და სხვისი ქვეყანა ნაკლებად აინტერესებს“ (შუკაკიძე, 2016). აქტორთა ნეგატიური აღწერა, რუსეთს და ამერიკას არ უნდა საქართველოს განვითარება. თუმცა, შემდგომ მოწოდებებში ჩანს, რომ საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვამ არაფერი არ მოუტანა. მათი არგუმენტაციით ოკუპაცია არ ჩერდება, ხოლო ამავდროულად ნატო და ამერიკა უარყოფითი კუთხით არიან წარმოჩენილი, კერძოდ ის, რომ ქართველი ჯარისკაცები მათ ომში ერაყში იღუპებიან; ხდება მათი ქმედებების გათანაბრება რუსეთთან.

რუსეთი პოზიტიურად არის წარმოჩენილი, რადგან საქართველო მათ „ტრადიციულ“ ბაზარზე უნდა დაბრუნებულიყო (შუკაკიძე, 2016). გზავნილები რუსეთთან დაახლოებაზე წარმოდგენილია, როგორც ეკონომიკურად მომგებიანი. ნეიტრალიტეტი დაპირისპირებულია პროდასავლურობასთან, რომელიც უფრო იხრება პრორუსულობისკენ. ამდენად, საქართველოში ლიდერები ფიქრობენ არა ქვეყანაზე, არამედ საკუთარი კლანის ან საკუთარი კეთილდღეობისთვის. მოწოდებები ეფუძნება იმ პოპულისტურ დისკურსებს, რომელთა თანახმად ხელისუფლება კორუმპირებულია. პატრიოტთა ალიანსიც ემხრობოდა რუსეთთან მეტ ღია და უვიზო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას, რადგან რუსული ბაზარი ქართველი გლეხისთვის არის „მშობლიური“ (ოთარაშვილი, 2016). ნაგულისხმევი მნიშვნელობით, ქართველი გლეხი უფრო მეტ მოგებას იღებს რუსეთის, ვიდრე ევროკავშირის ბაზრისგან.

2016 წლის არჩევნების დროს პატრიოტთა ალიანსი ოფიციალურად ეთანხმებოდა ევროკავშირში გაწევრიანებას. პარტიის წევრი აღნიშნავდა, რომ ისინი რა თქმა უნდა

[33] საქართველომ ევროზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა 2017 წლის თებერვლიდან მიიღო.

ემხრობოდენ ევროკავშირის წევრობას, მაგრამ მათ ევროპისგან ის ტექნოლოგიები უნდოდათ, რომელიც ადგილობრივ წარმოებებს შექმნიდა (ოთარაშვილი, 2016). ამ განცხადებაში ადგილი აქვს დათქმას, კერძოდ, წინადადება იწყება „ჩვენ, რა თქმა უნდა“, თუ რატომ სურს პარტიას ევროკავშირშთან დაახლოება. შემდეგ ნახსნებია სიტყვა „მაგრამ“, რაც რეალურად ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს, ხოლო ევროკავშირის სხვა მიმართულებების სარგებელი არ არის ნახსენები (მაგ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, სასამართლო სისტემის განვითარება, ადამიანთა უფლებების დაცვა და ა.შ).

თავისუფალი საქართველოს ლიდერისთვის (კუკავა, 2020) ცხადი იყო, რომ რუსეთს თავისი ინტერესები ჰქონდა კავკასიაში. რუსული ბაზები საქართველოში მას მერე გაჩნდა, რაც საქართველომ ნატოში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა. ის ჟურნალისტს ეკითხებოდა თანმიმდევრობა პირიქით, ხომ არ იყო? რაზეც ჟურნალისტი პასუხობდა, ერთი იყო რომ გაჩნდა, მაგრამ 2008 წლის მერე ის ერთმნიშვნელოვნად გაიზარდა. რაზეც კუკავა დაეთანხმა და განაცხადა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას არ ადარდებდა ოკუპირებული ტერიტორიები, ხოლო რუსეთს მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა. მისი თქმით, არასწორი იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების მეორე დღესვე ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის კრეისერები სოხუმთან გამოჩნდებოდნენ. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, ნატოში გაწევრიანება რომც მოხდეს, ეს გამოიწვევს ოკუპირებული ტერიტორიების დაკარგვას, რადგან ნატო არ იომებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, შესაბამისად აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს იურისდიქციის მიღმა აღმოჩნდებიან. ამასთან ერთად, მიზეზ-შედგობრივი კავშირი წარმოდგენილია ისე, რომ რუსული ბაზები საქართველოში მას მერე გაჩნდა, რაც ქვეყანამ ნატოში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა. ამიტომ ჯობს რუსეთთან მოლაპარაკება. კუკავა (2020) აღნიშნავდა, რომ მართალია რუსეთი არ წაიღებს უკან აღიარებას, მაგრამ არსებობს პრაქტიკული და თეორული ფორმა, რომლის მიხედვითაც შეიძლება რუსეთმა სცნოს ოკუპირებული ტერიტორიების მიერ „ნებაყოფლობით“ მიღებული გადაწყვეტილება რომლითაც აფხაზეთი და სამაჩაბლო ფედერალურ შეთანხმებას დადებენ საქართველოსთან. ხდება სასურველის შესაძლებლად წარმოჩენა (მას მოჰყავდა ავსტრიის მაგალითი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ). ერთ-ერთ განცხადებაში, პარტია საკუთარ ხედვებს

საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართულებით მკვეთრად არალიბერალურს უწოდებდა. პოლიტიკური ძალა ეწინააღმდეგებოდა თავსმოხვეულ ლიბერალურ დიქტატს და ხაზს უსვამდა, რომ ქვეყანა არ უნდა ყოფილიყო „რომელიმე სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის მეორეხარისხოვანი დანამატი“ (კახაა კუკავა..., 2020). აქტორთა ნეგატიური აღწერა, საქართველო ნატოსთვის იქნება მხოლოდ მეორეხარისხოვანი დანამატი, შესაბამისად მისი თავისუფლება და თავდაცვისუნარიანობაც ეჭვის ქვეშ იქნება. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, ქვეყანას ლიბერალური პოლიტიკური ელიტა ჰყავს, რომლესაც გარედან მართავენ.

ნატოს წინააღმდეგ არის მიმართული პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ნარატივები, რომელიც ნაციონალსტური/ნატივისტური დისკურსის ნაწილია. ძირითადად, ნაციონალისტურ და ნატივისტურ აქტორებს საკუთარ პოლიტიკას არალიბერალურად განიხილავენ. მათ სურთ წარმოჩნდენ, რომ ემხრობიან ევროპას და მისკენ სწრაფვას, მაგრამ ეწინააღმდეგებიან ლიბერალურ იდეოლოგიას და ხედვებს. ამით მათ სურთ თავიდან აიცილონ პრორუსული, ანტიდასავლური, ულტრამემარჯვენე ან ქსენოფობიურის ორაგანიზაციების იმიჯი. ხელისუფლების (ზოგადად ელიტის) წინააღმდეგ გამოიყენება პოპულისტური დისკურსი. აღნიშნულია, რომ ხელისუფლებისთვის უფრო მნიშვნელოვანი საკუთარი ინტერესები და ნატოში გაწევრიანება, ვიდრე ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება.

ლეიბორისტული პარტიის თავჯდომარის თანახმად, ის ჯერ კიდევ 90-იან წლებში აცხადებდა, რომ ქვეყანას ნატოში არ მიიღებდნენ, რადგან ეს ორგანიზაცია, მსოფლიო ომის თავიდან არიდების მიზეზით, საკუთარ შემადგენლობაში კონფლიქტის მქონე ქვეყანას არ მიიღებდა. საქართველოს ნატოს ასპირანტობასთან დაკავშირებით შეკითხვაზე ნათელაშვილმა (ლეიბორისტული პარტიის წარდგენა..., 2016) აღნიშნა, რომ საქართველო ვერ იქნებოდა ვერცერთი ორგანიზაციის ასპირანტი, რადგან ის მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. საქართველო აღიარებული იყო როგორც ქრისტიანობის ბასტიონი სახელმწიფო აღმოსავლეთში ევროპელი ექსპერტების მიერ, რომლებიც საქართველოს მიაწერდნენ ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიის შეჩერებას ცენტრალურ ევროპაშიც.

აღნიშნული მოწოდება ნაციონალისტურია. ნათელაშვილი აპელირებს საქართველოს ქრისტიანობაზე და ისტორიაზე. იკვეთება აქტორთა ნეგატიური აღწერა თურქეთის იმპერიის ხსენებით. განცხადებაში ჩანს ალოგიკური თანმიმდევრობა და ყურადღების გადატანის მცდელობა. შემდგომში პოლიტიკოსმა ახსენა, რომ საქართველოს გარშემო სახიფათო ალიანსი ყალიბდებოდა რუსეთს, თურქეთსა და ირანს შორის, რაც სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენდა ქვეყნისთვის და ამის თავიდან ასარიდებლად აშშ-სთან თავდაცვის შეთანხმება უნდა გაფორმებულიყო (ლეიბორისტული პარტიის წარდგენა..., 2016).

თურქეთის შესახებ ნათელაშვილი (ლეიბორისტული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020) აცხადებდა, რომ ყარაბაღის ომი 2020-ში „გადარეული“ ერდოღანის დაწყებული იყო და მას შუა აზიაშიც სურდა პანთურქული იდეის განხორციელება, სამხედრო ძალების შექმნით, რაც საქართველოს მძიმე ვითარებაში აგდებდა. აქ ვხედავთ, ნათელაშვილისთვის დამახასიათებელი მოვლენების აღწერას. ამ განცხადებაში არაერთი დაუზუსტებელი ფაქტია, რაც ნათელაშვილს სურს რეალობად წარმოაჩინოს (განსაკუთრებით თურქეთის შუა აზიაში გაჭრასთან დაკავშირებით). ეს და ზემოთ ხსენებული გზავნილები ანტითურქული დისკურსის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც თურქეთის როგორც ისტორიული მტერის სენტიმენტებზე აპელირების მცდელობაა.[34]

ლეიბორისტული პარტია აცხადებდა, რომ ივანიშვილს დიდი ფინანსური რესურსები აქვს და ამით ის პოლიტიკურ ველზე დისბალანსს ქმნიდა. ივანიშვილი შეფასებული იყო, როგორც ყველაზე გამოკვეთილი პრორუსული მოთამაშე (პატრიოტთა ალიანსთან ერთად), რაზეც დასავლელი პარტნიორების განცხადებები მოწმობდა. პარტიის წევრს მოჰყავდა CIA-ს და დასავლეთის დაზვერვის ინფორმაცია, რომელიც მისი თქმით საკმაოდ სანდო იყო (ჩხარტიშვილი, 2020). საკუთარი პოზიციის გამყარების მიზნით დასავლური პოლიტიკოსების (ან ორგანიზაციების) პოზიციების დამოწმებას ქართულ პოლიტიკაში ხშირად მიმართავენ.

[34] საგარეო პოლიტიკის კუთხით, ლეიბორისტულ პარტიას ასევე გააჩნდა, გზავნილები აზერბაიჯანის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომ დავით-გარეჯი ოკუპირებულია და ალიევი ოკუპანტი იყო. მისი თქმით, ეს ტერიტორია ივანიშვილმა მიჰყიდა ალიევს საკუთარი ბიზნეს ინტერესების გამო. მან იქვე დაამატა, რომ ქართველები და აზერბაიჯანელები ძმები იყვნენ და ეს საკითხი მშვიდობიანად და მეგობრულად უნდა გადაწყვეტილიყო (საქართველოს ლეიბორისტული პარტია - საქართველო ირჩევს, 2020).

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პროდასავლური განცხადებებისა, ლეიბორისტული პარტია არათანმიმდევრული პოზიციებით გამოირჩეოდა. მათ შორის, საგარეო პოლიტიკური კუთხით. მათ საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების განლაგება სურდათ, მაგრამ ამავდროულად, ნატოს წევრობა არარეალისტურად მიაჩნდათ (ლეიბორისტული პარტიის პროგრამა, 2020).

ნათელაშვილი (ლეიბორისტული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020) ამბობდა, რომ დასავლეთშიც (ევროკავშირში) არაერთ შეცდომას უშვებდნენ და მათი დასკვნები ჭეშმარიტებად არ უნდა ვაღიაროთ. ლეიბორისტული პარტიის წევრები, კონტექსტიდან გამომდინარე ხშირად ოპორტუნიზმს მიმართავდნენ და საკუთარ პოზიციებს ცვლიდნენ.[35] პარტიის თავჯდომარე ასევე აცხადებდა, რომ მათ უნდა დაესრულებინათ პუტინისტური რეჟიმი საქართველოში და მოეხდინათ ქვეყნის დეოკუპაცია; ვარდების რევოლუცია ივანიშვილის დაფინანსებული იყო, ხოლო მას მხარს უჭერდა „საქართველოს სისხლისმღვრელი მტერი პუტინი მაშინ და დარეხვილი პატარა ბუში“ ... რა თქმა უნდა ეს იყო ალიანსი. შემდეგ ის აფინანსებდა სააკაშვილს, ეს არის ვერაგი და სისხლიანი კაცი, რომლის მიზანია, რომ საქართველოში მბრძანებლობდეს და ბატონობდეს თვითონ“ (ლეიბორისტული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020). ლეიბორისტული პარტიის ლიდერი აქტორთა ნეგატიური შეფასების კუთხით, მრავალ ეპიტეთს მიმართავდა, მათ შორის, „სისხლისმღვრელი“, „დარეხვილი“, „ვერაგი“ და ყველას მიმართ აკეთებდა ნეგატიურ განცხადებებს.[36]

ლეიბორისტულ პარტიას მიაჩნდა, რომ საქართველოს გარშემო რეგიონში, არ იყო სახარბიელო ვითარება და შესაბამისად, საჭირო იყო სახელმწიფოს თავდაცვა არალეგალური მიგრაციისგან. მათ პროგრამაში გაჟღერდა შემდეგი გზავნილი, რომ კანონმდებლობის

[35] პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი (28.03.2023) მიიჩნევდა, რომ ოპორტუნისტები იყენებენ როგორც პოპულიზმს ასევე ნაციონალიზმს, რომელიც არის მათი წინმდგომი ცვლადი.

[36] ნათელაშვილი საპატრიარქოს კრიტიკასაც არ ერიდებოდა, ის ამბობდა, რომ ის იცავდა პატრიარქს, ადრე როდესაც უცხოეთიდან მიღებული გრანტებით, უამრავი სექტა თავსდაესხა საპატრიარქოს მან დაიცვა ეს ინსტიტუტი დაშლისგან. თუმცა მას მერე რაც დაიწყო სამღვდელოების „გაჯიპიანება“ და ძალიან ბევრი მეუფე გამდიდრდა, მან ამოიღო ხმა (ლეიბორისტული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020). ამ განცხადებიდან იკვეთება, რომ ლეიბორისტული პარტია არათანმიმდევრული პოზიციებით, ე.წ „ხტუნაობით“ (leapfrogging) გამოირჩევა, მათ შორის, დასავლეთთან დაკავშირებით. საკუთარი შეხედულებების ცვლილებას ნათელაშვილი თანამშრომლობის პრაგმატული ინტერესით ხსნიდა (იხილეთ: ლეიბორისტული პარტიის წარდგენა..., 2016).

მეშვეობით, უნდა შეზღუდულიყო იმიგრაცია, რათა საქართველო მიგრანტთა ტალღებს არ წაელეკათ. ეკონომიკის განვითარების შედეგად იმიგრანტების მატების საშიშროება იზრდებოდა. შესაბამისად, პრიორიტეტებს შორის იყო, ქართული შრომითი ბაზრის დაცვა უცხოელი მშრომელებისგან (ლეიბორისტული პარტიის პროგრამა, 2016, 7). 2020 წლის არჩევნებისთვის აღნიშნული იყო, რომ მკაცრად გაკონტროლდებოდა უცხოელების მასობრივი ექსპანსიონისტური გადმოსახლება საქართველოში (ლეიბორისტული პარტიის პროგრამა, 2020). ვხვდებით „მიგრანტთა ტალღების“ მეტაფორას, რომელიც თუ არ შეჩერდება ქვეყანას წალეკავს. მეტაფორის მიზანია, ნეგატიური ასოციაცია გამოიწვიოს ამომრჩეველში, რომელიც ქვეყნის დაპყრობასა და ხალხის „დახრჩობასთან“ შეიძლება ასოცირდეს. ასეთი ტიპის განცხადებებს დასავლეთშიც ვხვდებით, ნაციონალურ-პოპულისტური ძალების მხრიდან (გოგსაძე, 2022, 24).[37] ეს საფრთხის ტოპოსის მაგალითს წარმოადგენს. ხდება ქართველთა, როგორც შიდა ჯგუფის და იმიგრანტების როგორც „სხვების“ კონსტრუქცია. ქმედების აღწერილობის დონე - გამოყნებულია, სიტყვა (მასობრივ) „ექსპანსიონისტური“, რომლის მიზანია იმიგრაცია დაპყრობასა და ანექსიასთან დააკავშიროს.

ლეიბორისტული პარტიის ეს მოწოდება ძირითადად ნაციონალისტური/ნატივისტური შინაარსიის არის და იმიგრანტების წინააღმდეგ არის მიმართული. ის უფრო ანტიისლამური ნაციონალიზმის ნაწილია, რომელსაც ასევე ვხვდებით საქართველოში. ის უფრო ანტიისლამური ნაციონალიზმის ნაწილია, რომელსაც ასევე ვხვდებით საქართველოში. პოპულისტური განზომილება ვლინდება, მაშინ როდესაც პოლიტიკურ ელიტას/ხელისუფლებას ბრალდება, რომ ის ამ საკითხს ყურადღებას არ აქცევს და მოსახლეობის უმრავლესობის, ანუ ეთნიკური ქართველების მხარეს არ დგას (გოგსაძე, 2022, 25). როგორც დე კლინმა აღნიშნა, მემარცხენე პოპულიზმი ასევე ორიენტირებულია ეროვნულ იდენტობაზე და ერის სიამაყეზე. ის ცდილობს ეკონომიკურ პოლიტიკაზე ეროვნული

[37] მეტაფორის მსგავსი მაგალითი მოჰყავს თოინ ვან დაიკს მის სტატიაში „იდეოლოგია და დისკურსი“, სადაც ის აღნიშნავს, რომ მეტაფორები აბსტრაქტულ ცნებებს ადამიანების კონკრეტულ გამოცდილებასთან აკავშირებენ. ასეთ შემთხვევებში, შეიძლება აქცენტი კეთდებოდეს უარყოფით ან დადებით გრძნობებზე და მოსაზრებებზე. მიგრანტების ტალღებზე საუბრით ჩნდება ასოციაცია, რომ ადამიანი შეიძლება დაიხრჩოს (Van Dijk, 2006, 187).

სუვერენიტეტი გაავრცელოს ანუ ამ შემთხვევაში პოპულისტური დისკურსი ნაციონალისტურ დისკურსებთან არის გაერთიანებული.

იმიგრაციის შეზღუდვას ითხოვდა „თავისუფალი საქართველო“. პარტიის თავმჯდომარის, განცხადებით, აუცილებელი იყო „ნებისმიერი ტიპის მიგრანტების შემოდინების“ შეზღუდვა ქვეყანაში, კონკრეტულად, შრომითი მიგრაციის. ავტომაგისტრალის მშენებლობაზე დასაქმებულნი იყვნენ ჩინელი მუშები, ხოლო ქართულ ქალაქებში მცხოვრები უმუშევარი მოქალაქეები ევროპის ქვეყნებში მიდიოდნენ სამსახურის საშოვნელად (კახა კუკავა..., 2020). საქართველოს მოსახლეობის კლების პარალელურად გაიზარდა იმიგრანტების რიცხვი: „ყოველივე ამას ემატება იმიგრანტების მზარდი ნაკადი, რომელსაც განსაკუთრებით ფართოდ კარი ივანიშვილის ხელისუფლებამ გაუღო ყოველწლიურად იუსტიციის სამინისტრო 50 000-მდე მოწმობას გასცემს ძირითადად აზიის ქვეყნებიდან (ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, საუდის არაბეთი და თურქეთი) ჩამოსულ მიგრანტებზე“ (თავისუფალი საქართველოს პროგრამა, 2020, 12-13). პროგრამა აფრთხილებს ამომრჩევლებს, რომ ექსპერტების შეფასებით, 21-ე საუკუნის 50-იანი წლებისთვის საქართველოში ეთნიკურად ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდებიან.

ზემოთ აღნიშნული მოწოდებებიდან უნდა გამოიყოს შემდეგი საკითხები, ხაზგასმულია, რომ ხდება „ნებისმიერი ტიპის მიგრანტების შემოდინება“. აღნიშნული პოლიტიკის გატარება საქართველოს ხელისუფლებას (განსაკუთრებით ქართული ოცნებას) ბრალდებათ. განცხადება ზოგადია, თუმცა შემდეგ ის ცდილობს ამომრჩევლის დაშინებას, რაც კონკრეტული ციფრების მოყვანით ხდება. ნეგატიური ასოციაციების აღძვრის მიზნით, ჩამოთვლილია ის სახელმწიფოები (მაგ., ჩინეთი, რაც აჩენს ერთგვარ ეფექტს, რომ ქვეყანა ჩინელებით „ივსება“), რომლებიც გამოირჩევიან მოსახლეობის სიდიდით და განსხვავებული რელიგიური მრწამსის (რაც უცხოელთა „შემოსევის“ ასოციაციის გამოსაწვევად ხორციელდება) ქვეყნები არიან. შესაბამისად, იმიგრაციის შეზღუდვის მიზეზი საქართველოს დაპყრობის ან ქართველთა უმცირესობაში აღმოჩენის არგუმენტია (გოგსაძე, 2022, 26).

ზემოთ აღნიშნული ანტიიმიგრანტული გზავნილები ნაციონალისტური (ნატივისტური) დისკურსების ნაწილია. „საქართველო ქართველებისთვის“ საკმაოდ გავრცელებული

გზავნილი იყო ეროვნული მოძრაობის დროს. ამასთან ერთად, ამ გზავნილმა სახე შეიცვალა და ამჟამად მისი სამიზნე არა ეთნიკური უმცირესობები, არამედ იმიგრანტები არიან. აშკარაა, რომ შეიცვალა ქართული ნატივისტური აქტორების სამიზნე.[38] პოპულისტური განზომილება იკვეთება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლებას უცხოელების ჩამოსახლებისა და დასაქმების ხელშეწყობა, ხოლო, ამის საპირისპიროდ ქართველების შრომათმოწყობისთვის არაფერს აკეთებს და ეს უკანასკნელები ქვეყნიდან გარბიან. პოპულისტურ დისკურსს სამიზნეში ამოღებული ყავს ლიბერალური პოლიტიკური ხელისუფლება (ელიტა), რომელიც არ არის ეროვნული ღირებულებების მატარებელი და ახალისებს უცხოელთა საქართველოში დამკვიდრებას (გოგსაძე, 2022).

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს კახა კუკავა (თავისუფალი საქართველო - საქართველო ირჩევს 2020) შემდეგ რამეს აღნიშნავდა:

> ჩვენს პარტიას ხშირად უსამართლოდ, რა თქმა უნდა, ქსენოფობიას და სხვა მსგავს ბრალდებებს უყენებენ, ეს არის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და იმიგრაციის შეზღუდვა. ჩვენ გამოვდივართ ღიად, ისევე როგორც ეს არის ევროპის ბევრ ქვეყანაში, რომ იმიგრაცია უნდა იყოს შეზღდული, განსაკუთრებით შრომითი იმიგრაცია! მგონია, რომ ძალიან არანორმალური არის, როდესაც მაგალითად ცენტრალურ ავტომაგისტრალს ქართული ბიუჯეტის ფულით აშენებენ სხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილი მიგრანტი მუშები, კონკრეტულად ჩინელები, შეგიძლიათ ნახოთ, ორი წუთი გააჩეროთ მანქანა დარწმუნდებით ამაში.

კუკავა მოითხოვდა, რომ ყოველივე ეს უნდა აკრძალულიყო და ქვეყანაში სამუშაო ადგილები, ევროპის მსგავსად, საქართველოს მოქალაქეებისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ერთ-ერთი ჟურნალისტი მას უმტკიცებს, რომ მისი განცხადებები არის ქსენოფობიური (და მაგალითად მოიყვანა მედიის განვითარების ფონდის 2018 წლის კვლევა და კლიპების დაბლოკვა ტელევიზიების მიერ) და მიიჩნევდა თუ არა, რომ მას საქართველოში

[38] მთავარი თავდასხმის ობიექტი იმიგრანტები არიან და შესაბამისად, ეროვნული უმცირესობები მათზე მაღლა დგანან, მაგრამ ყველასთან შედარებით, უპირატესობა მაინც, ეთნიკურ უმრავლესობას უნდა ენიჭებოდეს.

ეთნიკური უმცირესობები დაუჭერდნენ მხარს (თავისუფალი საქართველო - საქართველო ირჩევს, 2020). კუკავამ უპასუხა, რომ ამ შეკითხვის ფორმულირებიდან ჩანს ყველა ბრალდებების ხასიათი, მაგრამ არ არის განმტკიცებული კონკრეტული მტკიცებულებებით. მან დაამატა, რომ მათ ყველა ტელევიზიას მოუგეს პროცესი, რომელმაც მათ კლიპები დაუბლოკეს, რადგან მათ გადაწყვეტილებები არ იყო კანონის შესაბამისი. ის მედიის განვითარების ფონდის ლიდერზე ამბობდა, რომ ის ასოცირებული იყო ყოფილ ხელისუფლებასთან და დასანახად ვერ იტანდა კუკავას, ამიტომ ის ქსენოფობიას დააბრალებდა. მან კითხა ჟურნალისტს, თუ მისი რომელი განცხადება მიაჩნდა ქსენოფობიურად, რაზეც ჟურნალისტმა უპასუხა რომ მისი განცხადება დღევანდელ გადაცემაში ჩინელებზე იყო ქსენოფობიური. რაზეც კუკავამ მიუგო, რომ ქსენოფობი ყოფილა გერმანიის კანცლერი და ტრამპიც, რომლებიც ზღუდავენ იმიგრაციას. ამაზე ჟურნალისტმა თქვა, რომ ყველა თანხმდება, რომ ტრამპი ქსენოფობი და ჰომოფობია. რაზეც კუკავამ შემდეგნაირად უპასუხა: „ა, მაშინ, თუ დონალდ ტრამპის კლუბში ვარ, მაშინ მეც ასე ვთქვათ, არ ვაპროტესტებ ამას, ვიქნები, არც ვმალავთ ჩვენ, რომ ჩვენი ფილოსოფია და ხედვები ტრამპის ფილოსოფიასთან ძალიან ახლო არის!“ (თავისუფალი საქართველო - საქართველო ირჩევს, 2020). ტრამპი არ იყო ქსენოფობი, რადგან სურდა ამერიკელის დაასაქმება ამერიკაში, როგორც მას სურდა ქართველის დაასაქმება და არა ჩინელის. შემდეგ კუკავა ხაზსუსვამდა, რომ ქსენოფობიური იქნებოდა, თუ იგი იტყოდა მაგალითად „წვრილთვალება ჩინელი“, რასაც ის არ ამბობდა და შესაბამისად, მისი განცხადება არ წარმოადგენდა ქსენოფობიას (თავისუფალი საქართველო - საქართველო ირჩევს, 2020).

პარტიის ლიდერის განცხადებებში ხაზგასმულია, რომ გზების მშენებლობა საქართველოს ბიუჯეტიდან ხდება. ამის მიზანია, ქართველებისთვის სამუშაოს ადგილების წართმევა უცხოელების მხრიდან. კუკავა იყენებს უარყოფას, რომ მათ პარტიას ქსენოფობია ბრალდება, რაც არ შეესაბამება სიმართლეს და ის მხოლოდ ცდილობს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. პარტიის იდეოლოგიის თანახმად ისინი ევროპული პრეცედენტით ხელმძღვანელობენ, შესაბამისად ხდება ევროპის (ან დასავლეთის) დამოწმება საკუთარი პოზიციების გასამართლებლად, რაც დამახასიათებელია ნატივისტი აქტორებისთვის, იმ მიზნით, რომ მათ ქსენოფობია არ დაბრალდეთ. შესაბამისად, ტრამპის პოლიტიკის

მხარდაჭერა და მასთან ასოცირება მათ აძლევს საშუალებას, რომ ხაზი გაუსვან საკუთარ კავშირს დასავლეთთან და იმავდროულად უარყონ ლიბერალური-დემოკრატიების მნიშვნელოვანი ფასეულობები (ადამიანის უფლებების დაცვა). ის ამავდროულად იქით უყენებს ბრალდებას ჟურნალისტს, რომ მას არ აქვს არავითარი მტკიცებულება. პიროვნულ თავდასხმას აქვს ადგილი მედიის განვითარების ფონდის თავჯდომარესთან მიმართებით; მისი ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირება, განზრახულია მხარდამჭერებისთვის, რომ ეს პარტია ლიბერალური იდეოლოგიის მქონეა და არ გააჩნია ქართული ტრადიციებისადმი პატივისცემა, ამდენად, მათთან დაკავშირებულ ადამიანებს ეზიზღებათ კუკავა და ეროვნულ-კონსერვატიული ძალები. განცხადება პოპულიზმის ელემენტებს შეიცავს, რადგან მიმართულია ყოფილი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ნაციონალ-პოპულისტების (და ნატივისტების) ხშირი სამიზნეა; გარდა ამისა, როგორც სხვა მოწოდებებიდან გამოჩნდა, იმიგრაციის ზრდა არსებულ პოლტიკურ ელიტას ბრალდებოდა. ქმედების აღწერა - ნარატივებს შორის არის „ქვეყანა ჩინელებით გაივსო“, რადგან მათი დანახვა გზაზე ყველგან არის შესაძლებელი. ხდება საფრთხის ტოპოსის გამოყენება, რომ ჩინეთიდან ჩამოსული მუშახელი ქართველს უმუშევრად ტოვებს. ქართული ნატივიზმის სამიზნე იმიგრანტები არიან, ძირითადად მუსულმანური ქვეყნებიდან, ასევე ინდოეთიდან, ჩინეთიდან და აფრიკიდან ჩამოსული პირები.

ქართული მარში ისეთივე არგუმენტებს ეყრდნობოდა, როგორც „თავისუფალი საქართველო“. მათ შემთხვევაშიც, საუბარი იყო ჩინელ და არაბ მიგრანტებზე, რაც ასევე უარყოფითი ასოციაციის გამოსაწვევად ხდებოდა (ბრეგაძე, „ინგა გრიგოლიას საარჩევნო რეაქცია“, 2020). პარტიის ერთ-ერთი წევრი აცხადებდა: „ახლა როდესაც მოღებულია საზღვრები, ოღონდ აქედან გაყარონ ქართველები და აქ ჩამოასახლონ უცხოელები ვის რაში სჭირდება ეს, რომ ქართველებად აღიზარდონ ჩვენი შვილები (არჩევნები 2020b). აშკარაა ქსენოფობიური განწყობები იმიგრანტების მიმართ, რაც დამახასიათებელია ნატივისტური შეხედულებების მქონე პარტიებისთვის. ნაგულისხმევი მნიშვნელობის მიხედვით, „საზღვრების მოღება“ ხელისუფლებას ბრალდება, რათა ეთნიკურმა ქართველებმა საქართველო დატოვონ, შესაბამისად, ნატივიზმთან ერთად იკვეთება პოპულისტური

გზავნილები. აქაც ვხვდებით მეტაფორას, რადგან საზღვარი მოიშალა, ქვეყანა დაუცველია და უცხოელები ქვეყანას შემოესიენ.

ქართული ოცნებას და ნაციონალურ მოძრაობას კოჰაბიტაციაში ადანაშაულებდა აბრალებდა ქართული მარშის ლიდერი, რომელიც ჯორჯ სოროსის შუამავლობით ხდებოდა. „სოროსი“, რომელშიც გლობალური, ლიბერალური და მასონური ძალები შეიძლება მოვიაზროთ, აკონტროლებს ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას,[39] რომელიც მისი მარიონეტია. ძირითადი აქცენტი კეთდება გლობალურ ლიბერალურ ძალებზე, რომლებიც ქართველი ხალხის სუვერენიტეტს ზღუდავენ. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში არაერთი ევროსკეპტიკური პოპულისტური პარტია აპელირებს ქვეყნის სუვერენიტეტით, რომელსაც მათ (ძირითადად) ევროკავშირი უზღუდავს. ასეთ განცხადებები, უფრო ნაციონალისტური ფასეულობების მატარებელია, ვიდრე პოპულისტურის. აპელირება ხდება ერის სუვერენიტეტზე, რომელსაც გააჩნია „შიდა/გარე“ ჰორიზონტალური მიმართება. საქართველოს შემთხვევაშიც, მსგავსი განცხადებები ანტიდასავლურ ნაციონალისტურ დისკურსებს წარმოადგენს, ხოლო ელიტის წინააღმდეგ მიმართული გზავნილები ანტილიბერალური დისკურსების ნაწილია, სადაც ქართველი ხალხი წარმოდგენილია, როგორც ლიბერალური ელიტის და მათი უცხოელი „პატრონების“ ჩაგვრის სუბიექტი.

2020 წელს ქართული იდეა საქართველოს ხელისუფლებას უწოდებდა უღვთოს, ხოლო მედია ეკლესიის დისკრედიტაციას აბრალებდა. ამ პარტიის აზრით, საქართველოს მართავდნენ გარე, დასავლური იდეოლოგიით და ბნელი სატანური ძალებით. ქვეყანაში დაკანონებული იყო ათი მცნების საპირისპირო მძიმე ცოდვები (ფალავანდიშვილი, ქართული იდეის პრეზენტაცია, 2020).[40] პარტიის წევრის გზავნილებში უარყოფილია სეკულარიზმის პრინციპები, შესაბამისად მოქმედი კანონები რელიგიურ კანონებთან თანხვედრაში უნდა

[39] თუმცა აღსანიშნავია, რომ „ქართულ მარში“ და მისი ლიდერი „ქართულ ოცნებაში“ მყოფ ყველა წევრს (განსაკუთრებით ე.წ „ძველ სახეებს“) კოჰაბიტაციის მომხრედ და ლიბერალური „სოროსული“ ელიტის წარმომადგენლად არ მიიჩნევდა (ბრეგაძე, „ინგა გრიგოლიას საარჩევნო რეაქცია“, 2020). შესაბამისად, ქართული მარშის შემთხვევაში ოპოზიციას ვხედავთ, ერთის მხრივ, „ჩვენ“ ქართული ტრადიციული ფასეულობების მქონე უბრალო ხალხსა და მისი ნების წარმომდგენლებს და მეორეს მხრივ, ლიბერალური, კოსმოპოლიტური და გლობალური („სხვა“) ინტერესების გამტარებელ ძალებს შორის.

[40] აღსანიშნავია, რომ პარტიამ პარლამენტის კანდიდატებები რიყეზე, ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს, წარადგინა, რომლებიც ჩოხებში იყვნენ შემოსილნი. ამ ქმედების და საჯარო მიმართვის მიზანი ქართველების და მათ შორის, „ქართული იდეის“ მიერ ქრისტიანობისთვის თავდადების მზადყოფნა გახლდათ (გოგსაძე, 2022).

იყოს. ნაციონალისტური და ნატივისტური პარტიები ხშირად მიმართავენ რელიგიურ-პოპულისტურ ნარატივებს.[41] ვხვდებით აქტორთა მკვეთრად ნეგატიურ აღწერას, სადაც დასავლეთი წარმოდგენილია, როგორც გარყვნილების გავრცელების კერა, რაც ჰომოსექსუალიზმის მხარდაჭერით დასტურდება, ხოლო ქართული პოლიტიკური ელიტა მათი მარიონეტები და მოღალატეები არიან. დისკურსი მანიქეურია, სადაც სახელმწიფოსა და მედიას ზურგს უმაგრებენ ზემოთ ნახსნები დასავლური ძალები, ასევე უპირისპირდებიან რთულ მდგომარეობაში მყოფ ქართულ მართმადიდებლურ ეკლესიას და მის მრევლს (გოგსაძე, 2022, 29). ვხვდებით საფრთხის ტოპოსის გამოყენებას, რომ დასავლეთს სურს ქართული ტრადიციების განადგურება. ასევე, გამოიყენებულია ხელისუფლების ტოპოსი (მაგ., რელიგიური კანონები და წესები მთლიანად უგულვებელყოფილია).

აღნიშნული უკავშირდება „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის“ დისკურსს, რომელიც საქართველოს წარმოადგენს, როგორც უძველეს მართმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანას. ძირითადი გზავნილი ნატივისტურია, რადგან პარტია ქართველი ხალხის სახელით საუბრობს სხვა („დასავლეთის“) და ყურადღებას ამახვილებს ქართველების ფასეულობების დაცვაზე, რომელსაც მომავალში დიდი საფრთხე ემუქრება დასავლური ძალების „მარიონეტი“ ხელისუფლების მხრიდან.

მოცემული მაგალითიდან იკვეთება, რომ ნაციონალურ-პოპულისტურ დისკურსებში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ნაციონალისტურ განზომილებაზე. ამასთან, მათი არტიკულირება პოპულისტური ნარატივების მეშვეობით ხდება: ქართველი ხალხი (რომელიც ეთნიკურად ქართველი და მართმადიდებელია) დაჩაგრულია, მეორეს მხრივ პოლიტიკური ელიტა კორუმპირებულია და ხალხის ინტერესებს არ გამოხატავს.

„თეთრები“ 2020 წელს საარჩევნოდ აცხადებდნენ, რომ მმართული ანტიქართული პარტიები და პოლიტიკოსები მოქალაქეებს ყალბ რეალობაში აცხოვრებდნენ, რადგან ისინი ემებენ უცხოელ პატრონებს და არა მეგობრებს და ამომრჩეველს ამ პოლიტიკური ელიტის თავიდან მოშორებისგან მოუწოდებდა. მათი აზრით, ქვეყანას არა პოლიტიკოსები, არამედ ტექნოკრატები და ზნეობრივი ინტელექტუალები უნდა მართავდნენ (თეთრები, საარჩევნო

[41] 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართული იდეის სლოგანი „მრევლის ხმა პარლამენტში“ იყო.

პროგრამა 2020, 1). აქტორთა აღწერის კუთხით დასავლეთი წარმოდგენილია, როგორც „პატრონი“, რომელიც საქართველოსნაირ ქვეყნებს საკუთარი ინტერესისთვის იყენებს. დასავლეთი გაიგივებულია რუსეთთან. ეს უკანასკნელი კი თავის დროზე ქვეყნის „პატრონი“ იყო. მთლიანობაში აღნიშნული ნარატივი ანტიდასავლურია, ხოლო, პოპულისტური გზავნილები მიმართულია არსებული პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ, რადგან ის დამოკიდებულია დასავლეთზე ანუ მათი „მარიონეტია“ და ხალხს სიყალბეში ამყოფებს.

შაშიაშვილის (2020) განცხადებით, ვინც მამის სახელი და ეროვნება ამოიღო პირადობიდან, ისევე როგორც ეკლესიის შესახებ კანონის მხარდამჭერები პარლამენტარები მისი პარტიის სიაში ვერ მოხვდნენ. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, სოროსელებს, რომლებიც ლიბერალურ ელიტას წარმოადგენენ, ეროვნული იდენტობა არ გააჩნიათ და მართმადიდებელი ქართული ეკლესიის წინააღმდეგ იბრძვიან.

„ჩვენ ვპირდებით ხალხს, რომ ვუცხადებთ უკომპრომისო ბრძოლას სწორედ პოლიტიკურ მაფიას, კლანურ მმართველობას, უზნეო მდიდართა პარპაშს, უზნეო უმცირესობის ბატონობას ზნეობრივ უმრავლესობაზე“ (თეთრები, საარჩევნო პროგრამა 2020, 2). ამასთანავე, მტრად იყვნენ გამოცხადებულნი სოროსელ-მასონელთა წარმომადგენლები საქართველოში, რომელთაც პოლიტიკური ძალა უპირისპირდებოდა. პარტიის თავმჯდომარის, შაშიაშვილის (2020) თქმით, დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყანა სოროსელების ხელში აღმოჩნდა. ამჟამად, ცენტრალური ხელისუფლება მასონურ-სოროსულია, კერძოდ პარლამენტის 90% სოროსელები არიან, მათ შორის ნაციონალური მოძრაობიდან და ქართული ოცნებიდან. აღნიშნული იყო, რომ სოროსელ-მასონების ხელში საქართველო ვერ განვითარდებოდა. ეს პარტიები საზღვარგარეთიდან იყვნენ დაფინანსებულნი, მედია, არასამთავრობო სექტორი და პოლიტიკოსები კი ქვეყანაში „პარპაშობდნენ“ (თეთრები, საარჩევნო პროგორამა 2020, 2). სიტყვა „პარპაშობენ“ შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მეტაფორა, რაც ამომრჩეველში განუკითხაობისა და დაუცველობის განცდას აჩენს. წინამდებარე გზავნილი პოპულისტურია, სადაც ვლინდება მორალური უმრავლესობის დაპირისპირება უზნეო უმცირესობასთან. ხელისუფლება არალეგიტიმურია, რადგან ის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ მართავს ქვეყანას, მათ შორის, გლობალური სოროსულ-მასონური ძალების შემწეობით. იკვეთება ნაცონალისტური, ჰორიზონტალური, განზომილება, თუმცა არ არის

დაკონკრეტებული რომელიმე ქვეყანა. აღსანიშნავია, რომ სოროსულ-მასონურ ძალებში გლობალური კოსმოპოლიტური ელიტა იგულისხმება (გოგსაძე, 2022, 31). ხდება საფრთხის ტოპოსის გამოყენება, კერძოდ სოროსულ-მასონური ძალები საფრთხეს უქმნიან ქართულ ტრადიციებს და მათ არსებობას, რითაც მიუთითებს ლიბერალური ღირებულებების საშიშროებაზე. შესაბამისად, ამ მოწოდებაში იკითხება ქართული და ძირითადად გლობალური კოსმოპოლიტური ელიტის წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილი, რაც აგრეთვე, ნაციონალისტურ განზომილებას შეიცავს.

2.2 სექსუალური უმცირესობების უფლებების წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილები და დისკურსები[42]

მოცემულ ქვეთავში განხილულია იქნება სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ გამოყენებული დისკურსები. ამოცანაა იმის დადგენა, თუ რა პოპულისტურ დისკურსებს იყენებენ პოლიტიკური პარტიები სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ ნარატივებს, მსგავსად საგარეო-პოლიტიკური გზავნილებისა, ანტიდასავლური ნაციონალისტური/ნატივისტური დამოკიდებულების მქონე პოლიტიკური პარტიები იყენებენ. ეს პოპულისტური დისკურსები, რომელთა შინაარსი ასევე ნაციონალისტურია, პარტიების ხელში სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტის ფუნქციას იძენს.

2016 და 2020 წლებში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ თემებთან, რომლებსაც პოპულისტური დისკურსები მოიცავს. იმ პოლიტიკური პარტიებს შორის, რომლებიც აქტიურად მიმართავდნენ გზავნილებს სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ, იყვნენ: ქართული იდეა, ქართული მარში, თავისუფალი საქართველო, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, თავისუფალი საქართველო და მემარცხენე ალიანსი.

[42] აღნიშნული ქვეთავის ძირითადი ნაწილი გამოქვეყნდა ინგლისურენოვან სამეცნიერო ჟურნალში: European Journal of Transformation Studies (2023, Vol.11, N.1) სახელწოდებით: “Populism in Georgia: Discourses and Narratives Against Sexual Minorities in Parliamentary Elections (2016-2020)”.

ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად, გამოიყო შემდეგი კატეგორიები: „ლიბერასტები“, „სოროსულ-მასონური ხელისუფლება“.

2020 წლის პროგრამაში ანტიდისკრიმინაციული კანონის[43] გაუქმებას თითოჯერ ახსენებენ ქართული იდეა, ქართული მარში და ქართული დასი, თავისუფალი საქართველო (ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ უნდა მოხდეს მისი ცვლილება და ის უნდა მოვიდეს შესაბამისობაში კონსტიტუციურ ჩანაწერთან ტრადიციული ოჯახის და ქორწინების შესახებ). ქართული იდეა 6-ჯერ ახსენებს სიტყვა ლიბერალური/ლიბერასტები. ქართული მარში ახსენებს ლგბტ პროპაგანდის აკრძალვას, ჰომოსექსუალიზმისა და გარყვნილების პროპაგანდას, ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვას.[44]

პარტიების უმრავლესობა მათ შორის, ე.წ პროდასავლური პარტიებიც, სექსუალური უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს არ ეხება. 2020 წელს „ლელო“ აღნიშნავდა, რომ სექსუალური უმცირესობების გამოხატვის უფლება დაცული იქნებოდა და გაიზრდებოდა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის და დისკრიმინაციის ეფექტური რეაგირების მექანიზმები. თუმცა, მანამდე პარტიის თავჯდომარემ განაცხადა, რომ ის ეწინააღმდეგებოდა ერთსქესიანთა ქორწინებებს და სექსუალურ უმცირესობათა უფლებები კარგად იყო განსაზღვრული კონსტიტუციაში და თუ არსებობდა მათი უფლებების დარღვევის შემთხვევები, ეს უბრალოდ კანონის აღსრულების შედეგი იყო; ის ასევე მიიჩნევდა, რომ „უმცირესობამ უმრავლესობის უფლებები არ უნდა დაარღვიოს“ (ხაზარაძე ეკლესიის…, 2020). ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ამომრჩეველს პირდებოდა, რომ სრულად დაიცავდა გამოხატვის თავისუფლებას. ამ შემთხვევაშიც, არ არის კონკრეტულად ნახსენები ლგბტ უფლებები ან სექსუალური უმცირესობები (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პროგრამა 2020). ერთ-ერთი რესპოდენტის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა თავს ლიბერალურად მიიჩნევს, მას მაინც ეშინია კონსერვატიული მხარდამჭერების დაკარგვის და არ მუშაობს ლგბტ უფლებების დაცვაზე.

[43] 2014 წელს ანტიდისკრიმინაციული კანონის (მისი სრული სახელწოდებაა „კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“) მიღებამ აკრძალა სხვადასხვა ნიშნების მიხედვით დისკრიმინაცია (დათიშვილი, 2019).

[44] იხილეთ აღნიშნული პარტიების პროგრამები

თუმცა, ის ქართული ოცნებისგან განსხვავებით უმცირესობებს არ მოუწოდებს, რომ იქნებ სახლში დარჩენ ანუ გამოსვლები არ მოაწყონ (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 12.04.2023). 2020 წლისთვის სტრატეგია აღმაშენებელი აღნიშნავდა, რომ რადიკალური და ულტრამემარჯვენე ჯგუფების წინააღმდეგ უნდა გაძლიერდეს რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ არც მათთან სიტყვა სექსუალური უმცირესობა ან ლგბტ ჯგუფები არ არის ნახსენები. გაერთიანებული დემოკრატების პროგრამაში, აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფომ მოქალაქეებს, მიუხედავად მათი იდენტობისა უნდა შეუქმნას ცხოვრების ღირსეული პირობები და საზოგადოებაში ინტეგრაციაში უნდა დაეხმაროს (EECMD, 2020). პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტის (5.04.2023) აზრით, შეიძლება პარტიების უმრავლესობა სექსუალური უმცირესობების დისკრედიტაციას არ ახდენდეს, მაგრამ მათ მხარს არ უჭერს. ამ საკითხებისადმი დამოკიდებულება არა მარტო წინასაარჩევნო პერიოდში, არამედ პარტიების ზოგად რიტორიკაში და ქმედებაში ვლინდება.

სიღრმისეული ინტერვიუების დროს ექპსერტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ პროდასავლური პოლიტიკური პარტიები სექსუალური უმცირესობების თემებს ეხებიან, როდესაც აღნიშნავენ, რომ მათი დისკრიმინაცია მიუღებელია, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. მიიჩნევა, რომ საქართველოში ეს თემა არ არის მომგებიანი: „მათი დაცვა არ ითვლება მომგებიანად, თავდასხმა ითვლება“ (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 22.03.2023). NDI-ის 2018 წლის კვლევის თანახმად, 23 პროცენტისთვის სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი იყო, ხოლო 44 პროცენტისთვის უმნიშვნელო (დევაძე, 2018). სხვა რესპოდენტს მიაჩნდა, რომ პოლიტიკური პარტიები, მათ შორის, პროდასავლურები, სექსუალური უმცირესობების თემებს იმიტომ არ ეხებიან, რომ „პოპულიზმი მათშიც არის გამჯდარი“. მისი თქმით, პროდასავლური პოპულისტური რიტორიკის მაგალითია, როდესაც პარტიები გმობენ სექსუალურ უმცირესობებზე ძალადობას (მაგ., 2021 წლის 5 ივლისის მოვლენები), მაგრამ ამ განცხადებას არ მოჰყოლია დისკუსია, თუ როგორ უნდა იყოს დაცული უმცირესობათა უფლებები (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 29.03.2023).

უნდა აღინიშნოს, რომ გვხვდებოდა გამონაკლისებიც. 2016 წელს რესპუბლიკური პარტია აცხადებდა, რომ ლგბტ საზოგადოება მოწყვლადი სოციალური ჯგუფებია, რომლებიც დისკრიმინაციისა და სიძულვილის დანაშაულის მსხვერპლნი ხდებიან, შესაბამისად

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება სამართლიანი იქნებოდა (Usupashvili-Republicans, 2016). ევროპულ საქართველოს კონკრეტულად ჰყავს მოხსენიებული სექსუალური უმცირესობები, ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებთან ერთად. ისინი კანონის წინაშე ყველას თანასწორობას აღიარებენ და დისკრიმინაციის, ძალადობის და მისკენ მოწოდების შემთხვევების დასჯას და უმცირესობებისთვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობას მოითხოვდნენ (EECMD, 2020).

ანტიდისკრიმინაციული კანონი ნაციონალისტ-პოპულისტური და ანტი-ლიბერალური პარტიების/ჯგუფების სამიზნე გახდა, რადგან მათი თქმით ის „გარყვნილების პროპაგანდას“ აკანონებს. ამ კანონთან დაკავშირებით, მთავარი მოთხოვნაა მისი გაუქმება ან „სექსუალური ორიენტაციისა“ და „გენდერული იდენტობის“ ნიშნით თანასწორობის ჩანაწერის ამოღება (ფალავანდიშვილი, 2020). „თავისუფალი საქართველოს“ თანახმად, მართმადიდებლებისა და ჰომოსექსუალებისთვის უფლებები უნდა იყოს საერთო და არა განცალკევებული (კახა კუკავა..., 2020). ამ ტერმინების საფუძველზე, უბილწესი საძაგლობა დაკანონდა, როდესაც ჰომოსექსუალებს მიეცათ გეი მარშების ჩატარების, სკოლებში სწავლების და ტელევიზიებში მოწვევის უფლება. პარტიის წარმომადგენლები საძინებელში არავის არ დასდევენ, „მათ მოინდომეს ქუჩებში გამოსვლა და ჩვენი გამოსვლა მას შემდეგ დაიწყო“ (ფალავანდიშვილი, 2020). უმცირესობების თვითგამოხატვა პროპაგანდად არის მიჩნეული, რადგან სინამდვილეში საქართველოში მათ არავინ ერჩის. ანტიდისკრიმინაციული კანონის შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნა „დასავლეთი საკუთარი ცხოვრების წესს გვახვევს თავს“ დისკურსთან არის დაკავშირებული. გამოყენებულია ნაცვალსახელები „მათ“ და „ჩვენ“, რითაც ხაზი გაესვა მოსახლეობის უმრავლესობას და სექსუალურ უმცირესობას შორის განსხვავებას.

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, ქორწინება განისაზღვრა, როგორც კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30), რომელსაც მრავალი კონსერვატიული, ნაციონალისტური, პოპულისტური და ულტრა-მემარჯვენე პარტია/ჯგუფი აქტიურად მოითხოვდა. „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ აღნიშნავდა, რომ ერთსქესიანთა ქორწინებები არ არის ნორმალური და ამ კონსტიტუციურ ცვლილებებს (რომელსაც თავად დაუჭირეს მხარი პარლამენტში) თავდაცვად მიიჩნევდა (კონსერვატიული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020). ქართული ოცნების მიერ

კონსტიტუციაში პოზიტიური კუთხით ოჯახის განმარტების შეტანა ერთ-ერთ რესპოდენტს ანტი-ლგბტ საქმიანობის განხორციელებად მიაჩნდა; რადგან სექსუალური უმცირესობების უფლებების ხარჯზე განხორციელდა გარკვეული პოზიტიური დაპირებები (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 5.04.2023).

კუკავას (იმედი ტვ, 2020) თანახმად, თუ თავისუფალი საქართველო პარლამენტში მოხვდებოდა, მაშინ ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით მათ ის პოზიცია ექნებოდათ, რაც ქართველი ხალხის უმრავლესობას გააჩნია და არა ყველა სხვა პარტიის ერთიანი პოზიცია. ეს მოსაზრება პოპულისტურ გზავნილებს მოიცავს უმრავლესობის ნების და ელიტის ინტერესების შესახებ. თავისუფალი საქართველოსთვის სექსუალური უმცირესობები „სხვაა“, ადრე მათი უფლებები არ იზღუდებოდა, თუმცა ახლა ისინი ხელისუფლების მხარდაჭერითა და პრივილეგიებით სარგებლობენ. უმცირესობების თვითგამოხატვა პროპაგანდად ითვლება, რადგან საქართველოში მათ რეალურად არავინ ჩაგრავს. ლოკალური თანმიმდევრულობა მოითხოვს, რომ მათ ისეთივე უფლებები ჰქონდეთ, როგორც (ჰეტეროსექსუალ) მართლმადიდებელ უმრავლესობას. აქედან გამომდინარე, „სხვა“ ჯგუფების უფლებების შევიწროება „თანასწორობის პრინციპით“ არის გამართლებული. აღნიშნული განცხადება „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის“ დისკურსის ნაწილია.

პარტია „ზვიადის გზა - უფლის სახელით“ სააკაშვილის და შევარდნაძის მმართველობებს დამნაშავე რეჟიმებად მიიჩნევდა. ასევე აცხადებდა, რომ ფსევდოლიბერალური ძალები ცდილობდნენ ქვეყნისთვის თავს მოეხვიათ მიუღებელი ფასეულობები. აუცილებელი იყო მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება და ანტიდისკრიმინაციული კანონის შეცვლა. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, ჰომოსექსუალიზმი ქართველებისთვის მიუღებელია, რაც დასავლეთიდან მოდის. აღნიშნული „დასავლეთი საკუთარი ცხოვრების წესს გვახვევს“ დისკურსს უკავშირდება (ზვიადის გზა - უფლის სახელით, 2016).

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი აცხადებდა, რომ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში დამპყრობელს ჩაგრულის ნიღაბი ჰქონდა მორგებული, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვით სპეკულირებდა. მათ სურდათ, რომ ერთის მხრივ, არ დაჩაგრულიყო სექსუალური უმცირესობების უფლებები, ხოლო, მეორეს მხრივ, ემხრობოდნენ ამის უზრუნველმყოფი

კანონმდებლობის მიღებას. პარტიის თანახმად, ისინი, არა საკუთარი უფლებების დაცვას ცდილობენ, არამედ ჩვენ საკუთარი ცხოვრების წესს გვახვევდნენ; ეს ყოველივე სამშობლოზე, რწმენაზე, კულტურასა და ქართველობაზე უარის თქმას ნიშნავდა. ამასთან ერთად, შეიძლებოდა გამქრალიყო ქართველების აზროვნების წესი, რაც კაცის მიერ კაცობაზე, ხოლო მანდილოსანის მიერ მანდილზე უარის თქმაში გამოიხატებოდა (საქართველოს პატრიოტი, 2016, 8). წინამდებარე გზავნილი ნაციონალისტურია, რადგან ქართული წეს-ჩვეულებების არსებობას უკავშირდება. განსახილველი ნარატივი „დასავლეთი საკუთარ ცხოვრების წესს თავს გვახვევს“ დისკურსის ნაწილია. სექსუალური უმცირესობები „სხვა“ არის. თუმცა, ისინი ძირითადად ნაციონალისტური (ნატივისტური) დისკურსის ნაწილია, რომელიც მიმართულია დასავლეთის წინააღმდეგ, რადგან მას აქვს (დე კლინის თანახმად) ჰორიზონტალური „შიდა/გარე“ განზომილება. ნაგულისხმევი მნიშვნელობის მიხედვით, ქართული ელიტა სექსუალური უმცირესობების ინტერესებს იცავს და ჩაგრული „უმწიკვლო ხალხის“ ქართულ ტრადიციებს უგულვებელყოფს (გოგსაძე, 2022). ნაცვალსახელი „ისინი“ გამოიყენება სექსუალური უმცირესობების მიმართ, რომელიც გამიჯნულია „ჩვენ“ უმრავლესობისგან. მათ მოიხსენიებენ, როგორც „დამპყრობლებს“, რომლებიც ცდილობენ „ჩვენი ცხოვრების წესის“ განადგურებას, ამიტომ მათ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ. დე კლინის (2017, 446-447) თანახმად, პოპულიზმს ახასიათებს „ქვევით/ზევით“ ანტაგონიზმი (და განზომილება), რომელიც მოიცავს ჩაგრულ ხალხს და ელიტას. ავტორისთვის ლგბტ თემის გამორიცხვა (რადგან ისინი წარმოადგენენ კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ თუ სხვა ჯგუფებს) სხვა დისკურსების ნაწილია, რომელიც არტიკულირებულია პოპულისტურ დისკურსებთან. სექსუალური უმცირესობები „ქვევით“ არიან; ის პოპულისტურ განზომილებას იძენს მაშინ, როდესაც ელიტებს მათი ინტერესების დაცვაში ამხელენ, კერძოდ, როდესაც ხდება მათი დამცავი სხვადასხვა კანონების მიღება (მაგ,. ანტიდისკრიმინაციულ კანონს) და მათ პრივილეგიები ენიჭებათ. პატრიოტთა ალიანსის მოწოდება სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მნიშვნელოვანწილად ნაციონალისტური დისკურსის ნაწილია. ხდება საფრთხის ტოპოსის გამოყენება, სადაც მსხვერპლი წარმოჩენილია, როგორც მჩაგვრელი და საფრთხე მოიხსნება, როგორც კი ეს „პრობლემა“ გადაიჭრება ან თავიდან იქნება

აცილებული. ამასთან ერთად, ადგილი აქვს მსხვერპლი-დამნაშავის სტრატეგიის შემობრუნებას (რაც ხდება ტოპოსის გამოყენების დროს) (Gogsadze, 2023, 16).

მემარცხენე ალიანსის წევრის განცხადებით მნიშვნელოვანი იყო ეროვნულობის დაცვა და დასავლეთის კულტურული და ეკონომიკური ექსპანსიის და „ფულის დიქტატურის“ შეკავება, რადგან „დღეს აგრესიული ექსპანსიის მსხვერპლი ქართული ცხოვრების წესი და ეროვნული კულტურა გახდა, ხოლო ცნობიერება, ზნე-ჩვეულებები დაეცა“ (ჯიბლაძე, 2016). მისი პარტია მხარს უჭერდა ევროინტეგრაციას და ევროპული ოჯახის წევრობას, რაც ქართველმა წინაპრებმა გადაწყვიტეს. მან ხაზი გაუსვა, რომ ჩვენ ყოველთვის ევროპაში ვიყავით და ევროპა ჩვენთან იყო (ჯიბლაძე, 2016).

პარტიის წევრი არ ერიდება იმის აღნიშვნვას, რომ დასავლური ღირებულებები (იგულისხმება ლიბერალური) ქართულ ღირებულებებთან შეუთავსებელია. მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ღირსებებით სავსეა. ზემოთ აღნიშნული განცხადებები უარყოფის მაგალითია: პოლიტიკოსი ემხრობა ევროპასთან მჭიდრო კავშირს, რადგან ქვეყანაში ძალიან ძლიერია ნარატივები საქართველოს ევროპის ნაწილად ყოფნის შესახებ, მაგრამ მთლიანობაში მიუთითებს ევროპაში გავრცელებულ უარყოფით მხარეებზე, როლებიც ქართველებისთვის მიუღებელია. ხაზგასმულია დასავლეთის ნეგატიური თვისებები, რადგან იგი აღწერილია, როგორც ამორალური და მხოლოდ მატერიალურ მოგებაზე ორიენტირებული. ამ დისკურსში ევროპა მოხსენებულია მისი მთავარი ღირებულებების, კერძოდ, ადამიანის უფლებების და უმცირესობების უფლებების გარეშე.

ზოგად მტკიცებას შემდგომ კონკრეტული ბრალდებები მოსდევს, კერძოდ აშშ და ევროპული ქვეყნები საქართველოს ერთსქესიანთა ქორწინებებს ახვევენ თავს. „რა არის იცით, ჩვენთვის ამოსავალი არის მართმადიდებლობა, ჩვენი ტრადიციები, ჩვენი კულტურა. ჩვენთვის, ასევე მიუღებელია ერთსქესიანი ქორწინებები, რომელსაც მხარს უჭერს და გადაფარებულია თუ შეიძლება ითქვას, ევროპული ქვეყნები, აშშ“ (ჯიბლაძე, 2016). ნაცვალსახელი „ჩვენ“-ის გამოყენება მიუთითებს, რომ ქართველობა (ქართული კულტურა) გამორიცხავს ჰომოსექსუალიზმს, რომელიც არის „სხვა“ და გააჩნია დიდი მხარდაჭერა დასავლეთიდან. ის ნაციონალისტური და ანტიდასავლურია მაგრამ ამავდროულად

ნარატივებში არ არის ნახსენები ელიტა/ხელისუფლება. ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული გზავნილები ნაციონალისტურ მიზნებს ემსახურება (ის ნაციონალისტური/ნატივისტური დისკურსის ნაწილს წარმოადგენს). აღნიშნული „დასავლეთი საკუთარი ცხოვრების წესს გვახვევს თავს“ დისკურსის ნაწილს წარმოადგენს.

ქართული დასის ლიდერი, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს საკუთარ თავს პროქართული პოზიციების მქონე პიროვნებად მიიჩნევდა. მის მიერ, დასავლეთის ან რუსეთის მხარდაჭერის ხარისხი დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რამდენად დასჭირდებოდა ეს ყოველივე ქართველ ხალხსა და სახელმწიფოს (ბაღათურია, 2020). ჟურნალისტის შეკითხვაზე, ახლა სჭირდება, თუ არა საქართველოს დასავლეთზე ორიენტაცია, ბაღათურია პასუხობდა, რომ ეს საჭიროა, მაგრამ მიუღებელია დასავლეთის მხრიდან ჩვენთვის მათი ცხოვრების წესის თავს მოხვევა (ბაღათურია, 2020). აღნიშნული უარყოფის მაგალითია, პოლიტიკოსი აღნიშნავს რომ საქართველოს დასავლეთთან დაახლოება სჭირდება, მაგრამ ამავდროულად, აკრიტიკებს დასავლეთს იმაში, რომ ის საკუთარი წესებით ცხოვრებას გვაძალებს (რაც ანტიდასავლური პოლიტიკური ძალების მთავარი გზავნილი და კრიტიკის საფუძველია). აღნიშნული ანტიდასავლური დისკურსის ნაწილია. სექსუალური უმცირესობები და მათი ცხოვრების წესი მიუღებელია, რომელიც საქართველოში დასავლეთის მხარდაჭერით ვრცელდება. მას გააჩნია „შიდა/გარე“ სტრუქტურა და საუბრობს ქართველების როგორც ერის სახელით „სხვის“ წინააღმდეგ („სხვა“ არის დასავლეთი. გარკვეულ შემთხვევებში ის შეიძლება იყოს კონკრეტული ქვეყანა, დანარჩენ შემთხვევებში ტერმინი ბუნდოვანია). ამასთან ერთად სექსუალური უმცირესობები „ქვევით“ მდგომი „სხვა“ არიან. მემარცხენე ალიანსის მსგავსად გვაქვს ნაციონალისტური განცხადება, რომელიც პოპულისტურ მითითებას (ხელისუფლებაზე/ელიტაზე) არ შეიცავს.

ქართული მარშის ლიდერი აცხადებდა, რომ ისინი იბრძოდნენ ლიბერასტული და ბინძური იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც ნიაღვარივით მოედინება და ჩვენს ქვეყანას წალეკვით ემუქრება (ბრეგაძე, 2020b). საქმე გვაქვს მხარეთა ნეგატიურ აღწერასა და მკვეთრ შეფასებებთან - სიტყვა „ნიაღვარი“ გამოიყენება როგორც მეტაფორა, რომელიც მოქალაქეებს დაღუპვას უქადის.

როგორც ზემოთ ითქვა, დე კლინის (2017, 446-447) მიხედვით, ლგბტ თემის გამორიცხვა სხვა დისკურსების ნაწილია, რომელიც არტიკულირებულია პოპულისტურ დისკურსებთან. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში მათი პოზიციონირება ხდება არა მარტო „ქვევით“, როგორც „სხვა“, არამედ „ზევით“ რადგან მათ მოიხსენიებენ, როგორც „ლიბერასტებს“. შესაბამისად, პოპულისტურ დისკურსებში, სექსუალურ უმცირესობებს (ან მათ მომხრეებს) მნიშვნელოვანი თანამდებობები უჭირავთ და ფლობენ ძალაუფლებას. ისინი ახდენენ უმწიკვლო ხალხის ჩაგვრას, რომელიც ამ შემთხვევაში არიან ტრადიციული და რელიგიური ქართველები; მათ ასევე გააჩნიათ დასავლური ძალების (ან ორგანიზაციების) მხარდაჭერა, რომლებიც ლიბერალურ იდეოლოგიას მსოფლიოში ავრცელებენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, იმავდროულად, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია (მაგ. პატრიოტთა ალიანსი, ქართული მარში, მემარცხენე ალიანსი) ამტკიცებს, რომ ქართველობას ჰომოსექსუალიზმი არ ახასიათებს; შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში სექსუალური უმცირესობების საწინააღმდეგო გზავნილები ნაციონალისტური/ნატივისტური დისკურსების ნაწილია (Gogsadze, 2023, 17).

პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტის (12.04.2023) შეხედულებით, ანტი-ლგბტ ძალები ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ ნარატივებზე: ჰომოსექსუალიზმი არ არის ქართული ანუ საქმე გვაქვს ქართველ ერზე ორიენტირებულ არგუმენტთან, კერძოდ ყურადღება გამახვილებულია ქართველი ერის გადაშენებაზე (ამას ემატება კონსპირაციული თეორიები, რომ „გადააჯიშებენ“ ხოლმე ასეთ ადამიანებს). ეს ცხადად ჩანს ბრეგაძის (პირველი არხი, 2020) განცხადებაში, რომლისთვისაც, ქართველი ერის იდენტობის შენარჩუნება და დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრა უმთავრესი მიზანია. ქართული მარშის წარმომადგენლის თანახმად, სოროსის მზაკვრობა მამათმავლობის წახალისებაში და ერის გამრავლების წინააღმდეგ პროპგანადაში მდგომარეობდა. ცხადი იყო, რომ „ერი ვერ მრავლდება, იმიტომ რომ უფლისგან არის დაწყევლილი ეს თემა, სიცოცხლეს ვერ ბადებს, სიყვარული იქ არ არსებობს. ასევე, ხდება ნარკოტიკების ლეგალიზება და ქვეყნიდან წასვლის წახალისება. ეროვნება და რელიგია დისკრედიტირებულია და მათ რესურსების გამო სჭირდებათ საქართველოს ტერიტორია და არა ეთნოსი“. ამდენად, საჭირო იყო სამშობლოს (მართვის ვარიანტით) პატრონობის დაბრუნება (ირაკლი შიხიაშვილის პრესკონფერენცია...,

2020). „სოროსის ფონდი“ ნაციონალ-პოპულისტური ძალების ერთ-ერთი მთავარი სამიზნეა, რომელიც ასევე საქართველოს განათლების სისტემას აკონტროლებს. ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან, ხელს უწყობენ ჰომოსექსუალიზმის გავრცელებას და ქართველების ემიგრაციას, რაც ყველაზე დიდი საფრთხეა. ვლინდება, პოპულისტური განზომილება, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება ვერ იცავს ქვეყანას ამ მავნე ზეგავლენისგან.

გიგაურის (არჩევნები 2020b) აცხადებდა, რომ „ჩვენ ქართულ საქართველოს ვაშენებთ“; მისი თქმით, ქართული საქართველო დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ ის რაც მოხდა უნიკალურ მართმადიდებლურ ქვეყანაში, სერბეთში, სადაც პრემიერ მინისტრი ლესბოსელია. გამოყენებულია საფრთხის ტოპოსი, რომელიც უპირისპირებს ერთმანეთს დასავლურ ლიბერალურ ღირებულებებს და მართმადიდებლურ ქართულ ფასეულობებსა და ტრადიციებს. შესაბამისად, იკვეთება დისკურსი „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“, რომელიც ასევე მოიცავს რელიგიურ ნარატივებს, რომლებიც განსხვავდება დასავლური ლიბერალური ღირებულებებისგან.

„ჩვენ უნდა ვაჩვენოთ მთელ ქრისტიანულ სამყაროს, თუ როგორ უნდა დამარცხდეს სიბილწე, გარყვნილება და მოღალატეობა“ (ბრეგაძე, 2020a). განცხადებიდან ჩანს, რომ საქართველო და ეროვნული ძალები ქვეყანას იცავენ არა მხოლოდ ლგბტ პროპაგანდისგან, არამედ მცირერიცხოვან საქართველოს, ქრისტიანობის ჭეშმარიტი მცველის უკანასკნელი ბასტიონის ფუნქცია გააჩნია. ქართული მარშის ლიდერი ლიბერალური ევროპის, როგორც მთავარი მტრის ხატს ქმნის. განცხადებას აქვს ნაციონალისტური განზომილება. ნაციონალისტური დისკურსები რელიგიურ გზავნილებს მოიცავს. იდეოლოგიური ელემენტებს შორის ვხვდებით უარყოფას. კერძოდ, ევროპას გააჩნია პოზიტიური (ქრისტიანული) სახე, რომელსაც ქართული მარში პატივს სცემს, თუმცა დღეს დასავლეთი ხელს უწყობს ჰომოსექსუალობას, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში არსებულ მძიმე დემოგრაფიულ ვითარებასთან. ბრეგაძე (2020a) სექსუალურ უმცირესობებს ნეგატიურად აღწერს, როგორც „იმპოტენტებს”, „არაფრის მაქნისებს“, ხოლო მათი ქმედება შეფასებულია, როგორც „სიბილწე“ და „გარყვნილება“.

ერთ-ერთი პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტის (22.03.2023) აზრით, სექსუალური უმცირესობების დამახასიათებელ ნარატივებს შორის წინა პლანზე გამოაქვს ის, რომ მათი საქციელი უზნეობა ან ცოდვაა. თუმცა, მისი თქმით, მსგავსი ნარატივები დასავლეთშიც გვხდება, რადგან ის არა პოპულისტური, არამედ კონსერვატიულია, რაც მნიშვნელოვანი განსხვავებაა. შეხედულება, რომ დასავლეთი საქართველოში ჰომოსექსუალიზმს ნერგავს არის წმინდა წყლის მანიპულაცია, ხოლო თავისი მეთოდოლოგიით და განწყობით პოპულიზმია. ამას დასავლეთი არა პირდაპირ, არამედ ქართველი ელიტების მეშვეობით აკეთებს; ტრანსნაციონალური ელიტები რყვნიან ქართველ უმანკო და უბრალო ხალხს, რაც არის კლასიკური პოპულისტური ტროპი. ამ შემთხვევაში, პოპულიზმი და ანტიდასავლურობა ერთმანეთს ერწყმის (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 22.03.2023).

ქართული მარშის განცხადებით, ისინი განსხვავებოდნენ იმ ჭაობისგან, რასაც ქართული პოლიტიკური სპექტრი ჰქვია. პარტიის მიზანია ძირეულად შეიცვალოს ის ლიბერასტული, სოროსული სისტემა, რომელიც შევარდნაძის დროიდან მოდის. საქართველო არის ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანა, სადაც გეი-ალღუმები არ ჩატარებულა; „ჩვენ გეი-ალღუმებს იმიტომ კი არ ვებრძვით, რომ ის ადამიანები განსხვავებული ორიენტაციის არიან, არამედ ვებრძვით მას როგორც ცნებას, როგორც ინსტიტუციას, რომელსაც სურს დაანგრიოს ჩვენი მორალურ, ზნეობრივი ღირებულებები, რომლითაც ჩვენ დღემდე მოვდივართ.“ (ბრეგაძე, 2020a). პოპულისტური დისკურსები გულისხმობს, რომ ქართული იდენტობა ჰეტეროსექსუალურია, მართლმადიდებლურია და გამორიცხავს ლიბერალურ ელიტებს („ლიბერასტებს“), რომლებიც ლგბტ უფლებების მხარდაჭერის გამო არ გამოხატავენ „უმწიკვლო ხალხის“ ნებას. სექსუალური უმცირესობები „სხვა“ არის და ხდება მათი „იმპოტენტებად“, „უწმინდურებად“ მოხსენიება (Gogsadze, 2023). ხდება აქტორთა ნეგატიური აღწერა, დაწყებული ტერმინით ლიბერასტული გაგრძელებული ისეთი შეფასებებით, როგორც არის „იმპოტენტები“, „უწმინდურები“. გარდა ნეგატიური აღწერისა, რომ ეს საკითხი „ღმერთის მიერ დაწყევლილია“ და ლეგიტიმაციისთვის ეყრდნობა ხელისუფლების ტოპოსს (რელიგიას), აღნიშნულია რომ ჰომოსექსუალიზმი როგორც ღმერთისთვის მიუღებელია, ასევეა საქართველოსთვის, როგორც მართმადიდებელი და ტრადიციული ქვეყნისთვის. მოცემული „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის“ დისკურსს უკავშირდება.

როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, ქვეყანაში არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარება დაკავშირებულია სექსუალურ უმცირესობების უფლებების დაცვასთან და მათ წინააღმდეგ რელიგიური გზავნილები არტიკულირებულია ნაციონალისტურ ნარატივებთან ერთად.

ქართული მარშის ლიდერის თანახმად, საქართველო კავკასიის ნაწილია, სადაც არსებობს ერთიანი კავკასიური ღირებულებები; შესაბამისად, თუ ეს უძველესი საერთო ღირებულებები იარსებებს, მაშინ უფრო მეტად იქნება შესაძლებელი აფხაზებთან და ოსებთან საუბარი და საერთო ენის გამონახვა. აფხაზები და ოსები არ მოინდომებენ ისეთ საქართველოში ცხოვრებას, თუ რუსთაველზე „კოლგოტკიანი“ მამაკაცები ირბენენ (ბრეგაძე, 2020a). აქტორთა აღწერის კუთხით, სექსუალური უმცირესობები წარმოჩენილნი არიან როგორც არაპატრიოტულები, რადგან კავკასიური ღირებულებები ითხოვენ, რომ კაცი კაცურად იქცეოდეს. შესაბამისად, ვხედავთ, თუ როგორ ხდება ლგბტ პირთა თვითგამოხატვის უფლების შეზღუდვის რაციონალიზაცია. მიმდინარეობს სასურველის შესაძლებლად წარმოჩენა, კერძოდ, თუ სექსუალური უმცირესობები თავიანთ უფლებებს საჯაროდ არ გამოხატავენ ეს დაეხმარება ქვეყანას უმთავრესი მიზნის ანუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. ქართული მარშის მოწოდებებში თითქმის არ იკვეთება რუსეთი ან რუსული ოკუპაციის თემა. ამასთან ერთად, არ ხდება პოზიტიური მითითება რუსეთის ერთმორწმუნეობასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით ერთმა რესპოდენტმა (კულტურის კვლევის ექსპერტი 20.03.2023) აღნიშნა, რომ რუსეთი საქართველოში ძალიან არაპოპულარულია, ანდენად პოლიტიკოსები თავს არიდებენ მასზე პოზიტიურის თქმას, მაგრამ უარყოფითად მოიხსენიებენ დასავლეთს; მთავარი გზავნილია, რომ დასავლეთი ცუდია, გარყვნილი და ქართველობას წაგვართმევს.[45]

ქართული მარშის დისკურსი კავკასიური ღირებულებების და ერთობის იდეას წარმოაჩენს, ქართული ღირებულებები, რომლებიც კავკასიური ღირებულებების ნაწილია განსხვავებულია ევროპული ფასეულობებისგან, რომელთა უარყოფითი მახასიათებლები ხაზგასმულია. აღნიშნული „ჩვენი თავის ჩვენადვე გვეყუდნესო“ დისკურსის ნაწილია, რომელიც დასავლეთი/ნეიტრალიტეტის დიქოტომიას გვთავაზობს. თუმცა ეს დისკურსი და

[45] საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი ევროკავშირში ინტეგრაციის მომხრეა, ხოლო ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერა 73%-ს შეადგენს (NDI, 2023).

იდეოლოგია ფარულად პრორუსულად შეიძლება ჩაითვალოს. ის განსხვავდება ტრადიციულად გავრცელებული დისკურსისგან, სადაც დასავლეთი-რუსეთის დიქოტომია გვხვდება.

ქართული იდეა მიიჩნევდა, რომ საქართველოში განათლების სისტემა ხელში აქვთ ჩაგდებული აგრესიული ლიბერალური ინტერნაციონალის წარმომადგენლებს და მიმდინარეობს ჩვენი მომავალი თაობების სულიერი და ზნეობრივი გადაგვარების პროცესი (ჩაჩუა, 2016). ამ პარტიის დისკურსებში ფიგურირებს „მასონური სატანური ძალები", რომლებიც აკონტროლებენ განათლების სამინისტროს, რომელიც ლგბტ არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით ნერგავს „ტოლერანტობას" და სამოქალაქო ცნობიერებას, რაც მიუღებელია. მაგ., შვედეთის მთავრობას ბრალდება ნეიტრალური გენდერის თეორიის სწავლება საბავშო ბაღებში. პარტიის წარმომადგენლის განცხადებით, პარლამენტის სამი ყველაზე დიდი პარტია ცრუ ძალებს წარმოადგენს, ხოლო ქართველები დიქტატურის წინაშე აღმოვჩნდით (ფალავანდიშვილი, 2020).

ზემოთ აღნიშნული გზავნილები პოპულისტურ ფორმას იძენს, რადგან (ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები) უმრავლესობა ლიბერალური დიქტატურის უღელშია, ხოლო ლიბერალური ელიტის წარმომადგენლები იმ უცხო გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რომელიც ქართულ ტრადიციებს ებრძვის. ქმედების აღწერის ხარისხის კუთხით ვხვდებით, საფრთხის გაზვიადებას მომავალი თაობების სულიერი და ზნეობრივი გადაგვარების მცდელობების შესახებ, რაც „ლგბტ პროპაგანდას" უკავშირდება.

ფალავანდიშვილის განცხადებით (არჩევნები 2020c):

> არა მყრალი სოდომისტების, ბინძური ფემინისტების, სულ გაყიდული პარლამენტის, არა ბილწი პედერასტიის დიქტატურას, არა მარიხუანის ლეგალიზაციას, არა აზარტულ თამაშებს, არა ეკლესიის შეურაცხყოფას და ცილისწამებას, არა ლგბტ-ს მიერ განათლების სისტემის ოკუპაციას, არა ბილწ გეი მარშებს, არა იუნისეფის დაკვეთით ოცნების, ნაციონალების, პატრიოტთა ალიანსის მიერ ბავშვების წართმევის კოდექსზე ხმის მიცემას.

ამ შემთხვევაშიც, ლგბტ ჯგუფები არიან „ზევით“, კერძოდ ფლობენ ძალაუფლებას, შესაბამისად, იკვეთება პოპულისტური გზავნილი. ქართული ელიტა და მთავრობა გარე ძალების მიერ კონტროლდება, მაგ., იუნისეფის მიერ, რომელიც ელიტას სხვადასხვა კანონების მიღებას აიძულებს. ამ განცხადებას გააჩნია ნაციონალისტური „შიდა/გარე“ განზომილება, მისი შინაარსი ანტიდასავლურია, ხოლო რეპრეზენტაცია - პოპულისტური (Gogsadze, 2023, 20). ამ უკანასკნელი ტიპის განცხადებები ნაციონალისტების ხელში ინსტრუმენტის ფუნქციას იძენს. აქტორთა ნეგატიური აღწერის გარდა, ვხვდებით საფრთხის ტოპოსზე აპელირებას, რომელიც გარე და შიდა „მტრებისგან“ ემუქრება ქვეყნის „შიდა ჯგუფებს“ და ტრადიციებს“.

სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ არსებული ნარატივებიდან მნიშვნელოვანია „დასავლური გარყვნილების“ აღქმა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი პირდაპირ არ არის დაკავშირებული რელიგიასთან, რელიგიის ნარატივი მაინც ფიგურირებს. მაგ., ის, რომ მართმადიდებლურ რუსეთს შეუძლია დასავლურ გარყვნილებას დაუპირისპირდეს (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი 12.04.2023). რესპოდენტი მიიჩნევს, რომ რელიგია მთელ რიგ ნარატივებთან მიმართებაში დამხმარე ფაქტორად გამოიყენება. პატრიოტთა ალიანსი დავით-გარეჯის საკითხს იყენებდა, როგორც რელიგიურ ინსტრუმენტს მასების მობილიზაციისათვის. ნაკლებად იყო განხილული, თუ როგორ უნდა გახდეს დავით-გარეჯი საქართველო, შესაბამისად, რელიგია მემარჯვენე პოპულისტების ხელში ძლიერი ინსტრუმენტია (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი 12.04.2023). რუსული პოპულისტური კონსერვატივიზმი, სექსუალური უმცირესობების პოლიტიზირებას და ამ თემის დასავლეთის დემონიზების საქმეში ფართოდ იყენებს. მოწოდებები, რომ დასავლეთი სრულ დეგრადაციას განიცდის ძველი სლავოფილური ტრადიციის გაგრძელებაა, რაც საქართველოშიც გავრცელდა (ნაციონალიზმი კვლევის ექსპერტი 18.03.2023).

ფალავანდიშვილი (პირველი არხის რადიო, 2020) აღნიშნავდა, რომ საქართველოს მეხუთედი რუსეთის, ხოლო დანარჩენი აშშ-ს (ან „დასავლეთის“) მიერ არის ოკუპირებული. აშშ-ც იმპერიაა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ჯარი საქართველოში არ დგას. ამასთან ერთად, „საქართველოდან გაძევებული იქნას რუსული ჯარი, ასევე გაძევებულ იქნას არასამთავრობო სოროსები, აშშ-ს საელჩო, რომელიც ლგბტ პრაიდების მომხრეა, ლომჯარიები, აგენტები,

მტრები, მეხუთე კოლონა და მათი გავლენა“ (ფალავანდიშვილი, 2020). არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა ქვეყნის საელჩოები, აგენტები და სხვები მოხსენიებულნი არიან რუსულ ოკუპაციასთან ერთად. ქმედების აღწერის კუთხით, ხაზგასმულია, რომ დასავლეთი (აშშ) ოკუპანტია და რუსეთზე მეტი ტერიტორია აქვს „ოკუპირებული“, ანუ ის რუსეთზე უარესია. აშშ-ს ნეგატიური გავლენა წინ არის წამოწეული, ხოლო რუსეთისა კი მინიმიზირებული (Gogsadze, 2023, 20). პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტის (22.03.2023) თანახმად, რელიგია გამოიყენება, როგორც ანტიდასავლური განწყობის ლეგიტიმაციის საფუძველი, რომ დასავლეთი არ არის მართადიდებლური და ამიტომ ის უცხოა ჩვენი კულტურისთვის. ეს ხდება, რომ ცხადი და გასაგები გახდეს უბრალო ხალხისთვის; ხოლო რუსები მართალია იმპერიალისტები არიან, მაგრამ მართმადიდებლები არიან, თავის მხრივ დასავლური რელიგია და კულტურა განსხვავებულია და ხდება პოლიტიკური მანიპულაცია რელიგიური თემით. ძირითად ნარატივებს შორის არის, რომ ამას ახალისებს დასავლეთი მართმადიდებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ეს სინქრონიზდება პრორუსულ ნარატივებთან, „რუსები როგორც მართმადიდებლობის დამცველი „მესამე რომი““ (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი 4.04.2023)

ზემოაღნიშნული გზავნილები არის „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შესახებ“ ნაციონალისტური (კონსერვატიული) დისკურსის ნაწილი. ამასთან, შეიქმნა ანტიდასავლური დისკურსი, რომელიც ასევე ნაციონალისტურია: „ჩვენ თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“. „სოროსელი ლიბერასტების“ შესახებ გზავნილები არის პოპულისტური დისკურსის ნაწილი, რადგან ისინი („სოროსელები“) ძალაუფლებას ფლობენ. ქართული პოპულიზმისთვის დამახასიათებელია ანტილიბერალური დისკურსები. სექსუალური უმცირესობები „სხვები“ არიან, მაგრამ ისინი პოპულისტური „ქვედა/ზედა“ ღერძის თავში არიან განლაგებულნი, რადგან პრივილეგირებულები არიან ხელისუფლების/ელიტის მიერ ან მის ნაწილს წარმოადგენენ. გამოყენებულია დისკურსის შემდეგი ელემენტები: ქმედებათა აღწერა: სექსუალური უმცირესობების ქმედებები წარმოდგენილია როგორც „სიბილწე“, „გარყვნილება“. „ქართული იდეის“ იდეოლოგიური დისკურსი ფოკუსირებულია ქმედების აღწერაზე, წინაპირობებსა და ლოკალურ თანმიმდევრულობაზე - დასავლური და სოროსულ-მასონური ორგანიზაციები პასუხისმგებელნი არიან ქვეყნის (საქართველოს) წინაშე არსებულ

მძიმე დემოგრაფიულ ვითარებაზე. მეორე მხრივ, ლგბტ იდეოლოგიისა და ცხოვრების სტილის მხარდაჭერის გამო, ისინი ეწინააღმდეგებიან ქართველი ერის კეთილდღეობას, ებრძვიან მის იდენტობას და საფრთხეს უქმნიან ქვეყნის სუვერენიტეტს (Gogsadze, 2023, 21).

2.3 შეჯამება

პოპულისტური გზავნილები ფართოდ გვხვდება საქართველოს ბევრი პოლიტიკური ორგანიზაციის წინასაარჩევნო კამპანიაში. ამ მხრივ, აქცენტი კეთდება იმ საკითხზე, რომ ქართული პოლტიკური ელიტა ხალხის ინტერესებს არ გამოხატავს, შესაბამისად, ხელისუფლებისა და რიგითი მოქალაქის სურვილები და ფასეულობები ერთი მეორისგან დიამეტრულად განსხვავებულია.

საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, განხილულ პარტიათაგან, ნაციონალისტ-პოპულისტები (და ნატივისტები) ყურადღებას იმიგრაციული პროცესების და მიწის უცხოელებზე გასხვისებაზე ამახვილებდნენ. გზავნილებში ხაზი ესმევა იმ ფაქტს, რომ, ქვეყნის ხელისუფლება ემორჩილება დასავლეთის ქვეყნებს ან გლობალურ ლიბერალურ („სოროსულ“ და მასონურ) აქტორებს, რომლებიც ქართულ ეროვნულ ძალებსა და ცნობიერებას ებრძვიან

თეთრების გზავნილები ძირითადად პოპულისტურია, თუმცა მათი მოწოდებები ნაციონალისტურ/ნატივისტურ გზავნილებსაც შეიცავს. მათი ძირითადი სამიზნე საქართველოში არსებული სოროსის წარმომადგენლები არიან. ასეთ შემთხვევებში, გზავნილები პოპულისტურია, თუმცა მათ მიღმა ანტიდასავლური ნაციონალისტური/ნატივისტური დისკურსები დგას, რადგან ქართული ელიტა ემსახურება იმ ძალებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში ავრცელებენ თავიანთ გავლენას.

პოლიტიკური ძალების ნაციონალურ-პოპულისტურ გზავნილებში ჩინელი, არაბი, თურქი, ინდოელი და ირანელი ეროვნების მქონე იმიგრანტების საწინააღმდეგო აგრესიული ქსენოფობიური რიტორიკა იკვეთება, ხოლო გაზრდილი იმიგრაციის მაჩვენებელი საქართველოს ხელისუფლებას ბრალდება. აღნიშნული გზავნილები პოპულისტური ხდება მაშინ, როდესაც იმიგრაციის მომხრე მთავრობა წარმოჩენილია, როგორც ქართველი ეთნოსის

ინტერესების დამაზიანებელი ძალა (მაგ., თავისუფალი საქართველო, ჩინეთიდან ჩამოსული მუშახელის მიერ ქართველების უმუშევრად დატოვებაზე ამახვილებს ყურადღებას). ამ პარტიების გზავნილებში გარკვეულ შემთხვევებში ვხვდებით „მეტაფორის“ გამოყენებას, რომლის მიხედვითაც, იმიგრანტების ტალღები ქართველებს წალეკვით ემუქრება. ამასთან ერთად, იმიგრაციის საწინააღმდეგო გზავნილებით ის პარტიებიც გამოირჩევიან, რომელთაც ნატივისტური შეხედულებები არ ახასიათებთ (მაგ., ლეიბორისტული პარტია). ისინი საკუთარ პოზიციებს ქართველი მუშახელის ინტერესების დაცვის საბაბით ამართლებენ. პოლიტიკური ძალების მიერ გამოყენებულ გზავნილებში, ასევე ადგილი აქვს ისეთი ელემენტების გამოყენებას როგორიც არის აქტორთა უარყოფითი აღწერა, ნაგულისხმევი მნიშვნელობები, მოდალობები (სასურველის რეალობად წარმოჩენა), მოვლენისა და ქმედების აღწერის ხარისხი და სხვა. ზოგიერთ შემთხვევაში ის ქსენოფობიური დისკურსების (და პოზიციების) გადასაფარად გამოიყენება; აქედან გამომდინარე, ეს პარტიები ცდილობენ, რომ (ქსენოფობიურის ნაცვლად) ანტილიბერალურად გამოჩნდნენ.

პარტიების განცხადებებში ხდება ტოპოსის მათ შორის საფრთხის ტოპოსის გამოყენება. მაგ., თურქეთი საქართველოს ტერიტორიების მისაკუთრებას ცდილობს. ისტორიის და შედარების ტოპოსი, სადაც ისტორიული ფაქტები (ოფიციალურისგან) განსხვავებულად არის დანახული (მაგ: ბოლშევიკური რუსეთი არ იყო დამნაშავე თურქეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაში 1921 წელს. გარდა ამისა, გამოყენებულია შემდეგი ნარატივი: თურქებს მიჰყავთ ქართველი გაჭირვებული ოჯახის შვილები, რაც მათ ქართული ცნობიერების დაკარგვას იწვევს).

საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ყურადღება გამახვილებულია დასავლეთზე (ძირითადად ნატოსა და ამერიკაზე). ხშირია ნეიტრალიტეტის (ან სამხედრო მიუმხრომლობის) თემაზე აპელირება. ნაციონალტური/ნატივისტური პოლიტიკური ძალები საკუთარ მოწოდებებში თითქმის არ აკრიტიკებენ რუსეთს. ზოგიერთი პარტია მათთან ურთიერთობების აღდგენას ეკონომიკური სარგებლის მიღების გამო უჭერს მხარს (რომლის მიხედვითაც, ქართული პროდუქცია ე.წ „ტრადიციულ“ რუსულ ბაზარზე კვლავ გაიყიდება). ხდება რუსეთის ნეგატიური ქმედებების მინიმიზირება, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთი ნეგატიურად არის წარმოდგენილი (მაგ., ქართული იდეა). ქვეყნის ტერიტორიული

მთლიანობის დაკარგვა პოლიტიკური ელიტის არაგონივრულ ნაბიჯებს, კერძოდ, ნატოში გაწევრიანების სურვილს მოჰყვა. გარდა ამისა, მრავალი პოლიტიკური პარტია ერიდება რუსეთის პოზიტიურ კონტექსტში მოხსენიებას, რადგან საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებას ემხრობა. ნაციონალისტურ/ნატივისტურ დისკურსებს ე.წ მემარცხენე პარტიებიც მიმართავენ (მაგ., საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია). ამ მხრივ, პარტიების ნარატივები რომლებიც საქართველოს ნეიტრალიტეტზე ამახვილებენ ყურადღებას, ანტიდასავლური პოზიციებით გამოირჩევნიან. გავრცელებული პროდასავლური-პრორუსული დიქოტომიური დისკურსების კონტესტში, ნეიტრალიტეტი ის ძირითადი ინსტრუმენტია, რომელიც პროდასავლურობის ალტერნატივას წარმოადგენს.

ნატოს რეპრეზენტაცია ხდება, როგორც სუსტი ორგანიზაციის, რომელიც ვერ დაიცავს საქართველოს, ამიტომ ის არ მიიღებს საქართველოს საკუთარ რიგებში. მეორე არგუმენტის მიხედვით, თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, მაშინ ის დაპირისპირების პოლიგონად იქცევა და განადგურდება. ზოგიერთი პარტია პარალელს ავლებს სირიასთან, რომ მოხდეს ნეგატიური ასოციაციების და საფრთხის განცდის გაძლიერება. ეს მოწოდებები ანტიდასავლურია, შესაბამისად ნაციონალისტურ განზომილებასაც მოიცავს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ქართულ ელიტას დასავლეთის ქვეშევრდომობა ბრალდება, გზავნილები პოპულისტურ ელფერს იძენს.

ნატოში გაწევრიანების საწინააღმდეგო გზავნილებით გამოირჩევა პატრიოტთა ალიანსი. მათ მოწოდებებში იკვეთება პოპულისტური დისკურსები ყოფილი რეჟიმის დანაშაულებთან დაკავშირებით. პატრიოტთა ალიანსის განცხადებებში პოპულიზმი ემსახურება ნაციონალისტურ მიზნებს (ანტითურქულს და გარკვეულწილად ანტიდასავლურს).

კვლევამ გვაჩვენა, რომ სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები არაერთი პოლიტიკური პარტიის საარჩევნო კამპანიის ნაწილია. პოპულისტური დისკურსები დაკავშირებულია და ხშირად შეტყუპებულია ნაციონალისტურ დისკურსებთან. პოპულისტური დისკურსები მიმართულია ლიბერალური ელიტის (ხელისუფლების, მედიის, არასამთავრობოების) წინააღმდეგ, რომლებსაც ხშირად

„ლიბერასტებად“ მოიხსენიებენ. ხელისუფლება არ იცავს ქართული უმრავლესობის ინტერესებს, რომელიც ტრადიციული და ჰეტეროსექსუალი ხალხია. სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ხდება რელიგიური გზავნილების გამოყენება, კერძოდ დასავლური დეკადენსის მიმართ, რომელიც საქართველოს და მართმადიდებლობას ებრძვის. მათი ნარატივების მთავარი მიზანია ქართული ფასეულობები, ტრადიციები და სამშობლო დაცული იყოს დასავლური „გარყვნილებისგან“.

ექსპერტების აზრით, პოპულისტური ძალებისთვის, დასავლეთი საქართველოში ჰომოსექსუალობის პოპულარიზაციას ქართული ელიტის მეშვეობით ახდენს. აღნიშნული იმ ნაციონალისტური დისკურსის ნაწილია, რომელიც ანტიდასავლური ნაციონალისტური (ნატივისტური) შინაარსის მატარებელია, ხოლო ქართული ელიტა უცხო სახელმწიფოების (აშშ-ს, შვედეთის და სხვა), ძალების (მაგ., სოროსულ-მასონური) ან ორგანიზაციების (მათ შორის, უნისეფის) ინტერესებს გამტარებელია. ანტიდასავლური პოზიციების მქონე ნაციონალისტები/ნატივისტები პოპულიზმს იყენებენ როგორც მხარდამჭერის მოპოვების ინსტრუმენტს. დისკურსების ძირითადი ფოკუსი დასავლეთის უარყოფით მხარეებზე კეთდება, მეორე მხრივ, ძირითადად ხდება აქცენტირება ქართული იდენტობისა და ტრადიციების დაცვაზე. ზემოთ აღინიშნა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისთვის პრორუსული იმიჯი ელექტორალური თვალსაზრისით ძალზე დამაზიანებელია, რადგან ქართულ საზოგადოებაში ანტირუსული სენტიმენტები საკმაოდ ძლიერია (Gogsadze, 2023).

ყველაზე ხშირად გამოყენებულ დისკურსებს/ნარატივებს შორის ვხვდებით: „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა“, „დასავლეთი საკუთარ ცხოვრების წესს გვახვევს თავს“, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ყურადღებას დისკურსის შემდეგ ელემენტებზე ამახვილებენ: აქტორთა აღწერა, სადაც ხდება სექსუალური უმცირესობების უარყოფით თვისებებზე ხაზგასმა (მაგ., არაპატრიოტულობა, „იმპოტენტობა“, „გარყვნილება და ა.შ); ნაგულისხმევი მნიშვნელობები, რომლის მიხედვითაც ქართული ელიტა სექსუალური უმცირესობების ინტერესებს ატარებს; ლოკალური თანმიმდევრულობა, სექსუალურ უმცირესობებს ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა პრივილეგიები მიანიჭა და მათ ისეთივე „თანასწორი“ უფლებები უნდა ჰქონდეთ, როგორც (ჰეტეროსექსუალ) მართმადიდებელ უმრავლესობას. ასევე ქვეყანაში არსებული მძიმე

დემოგრაფიული ვითარება ბრალდება დასავლეთს, რომელიც სექსუალური უმცირესობების მხარდაჭერის შედეგად ხდება. შესაბამისად, ანტიდისკრიმინაციული კანონი უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს. ქართული მარშის მიერ ხდება სასურველის შესაძლებლად წარმოჩენა, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებების შეზღუდვით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი გაიზრდება. მოვლენის და ქმედების აღწერის ხარისხი, სადაც გაზვიადებულია საფრთხე, მომავალი თაობების სულიერი და ზნეობრივი გადაგვარების მცდელობების შესახებ, რაც „ლგბტ პროპაგანდას“ უკავშირდება. საგულისხმოა, რომ აშშ-ს და დასავლეთის ქმედებები წარმოჩენილია უფრო ნეგატიურად, ვიდრე რუსეთისა (მათ შორის ოკუპაციაც). უარყოფა, სადაც თავდაპირველად აღნიშნულია ევროპასთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობა, ამასთან აქცენტი კეთდება იმ ქართველებისთვის მიუღებელ უარყოფით ფასეულობებზე, რომელიც ევროპაშია გავრცელებული. გამოყენებულია მეტაფორები, როგორიც არის ბინძური იდეოლოგია რომელიც „ნიაღვარივით“ მოედინება და ქვეყანას დიდ საფრთხეს უქმნის.

ანტიდისკრიმინაციული კანონის შეცვლის მოთხოვნა და სექსუალური უმცირესობებისთვის გამოხატვის თავისუფლებების შეზღუდვა შემდეგი არგუმენტებით არის გამყარებული: ის ეწინააღმდეგება ხალის უმრავლესობის ნებას, რაც მათთვის მიუღებელია და შესაბამისად უნდა გატარდეს ის პოლიტიკა რაც უმრავლესობას სურს (პოპულისტური გზავნილები სადაც უბრალო ხალხის ნება უპირისპირდება ელიტას, თუმცა ის ნაციონალისტურ განზომილებასაც მოიცავს, სადაც ის დასავლეთის წინააღმდეგ არის მიმართული და იკვეთება „დასავლეთი საკუთარი ცხოვრების წესს გვახვევს“ დისკურსი. როგორც გამოჩნდა, მემარცხენე ალიანსის შემთხვევაში, სექსუალური უმცირესობების საწინააღმდეგო გზავნილები არ მოიცავდა პოპულისტურ განზომილებას და მხოლოდ ნაციონალისტურ მოწოდებებს შეიცავდა). ხოლო, მეორე შემთხვევაში წარმოდგენილია რელიგიური მიზეზი, რომ ჰომოსექსუალიზმი არაქრისტიანულია და შესაბამისად, უძველესს მართმადიდებლურ საქართველოსთვის ის მიუღებელია. კერძოდ, გამოყენებულია ხელისუფლების (რომელიც რელიგიას უკავშირდება) და ისტორიის ტოპოსი. პირველის გამოყენება ხდება, როდესაც ჰომოსექსუალიზმი დახასიათებულია, როგორც „ღმერთის მიერ

დაწყევლილი“ მოვლენა, რაც ქართველი ხალხისთვის მიუღებელია. აღნიშნული დაკავშირებულია „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის“ დისკურსთან.

პარტიების მხრიდან გვხვდება სხვადასხვა სახის ტოპოსების გამოყენების შემთხვევები. საფრთხის ტოპოსით ოპერირება დამახასიათებელია მაგ., პატრიოტთა ალიანსისთვის. ეს პარტია საუბრობს ჩაგრულის ნიღბით მოსულ დამპყრობელზე, რომელიც რეალობაში მჩაგვრელია და ემუქრება ქართულ ტრადიციებს. საფრთხის ტოპოსს მიმართავს ქართული მარშიც, რომელიც უპირისპირებს ერთმანეთს დასავლურ ლიბერალურ ღირებულებებსა და ქართულ ტრადიციებს და ცხოვრების წესს. ქართული იდეა ქვეყნის „შიდა ჯგუფების“ საფრთხეზე საუბრობს, რომელიც მათ ლიბერალური წყობისგან ემუქრებათ.

საბოლოო ჯამში, წინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური პარტიები იყენებდნენ ნარატივებს, როგორც საგარეო პოლიტიკური კურსის, ასევე სექსუალური უმცირესობების შესახებ. ეს ნარატივები პოპულისტური და ნაციონალისტურ/ნატივისტური ხასიათისაა. ნაციონალისტური და ნატივისტური პოზიციების მქონე პოლიტიკური აქტორები საკუთარ დამოკიდებულებას და შეხედულებებს პოპულისტურად წარმოაჩენენ, ხოლო ხელისუფლებას (ელიტას) მთელი მოსახლეობის სახელით უპირისპირდებიან. ჩვენი აზრით, ნაციონალიზმი (ან ნატივიზმი) არის მათი იდეოლოგიის ქვაკუთხედი, ხოლო პოპულიზმი - რეპრეზენტაციის ფორმაა (გოგსაძე, 2022).

თავი 3. მემარცხენე პოპულიზმი, საბანკო სექტორის წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილები და დისკურსები

განსახილველი თავის პირველ ქვეთავში მოცემულია საქართველოში მემარცხენე პარტიებისა და მემარცხენე პოპულიზმის თავისებურებების შესახებ სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად ექსპერტთა მოსაზრებების მიმოხილვა და ანალიზი. ასევე, განხილულია მათი მოსაზრებები საბანკო სექტორის წინააღმდეგ მიმართულ გზავნილებზე. ჩვენი აზრით, ფინანსური ელიტის წინააღმდეგ არსებული ნარატივები მემარცხენე პოპულიზმის სფეროს განეკუთვნება. საქართველოში აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული კვლევები ძალზე მწირია, რადგან ჩვენთან უფრო მეტად სწავლობენ ნაციონალისტურ, ანუ მემარჯვენე მიმართულების პოპულიზმს. მეორე ქვეთავში წარმოდგენილია 2016 და 2020 წლის საარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკური პარტიების მიერ გამოყენებული ბანკების საწინააღმდეგო გზავნილებისა და დისკურსების ანალიზი.

3.1 მემარცხენე პოპულიზმი საქართველოში

ექპერტები აღნიშნავენ, რომ მემარცხენე პარტიები სუსტია საქართველოში. უმრავლესობა მათგანი თანხმდებოდა, რომ მათ სისუსტეს საქართველოში ისტორიული გარემოებები და ამასთან ერთად მემარჯვენე მეინსტრიმული ან ნაციონალისტური პარტიების მიერ მემარცხენე თემების გამოყენება იწვევს.

მემარცხენეობის სისუსტე საქართველოში განაპირობა 9 აპრილის მოვლენებმა და კომუნისტური პარტიის სრულმა დისკრედიტაციამ, რის შედეგადაც ქართულ მემარცხენე ფილოსოფიას პოლიტიკურ ველზე ფეხი ვერ მოიკიდა და ნაკლებ კონკურენტუნარიანი გახდა. იმ პერიოდში, მემარცხენეებს გაუჭირდათ მოსახლეობის მობილიზება კომუნისტური და სოციალისტური პარტიების იდეების გარშემო (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 28.03.2023). ექსპერტი ელექტორალური გეოგრაფიის საკითხებში (1.04.2023), ეთანხმება ამ აზრს, რომ საქართველოში მემარცხენე პარტიების არ არსებობა საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა; მისი თქმით, მემარცხენე იდეოლოგია და მემარცხენე განწყობებები ასოცირებული იყო პრორუსულ განწყობებთან, რადგან ის საბჭოთა ნოსტალგიას უკავშირდებოდა. მსგავსი

შეხედულება გააჩნია კულტურის კვლევის ექსერტს (20.03.2023), რომლის თანახმადაც, საბჭოთა ტოტალიტარული მემკვიდრეობის გამო ევროპული მემარცხენეობა საქართველოში პოპულარული არ არის; უფროს თაობაში მემარცხენე ტოტალიტარიზმის გამოცდილების გამო მემარცხენეობა დისკრედიტირებულია. ობიექტური ფაქტორი, რომელიც მემარცხენეობის განვითარებას ხელს უშლის არის ის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილს არ გააჩნია შესაძლებლობები თავისი თავისუფალი არჩევანი შინაარსიანად განხორციელოს, რადგან სიღარიბეში ცხოვრობს. დღეს მემარცხენეობა „წარმოდგენილია სამოქალაქო საზოგადოების დონეზე და არა პოლიტიკური საზოგადოების“ (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 28.03.2023).

მემარცხენე პარტიების სისუსტესთან დაკავშირებით, პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტმა (29.03.2023) ორი მიზეზი გამოჰყო. ძნელია საქართველოს ტიპის ქვეყანაში იყო მემარცხენე. პირველი მიზეზია, რომ ქართულ საზოგადოებაში არ არის სოციალური ჯგუფები, კერძოდ იგრძნობა მუშათა კლასის სიმწირე, ანუ რაოდენობრივად მცირეა ის ჯგუფები, რომლებსაც ეს თემები ანაღვლებთ. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ღარიბ ქვეყანაში, ეს თემები პოპულიზმის საზღვრებს გარეთ არ გადის, რადგან სოციალური დახმარების და შემწეობის პროგრამების განხორციელება მოკლე ვადაში ჩერდება ანუ ვერ ხდება მათი შენარჩუნება. „ანუ, სოციალური შესაბამისი ფენების არ არსებობა, და მეორეს მხრივ, სიმდიდრის არასაკმარისი აკუმულაცია, რომელიც ამ განაწილების შესაძლებლობას გააჩენდა“ ხელს უშლის ძლიერი მემარცხენე პარტიების ჩამოყალიბებას (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 29.03.2023). ერთ-ერთ მიზეზებს შორის არის ის, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ტრადიციული მემარჯვენე ფასეულობების დამცველად აიდენტიფიცირებს თავს და პარტიებიც მემარჯვენე მხარეს იხრებიან. გარდა ამისა, ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური ფაქტორი, კერძოდ რუსეთის, დასავლეთის თუ ნეიტრალიტეტის მხარდაჭერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს ზღუდავს სივრცეს ყველა სხვა საკითხის განხილვისთვის (უსაფრთხოების კვლევის სპეციალისტი, 3.05.2023).

მემარცხენე პოპულიზმს გარკვეულ შემთხვევებში იყენებენ ნაციონალ-პოპულისტები. მემარცხენე ნაციონალისტები ემხრობიან ეთნოსის ფარგლებში არსებულ თანასწორობას. იმ ქვეყანაში სადაც საშუალო ფენა მცირერიცხოვანი და ნაკლებად გავლენიანია, დომინანტურ

თემად ნაციონალური მოტივები გვევლინება. სხვა შემთხვევაში ნახსენებ ფენას მოქმედების დამატებითი სტიმული გაუჩნდებოდა (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 28.03.2023).[46]

პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი (28.03.2023) მემარცხენე პოპულისტურ პარტიად ლეიბორისტულ პარტიას მიიჩნევს (თუმცა ის სოციალისტურ იდეალებს ნაკლებად გამოხატავს). ლეიბორისტული პარტია მემარცხენე პოპულისტურ ნიშას იკავებს, თუმცა საქართველოში სერიოზული მემარცხენე პარტია არ არსებობს (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 22.03.2023). ლეიბორისტული პარტია შეიძლება მემარცხენედ მივიჩნიოთ იმ კუთხით, რომ პოლიტიკური ისტებლიშმენტის წინააღმდეგ გამოდიოდა, თუმცა ამ ბრძოლის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებდა, რომ პოლიტიკური კონიუქტურას წარმატებით მორგებოდა (ექსპერტი ელექტორალური გეოგრაფიის საკითხებში, 1.04.2023). აღსანიშნავია, რომ გარკვეულწილად ქართული ოცნებაც პოპულისტურია, თუმცა სახელისუფლებო პარტიისთვის ეს მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს. მათი რიტორიკა აგებულია „სისხლიანი 9 წლის“ ნარატივებზე (ანუ, ამ შემთხვევაში მისთვის „სხვა“ ყოფილი რეჟიმია) (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 28.03.2023).

ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად კლასიკური მემარცხენე იდეოლოგიური პარტიების არარსებობისა, სხვადასხვა შეხედულებების მქონე პარტიების გამოსვლებში მემარცხენე პოპულისტური მოწოდებები გვხვდებოდა. პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტის თანახმად (12.04.2023), ქვეყანაში არიან მემარცხენე პლატფორმის პოპულისტური პარტიები, რომელთა შორის ზოგი სოციალური თანასწორობის საკითხს პოპულისტური მიზნებით იყენებს. სუსტ სახელმწიფოებში მემარცხენე იდეები პოპულარულია ეკონომიკის სფეროში, მაგ., ძლიერი საპენსიო სისტემა, საყოველთაო ჯანდაცვა, სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების სისტემის არსებობა.[47] ლეიბორისტები

[46] ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მემარცხენე პოპულისტური პარტიების ნაკლებობას სტენლის (2017, 193) მიხედვით, ნაციონალისტური, ტრადიციონალისტური და ავტორიტარული დამოკიდებულებების ანტი-საბაზრო ეკონომიკურ პოზიციებთან შეთავსება იწვევს. მემარჯვენე პოპულისტებმა აღნიშნული იდეოლოგიური კომბინაცია მარტივად აითვისეს, ხოლო მემარცხენე პოპულისტებს გაუჭირდათ საკუთარი თავის დაკავშირება არაპროგრესულ პოლიტიკასთან.

[47] ამ თემასთან დაკავშირებით ექსპერტი (2023), აღნიშნავდა, რომ მაგალითად ვაზის სუბსიდირებასთან დაკავშირებით განსხვავებაა კულტურული თვალსაზრისით, კერძოდ როდესაც სახელმწიფო სუბსიდიის კახური სტიქიის დაზარალებულებთან დაკავშირებით საზოგადოებამ უფრო მეტი სენსიტიურობა გამოავლინა ვიდრე მსგავსი შემთხვევის, რომელიც სომხური მოსავლის მაგალითს ეხებოდა ეთნიკური უმცირესობებით

(მიუხედავად იმისა, რომ ეს პარტია ძლიერი მემარცხენე პარტია არ არის) პენსიების საკითხთან მიმართებაში პოპულიზმს სტრატეგიულ მიმართულებად (ან ინსტრუმენტად) იყენებენ, რაც მასების მობილიზაციის კარგი ხერხია.

ქართული ოცნებაც რომელიც თითქოს იხრება მემარცხენეობისკენ, უფრო მემარჯვენეა, როგორც ზოგადად პოლიტიკის ასევე ეკონომიკური კუთხით (ექსპერტი ელექტორალური გეოგრაფიის საკითხებში, 1.04.2023). იგივე მოსაზრება გააჩნია პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტს (29.03.2023), რომ ქვეყანაში მემარცხენე პარტიები არ არსებობენ.[48] თუმცა მისი აზრით, მემარცხენე პოპულიზმი ფართოდ გამოიყენება, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხრიდან. აღნიშნული გვხვდება, როდესაც პარტიები გასცემენ დაპირებებს დიზელის, ფულის გაცემის, ვაუჩერების, დახმარების, თუ რომელიმე უფასო თემასთან დაკავშირებით. მის თანახმად, საქართველოში ეს თემა არის აღრეული და ისინი ამის გამო არ არიან არც მემარცხენე-მემარჯვენე, პოლიტიკოსები იმ კონკრეტულ მომენტში იყენებენ რაც მათთვის მომგებიანია, ანუ ოპორტუნიზმს მიმართავენ. ამ აზრს ეთანხმებოდა უსაფრთხოების საკითხის ექსპერტი (3.05.2023), რომ მემარცხენე პოპულიზმით გაჯერებულია პოლიტიკური პარტიების მოწოდებები დახმარების და უფასო სერვისების შესახებ, მას ყველა ფლანგზე მიმართავენ როგორც ნაციონალისტ-პოპულისტები, ასევე მემარჯვენეებიც. საქართველოში მემარცხენე იდეების, სოციალური იდეები მიიტაცა ყველა დიდმა პოლიტიკურმა პარტიამ, თუმცა, პოლიტიკურ და სოციალურ ისტებლიშმენტში მემარცხენე იდეები (მაგალითად მინიმალური ხელფასის) არ არის პოპულარული (ექსპერტი ელექტორალური გეოგრაფიის საკითხებში, 1.04.2023). მისი აზრით, გარკვეული აღრევა მაინც ხდება და მემარცხენე პოპულიზმს მემარჯვენეებიც იყენებენ.

დასახლებულ რეგიონში. მისი თქმით, ეს ცალსახად მემარცხენე ნარატივია, მაგრამ საზოგადოება უფრო მემარცხენე და სენსიტიურია როდესაც საქმე კულტურულად მისთვის ძვირფას საგანს ეხება და ნაკლებად არის მემარცხენედ გადახრილი, როდესაც მისთვის ახლო კულტურასთან არ აქვს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში საქართველოზეა საუბარი.

[48] ექსპერტის თანახმად, ქართული ოცნება ამბობს, რომ მემარცხენე ცენტრისტული პარტიაა, მაგრამ მათ ეს ნაბიჯი გადადგეს იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა იყო მემარჯვენე ცენტრისტული პარტია და მათ სურდათ რომელიმე ევროპულ გაერთიანებაში შესულიყვნენ.

მემარცხენე პოპულისტურ გზავნილებს ნაციონალისტ-პოპულისტები იყენებენ ხოლმე, რადგან ეს მიჯნა ამ პარტიებს და მათ ლიდერებს შორის არ არსებობს და ისინი ურევენ ერთმანეთში ამ გზავნილებს. საქართველოში მემარცხენე-მემარჯვენე პარტიების კლასიკური გაგებით დალაგება პრაქტიკულად შეუძლებელია (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 4.04.2023). ამ მემარჯვენე-მემარცხენე პარტიების დეფინიციას ემხრობა ნაციონალიზმის კვლევის ექსპერტი (18.03.2023). ლეიბორისტული პარტიის გარდა, სხვა პარტიები ერთდოულად მემარცხენე ეკონომიკურ ნარატივსაც და მემარჯვენე ნარატივსაც იყენებენ; შესაბამისად, საქმე გვაქვს ერთგვარ ნაერთთან. რეალურად ეს იმიტომ ხდება, რომ მემარცხენე ფლანგი საქართველოში სუსტია, ხოლო მარჯვენა ფლანგზე პოპულისტების სრული დომინაციაა. მემარჯვენე-პოპულისტები ხედავენ, რომ ქვეყანაში მატერიალური გაჭირვებაა და ამას წარმატებით კარგად იყენებენ, რადგან ეს ხალხს აღელვებს (ნაციონალიზმის კვლევების ექსპერტი, 18.03.2023).

პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტმა (5.04.2023) აღნიშნა, რომ „თუ შევხედავთ პატრიოტთა ალიანსის ეკონომიკურ დაპირებებს, ყველა მიმართულება არის მემარცხენე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პატრიოტთა ალიანსი მემარცხენე ძალაა“; ევროპაში არსებული კლასიფიკაციით პატრიოტთა ალიანსი არ აღმოჩნდება მემარცხენე ფლანგზე. არც მემარჯვენე და არც მემარცხენე პარტია არ გასცემს ისეთ დაპირებას, როგორიც გასცა პატრიოტთა ალიანსმა 2020 წლის არჩევნებისთვის, რომ მთავრობამ უნდა უყიდოს დანდგარი და შემდეგ აჩუქოს ოჯახს (რაც მათი თქმით, ხელს შეუწყობდა ბიზნესის განვითარებას). ზოგადად სხვა მემარჯვენე პოპულისტებსაც ახასიათებთ, რომ „სახელმწიფო რესურსები უნდა ხალხს ეკუთვნოდეს, გამომდინარე ხალხი-ელიტის დაპირისპირების პოსტულატიდან. საერთო საკუთრების შესახებ იდეა გარკვეულწილად კომუნისტური იდეოლოგიის გამოძახილია“ (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი 5.04.2023); (გალტანის) ორგანზომილებიან კვადრატში პატრიოტთა ალიანსი განთავსდებოდა ეკონომიკური კუთხით მარცხენა ფლანგზე, ხოლო კულტურული იდეოლოგიის თვალსაზრისით კი მარჯვნივ.

ექსპერტების უმრავლესობა თანხმდებოდა, რომ ბანკების საწინააღმდეგო გზავნილები პოპულისტურია. ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნდა, რომ ბანკების წინააღმდეგ მიმართული

გზავნილები პოპულიზმად უნდა მიგვეჩნია, თუ საქმე გვქონდა აბსტრაქტულ იდეებთან ხალხი და ელიტის დაპირისპირების შესახებ (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 5.04.2023).

ბანკების (და ბანკირების) წინააღმდეგ მიმართული გზავნილები შეიძლება ჩაითვალოს პოპულისტურ გზავნილებად, რადგან ისინი ისტებლიშმენტის ნაწილად ითვლებიან (ექსპერტი ელექტორალური გეოგრაფიის საკითხებში, 1.04.2023). ბანკები ხალხს ძარცვავენ და „ისინი საზიზღრები არიან" გარკვეულწილად ეკონომიკური პოპულიზმის ზოგადი თემაა, (თუმცა, თუ მსგავსი მოწოდებები გარკვეულ არგუმენტებს ემყარება, მაშინ ის არ განეკუთვნება პოპულიზმის სფეროს) (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 22.03.2023). მიუხედავად იმისა, რომ მემარცხენე პოპულისტური ნარატივები, საქართველოში ძალიან ძლიერია, მათ შორის, ე.წ „ბანკები გვძარცვავენ", რაც ტრადიციული მემარცხენე პოპულიზმია, მაგრამ მისი სათანადო გამოყენება ვერ ხერხდება, რადგან საქართველოში ძლიერი (და სერიოზული) პოლიტიკური პარტია ვერ გამოჩნდა. (ულტრამემარჯვენე) ნატივისტურმა პარტიებმა ეკონომიკური პოპულიზმის თემატიკა აითვისეს, შესაბამისად ისინი იყენებენ ისეთ გზავნილებს, რომ უცხოელები გვძარცვავენ.[49] გარდა იმისა, რომ მემარცხენე პარტიები სუსტები არიან „ამასთან ერთად, ნატივისტური განწყობები ემოციებზე მეტად მოქმედებს, ანუ პოპულიზმი ზოგადად უფრო ემოციებზე მუშაობს ვიდრე გონებაზე. იდენტობასთან დაკავშირებული თემები უფრო ეფექტიანია ემოციების აღსაძვრელად, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში" (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 22.03.2023).

[49] ექპერტის თანახმად, ნამახვანჰესის წინააღმდეგ მოძრაობის შედეგად ქსენოფობიური და მემარცხენე და ამავე დროს მწვანე ლოზუნგები, რაღაცნაირად ერთმანეთს შეერწყა.

3.2 ბანკების წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილები და დისკურსები[50]

2016 და 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების გზავნილებში საბანკო სექტორთან დაკავშირებით გამოიყო შემდეგი კატეგორიები: „მძარცველი ბანკები“ („კრიმინალი ბანკირები“), „ბანკები ხალხს უსახლკაროდ ტოვებენ“.

ქვემოთ მოცემულია სტატისტიკა, თუ რამდენჯერ ახსენა რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ სიტყვა „ბანკების/ბანკირების/მათ/ისინი“. ეს არის იმ პარტიების ჩამონათვალი, რომლებიც ბანკებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ:

ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა -14

თავისუფალი საქართველო - 6

თეთრები -11

ლეიბორისტული პარტია (2016წ) -8

ლეიბორისტული პარტია (2020წ) -7

ტრიბუნა - 9

ქართული იდეა -7

შეცვალე საქართველო[51] -6

ლეიბორისტული პარტიის გზავნილები ძირითადად ოლიგარქების წინააღმდეგაა მიმართული. მათი განცხადებებიდან გამომდინარე ოლიგარქები არიან ბანკირები, მილიონერები ან მილიარდელები, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები რომლებიც იმავდროულად ქვეყანას მართავენ ან შეკრულები არიან ხელისუფლებასთან ან პოლიტიკურ ელიტასთან. პარტია 2016 წლის პროგრამაში, ყურადღებას ამახვილებდა ოლიგარქიული სისტემის ცვლილების საჭიროებაზე ეროვნული და ევროპული ტიპის დემოკრატიული სოციალიზმის შესაბამისად. დამოუკიდებლობის შემდეგ, მალევე ეროვნული და ხალხის

[50] აღნიშნული ქვეთავის ნაწილი გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალ პოლიტიკაში (2022, ტომი 7, N 4) სახელწოდებით: „მემარცხენე პოპულიზმი 2016-2020 წლების საპარლამენტო არჩევნებში: საბანკო სექტორის წინააღმდეგ მიმართული საარჩევნო გზავნილები“.

[51] იხილეთ ამ პარტიების პროგრამები. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის პროგრამაში, შეცვალე საქართველო ბანკებს მოიხსენიებდა, როგორც მონოპოლისტებს, რომლებიც მძარცელურ პოლიტიკას ატარებენ. სესხის პროცენტი უნდა შემცირებულიყო, ამასთან ერთად, ბანკებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქართული „სილიკონ ველის“ შექმნაში. პარტია, საჯარო გამოსვლებში თითქმის არ უთმობდა ყურადღებას ბანკებზე საუბარს.

სიმდიდრე მაშინდელმა ფსევდოელიტამ მიითვისა, რის შედეგად მონოპოლისტურ-ოლიგარქიული ეკონომიკა ჩამოყალიბდა. არსებული სისტემის შენარჩუნება ბრალდებოდა საქართველოს მეორე და მესამე პრეზიდენტების რეჟიმებს და მათ გარიგებასოლიგარქების ზედაფენსთან, ხოლო ამ უკანასკნელთა სათავეში იყო კრიმინალი ივანიშვილი, რომელიც შემდგომ ხელისუფლებაში მოვიდა. ამ სისტემის პირობებში საქართველოში ხალხი „სოციალური გენოციდის საკონცენტრაციო ბანაკში“ აღმოჩნდა. ხალხს ძალაუფლების დასაბრუნებლად საჭიროა იყო ძალაუფლებიდან კლასობრივი მტრის, მილიონერთა კლანის, ჩამოცილება (ლეიბორისტული პარტია, პროგრამა 2016). საქართველოში ოლიგარქიასთან ბრძოლა მიმდინარეობდა არა სოციალური სამართლიანობის დამყარების დროშის ქვეშ, არამედ, სინამდვილეში ეს იყო ფარულ ჩრდილოვან მმართველის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა (ექსპერტი ელექტორალური გეოგრაფიის საკითხებში, 1.04.2023).

ერთ-ერთი ინტერვიუს დროს, პარტიის წევრი ჩხარტიშვილი აღნიშნავდა, რომ წვრილ მეწარმეობას, რომელიც ხალხის მთავარი დამსაქმებელია მეტი თანადგომა სჭირდებოდა, ხოლო ოლიგარქიული წარმონაქმნები ყველა ხელისუფლების დროს ძარცვავდნენ საკუთარ მოსახლეობას, კლავდნენ წვრილ ბიზნესს და ადამიანებს (საქართველოს ლეიბორისტული პარტია - საქართველო ირჩევს, 2020). საბანკო სისტემა საქართველოში დასავლური სისტემისგან განსხვავებულად ფუნქციონირებს, რომელიც ძირითადად ზიანს აყენებს საშუალო და დაბალ ფენებს. იმის გამო, რომ პოპულიზმი ცდილობს ფულიანი ელიტის წინააღდეგ მასების მობილიზებას, ეს საკითხი პოპულისტური პარტიებისთვის საკმაოდ მომგებიანია. იმ შემთხვევაში, როდესაც საბანკო ელიტა წარმოჩენილია, როგორც („ჩვენ“) ხალხის მძარცველი, გამღარიბებელი და ამის ხარჯზე გამდიდრებული, მაშინ ეს უკვე ცალსახად პოპულისტურ ნარატივს და ჩარჩოს წარმოადგენს (პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 12.04.2023).

ოლიგარქიულ წარმონაქმნებში იგულისხმება მმართველი ელიტა (ფინანსურიც), რადგან ისინი წვრილ ბიზნესს ჩაგრავენ, შესაბამისად ეს უკანასკნელი „უბრალო ხალხის“, ანუ „ჩვენის“ ნაწილია. ეს პოპულისტური დისკურსია, რადგან უფრო ყურადღებას ამახვილებს ელიტაზე, განსხვავებით სოციალისტური (მარქსისტული) იდეოლოგიისგან, რომელიც მუშათა და ბურჟუაზიის კლასობრივ სხვაობაზე აკეთებს აქცენტს. ლეიბორისტული პარტიის

პოპულისტურ დისკურსებში, როგორც წვრილი ასევე საშუალო ბიზნესიც ხალხის ნაწილს წარმოადგენს. ხოლო ოლიგარქიული სისტემა მათ ებრძვის და „კლავს“, იმით რომ სამუშაო ადგილების შექმნას უშლის ხელს (თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ლეიბორისტული პარტია იყენებს სიტყვა კლასობრივს, შესაბამისად სოციალისტური და პოპულისტური შემადგენელის გამიჯნვა ყოველთვის ცხადი არაა).

ლეიბორისტული პარტია ცდილობს ამერიკაში (და ევროპაში) გავრცელებული მემარცხენე პოპულისტური დისკურსი გადმოიღოს, როდესაც ის მოქალაქეებს პირდებოდა, რომ ის დაასრულებდა „3%-იანი ფულის ტომრების ბატონობას 97%-იან მოსახლეობაზე“ (ლეიბორისტული პარტია, პროგრამა 2016).[52] ეს გახლავთ საკმაოდ გავრცელებული მემარცხენე პოპულისტური ლოზუნგის „ჩვენ ვართ 99%“ ადაპტირების მცდელობა, რომელიც პოპულარული გახდა უოლ სტრიტის ფინანსური ელიტის წინააღდეგ მიმართული გამოსვლებში, რომლებსაც ადგილი ქონდათ ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულში. პარტიის მოწოდებებში იდეოლოგიური დისკურსის ელემენტებს ვხვდებით: აქტორთა ნეგატიურ აღწერას, მილიონერთა კლანის და „ფულის ტომრების“ შესახებ. ხშირია საფრთხის ტოპოსის გამოყენება, რომლის მიხედვით არსებული ვითარებით მხოლოდ მდიდრები, ოლიგარქები და ბანკირები ხეირობენ. ეს გზავნილი გათვლილია დაბალ და საშულო ფენებზე, რომ ეს არის ძალაუფლებაში მყოფი პირების შეთქმულება უბრალო ხალხის წინააღმდეგ. ისინი 90-იანი წლებიდან მოყოლებული ძარცვავენ (და „კლავენ“) ხალხს. ვხვდებით ქმედების აღწერილობის და მეტაფორის გამოყენებას, გენოციდის და საკონცენტრაციო ბანაკის ხსენებით, რომლის მიზანია ხალხის არსებული მდგომარეობა და გამოცდილება მასობრივ ხოცვა-ჟლეტას დაუკავშიროს.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის თანახმად, 2016 წელს, ქვეყნის სათავეში ის ადამიანები იყვნენ ვისაც ფული ჰქონდა. სისტემა უნდა შეცვლილიყო, სადაც სახელმწიფო ოლიგარქების ხელში არ იქნებოდა: „ეს არ არის მარტო ივანიშვილი, ეს არის მთელი ჯგრო, შეიძლება ასე ითქვას, კრიმინალი დამნაშავეებისა, რომლებიც მუდვმივად შოულობენ ახალ-ახალ მილიონებს, პოლიტიკით, სადეპუტატო მანდატით, ხალხის ნდობის ბოროტად

[52] 2020 წლის არჩევნებამდე ნათელაშვილი ტელევიზიაში გამოსვლისას ამბობდა, რომ ეროვნული სიმდიდრე მმართველმა 10%-იანმა ელიტამ მოიპარა (საქართველოს ლეიბორისტული პარტია - საქართველო ირჩევს, 2020)

გამოყენებით“ (ლეიბორისტული პარტიის წარდგენა..., 2016). ვხვდებით მკვეთრად ნეგატიურ აღწერას, სადაც ოლიგარქები კრიმინალით შოულობენ ფულს და პოლიტიკას იყენებენ ხალხის მოსატყუებლად.

ნათელაშვილი (ლეიბორისტული პარტიის წარდგენა..., 2016) ამბობდა, რომ ქართულ ეკონომიკას ანგრევდნენ ბანკები, რასაც მათი ძალზედ მაღალი საპროცენტო განაკვეთები და ბიზნესის მოხრჩობის პოლიტიკა განაპირობებდა. შემდეგ ის თიბისი ბანკის ფლობელს ხაზარაძეს აბრალებდა, რომ უნივერმაღს განვითარებისთვის ვალი მისცა, ხოლო მერე გააკოტრა და ხალხი უმუშევრად დატოვა, სადაც შემდეგ საკუთარი ოფისი (რომელსაც ყაჩაღურ კანტორად მოიხსენიებდა) განათავსა.[53] კულტურის კვლევების ექსპერტის თანახმად (20.03.2023), საქართველოსნაირ ღარიბ ქვეყნებში, ბანკების წინააღმდეგ გზავნილები ხშირია, რადგან ბანკირები საქართველოში არ უყვართ, მას ეს მემარცხენე პოპულიზმის სიძლიერის მაჩვენებლად მიაჩნდა, რის მაგალითად ლელოს საარჩევნო შედეგი გამოდგება 2020 წელს.[54] ნათელაშვილი (ლეიბორისტული პარტიის წარდგენა..., 2016) მოითხოვდა, სახელმწიფო მმართველობას ოლიგარქიის გარეშე და რომ ბანკირები არ უნდა იღებდნენ მათთვის სასარგებლო კანონებს; ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ბანკი 1700%-იან მოგებით ასრულებს წელიწადს (ქართუ ბანკი), მოახდენდნენ მის ნაციონალიზაციას ხოლო მის მფლობელს ციხეში ჩასვამდნენ, განასკუთრებით მაშინ როდესაც ხალხი შიმშილობს. პარტიის თავჯდომარესთვის ოლიგარქები არ უნდა იყვნენ ხელისუფლებაში, არამედ ხალხის მიერ არჩეული საშუალო ფენა. ქვეყანას ჰყავდა უამრავი ბანკირი პრემიერ-მინისტრი, ის მათ „ბანდიტებად“ მოიხსენიებდა, მათ წაიღეს ეროვნული სიმდიდრე, ხოლო პენსიონერი მშიერი დარჩა.

ზემოთმოცემულ აბზაცში მთავარი თემა ბანკების და ბანკირების ნეგატიური აღწერაა. ბანკირები არიან ქვეყნის სათავეში და იღებენ მხოლოდ თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს, ხოლო მათ მიერ შექმნილი სისტემა ეკონომიკის განვითარებას ხელს უშლიდა. ერთი მხრივ, არიან ბანკირები და ოლიგარქები, ხოლო, მეორე მხრივ, ხალხი, რომელსაც წარმოადგენენ საშუალო ფენა და ბანკების ვალით დატვირთული, გაჭირვებული

[53] 2016 წელს მამუკა ხაზარაძეს ჯერ არ ჰქონდა დაწყებული პოლიტიკური საქმიანობა
[54] 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ლელომ ხმების 3.15% მოიპოვა (იხილეთ: ცესკო, არჩევნები 2020).

ადამიანები და ბიზნესი. გამოყენებულია ისეთი სიტყვები, როგორიც არის ბიზნესის „მოხრჩობა“, რაც დამატებითი ნეგატიური ასოციაციის გამოსაწვევად ხდება. ადგილი აქვს პირად თავდასხმას თიბისი ბანკის მფლობელ ხაზარაძეზე, რომელიც საკუთარი მოგებისთვის ხალხს უმუშევრად ტოვებდა. მისი ბანკი „თიბისი“ (აქტორთა აღწერა) წარმოდგენილია, როგორც „ყაჩაღური კანტორა“.

ლეიბორისტების ლიდერი, ასევე ბანკების ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით სოციალისტურ გზავნილებს მიმართავს. ისინი გამიზნულია გაჭირვებულ აუდიტორიაზე, კერძოდ აღნიშნულია, რომ ბანკს არ შეიძლება ჰქონდეს ამხელა მოგება. ხდება სასურველის რეალობად წარმოჩენა, როდესაც ბანკირების მოხსენიება ხდება „ბანდიტებად“, რადგან კანონიერი და სამართლიანი გზით ბანკი ასეთ უზარმაზარ მოგებას ვერ ნახავდა. ეს ყოველივე „ბანკები ხალხს ძარცვავენ“ დისკურსია (გოგსაძე, 2023, 7).

ამ პოპულისტურ დისკურსს, ლეიბორისტული პარტია 2020 წელსაც ხშირად მიმართავდა. მათი ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ლიბერთი ბანკი იყო, რომელიც პასუხისმგებელი პენსიების გაცემაზე იყო და კრედიტის აღების შემთხვევაში, პენსიონერებს ძალიან მაღალ საპროცენტო განაკვეთს აკისრებდა, რაც ლეიბორისტების მიერ ძარცვად და დანაშაულად იყო შეფასებული. შესაბამისად, მთავარი არგუმენტი, თუ რატომ არ ხდებოდა პენსიების ზრდა მაღალჩინოსნების მიერ, ბიუჯეტის საკუთარი კეთილდრეობისთვის გამოყენება იყო, ხოლო ბანკები „ჩვენს ფულს“ აპროცენტდებდნენ და შემოსავლებს იღებდნენ (საქართველოს ლეიბორისტული პარტია - საქართველო ირჩევს, 2020). როგორც სხვა შემთხვევებში ბანკები აღწერილნი არიან, როგორც მოგებას დახარბებულები, რომლებიც ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს უმძიმესს მდგომარეობაში აგდებენ. მსმენელში ნეგატიური ასოციაციის გამოსაწვევად ნახსენებია „ჩვენი ფულის“ გაპროცენტება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბანკები მევახშეობის გზით მდიდრდებიან (გოგსაძე, 2023, 7). ისინი ჰარმონიაში არიან ჩინოვნიკებთან, რომლებიც ბიუჯეტს ძარცვავენ. ხდება სასურველის ფაქტად წარმოჩენა, რომ ლიცენზიების და არაკანონიერი შემოსავლების ჩამორთმევის შემთხვევაში ვითარება მთლიანად გამოსწორდება. ეროვნული სიმდიდრე კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს ეკუთვნოდა, შესაბამისად მოხდებოდა ლიცენზიების ჩამორთმევა, რადგან დიდი კომპანიები კანონს არღვევდნენ და ბიუჯეტში არაფერს რიცხავდნენ, ხოლო შემოსავალი თანაბრად უნდა

განაწილებულიყო მოქალაქეებზე; „ჩვენ არაფერი გვრჩება. ჩვენ ვართ მონები! და აი, ამ ეროვნული სიმდიდრით სარგებლობენ, აი, ეს ვიწრო ჯგუფები, აი, ეს ოლიგარქი“ (საქართველოს ლეიბორისტული პარტია - საქართველო ირჩევს, 2020).

საბანკო პოლიტიკასთან დაკავშირებით ლეიბორისტული პარტიის წევრის ქუმსიშვილის (არჩევნები 2020a) განცხადებით, პენსიონერებზე გაცემული 36%-იანი სესხი ამორალური იყო და ამ პირობებში ასეთ ცხოველებთან გვქონდა საქმე და არა იმ ფინანსურ ინსტიტუტებთან, რომლებიც დადებით როლს უნდა თამაშობდნენ ქვეყნის ეკონომიკაში. ასევე ასაკრძალი იყო ბანკებისთვის ის საშუალება, რომლითაც ისინი მოქალაქეებს უკანასკნელ საცხოვრებლებს ართმევდნენ და ქუჩაში ტოვებდნენ. საჭირო იყო ისეთი რეგულაციების შემოღება, რომლითაც ბანკირები ხალხის ხარჯზე არ გამდიდრდებოდნენ და ყოველთვიურად მილიონობით შემოსავალს არ იშოვნიდნენ. არსებულ ვითარების სიმძაფრეს, ქუმსიშვილი წარმოაჩენს ქმედების აღწერის ხარისხით და მკვეთრი შეფასებით (სიტყვა „ცხოველებით“), ისევე, როგორც ხალხის უსახლკაროდ დატოვებით.

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, ვანო ჩხარტიშვილი წინა ხელისუფლებასაც აფინანსებდა. ჩხარტიშვილმა გაერთიანებული ქართული ბანკი იმ მილიარდიანი ანაბრებით შექმნა, ხოლო შემდეგ ის რუსებს მიყიდა და იქაა ის ფული, რომელიც ხალხს უნდა დაბრუნებოდა (ლეიბორისტული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020). აღნიშნული „ბანკები ძარცვავენ ქვეყანას“ დისკურსია. ხდება პირადი თავდასხმები, რადგან პარტიის წარმომადგენლებს არ აქვთ საკმარისი არგუმენტები ოპონენტის (ოლიგარქის) წინააღმდეგ, ადგილი აქვს ტოპოსის გამოყენებას. როგორც წინა თავში აღინიშნა, ლეიბორისტულ პარტიას ანტირუსული[55] შეხედულებები გააჩნია, ამ შემთხვევაშიც მცდელობაა, რომ ბანკების, ბანკირების და ოლიგარქების საქმიანობა რუსეთს

[55] ერთ-ერთ გადაცემაში ლეიბორისტები აცხადებდნენ, რომ მათ რუსეთთან კარგი ურთიერთობა სურდათ, მაგრამ „ბორდერიზაციის“ და ქართველების გატაცების და დახოცვის შემთხვევები თუ გაგრძელდებოდა, მაშინ საქართველო გახსნიდა აშშ-ს სამხედრო ბაზებს ქვეყნის ტერიტორიაზე, რაც რუსეთს დიდ ზიანს მიაყენებდა (საქართველოს ლეიბორისტული პარტია - საქართველო ირჩევს, 2020).

დაუკავშირდეს (რაც ნაციონალისტურ ელფერს იღებს) და მოხდეს ყურადღების რუსეთზე გადატანა და საბოლოო ჯამში პარალელი გაივლოს ოკუპანტთან.[56]

„მეგობრებო აირჩიეთ თქვენიანი; ჩვენ თქვენიანები ვართ და მინდა გითხრათ მთავარ განმასხვავებელზე; ის რაც ჩვენ განგვასხვავებს, აი, ამ სამთავრობო ელიტისგან, რომელმაც შეჭამა ჩვენი ქვეყანა“ (ლეიბორისტული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020). ნათელაშვილი ცდილობს ხალხის („ჩვენ“) კონსტრუქციას და იმის ხაზგასმას, რომ ის ამ უბრალო, მშრომელი და პატიოსანი ხალხის ნაწილია. უბრალო ხალხი შედგება საშუალო ან დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოქალაქეებისგან, რომლებიც ჩაგრულები არიან. მათ პოპულისტურ დისკურსებში, ოლიგარქები, მილიონერები, ბანკირები „სხვები“ არიან, რადგან ისინი ხალხს ძარცვავენ, მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ან მოპარული ანაბრებით. ასევე, „სხვის“ ნაწილია სამთავრობო ელიტა, რომელიც კორუმპირებულია.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რა დოკუმენტები გააჩნია ჩხარტიშვილის წინააღმდეგ, რომელიც, ლეიბორისტული პარტიის განცხადებით, საქართველოს რკინიგზის მეშვეობით ნავთობის არაფორმალურ გადაზიდვას აკონტროლებს, გუგავა პასუხობდა, რომ სანამ მამაცაშვილი და ჩხარტიშვილი ჩაიგდებდნენ რკინიგზას ხელში, მას სამასი მილიონი შემოჰქონდა ბიუჯეტში, ხოლო დღეს რკინიგზა ხაზინას აზარალებდა და ბიუჯეტში თანხების შეტანის ნაცვლად, არადეკლარილებული საქონლის გადაზიდვით არის დაკავებული. ეს შემოსავალი ნაწილდებოდა ჩხარტიშვილის, მამაცაშვილის და ივანიშვილის ჯიბეებში (ლეიბორისტული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020).[57] ლეიბორისტული პარტიის

[56] უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი (28.03.2023) ანტისაბანკო გზავნილებს მემარცხენე პოპულიზმის მახასიათებლებით არის გაჯერებული, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ისინი ნაციონალურ შეფერილობას იძენენ. მათ შორის, გვხვდება განცხადებები, რომ რუსებისთვის, თურქებისთვის ან სხვებისთვის საცხოვრებელს და მიწებს „ყიდულობენ“, ხოლო ქართველებს ბინებიდან ასახლებენ.

[57] გუგავას განცხადებით, ჯანდაცვის ბიუჯეტი მილიარდ სამასი მილიონი იყო, რომელიც საჭიროების მიხედვით უნდა განაწილებულიყო ხალხზე. თბილისში არსებული სახელმწიფო რესპუბლიკური საავადმყოფოში იმ თბილისელებს ვისაც ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ უნდა მიეღოთ სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები. მისი თქმით, ამ თანხას ჯიბეში, იდებდნენ სხვადასხვა კომპანიები, მათ შორის, სამედიცინო კომპანიები, რომლებიც ბანკირების და ოლიგარქების და სააფთიაქო მაფიის მიერ იყო შექმნილი და ეს თანხა ამ საავადმყოფოებს უნდა გადასცემოდათ (იხილეთ: ლეიბორისტული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020). ამ შემთხვევაშიც, ხდება „ჩვენ“ უბრალო ხალხის დაპირისპირება „მათ“ მსხვილი კომპანიების, ბანკირების და სხვების წინააღმდეგ, რომლებიც აღწერილნი არიან, როგორც ფულის მიმთვისებლები.

წარმომადგენლები აქაც დამაჯერებელი არგუმენტის არქონის პირობებში, პირად თავდასხმებს მიმართავენ და არაერთ დაუსაბუთებელ ბრალდებას გამოთქვამენ, რითაც ცდილობენ გადაფარონ მათ მიმართ ბრალდები.[58]

ივანიშვილისთვის წაყენებულ ბრალდებებს შორის, ვხვდებით მთელი ბიზნესის მითვისებას, ეროვნული სიმდიდრის საკუთარ ანგარიშებზე გადაფორმებასა და ხალხის გაღატაკებას. ლეიბორისტები ამტკიცებდნენ, რომ მან, საბანკო დიქტატურა შექმნა. ნეგატიურ აღწერას ვხედავთ მიკროსაფნინასოების, კაზინოების და ონლაინ მსესხებლების მიმართ. ამ ინსტიტუტების მიმართ ქართულ საზოგადოებაში ფართოდ არის გავრცელებული ნეგატიური დამოკიდებულება, შესაბამისად, ნათელაშვილი ივანიშვილს მათ შექმნას აბრალებს. ლეიბორისტები, ამ შემთხვევაშიც პირად თავდასხმას იყენებენ, ხოლო არგუმენტად მოყვანილია, რომ ეს ინსტიტუტები ივანიშვილს აფინანსებენ (ნათელაშვილი, ტვ პირველი, 2016). აქტორთა აღწერის კუთხით, ბანკები წარმოჩენილია, როგორც „სხვა“, ივანიშვილის დამსახურებით საქართველოში გვაქვს „ბანკების დიქტატურა“, ამ შემთხვევაში ოლიგარქია და ფინანსური ელიტა დაკავშირებულნი არიან, რომ ძალაუფლება შეინარჩუნონ.

თავისუფალ საქართველოს გააჩნდა გზავნილები ბანკების საქმიანობის საწინააღმდეგოდ, სადაც ისინი ამომრჩეველს პირდებოდნენ, რომ აკრძალავდენ, როგორც მევახშეობას, ასევე გამოსახლებას. კუკავა (თავისუფალი საქართველო - საქართველო ირჩევს 2020) აღნიშნავდა, რომ დღეს ხაზარაძეც მევახშეობის აკრძალვაზე საუბრობდა,[59] ხოლო მათი პარტია ამას თავის

[58] სხვა გადაცემაში, პარტია ჩხარტიშვილს ანაბრების მოპარვის გარდა აბრალებდა მილიარდების მოპარვას და ყველა ხელისუფლებასთან გარიგებას, ასევე რუსეთის საგარეო დაზვრევის ხელმძღვანელ ნარიშკინთან მოკავშირეობას (საქართველოს ლეიბორისტული პარტია - საქართველო ირჩევს, 2020). შესაბამისად, ანტიოლიგარქიული გზავნილები ერწყმის ანტირუსულ დისკურსებს, იმ მიზნით, რომ მოსახლეობაში მეტი ნეგატიური დამოკიდებულება შეიქმნას მდიდრების წინააღმდეგ. ივანიშვილი, როგორც ქვეყნის მმართველი ოლიგარქი, ასევე რუსეთთან და პუტინთან კავშირშია, რაც ჩანს ნათელაშვილის შემდეგ განცხადებაში, რომ ოკუპანტმა რუსეთმა და მათმა უფროსმა პუტინმა, საქართველოს მმართველად დანიშნა, საკუთარი ბუღალტერი და ჯიბის ოლიგარქი. ივანიშვილი შედარებულია სერგო ორჯონიკიძეს და შეფასებულია როგორც ადეპტი, რომელიც მალე უნდა დააპატიმრონ (ლეიბორისტული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020).

[59] ლელოს თავჯდომარე, მამუკა ხაზარაძემ, ერთ-ერთ ინტერვიუში შემდეგი განაცხადა: „დღეს პრობლემა ის არის, რომ 600 ათასი კერძო იპოთეკარი და „ნამდვილი მევახშე“ რაც არის, ის არის დარეგისტრირებული. ... ამის დამფუძნებლები ოცნების მაღალი თანამდებობის პირები არიან, რომლებიც 200, 300, 400%-იან კრედიტებს იძლეოდნენ და დაანგრიეს ეს სისტემა მთლიანად...“ (ლელოს პროგრამის პრეზენტაცია..., 2020). შემდეგ ხელისუფლებას მოუწია ეს სისტემა ეროვნულ ბანკში გადაეტანა და დაწესდა ე.წ „ჭერი“. იგი ამბობდა, თუ ვინ არიან „ნამდვილი მევახშეები“, რომლებიც უსინდისო და დანაშაულებრივ საქმეში არიან ჩართულები, რაც უნდა აიკრძალოს (ლელოს პროგრამის პრეზენტაცია..., 2020). ამ შემთხვევაში ხაზარაძე ცდილობდა გაემიჯნა ბანკების

ქმედებით ამტკიცებდა, რადგან მათ ბოლო წლების მანძილზე 200 ოჯახი გადაარჩინეს გამოსახლებას. აქტორთა აღწერის კუთხით, ბანკები წარმოდგენილნი არიან როგორც მევახშეები, რომლებიც უბრალო ხალხის ვალებით ცხოვრობენ და მათ სახლებიდან ასახლებენ. ხდება სასურველის რეალობად წარმოჩენა, რომ, თუ ბანკებს მევახშეობის უფლება შეეზღუდებათ, პრობლემაც მოიხსნება (მოდალობა). ბანკების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება იკვეთება ხაზარაძის შესახებ შენიშნვაში, რომელიც ყველაზე დიდი ბანკის მფლობელი იყო, რომელიც უკვე მევახშეობის აკრძალვაზეც კი საუბრობს. კულტურის კვლევების ექსპერტის (20.03.2023) მიხედვით, გარკვეულ შემთხვევებში ზოგიერთი პარტია გამოკვეთილად მემარჯვენე პოლიტიკური დისკურსის მატარებელი შეიძლება იყოს, თუმცა მემარცხენე პოლიტიკურ დისკურსებსაც იყენებდეს. ის შეიძლება მოუწოდებეს, რომ მამუკა ხაზარაძის ბანკი „ძარცვავს“ მოსახლეობას და ქართველთა ეროვნული იდენტობის დაცვას ცდილობდენ, ანუ ცდილობდეს, რომ მისი ლექსიკის და რიტორიკის ნაწილი იყოს, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პოპულიზმი. იდენტობის დაცვასთან ერთად, ქვეყანაში არსებული გაჭირვების გამო, მემარცხენე თემებით უფრო მეტი მხარდაჭერა შეიძლება მოიპოვო. მისი აღნიშნვით, ბანკებთან მიმართებაში გავრცელებულია ნარატივი „ბანკები ძარცვავენ ქვეყანას“, რადგან ბევრს აქვს ბანკის ვალი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი მაღალია.

ერთ-ერთი პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი (28.03.2023), აღნიშნავდა, რომ მეინსტრიმული პარტიები ოფიციალურად დიდი აქცენტს ანტისაბანკო გზავნილებზე არ აკეთებენ (ანტი კამპანია შეიძლება მიმართული იყოს კონკრეტული პიროვნების მიმართ, მაგ., მამუკა ხაზარაძის შემთხევავაში), თუმცა, იმის გამო, რომ საბოლოო ჯამში ისინი თვითონაც ელიტის წევრები არიან და კავშირი სწორედ ამ ბანკებთან აქვთ, მათ ეს არ აწყობთ.[60] თავისუფალი საქართველო არ იყო „მეინსტრიმული“ პარტია, თუმცა ისიც ხაზს უსვამს პიროვნულ ფაქტორს, რომ ხაზარაძე მევახშე ბანკირია. როგორც აღინიშნა, ეს ყოველივე

საქმიანობა და „ნამდვილი მევახშეობა“, რომლებიც არიან დამნაშავეები არსებულ სიტუაციაში, ამასთან ერთად ის პოპულისტურ გზავნილს იყენებს, რომ ამაში ქართული ოცნების მაღალჩინოსნები არიან ჩართულები.

[60] რესპოდენტი პოპულისტურ გადაწყვეტილებად მიიჩნევს, ქართული ოცნების მიერ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ე.წ „შავი სიიდან“ მოსახლეობის დიდი ნაწილის ამოღებას, როდესაც მათ არ კითხეს და გადაუხადეს მათი ვალები. მართალია ეს გადაწყვეტილება არ იყო გაფორმებული იმით, რომ ბანკები არ ვარგა ან მევახშეები არიან, თუმცა მიღებულ იქნა ასეთი პოპულისტური გადაწყვეტილება.

ეფექტურ ტაქტიკას წარმოადგენს, ქვეყანაში ბანკირებისა და მევახშეების მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულების გამო.

კუკავას (თავისუფალი საქართველო - საქართველო ირჩევს 2020) განცხადებით, ბანკების ფუნქცია და მოგების დიდი ნაწილი საღი ეკონომიკის პირობებში არის ეკონომიკის „დაკრედიტება“. ის აქცენტს აკეთებდა ოჯახების მძიმე მდგომარეობაზე, როდესაც ბანკებმა მათ იპოთეკური კრედიტების (რაც ბევრ ქვეყანაში მათ საერთოდ აკრძალული ქონდათ) გაცემით ჩააგდეს, ხოლო ეს ბანკების მოგების ძირითადი წყარო იყო. საჯარო რეესტრის ეროვნულ გვერდზე შესაძლებელი იყო იმის ნახვა, თუ წამყვან ბანკებს რამდენი ოჯახის ქონება ჰქონდათ დაყადაღებული. ბანკებს იძულებითი აღსრულების მექანიზმები მხოლოდ ბიზნესის (და არა ფიზიკური პირების) მიმართ უნდა ჰქონოდათ. მათთვის უნდა დაეწესებინათ, როგორც პროცენტის ზედა ზღვარი; ამასთან, რაც მთავარია საცხოვრებელი ფართებიდან ოჯახების გამოსახლება უნდა აკრძალულიყო. კუკავა რამდენიმეჯერ აპელირებს ოჯახებზე. საქართველო, თუ ზრუნავს თავის მოქალაქეებზე და ოჯახებზე, მაშინ მან უნდა მოაწესრიგოს ეს საკითხი და ოჯახები ბანკების ამ ქმედებისგან დაიცვას. სხვა შემთხვევაში ოჯახები დაინგრევა. ამ თემაზე აქცენტი დამატებით ემოციურ დატვირთვას ატარებს. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, დღეს ბიზნესი უფრო პრივილეგირებულია, ვიდრე ოჯახი, რომელიც სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველს წარმოადგენს. მოწოდება მემარცხენე პოპულისტურია; უმწიკვლო, მშრომელი საკუთარ ოჯახებზე მზრუნველი ხალხი ფინანსური ელიტის მხრიდან ჩაგვრას განიცდის.

პარტია „დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისთვის“ მიიჩნევდა, რომ ბანკების მიერ უსახლკაროდ დარჩენილ ხალხზე ისევე უნდა გვესაუბრა, როგორც სამასი ათას დევნილზე. საბანკო სექტორის განვითარება ქვეყნის გაღარიბების ხარჯზე მოხდა და უსახლკაროთა რაოდენობა დევნილებისას აჭარბებდა. საქართველოში, მხოლოდ მონოპოლური ბიზნესები განვითარდნენ, ხოლო საგადასახადო კოდექსი ხელს უშლიდა მცირე და საშუალო ბიზნესის წინსვლას (თევზაძე, 2016).[61] ნეგატიური ასოციაციის მიზნით, ბანკების ქმედება აღწერილია და გათანაბრებულია ოკუპანტებთან, რომლებმაც ხალხი უსახლკაროდ დატოვეს.

[61] ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამატებდა, რომ საჯარო სექტორში მომუშავე ადამიანები წარმოადგენდნენ საბანკო სისტემის მძევლებს (დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისთვის, 2016).

შესაბამისად, ბანკები წარმოდგენილნი არიან, როგორც შიდა მტრები, რომლებიც ხელს უბრალო ხალხის გასაჭირზე ითბობენ. პოპულისტურ გზავნილებში ელიტა მსხვილი და მონოპოლიური ბიზნესის მხარეს იკავებს, შესაბამისად დაპირისპირებულია მცირე და საშუალო ბიზნესთან. პრივილეგია ენიჭებოდათ ბანკებს და არა საშუალო და მცირე ბინზესს, ხოლო სისტემა ორიენტირებული იყო ბანკების განვითარებაზე. ამ შემთხვევაშიც გვხვდება დისკურსი „ბანკები ხალხს ძარცავენ".

ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერის განცხადებით, ბანკირები თავიანთი თანამშრომლების ექსპლუატაციას ახდენდნენ, ამ ქვეყანაში მთავარი ბანკირების, მილიარდერების და ფულიანი ხალხის კერძო ინტერესები იყო, ხოლო მშრომელ ხალხს უფლებები არ გააჩნდა (საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, 2016). პარტიის გზავნილებში ვხვდებით კლასობრივ დაპირისპირებაზე აპელირების მცდელობას, სადაც ხალხში მოიაზრებიან ზოგადად მშრომლები, კერძოდ მუშები, ხოლო მეორე მხარეს არიან კაპიტალისტური კლასის წარმომადგენლები და ბანკირები. აღნიშნული იმავდროულად პოპულიზმის ფორმას იძენს, რადგან არსებული ელიტის წინააღმდეგაა მიმართული.

ქართული იდეა ეკონომიკის და ბიზნესის წინსვლის შემაფერხებლად, კარტელური გარიგებებისა და მაფიოზური კლანების არსებობას უკავშირებდა, რომლებიც გაჭირვებული ხალხის ხარჯზე დამოუკიდებლობის შემდეგ გამდიდრდნენ. ქვეყანას ადარებენ დიდ ბანკს, სადაც მხოლოდ ბანკები, კაზინოები, ტოტალიზატორები მუშაობდნენ (ჩაჩუა, 2016). ამ შემთხვევაში ნეგატიური მნიშვნელობით მოიხსენიებენ ბანკებს, რომლებიც ხელისუფლებასთან/ელიტასთან შეკრული და ხალხის კეთილდღეობის ხარჯზე გამდიდრებულ სხვადასხვა ინსტიტუტების გაერთიანებას წარმოადგენს. განცხადება პოპულისტურია, სადაც ბანკებზე, როგორც მაფიოზური წარმონაქმნებზე საუბრობენ. მოწოდება იძენს პოპულიზმისთვის დამახასიათებელ მორალისტურ ელფერს, როდესაც მათ ყველაზე გაჭირვებული ხალხის გაუბედურება ბრალდებათ.

ბანკების წინააღმდეგ გზავნილებით გამოირჩეოდა პარტია ტრიბუნა. ჭიჭინაძე (2020) აღნიშნავდა, რომ საქართველოში მოხდა ინსტიტუტების პრივატიზაცია, მათ შორის სასამართლოების და სამინისტროების, რომლებიც სხვადასხვა ფინანსური ჯგუფების მიერ

კონტროლდებოდა და კონკრეტული ფინანსური ჯგუფის პირადი ინტერესს ემსახურებოდა; პოლიტიკოსი ჯერ კიდევ მაშინ მოითხოვდა ბანკებისთვის არაპროფილური საქმიანობის აკრძალვას, როდესაც ქართული ოცნების წევრი იყო, რაზეც მას ქართულმა ოცნებამ საუბარი აუკრძალა. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, ფინანსურ ჯგუფებში ძირითადად ბანკებს და მდიდრებს მოიაზრებენ (მათ შორის, ივანიშვილიც).[62] ტრიბუნას გზავნილებით, თუ ვიმსჯელებთ დავინახავთ, რომ, აქცენტი კეთდება ფინანსური ელიტასა და ინსტიტუტებზე, რომლებიც მართავენ ქვეყანას და ისინი ხალხის ძარცვით არიან დაკავებულები. ანტისაბანკო (და ფინანსური ელიტის) გზავნილები მოიცავს „ანაბრების დაბრუნების“ საკითხს, რომელიც როგორც მანამდე აღინიშნა, ზოგიერთი პარტიის მხრიდან მუდმივი დაპირების საგანს წარმოადგენს.

მუხაშავრიას (2020) აზრით, არაფერი იყო სადაო, რადგან ქვეყანაში შეექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება ბანკებისა და მათ მიერ შექმნილი მონოპოლიების გამოისობით ხდებოდა; მუხაშავრია მათ ქვეყანის და ხალხის გაძარცვას აბრალდებდა, რადგან ისინი ხელს უშლიდნენ ბიზნესის განვითარებას. მისი თქმით, საბანკო და სხვა კლანური მონოპოლიები, უშუალოდ ხელისუფლების ან მისი მონაწილეობით იყო დაფუძნებული. მოწოდებაში ადგილი აქვს ყოველდღიურ ცოდნაზე აპელირებას და ტოპოსის გამოყენებას. ნარატივი „რაც ყველამ იცის“ უკავშირდება ბანკების საქმიანობას და ტრიბუნის წარმომადგენელის განცხადებით, ამ შემთხვევაში სადაოც არაფერია, რადგან ყველამ იცის, რომ ბანკები მძარცველები არიან; ისინი არიან „წურბელები“ ან „პარაზიტები“, იმის გამო, რომ აფერხებენ ქვეყნისა და ბიზნესის განვითარებას და მათი მონოპოლიების გარეშე სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება (გოგსაძე, 2023, 11).

ტრიბუნას წევრი აცხადებდა, რომ ქვეყანაში ფული მხოლოდ კომერციულ ბანკებს აქვთ, თანაც სრულიად შეუსაბამო პროპორციებით. კომერციული ბანკების ხელთ არსებული

[62] ტრიბუნას ერთ-ერთი საარჩევნო კლიპში ჭიჭინაძე, ამომრჩეველს მოუწოდებდა: „ჩვენ დავასრულებთ ხალხის ძარცვას ფინანსური ჯგუფების სასარგებლოდ, ჩვენ დავუბრუნებთ ნაძარცვ ქონებას ხალხს. მდიდარი ადამიანი არ არის მთავარი, მდიდარი ადამიანი არ არის უპირატესი“ (დებატები, ვაშაძე, სტრატეგია აღმაშენებელი..., 2020).

მთელი ფინანსების 60%-ზე მეტი ყაჩაღური პოლიტიკის შედეგად არის მოპოვებული:[63] „დღეს ბანკს სოციალური ვალდებულება არ აკისრია, ჩვენ არ გვაქვს ხალხზე ზრუნვის ვალდებულებაო. წესდებაში გვიწერია მოგება ანუ ფულისგან ვაკეთოთ ფული, როგორც მათ გაიგეს. თუმცა ეს დარღვევაა თავად საბანკო რეგულაციის“ (არჩევნები 2020a). ბანკებს ეს ფული უკანონოდ ჰქონდათ მითვისებული და არ იხდიდენ გადასახადებს, ისინი ქონებას ართმევდნენ ბიზნესს, ხოლო მოქალაქეებს ჩამოართვეს, ყველაფერი, მათ შორის, ავეჯი აღარ დარჩათ ხალხს. ისინი საშემოსავლო გადასახადსაც არ იხდიდნენ, რაც მილიარდებს შეადგენდა. შესაძლებელი იყო და პრეცენდენტიც არსებობდა, რომ სახელმწიფოს მილიარდები დაბრუნებოდა. პარტია „ტრიბუნა“ ცდილობდა ანტაგონიზმის კონსტრუქციას ბანკებსა და მეორეს მხრივ, ხალხს და ბიზნესს შორის. უბრალო ადამიანებს შემოსავალი იმის გამო არ გააჩნდათ, რომ მათ ეს შესაძლებლობა სახელმწიფომ მოუსპო (არჩევნები 2020a). აქტორთა ნეგატიური აღწერა ხდება, ბანკებისთვის ყაჩაღობასა და არაკანონიერ საქმიანობის ბრალდებით. აღნიშნული „ბანკები ხალხს ძარცავენ“ დისკურსის ნაწილია.

ახალი ქრისტიან-დემოკრატების მიხედვით, 2020 წელს, პანდემიის დროს, როდესაც მთელმა ქვეყანამ იზარალა, მოგება მხოლოდ ბანკებმა ნახეს, ხოლო ხალხს პროცენტების გადავადების ნაცვლად, საპროცენტო განაკვეთი გაუზარდეს. ამასთან ერთად, პანდემიის პირობებში, გამოსახლების უამრავი შემთხვევა დაფიქსირდა; საბანკო ეკონომიკის გამო, უამრავი პენსიონერი ვერ ახერხებდა პენსიის აღებას არსებული ვალის გამო (არჩევნები 2020d). ვხვდებით აქტორთა უარყოფით და ქმედების აღწერის ხარისხს, ბანკები ყველაზე გაჭირვებულ და მოწყვლად ჯგუფებს ძალზე უსამართლოდ ექცევიან, რითაც ჩანს, რომ ისინი მხოლოდ საკუთარ გამდიდრებაზე არიან ორიენტირებულნი.

საბანკო სისტემა „თეთრებს“ ველურ მოვლენად მიაჩნდათ და პარტიამ მას ბრძოლა გამოუცხადა (მათ ხალხი დააზარალეს, მათ შორის, ანაბრების საქმეზე 90-იან წლებში, რომლებმაც ფული უნდა დაუბრუნონ დაზარალებულებს). ბანკების ქმედება აღწერილია,

[63] კემულარიას (არჩევნები 2020a) თანახმად ეს პათოლოგია იყო და ნორმა უნდა იყოს პირიქით, წინა საუკუნეში 15% იყო ბანკების ხელში თავმოყრილი და მაშინ ბანკები პოზიტიურ როლს თამაშობდნენ ქვეყნის განვითარებაში.

როგორც „თარეში“ (თეთრები, საარჩევნო პროგრამა 2020). ვხვდებით აქტორთა უარყოფით აღწერას, ხოლო ქმედება გათანაბრებულია უკანონობასთან, განუკითხაობასა და ძარცვასთან.

ლორთქიფანიძის (ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა, 2016) თქმით, ქვეყანაში არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამო, ოლიგარქიული და საბანკო-კარტელური დიქტატურა ჩამოყალიბდა, რომელშიც ბიუჯეტის შემცირების ფონზე, მხოლოდ ბანკების შემოსავალი გაიზარდა. ბანკები საკუთარ მოგებაზე ზრუნავდნენ, არაპროფილური საქმიანობის მეშვეობით მათ ეკონომიკა ხელში ჩაიგდეს და სხვადასხვა დარგებში მონოპოლიები შექმნეს. მიუხედავად, იმისა, რომ ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა პოპულისტური იდეოლოგიის მქონე პარტია არ არის; აღნიშნული განცხადება მემარცხენე პოპულიზმის ელემენტებს შეიცავს და ფინანსური ელიტის წინააღმდეგ არის მიმართული. ვხვდებით აქტორთა ნეგატიურ აღწერას, ისეთი შეფასებებით, როგორიც არის საბანკო-კარტელური დიქტატურა, რაც ხალხსა და ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ანტაგონიზმის კონსტრუქციას ქმნის.

საქართველოს საბანკო სექტორში არსებულ ვითარებაზე და ბანკების დიდ მოგებაზე ყურადღებას ამახვილებდა „სტრატეგია აღმაშენებელი“. პარტია მიიჩნევდა, რომ სესხის პროცენტის სუბსიდირება შემდეგი ექვსი თვით არა მარტო მსხვილ ბიზნესზე, არამედ ყველა ადამიანზე უნდა გავრცელებულიყო. პარტიას მიაჩნდა, რომ პენსიების გაცემაზე ლიბერთი ბანკის მონოპოლია უნდა დასრულებულიყო, რადგან მას პანსიონერების ძარცვას აბრალებდნენ: „არსად არ არის ამხელა მოგება. ჩვენ კითხვა უნდა დავსვათ, რამ გამოიწვია ის, რომ ამხელა მოგება, მე ბანკებს კი არ ვერჩი, არცერთ შემთხვევაში. რა პოლიტიკამ, რა გადადგმულმა ნაბიჯებმა გამოიწვია ეს, რომ ასე მოხდა ქვეყანაში“ (საქართველო ირჩევს 2020 - პარტია - სტრატეგია აღმაშენებელი). აქ ადგილი აქვს უარყოფას, პარტიის ლიდერს სურს წარმოჩნდეს, რომ მას ბანკების საწინააღმდეგო არაფერი აქვს და მაღალი საბანკო პროცენტების დაწესებაში დამნაშავე და პასუხისმგებელი ხელისუფლების/ელიტის მიერ წარმოებული პოლიტიკაა. მიუხედავად ამისა, ის აგრძელებდა ბანკების კრიტიკას (გოგსაძე, 2023, 8).

ერთ-ერთ ინტერვიუში სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერმა ეროვნული ბანკის წინააღმდეგ გაილაშქრა და ის მონოპოლიების შექმნაში დაადანაშაულა. ევროპაში ქართული ბანკებისგან განსხვავებით არ ჰქონდათ უჩვეულოდ მაღალი მოგება კაპიტალთან მიმართებით. ვაშაძის (2020) თქმით, ქართულმა ბანკებმა წინა წელს 1 მილიარდი მოიგეს (დაახლოებით სამჯერ გაზარდეს ეს თანხა), ხოლო ეროვნულმა ბანკმა გაართულა რეგულაციები და მთლიანად ჩაკეტა საბანკო სივრცე და შესაბამისად, ვერცერთი ახალი ბანკი სურვილის მიუხედავად ვერ შემოვიდოდა ბაზარზე, რაც კონკურენციას ზღუდავდა. შესაბამისად, პოლიტიკოსი ეროვნული ბანკს ლარის კურსთან დაკავშირებულ პრობლემებში ადანაშაულებდა და სურდა ამ ინსტიტუტის და მასთან ერთად ლარიზაციის გაუქმება, რადგან ამან ყველაზე ღარიბ ხალხს ყველაზე მეტი სესხის პროცენტის გადახდა დააწყებინა. პარტია საარჩევნოდ პირდებოდა პენსიონერებს უსამართლოდ მაღალ 36%-იან სესხის ჩამოწერას, რომლიდანაც პირდაპირი წილი მისდიოდა ქართულ ოცნებას (სტრატეგია აღმაშენებელის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020). ლარიზაციის გამო, 2016 წლიდან საბანკო სექტორის ყოველწლიურმა მოგება, 300 მილიონიდან მილიარდამდე გაიზარდა. ეს გამოიწვია ახალმა წესმა დაწესებამ, რომლის მიხედვით ადამიანები იძულებული იყვნენ სესხი მხოლოდ ლარში აეღოთ (საქართველო ირჩევს 2020 - პარტია - სტრატეგია აღმაშენებელი). ხდება აქტორთა ნეგატიური კუთხით აღწერა, როგორც ზოგადად ბანკების, კონკრეტულად კი ეროვნული ბანკის. ამ სიტუაციაში დამნაშავედ პოლიტიკური ელიტაცაა მიჩნეული. მოვლენების აღწერილობის კუთხით ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ბანკები ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების (პენსიონერების) ხარჯზე შოულობენ ფულს. პარტიის მოწოდებები „ბანკები ხალხს ძარცვავენ“ დისკურსის ნაწილს წარმოადგენს.

პარტიის განცხადებით, სუბსიდირების მთავარი ბენიფიციარები ყველზე გაჭირვებული ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ (სტრატეგია აღმაშენებელის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020). კოვიდ-19 პანდემიის დროს, იმ 200 ათასმა ადამიანის მიმართ, ვინც სამუშაო დაკარგა, სახელმწიფოს სუბსიდირების პოლიტიკა უნდა გაეტარებინა. იმის ნაცვლად, რომ კრედიტების გადახდაზე გარკვეული პერიოდით მორატორიუმი გამოცხადებულიყო, ბანკებმა არგადამხდელების ქონების გადაფორმებას აგრძელებდნენ. პანდემიის დროს 10 ათასი ადამიანი სახლებს კარგავდა და მათ დახმარება ესაჭიროებოდათ. საერთაშორისო

პარტნიორების მიერ გამოყოფილი 5 მილიარდის დახმარება ძირითადად სამთავრობო შპს-ებმა და საქართველოს ბანკის შვილობილმა კომპანიამ მიიღეს. პარტიის თავმჯდომარე მიიჩნევდა, რომ დახმარების კუთხით პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს იმ კომპანიებს, რომლებსაც ფინანსური რეზერვი არ აქვს და არა მსხვილ ბიზნესს; შესაბამისად, მას სურდა დახმარებოდა მცირე და საშუალო ბიზნესს (სტრატეგია აღმაშენებელის პროგრამის პრეზენტაცია..., 2020). აქტორთა აღწერის კუთხით ბანკები წარმოდგენილნი არიან, როგორც ქონებაზე ან მოგებაზე დახარბებული, ხოლო მათი ქმედება წარმოჩენილია, რომ სურვილი გაჭირვებული ან ვალში მყოფი ხალხის უძრავი ქონება გადაიფორმონ. ბანკები წარმოჩენილია, როგორც „სხვა“, თუმცა ისინი შეკრულები არიან ხელისუფლებასთან და ემსახურებიან სახელისუფლებო ვერტიკალს. ერთი მხრივ, არის პოლიტიკური ელიტა და ფინანსური ელიტა (ბანკების, მსხვილი ბიზნესის და ა.შ სახით), ხოლო, მეორე მხრივ, უბრალო ხალხი (რომელიც ბანკების მიერ დაწესებულ მაღალ კრედიტებს იხდის), მათ გვერდით არის საშუალო და მცირე ბიზნესი, რომელიც „ჩვენ“ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული მემარცხენე პოპულისტური დისკურსის ნაწილია.

გოგიჩაიშვილის (2020) მოწოდებები გამოირჩეოდა პოპულისტური განცხადებებით, მისი თქმით, ქართული ოცნების კამპანია სრულიად შავი ბუღალტერია იყო, ნაციონალური მოძრაობის კამპანია იყო ჩვენი საზოგადოებისთვის წართმეული ფული, „ევროპული საქართველოს“ კამპანია კი კეზერაშვილის ფულით დაფინანსდა. ლელოს ის სააკაშვილის რეპრესიულ მახვილად მოიხსენიებდა, რადგან სააკაშვილს ჰყავდა ორი მახვილი ძალოვანები და ბანკები, ხოლო სტრატეგია აღმაშენებელს და მის ლიდერ ვაშაძეს ვანო ჩხარტიშვილის მხარდაჭერა გააჩნდა. ამ ხალხს გააჩნდა ფული, მაგრამ ხელისუფლებას ხალხი ირჩევდა. პარტიის წევრის განცხადებები მემარცხენე პოპულისტურ ანტიოლიგარქიულ და ანტისაბანკო მოწოდებებს მოიცავს, რომელიც გაერთიანებულია გზავნილებთან პოლიტიკური ელიტის კორუფციის შესახებ. გზავნილები უპირველესს ყოვლისა მიმართულია ნაციონალური მოძრაობის (ყოფილი რეჟიმის) წინააღმდეგ, რომელთაც ყველაზე მეტი დანაშაული ბრალდებათ, ხოლო ფინანსური ელიტა და ინსტიტუტები მის ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომელიც არსებული სიტუაციის შენარჩუნებას დღესაც ცდილობს.

„სოლიდარობის ალიანსისთვის“ აზრით, ამჟამად ქართული კომერციული ბანკები განვითარებას ხელს კი არ უწყობდნენ, არამედ ისინი ეკონომიკის „ტორმუზი“ იყვნენ. შესაბამისად, უნდა შექმნილიყო ეკონომიკური განვითარების ბანკი, რომელიც სახელმწიფო და საერთაშორისო საფინანსო რესურსების ბაზაზე შეიქმნა. გოგიჩაიშვილმა (2020) შემდეგ დაასახელა ერთი წყვილის მაგალითი, რომელმაც პანდემიის დროს ვალი აიღო და მის შედეგად შექმნილი კრიზისის მიუხედავად საქართველოს ბანკმა მათ კრედიტის გადავადების საშუალება არ მისცა. აქტორთა აღწერის მხრივ (კომერციული) ბანკები აღწერილნი არიან, როგორც „ტორმუზი“ და ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელი. ამავდროულად, ქმედების აღწერისას ყურადღება გამახვილებულია შემდეგ დეტალზე და ემოციებზე აპელირებას, რომ ბანკები არამარტო ეწინააღმდეგებიან მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, არამედ ისინი არ ითვალისწინებენ (ახლად შექმნილი) ოჯახების გასაჭირს და მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ზრუნავენ. ამასთან, სახელმწიფოს მიზანია ბანკები გაკონტროლოს, რომ მათი ქმედებამ ოჯახები გაუბედურება არ გამოიწვიოს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს, „მშრომელთა სოციალისტური პარტიის“ წევრი ნემსაძე (2020), არსებულ პოლიტიკურ ძალებს ნაციონალურ მოძრაობას, ქართულ ოცნებას, ლელოს და სხვებს მემარჯვენეობას აბრალდებდა, რომლებიც კაპიტალისტური სისტემის ხელმძღვანელობას ემსახურებოდნენ, ხოლო მშრომლეთა სოციალისტური პარტია ველურ კაპიტალიზმს ეწინააღმდეგებოდა. ახალი ინვესტიციების ჩადება მოხდა მსოფლიო ბანკისგან აღებულმა დამატებითი ვალების მეშვეობით, რაც მათთვის მიუღებელი იყო. ნემსაძის (2020) თანახმად, ბანკირებს (მათ შორის, საერთაშორისო) საქართველოს განიხილავენ, როგორც თავისი გაფუჭებული საქონლის გასაღების ადგილად. ქართული წარმოების აღდგენას ისინი არ მოინდომებდნენ, რადგან ამ შემთხვევაში საქართველო მათგან სესხებს აღარ აიღებდა. ნაციონალიზმის კვლევების ექსპერტი (18.03.2023) მიიჩნევს, რომ ბანკების წინააღმდეგ მიმართული გზავნილები ანტიგლობალისტური ნარატივის ნაწილია. თუმცა, ისეთ ეკონომიკურად სუსტ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ბანკების ვალი აქვს და საბანკო სისტემა რეალურად ყველაზე მოწყვლად მოსახლეობას საკუთარი მოგების მიზნით იყენებს, მაშინ გასაგებია, რომ ეს ყოველივე გარკვეულ უარყოფით რეაქციას იწვევს. ამ თემის

გამოყენება შეუძლიათ მემარცხენე მიმართულების პარტიებს, მაგრამ მათი სისუსტის გამო ეს საკითხები მათ დღის წესრიგში არც კი ფიგურირებს.

3.3 შეჯამება

საგულისხმოა, რომ სიღრმისეული ინტერვიუში ყველა ექსპერტმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ საქართველოში ევროპული ტიპის მემარცხენე იდეოლოგიის მქონე პარტია პრაქტიკულად არ არსებობს, თუმცა გვხვდება პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მიმართავენ მემარცხენე პოპულისტურ გზავნილებს და დისკურებს. მათი უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ბანკების წინააღმდეგ მიმართული გზავნილები პოპულისტურად შეიძლება ჩათვლილიყო, რადგან ის ფინანსურ ელიტას უპირისპირდებოდა.

ანტისაბანკო გზავნილებს მრავალი პარტია იყენებდა. 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამ მხრივ გამოირჩეოდნენ საქართველოს ლეიბორისტული პარტია, სტრატეგია აღმაშენებელი, ტრიბუნა, თავისუფალი საქართველო, მშრომელთა სოციალისტური პარტია, სოლიდარობის ალიანსი, ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა, მემარცხენე ალიანსი, ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა (ქდმ).

ბანკების წინააღმდეგ ერთ-ერთ არგუმენტს წარმოადგენდა, რომ ისინი ხალხის გასაჭირის მიუხედავად, მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, ხალხს აუბედურებდნენ და ქონებას ართმევდნენ. ბანკები უპირისპირდებოდნენ უბრალო ხალხს, რომელშიც მოიაზრებოდა დაბალი და საშუალო ფენის ადამიანები. ნეგატიური ასოციაციის აღძვრის მიზნით, ბანკების და ოლიგარქების საქმიანობა რუსეთთან იყო დაკავშირებული. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში ბანკების პოლიტიკა გათანაბრებული იყო ოკუპანტების ქმედებასთან. კერძოდ, აღნიშნავდნენ, რომ მათ (ბანკებმა) არანაკლები ხალხი დატოვეს უსახლკაროდ, ვიდრე რუსებმა.

ლეიბორისტული პარტიის დისკურსი, ხასიათდება აქტორთა (მკვეთრად ნეგატიური) აღწერით (მძარცველები, ბანდები, კრიმინალები), მოდალობით (სასურველის რეალობად წარმოჩენით), რომ ქვეყანა ეკონომიკურად განვითარდება, თუ მოხდება იმ თანხების დაბრუნება, რომელიც ბანკებმა და ბანკირებმა (ასევე მაღალჩინოსნებმა და ოლიგარქებმა) ქართველი ხალხის „ძარცვით“ მოიპოვეს; ქმედების და მოვლენების აღწერილობით და

მეტაფორის გამოყენებით (ოლიგარქიული სისტემის მიერ ხალხის საკონცენტრაციო ბანაკში გატარებით), ნაგულისხმევი მნიშვნელობით. პარტიის დისკურსებში აქცენტირებულია, რომ პოლიტიკური ელიტა და ფინანსური ელიტა (მათ შორის, ოლიგარქები და ბანკები) ქართველი ხალხის წინააღმდეგ ერთობლივად მოქმედებენ და ქვეყანაში „საბანკო დიქტატურა“ დამყარდა. პარტია ასევე მიმართავს პირად ბრალდებებს. გარდა ამისა, შეკითხვების დასმის შემდეგ ყურადღების გადატანა სხვა საკითხებზე ხდება. ვან კესელის მიდგომის შესაბამისად, პოპულიზმი, როგორც „კლასიფიკატორი“ ლეიბორისტული პარტიას შემთხვევასთან შესაბამისობაშია ანუ პოპულიზმი მისი მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

ბანკების მიმართ ნეგატიური მოწოდებებით გამოირჩეოდა პარტია „ტრიბუნა“. მის მიერ ხდებოდა, როგორც აქტორთა უარყოფითი აღწერა, ასევე ნაგულისხმევ მნიშვნელობების წარმოჩენა, როდესაც პარტიის ლიდერი საუბრობდა, რომ სამინისტროები სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფებს ჰქონდათ გადანაწილებული, სადაც ბანკები იგულისხმებოდნენ. ამ შემთხვევაში, აქცენტი იყო გაკეთებული არამარტო ბანკების პრივილეგიაზე, არამედ მათ ძალაუფლებაზე.

სტრატეგია აღმაშენებელი ასევე მიმართავდა აქტორთა ნეგატიურ აღწერასა და უარყოფას, განსაკუთრებით ბანკების მიმართ. უარყოფას, რომ ისინი ბანკებს არ ერჩიან, მაგრამ ვითარება შექმნილი იყო ელიტის/ხელისუფლების მიერ. მოვლენების აღწერის მხრივ აქცენტი კეთდებოდა, რომ ბანკები ყველზე მოწყვლადი ჯგუფების (პენსიონერების) ხარჯზე მდიდრდებოდნენ.

მიუხედავად იმისა, სტრატეგია აღმაშენებელი, ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა, ქდმ და ტრიბუნა პოპულისტურ პარტიებად ვერ ჩაითვლებიან, მათ მიერ ბანკების წინააღმდეგ მიმართულ პოპულისტურ გზავნილებს ვან კესელის მიდგომა ესადაგება. აღნიშნულ შემთხვევებში პოპულიზმის გამოვლინებების (სარტორის) აბსტრაქციის კიბე შემდეგნაირად გამოიყურება: პოპულისტური დისკურსი (ანუ პოპულიზმი როგორც „აღმწერი“). მათთვის ანტისაბანკო გზავნილები რიტორიკულ სტრატეგიას წარმოადგენს.

ზემოთ განხილული პარტიების დიდი ნაწილისთვის, პოპულიზმი „აღმწერად“ შეიძლება ჩაითვალოს. როგორც აღინიშნა, კაზინის აზრით, პოპულიზმი დისკურსული სტილია და

პოლიტიკური გამოხატვის ფორმაა, რომელსაც მემარჯვენეები და მემარცხენე (და სხვა იდეოლოგიის მქონე) პოლიტიკური ძალები შერჩევით და სტრატეგიულად იყენებენ.

გარკვეულ შემთხვევებში პარტიები ნეგატიური აღწერის და ასოციაციის მიზნით ქვეყანას ბანკთან აიგივებდნენ, ხოლო ბანკებში მოიაზრებოდა კაზინოები, ტოტალიზატორები, ლომბარდები, მსხვილი კომპანიები და სხვა ინსტიტუტები. ზოგიერთი პოლიტიკოსი იყენებდა ქმედების აღწერილობის დონეს და მეტაფორას, რომ ამ ინსტიტუტებმა „დაახრჩვეს“ მცირე ბიზნესი და მასში დასაქმებული ადამიანები. თავისუფალი საქართველო ქმედების აღწერის კუთხით ხაზს უსვამდა, რომ ბანკები უპირისპირდებიან ოჯახებს და მათ უსახლკაროდ ტოვებდნენ და რომ ბანკების პრობლემის მოგვარებით ეკონომიკაც განვითარდებოდა. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, დღეს ბიზნესი უფრო პრივილეგირებულია ვიდრე ოჯახები, რაც სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს.

გამოყენებული იყო ტოპოსები, კერძოდ პირადი თავდასხმები, რადგან პარტიის წარმომადგენლებს (განსაკუთრებით ლეიბორისტული პარტიის შემთხვევაში) არ ქონდათ საკმარისი არგუმენტები ოპონენტების წინააღმდეგ. დისკურსში იყო შემთხვევები ყოველდღიურ ცოდნაზე აპელირების, ის „რაც ყველამ იცის“, რომ ბანკები ეკონომიკის განვითარებას უშლიან ხელს. ბანკების საწინააღმდეგოდ მიმართული გზავნილები „ბანკები ხალხს ძარცვავენ“ დისკურსის ნაწილია.

დასკვნა

განსახილველი თემის შესწავლამ გვაჩვენა, რომ პოლიტიკური პარტიების მიერ პოპულისტური გზავნილების გამოყენება საკმაოდ გავრცელებულია. ნაშრომის მიზანი გახლდათ 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პოპულისტური გზავნილების და მათ საფუძველზე შექმნილი დისკურსების გამოვლენა და შეფასება. ამოცანებს შორის იყო, გამოგვევლინა პოპულისტური გზავნილები და დისკურსები ისეთი მნიშვნელოვანი თემების მიმართულებით, რომლებიც ეხებოდა საგარეო პოლიტიკას, სექსუალურ უმცირესობების უფლებებსა და საბანკო სექტორის პრივილეგიებს. კვლევის ობიექტები იყვნენ (ოპოზიციური) პოლიტიკური პარტიები; გაანალიზებულ იქნა სიტყვით გამოსვლები და პარტიების პროგრამები. კვლევის პერიოდად საარჩევნო პერიოდი იქნა შერჩეული (რომელიც კანონმდებლობის მიხედვით, არჩევნებამდე 60 დღით ადრე იწყება).

ტერმინ „პოპულიზმი“-ს განმარტებაში არსებული ბუნდოვანების გამო, ნაშრომში მოცემულია პოპულიზმის განმარტება, განხილულია მისი შესწავლისადმი გამოყენებული სხვადასხვა მიდგომები და მეთოდები. გაშუქებულია პოპულიზმის, როგორც იდეაციური მიდგომა (კერძოდ ჰოკინსის) (რომელსაც ხანდახან დისკურსულ ჩარჩოსაც უწოდებენ), რადგან პოპულიზმი დამახასიათებელია ყველა პარტიისთვის და ის მხოლოდ იდეოლოგიური მახასიათებელი არ არის. ამასთან, გამოყენებულია ვან კესელის მიდგომა, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს პოპულიზმს, როგორც „აღმწერსა“ და „კლასიფიკატორს“. იმისთვის, რომ გზავნილი მიგვეჩნია პოპულისტურად, ის უნდა ყოფილიყო მიმართული ელიტის (ხელისუფლების) წინააღმდეგ და აპელირებას უნდა ახდენდეს ხალხზე. შერჩეული იქნა ის თემები, რომლებზეც ყველაზე ხშირად ხდებოდა აპელირება პოლიტიკური პარტიების მიერ და ის იძენდა პოპულისტურ ფორმას. კვლევა ასევე ეყრდნობოდა ბენჯამინ დე კლინის თეორიას, რომელიც მიჯნავს ნაციონალისტურ დისკურსებს და პოპულისტურ დისკურსებს, რომელიც წარმოდგენილია როგორც ერთგანზომილებიანი სივრცე. პირველს გააჩნია ჰორიზონტალური განზომილება და საუბრობს ერის სახელით, ხოლო მეორეს ვერტიკალური, სადაც ხალხი არის კონსტრუირებული, როგორც ელიტის (ან ხელისუფლების) მიერ ჩაგრული ერთობა. ამასთან, მოცემულია ქართული პოპულიზმის ისტორიის და არსებული სამეცნიერო კვლევების

მიმოხილვა. ნაშრომის მეორე თავი ეთმობა საგარეო პოლიტიკურ და სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართულ პოპულიზმს. განხილული თეორიის მიხედვით პოპულისტური დისკურსები არტიკულირებული იყო ნაციონალისტურ დისკურსებთან და მას იყენებდნენ ნაციონალისტური (ან ნატივისტური) შეხედულებების მქონე პარტიები, რომლებიც საკუთარ ანტიდასავლურ შეხედულებებსა და იდეოლოგიას პოპულისტური ფორმით წარმოადგენდნენ.

კონტენტანალიზის (და ანალიზის ერთეულების გამოყოფის) შედეგად, საგარეო პოლიტიკური, სექსუალური უმცირესობების უფლებებთან და საბანკო სექტორის წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილების კუთხით გამოიყო შემდეგი კატეგორიები: „დასავლეთს მორჩილი მარიონეტი ხელისუფლება“, „ნატოს საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის“, „ხელისუფლება ხელს უწყობს მასობრივ იმიგრაციას“, „ლიბერასტები“, „სოროსულ-მასონური ხელისუფლება“, „მძარცველი ბანკები“ („კრიმინალი ბანკირები“), „ბანკები ხალხს უსახლკაროდ ტოვებენ“.

პოლიტიკური ძალების გზავნილების იდეოლოგიური დისკურსის ელემენტების გამოსაკვლევად გამოყენებულია თოინ ვან დაიკის დისკურსული ანალიზის მეთოდი. მიგნებების მიხედვით, პარტიები ხშირად მიმართავდნენ აქტორთა ნეგატიურ აღწერას, დათქმებს და ნაგულისხმევ მნიშვნელობებს, ქმედებების აღწერილობის დონეს, მოდალობას (სასურველის რეალობად წარმოჩენას), ლოკალურ თანმიმდევრობას, უარყოფას, მეტაფორებს. ასევე გამოყენებულ იქნა რუთ ვოდაკის ტოპოსის სტრატეგია, რომელსაც პარტიები იყენებდნენ დასაბუთებული არგუმენტის არქონის პირობებში, მათ შორის, ყველაზე ხშირად მიმართავდნენ საფრთხის, ისტორიის, შედარების და ხელისუფლების ტოპოსს. გარკვეული პარტიები (განსაკუთრებით ლეიბორისტები) მიმართავდნენ პირად თავდასხმებს, სხვა პოლიტიკოსებზე (ან ჟურნალისტებზე), რათა გადაეტანათ ყურადღება დასმული შეკითხვებისგან და ასევე, აპელირებდნენ „საყოველთაო ცოდნაზე“.

ჩატარდა ათი სიღრმისეული (ნახევრად სტრუქტურირებული) ინტერვიუ ექსპერტებთან, რათა უკეთ გამოკვეთილიყო ქართული პოპულიზმის თავისებურებები, რა ანტიდასავლური გზავნილები გამოიყენებოდა პოლიტიკური პარტიების მხრიდან და შეიძლებოდა თუ არა ის

(ან მოწოდებები ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით) პრორუსული პოპულიზმის ნაწილად ჩათვლილიყო. ინტერვიუები მოიცავდა შეკითხვებს სექსუალურ უმცირესობების, საბანკო სექტორის წინააღმდეგ მიმართულ გზავნილებთან დაკავშირებით, თუ რა ნარატივებს ვხვდებოდით ამ მიმართულებით და რა მიზეზების გამო შეიძლებოდა ისინი ჩათვლილიყო პოპულისტურად.

„კომუნისტური პარტია - სტალინელები“ და „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“ ეწინააღმდეგებოდნენ ნატოში გაწევრიანებას. ისინი რუსეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებას და ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას ემხრობოდნენ. ძირითადად, ნატოში გაწევრიანების მოწინააღმდეგე პარტიები, შემდეგი ორი მოწოდებით გამოირჩეოდნენ: საფრთხის არგუმენტი, რომ ნატოში გაწევრიანება დაპირისპირებას გამოიწვევდა რუსეთთან და რაც ქვეყანას ოკუპირებულ რეგიონებს საბოლოოდ დააკარგვინებდა. მეორე ამ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების არარეალისტურობას უსვამდა ხაზს და ნატოს არ სურდა საქართველოს მის შემადგენლობაში მიღება. გარკვეულ შემთხვევებში, ამ ორგანიზაციას ოკუპანტ ორგანიზაციად მიიჩნევენ (მაგ: „ქართული იდეა“). სხვა შემთხვევებში, პარტიები ნეიტრალიტეტს ან სამხედრო მიუმხრომლობას ემხრობოდენ (მაგ., პატრიოტთა ალიანსი). ექსპერტების უმრავლესობის აზრით, ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ქართულ საზოგადოების დიდ ნაწილში რუსეთის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამო აიხსნება. ქართული მარში, ქართული იდეა და პატრიოტთა ალიანსი საგარეო პოლიტიკის კუთხით გავრცელებულ პროდასავლური/პრორუსული დიქოტომიის დისკურსების ნაცვლად პროდასავლური/ნეიტრალიტეტის დისკურსებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რაც პრორუსული გზავნილების და დისკურსების ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს.

ანტიდასავლური გზავნილების მქონე პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი ერიდებოდა რუსეთზე პოზიტიურის თქმას (ანტიდასავლური პარტიები საკუთარ პარტიებს და პოზიციებს პროქართულად მოიხსენიებდნენ). მათ იდეოლოგიურ დისკურსში ხდებოდა აშშ-ს, ნატოს ან დასავლეთის ქვეყნების (ასევე, ისლამური თუ აღმოსავლეთის ქვეყნების) ნეგატიურზე ხაზგასმა, ხოლო რუსეთის ნეგატიური მინიმიზირებული იყო. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ არაერთი პარტია (განსაკუთრებით პატრიოტთა ალიანსი) მიმართავდა

ანტითურქულ გზავნილებს და თურქეთს აბრალებდა რუსეთზე მეტი ტერიტორიების ოკუპაციას, რომლის მიზანი რუსეთის უარყოფითი ქმედებების მინიმიზირებას ემსახურებოდა. პარტიების მხრიდან, აგრეთვე, ვხვდებოდით ანტიიმიგრანტულ მოწოდებებს, სადაც ხელისუფლება უცხოელების (ძირითადად, აზიური და აფრიკული ქვეყნებიდან) მასობრივი იმიგრაციის ხელშეწყობაში არის დადანაშაულებული.

სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით არაერთი პარტია იყენებდა პოპულისტურ გზავნილებს. ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ გამოყენებულ გზავნილებს შორის იყო, რომ ეს საქციელი ქართული არ არის - დასავლეთიდან შემოსული გარყვნილებაა. როგორც გამოჩნდა, პოპულისტურ დისკურსში, რომელსაც ვერტიკალური განზომილება გააჩნია, სექსუალურ უმცირესობებს გააჩნიათ ძალაუფლება და პრივილეგიები (მათ მოიხსენიებენ, როგორც „ლიბერასტებს“), შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ისინი განთავსებულნი არიან „ზევით“ და ელიტის ნაწილს წარმოადგენენ.

საგარეო პოლიტიკის და სექსუალური უმცირესობების საწინააღმდეგოდ გამოვლინდა შემდეგი დისკურსები: „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის“, „ჩვენ თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, „დასავლეთი საკუთარი ცხოვრების წესს გვახვევს თავს“. ეს დისკურსები ნაციონალისტურია და ანტიდასავლურია, ის ამასთანავე პოპულისტურ ანტილიბერალურ დისკურსებთან იყო არტიკულირებული, სადაც გვხვდება გზავნილები, რომ „სოროსელები მართავენ ქვეყანას“ („მასონელ-სოროსელები“ ან „ლიბერასტები“). პოპულისტურ დისკურსში ხალხი კონსტრუირებულია როგორც ჩაგრული, შესაბამისად, ელიტა არ არის ეროვნული და ქართველი ხალხის ტრადიციებს არ ითვალისწინებდა და უცხო ქვეყნებს (ან ორგანიზაციებს) ემორჩილებოდა. ნაციონალისტური და პოპულისტური დისკურსები დაკავშირებულია და ისინი ხშირად ერთად გამოიყენებოდა, თუმცა ნაშრომში გამოყენებული თეორიის (დე კლინის) შესაბამისად, პოპულისტურ დისკურსებს ძირითადად ნაციონალისტი (ან ნატივისტი) პოლიტიკური აქტორები იყენებდენ, რომლის რეპრეზენტაცია პოპულისტური ფორმით ხდებოდა.

მესამე თავში გამოყენებული თეორია ეფუძნება ვან კესელის პოპულიზმის კონცეფციას. პოლიტიკური აქტორების ხელში პოპულიზმი „აღმწერ“ რიტორიკულ სტრატეგიას

წარმოადგენს. ამასთან ერთად, ანტისაბანკო პოპულისტურ ნარატივებს ინსტრუმენტად იყენებენ სხვადასხვა შეხედულებების მქონე პოლიტიკური ძალები, რომლებიც ფართო პოლიტიკურ სპექტრს წარმოადგენენ. მათი მიზანია მოსახლეობის საშუალო და დაბალ ფენებზე, აგრეთვე განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე აპელირება. რაც შეეხება ბანკებს და ბანკირებს, ისინი წარმოდგენილნი არიან, როგორც „სხვა“, რომლებიც ხალხს აუბედურებენ და ქონებას ართმევენ.

ექსპერტების უმრავლესობა ეთანხმებოდა, რომ ბანკების საწინააღმდეგო გზავნილები ანტიისტებლიშმენტიზმის გამო, პოპულისტური იყო. მათ თანახმად, მას პოპულისტური ფორმა გააჩნდა, რადგან, ძირითადად, პოლიტიკურ პარტიებს, მათი გადაჭრის გზები არ ჰქონდათ გათვალისწინებული. რესპოდენტების თანახმად, მემარცხენე იდეები და პოპულისტური გზავნილები გაჭირვებულ ქვეყანაში პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა ამავდროულად, ყველა ექსპერტი თანხმდებოდა, რომ საქართველოში ძლიერი ევროპული ტიპის კლასიკური მემარცხენე პოლიტიკური პარტია არ არსებობს. შესაბამისად, მემარცხენე გზავნილებს მათ შორის, მემარჯვენე ან ნაციონალისტურ-პოპულისტური პარტიებიც მიმართავდნენ.

ექსპერტების აზრით, ყველაზე პოპულისტურ პოლიტიკურ ორგანიზაციად შეიძლება ლეიბორისტული პარტია მივიჩნიოთ. მას მემარცხენე პოპულისტური გზავნილების გამოყენება მიეწერებოდა. კვლევამ გვაჩვენა, რომ ეს პარტია პოპულისტურ გზავნილებს ბანკების საქმიანობის წინააღმდეგ და ოლიგარქების კრიტიკისთვის იყენებდა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით იდეოლოგიურ დისკურსში გვხვდება შემდეგი ელემენტები: აქტორთა ნეგატიური აღწერა და ქმედებების აღწერილობის დონე. ანტისაბანკო გზავნილებში ყურადღება იყო გამახვილებული მათ ნეგატიურ შეფასებაზე, რომ ბანკები მოგებაზე დახარებებული ინსტიტუტები იყვნენ, მათი ქმედების აღწერისას ხაზგასმულია ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების (პენსიონერების) ხარჯზე გამდიდრება და მოგების მიღება. შესაბამისად, პოლიტიკური სისტემას ბრალდებოდა, რომ ის მდიდრების, ბანკების და სხვა ფინანსური ინსტიტუტების გამდიდრებაზე იყო ორიენტირებული, ხოლო უბრალო ხალხი ღატაკდებოდა. ასევე გამოყენებული იყო მოდალობა და უარყოფა. პარტიები იყენებდნენ

ტოპოსს. კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში, პარტიის წევრები პირად თავდასხმებებს მიმართავდნენ, როდესაც არ ქონდათ საკმარისი არგუმენტები ოპონენტების წინააღმდეგ. ბანკების საქმიანობის წინააღმდეგ გამოყენებული გზავნილები „ბანკები ხალხს ძარცვავენ“ პოპულისტური დისკურსის ნაწილია. მას მიმართავდნენ, როგორც მემარჯვენე ასევე მემარცხენე შეხედულებების მქონე პარტიები.

კვლევამ ცხადჰყო, რომ პოპულისტური გზავნილები და დისკურსები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პერიოდში. მას სხვადასხვა შეხედულებების მქონე პარტიები მიმართავენ. აღსანიშნავია, რომ 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალურ-პოპულისტური გზავნილების და დისკურსების მქონე პარტიებმა ძალიან მცირე მხარდაჭერა მოიპოვეს და საპარლამენტო მანდატების გარეშე დარჩნენ (მათგან მხოლოდ საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა გადალახა საარჩევნო ბარიერი და ლეიბორისტულმა პარტიამ, რომელიც როგორც პოპულისტური, იმავდროულად, ნაციონალისტური გზავნილების გამოყენებას არ ერიდებოდა). აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში, მათ მიერ გამოყენებულ გზავნილებს იყენებს ქართული ოცნება. მათი ლიდერების რიტორიკა უკანასკნელ პერიოდში სექსუალური უმცირესობების საწინააღმდეგო გზავნილებს მოიცავს. მას შემდეგ, რაც 2023 წლის მარტში ე.წ „უცხოური აგენტების შესახებ“ ინიცირებული კანონპროექტი უკან გაიწვიეს, სახელისუფლებო პარტიის თავჯდომარე ირაკლი კობახიძემ (კანონპროექტმა თავისი..., 2023) განაცხადა, რომ ამ კანონის მიღება არასამთავრობო ორგანიზაციებს არ უნდოდათ, რომლებიც „ლგბტ პროპაგანდას“ ეწეოდნენ და მათ არასახელმწიფოებრივი საქმიანობა დააბრალა. ეს იყო მცდელობა, რომ ქართულ ოცნებას ანტიდასავლურად განწყობილი მოქალაქეების მხარდაჭერა მოეპოვებინა.

გარდა ამისა, ქართულმა ოცნებამ ნაციონალურ-პოპულისტური ნარატივებიც გამოიყენა, კერძოდ მან საქართველო მიიჩნია დაპირისპირების ველად და პოლიგონად. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ ქართულმა ოცნებამ არაერთი გზავნილი გააჟღერა საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის მცდელობების შესახებ, რაშიც მან ოპოზიცია დაადანაშაულა (პრემიერი კვლავ „მეორე ფრონტის“..., 2023). მათ, ასევე გამოიყენეს ანტიდასავლური გზავნილები (მათ შორის ნატოს წინააღმდეგ), რომ 2008 წელს ისინი მხოლოდ შეშფოთებით შემოიფარგლნენ (კახა კალაძე..., 2023). ნატოს საწინააღმდეგო გზავნილები გამოიყენა

პრემიერმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, როდესაც აღნიშნა, რომ 2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრის მიზეზი სხვა საკითხებთან ერთად „ნატოს გაფართოება“ იყო. კერძოდ, მისი განაცხადებით, ამ ომის ერთ-ერთი მიზეზი უკრაინის ნატოში გაწევრიანების სწრაფვას მოჰყვა, რომლის შედეგებიც დავინახეთ (პრემიერი: უკრაინაში ომის..., 2023). შესაბამისად, ვხედავთ, გზავნილებს, რომ ნატოსკენ სწრაფვა საქართველოსთვის უსაფრთხო არ არის. აღნიშნული ანტიდასავლური ნაციონალურ-პოპულისტური დისკურსების და ნარატივების ნაწილია. 2024 წლის აპრილ-მაისში განვითარებული მოვლენები, „უცხო ძალის გამჭირვალობის კანონთან“ დაკავშირებით, ცხადჰყოფს, რომ მმართველმა პარტიამ ნაციონალურ-პოპულისტური ნარატივები გამოიყენა, რაც მიუთითებს, რომ მოხდა მათი მეინსტრიმში გავრცელება. აღნიშნული საკითხები მომავალი კვლევის საგანი უნდა გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

არჩევნები 2020a. დებატები. (2020, ოქტომბერი 1). [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 24 მაისი, 2022, https://tinyurl.com/bdu65bj9

არჩევნები 2020b. დებატები. (2020, ოქტომბერი 6). [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 24 მაისი, 2022, https://tinyurl.com/4wh23z3e

არჩევნები 2020c. დებატები. (2020, ოქტომბერი 20). [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 24 მაისი, 2022, https://tinyurl.com/ykr7avcj

არჩევნები 2020d. დებატები. (2020, ოქტომბერი 22). [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 24 მაისი, 2022, https://tinyurl.com/2bwc252x

ბაღათურია, ჯ. (2020, ოქტომბერი 13). (რადიო ეთერი) რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 19 მაისი, 2022, https://www.youtube.com/watch?v=Gll6FMjZqyo

ბრეგაძე, ს. ინგა გრიგოლიას საარჩევნო რეაქცია. ტვ პირველი. (2020, ოქტომბერი 24) „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“. მოპოვებული: 25 ივნისი, 2021, https://tinyurl.com/4n2nu7na

ბრეგაძე, ს. (2020a, ოქტომბერი 16). „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“. მარში ტვ. მოპოვებული: 25 ნოემბერი 2020, https://tinyurl.com/mr38thbt

ბრეგაძე, ს. (2020b, ოქტომბერი 28). „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“. მოპოვებული 26.11.2020, https://www.facebook.com/670312456723111/videos/1339450346400091

გაჩეჩილაძე, რ. (2011). *ჩემი მეოცე საუკუნე: წინა საუკუნის საქართველო მსოფლიო გეოპოლიტიკისა და ისტორიის კონტექსტში. II ტომი.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

გელაშვილი, თ. (2019). *მემარჯვენე ექსტრემიზმის პოლიტიკური შესაძლებლობები საქართველოში.* საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

გოგიჩაიშვილი, ლ. (2020, ოქტომბერი 15). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 25 აპრილი, 2023, https://www.facebook.com/dilissaubrebi/videos/2690344077900605

გოგსაძე, გ. (2022). *2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური პარტიების პოპულისტური და ნატივისტური დისკურსები.* პოლიტიკა (ტომი 6, N 5), (1-42).

გოგსაძე, გ. (2023). *მემარცხენე პოპულიზმი 2016-2020 წლების საპარლამენტო არჩევნებში: საბანკო სექტორის წინააღმდეგ მიმართული საარჩევნო გზავნილები.* პოლიტიკა (ტომი 7, N 4), (1-15).

გოზალიშვილი, ნ. (2020, ნოებერი 16). *ანტილიბერალურად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფების ფარული გავლენა ქართულ პოლიტიკაზე.* საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. მოპოვებული: 20 თებერვალი, 2022, https://tinyurl.com/42d2rfvx

გოლცი, თ. (2014). *საქართველო: ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში.* თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი.

დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისთვის. (2016, აგვისტო 29). არჩევნები 2016. [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 14 მარტი, 2024, https://tinyurl.com/36h5rnbn

დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ. საქართველოს განვითარების გეგმა 2020 წელი. მოპოვებული: 24 ოქტომბერი, 2023, https://tinyurl.com/3twjmk7t

დათიშვილი, ს. (2019, ივლისი 10). რადიო თავისუფლება - ადამიანის უფლებები. *ანტიდისკრიმინაციული კანონი - რას ერჩიან მას ჰომოფობები.* მოპოვებული: 17 ივნისი, 2023, https://bit.ly/3VrijQ2

დებატები, ვაშაძე, სტრატეგია აღმაშენებელი/მდინარაძე, ქართული ოცნება, არჩევნები 2020. (2020, ოქტომბერი 15). არჩევნები 2020. [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 23 მაისი, 2023, https://tinyurl.com/5dpcef8u

დევაძე, მ. (2018, აგვისტო 1). პირველი არხი. *NDI - გამოკითხულთა 44 პროცენტს მიაჩნია, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა უმნიშვნელოა.* მოპოვებული: 18 ივნისი, 2023, https://bit.ly/3peDMQ1

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია. საარჩევნო პროგრამა 2020. მოპოვებული: 19 მაისი, 2023, https://tinyurl.com/y8ke9wnf

ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობა. საპარლამენტო პროგრამა 2020. მოპოვებული: 24 ოქტომბერი, 2023, https://tinyurl.com/mb98j4sb

Eastern European Centre for Multiparty Democracy (EECMD). შედარების შედეგები - უმცირესობათა უფლებები. Partiebi.ge. მოპოვებული: 5 მაისი, 2023, https://bit.ly/44XFYvN

ვაშაძე, გ. (2020, სექტემბერი 17). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 15 აპრილი, 2022, https://tinyurl.com/4padrp3f

თავისუფალი საქართველო. საარჩევნო პროგრამა 2020. მოპოვებული: 5 ივნისი, 2021, https://tinyurl.com/2htyrckx

თავისუფალი საქართველო - საქართველო ირჩევს 2020. (2020, ოქტომბერი 19). [Formula News]. YouTube. მოპოვებული: 20 მაისი, 2022, https://tinyurl.com/e27snhu2

თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის. (2016, სექტემბერი 8). არჩევნები 2016. [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 15 მარტი, 2024, https://tinyurl.com/36nwtus2

თევდორაძე, გ. (2020, სექტემბერი 21). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 19 მაისი, 2022, https://tinyurl.com/2wcv2p62

თევზაძე, დ. (2016, სექტემბერი 13). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 22 მაისი, 2022, https://tinyurl.com/mry3drbn

თეთრები. საარჩევნო პროგრამა 2020. მოპოვებული: 25 სექტემბერი, 2022, https://tinyurl.com/yc5w7x3y

კანდელაკი, ს. (2021). *ევროსკეპტიციზმი და რელიგია ქართველი ულტრამემარჯვენეები პოლიტიკურ დღის წესრიგში.* საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. მოპოვებული: 25 ნოემბერი, 2021, https://tinyurl.com/u3wnxakn

კანონპროექტმა თავისი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა - ყველამ აღიარა, რომ აგენტობა სათაკილოა - კობახიძე. (2023, მარტი 10). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 19 ივნისი, 2023, https://tinyurl.com/mw332x4m

კახა კალაძე. *2008 წელს რა ნაბიჯები გადაიდგა ე.წ. მეგობრების მხრიდან? მხოლოდ აღშფოთება და შეშფოთება - აი, ეს არის რეალობა.* (2023, ივნისი 8). ინტერპრესნიუსი. მოპოვებული: 17 ივნისი, 2023 https://tinyurl.com/466yhtew

კახა კუკავა - *7 პრიორიტეტი გვაქვს, რაც ჩვენ საარჩევნო პროგრამაშია.* (2020, სექტემბერი 26). ინტერპრესნიუსი. მოპოვებული: 25 ივნისი, 2021, https://tinyurl.com/4v36yujb

კონსერვატიული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია გადაცემაში „ღამის კურიერი“. (2020, ოქტომბერი 2). [rustavi 2]. YouTube. მოპოვებული: 23 აგვისტო, 2021, https://bit.ly/3BntRdZ

კუკავა, კ. (2020, სექტემბერი 24). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 23 მაისი, 2022, https://www.facebook.com/dilissaubrebi/videos/326526311743398

კუკავა, კ. (2020, სექტემბერი 25). დღის ქრონიკა რუსა შელიასთან ერთად. იმედი ტვ. მოპოვებული: 23 მაისი, 2022, https://bit.ly/3pFEh6d

ლებანიძე, ბ. (2019). *პოპულისტური ნაციონალიზმი საქართველოში: როგორია მისი გავლენა საქართველო ევროპული ინტეგრაციის პროცესზე?* . საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. მოპოვებული: 27 მარტი 2022, https://tinyurl.com/yu4be57v

ლეიბორისტული პარტიის წარდგენა გადაცემაში „არჩევანი 2016“. (2016, სექტემბერი 23). Georgian Labour Party. [rustavi 2]. YouTube. მოპოვებული: 25 ნოემბერი, 2021, https://tinyurl.com/397hd5hm

ლეიბორისტული პარტიის პროგრამის პრეზენტაცია გადაცემაში „ღამის კურიერი“. (2020, ოქტომბერი 7). Georgian Labour Party. [rustavi 2]. YouTube. მოპოვებული: 26 ნოემბერი, 2021, https://www.youtube.com/watch?v=e0pD9_CcPS4

ლელოს პროგრამის პრეზენტაცია გადაცემაში „ღამის კურიერი“. არჩევნები 2020. (2020, ოქტომბერი 13). Rustavi 2. [rustavi 2]. YouTube. მოპოვებული: 15 მაისი, 2022, https://tinyurl.com/2xmw4ht5

მუხაშავრია, ლ. (2020, ოქტომბერი 22). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 28 აპრილი, 2023, https://www.facebook.com/dilissaubrebi/videos/1256238411400700/

ნაციონალიზმი: ენციკლოპედიური ცნობარი. (2021). შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი.

NDI. საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2022 წლის აგვისტოში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები. (2022 სექტემბერი). მოპოვებული: 25 ივლისი, 2023, https://tinyurl.com/yeyr2buz

NDI-ის კვლევა. ევროკავშირის მხარდაჭერა გაიზარდა, რაც ევროინტეგრაციისადმი მოსახლეობის ერთგულებაზე მიუთითებს, მოქალაქეებს ყველაზე მეტად ფასების ზრდა აღელვებთ. 2023. თებ. 2. პირველი არხი. მოპოვებული: 19 ივნისი, 2023, https://bit.ly/42hhBaL

ნემსაძე, გ. (2020, ოქტომბერი 20). (რადიო ეთერი). საქართველოს რადიო. მოპოვებული: 24 მაისი, 2022, https://tinyurl.com/234p4cwn

ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა. (2016, ოქტომბერი 3). არჩევნები 2016. [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 15 მარტი, 2024, https://tinyurl.com/mrxen9yn

ნინო ბუჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა. საარჩევნო პროგრამა 2016. *ერთიანი საქართველო - ძლიერი ეკონომიკა*.

ოთარაშვილი. ვ. (2016, სექტემბერი 19). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული 25 ნოემბერი, 2021, https://www.radiotavisupleba.ge/a/27999880.html

პარტია - პატრიოტთა ალიანსი - საქართველო ირჩევს. (2020, ოქტომბერი 22). [Formula News]. YouTube. მოპოვებული: 27 აპრილი, 2023, https://tinyurl.com/56kj6nw4

პრემიერი კვლავ „მეორე ფრონტის“ გახსნის მცდელობებზე საუბრობს და ოპოზიციას აკრიტიკებს. (2023, მარტი 24). Civil.ge. მოპოვებული: 15 ივლისი, 2023, https://civil.ge/ka/archives/533356

პრემიერი: უკრაინაში ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ნატოს გაფართოება. (2023, მაისი 30). Civil.ge. მოპოვებული: 18 ივნისი, 2023, https://civil.ge/ka/archives/545370

გივი სილაგაძე და ნინო სამხარაძე პოპულიზმზე საქართველოში. (2020, თებერვალი 20). რადიო თავისუფლება. [რადიო თავისუფლება]. YouTube. მოპოვებული: 25 მარტი, 2021, https://www.youtube.com/watch?v=C1BIsCfdExQ

ზვიადის გზა - უფლის სახელით. (2016, სექტემბერი 21). არჩევნები 2016. [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 14 მარტი, 2024, https://tinyurl.com/2x3npbfn

სამხარაძე, ნ. (2020, თებერვალი). თანამედროვე ქართული პოპულიზმის დეკონსტრუქცია: ნარატივები პოლიტიკური პარტიებიდან საზოგადოებრივ მოძრაობებამდე. *33*. მოპოვებული: 15 მაისი, 2021, https://tinyurl.com/3pa6j99a

სართანია, ქ. წ. (2019). *ქართული ონლაინ ჯგუფების ულტრანაციონალისტური ნარატივი.* თბილისი: ღია საზოგადოების ფონდი. მოპოვებული: 27 ნოემბერი, 2021, https://tinyurl.com/pr57j8zv

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია. (2016, სექტემბერი 5). არჩევნები 2016. [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 20 აპრილი, 2023, https://www.youtube.com/watch?v=WRjpnR9cAGg

საქართველო ირჩევს 2020 - პარტია - სტრატეგია აღმაშენებელი. (2020, ოქტომბერი 27). [Formula News]. YouTube. მოპოვებული: 20 მაისი, 2022, https://www.youtube.com/watch?v=brTHXSycZRI

საქართველოს კომუნისტური პარტია - სტალინელები. (2016a, აგვისტო 30). არჩევნები 2016. [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 19 აპრილი, 2023, https://tinyurl.com/5afrev7p

საქართველოს კომუნისტური პარტია სტალინელები. (2016b, სექტემბერი 29). არჩევნები 2016. [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 22 მაისი, 2022, https://tinyurl.com/ysxb6a97

საქართველოს ლეიბორისტული პარტია. საარჩევნო პროგრამა. საპარლამენტო არჩევნები 2016. მოპოვებული: 16 ივნისი, 2021, https://tinyurl.com/yx4df7hd

საქართველოს ლეიბორისტული პარტია. შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია. 2020. მოპოვებული: 16 ივნისი, 2021, https://tinyurl.com/5a6sx9h6

საქართველოს ლეიბორისტული პარტია - საქართველო ირჩევს. (2020, ოქტომბერი 26). [Formula News]. YouTube. მოპოვებული: 25 მაისი, 2022, https://www.youtube.com/watch?v=yfqiLRr79GE

საქართველოს პატრიოტი. (2016). პროგრამა

საქართველოს პატრიოტი. (2020). პროგრამა. მოპოვებული: 10 მარტი, 2021. http://patriots.ge/ka/npN1

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. (2016, სექტემბერი 8). არჩევნები 2016. [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 15 მარტი, 2024 https://tinyurl.com/4jm7cjzv

საქართველოს საარჩევნო კოდექსი, თავი VI. წინასაარჩევნო კამპანია. მუხლი 45. წინსაარჩევნო კამპანია (აგიტაცია). ქვეპუნქტი 1 (2011). მოპოვებული: 29 მაისი, 2022, https://tinyurl.com/38jrdfr4

საქართველოს ქულა დემოკრატიის ინდექსში უარესდება. (2022, თებერვალი 11). Civil.ge. მოპოვებული: 18 ივნისი, 2023, https://civil.ge/ka/archives/472427

სტეფანი, ა. (2018, ოქტომბერი). ულტრამემარჯვენე პოპულისტური მოძრაობები: ახალი გამოწვევა საქართველოსთვის. (5). მოპოვებული: 12 მაისი 2021, https://tinyurl.com/dhmc2pnk

სტრატეგია აღმაშენებელის პროგრამის პრეზენტაცია გადაცემაში „ღამის კურიერი“. არჩევნები 2020. (2020, ოქტომბერი 9). [rustavi2]. YouTube. მოპოვებული: 16 მაისი, 2022, https://www.youtube.com/watch?v=ZaM0xk9pPLY

ტუღუში, ლ., თურმანიძე, კ., გაგუა, მ., ხუნდაძე, ც., ანანეიშვილი, გ., & ზურაბიშვილი, თ. (n.d.). ანტილიბერალური პოპულიზმი და რუსული გავლენის საფრთხე საქართველოს რეგიონებში. მოპოვებული: 18 ოქტომბერი, 2021, https://tinyurl.com/efy3avtb

ფალავანდიშვილი, გ. (2020, ოქტომბერი 16). (რადიო ეთერი). საქართველოს რადიო. *არჩევნები 2020*. მოპოვებული: 19, მარტი 2021, https://bit.ly/42OVOXy

ფალავანდიშვილი, გ. „ქართული იდეის“ პრეზენტაცია (2020, ოქტომბერი 16). მართმადიდებლური სიახლეები. მოპოვებული: 8 დეკემბერი, 2020, https://tinyurl.com/4v4ds5eb

ფიფია, თ. (2016, სექტემბერი 6). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 20 მაისი, 2022, https://tinyurl.com/5n8py2a3

ქართული დასი. (2016, სექტემბერი 15). არჩევნები 2016. [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 15 მარტი, 2024, https://tinyurl.com/2s3974ad

ქართული იდეა. (2016, სექტემბერი 6). არჩევნები 2016. [პირველი არხი - Georgian Public Broadcaster]. YouTube. მოპოვებული: 14 მარტი, 2024, https://tinyurl.com/27etc4rh

ქართული იდეა. საარჩევნო პროგრამა 2020. მოპოვებული: 29 ნოემბერი, 2023, https://web.archive.org/web/20230926022058/http://qartuliidea.ge/programa/

ქართული მარში. საარჩევნო პროგრამა 2020. მოპოვებული: 15 მაისი, 2022, http://qartulimarshi.ge/program.php

შაშიაშვილი, თ. (2020, ოქტომბერი 28). (რადიო ეთერი). საქართველოს რადიო. მოპოვებული: 22 აგვისტო, 2022, https://1tv.ge/audio/archevnebi-2020-saarchevno-programebi-tetrebi-1/

შეცვალე საქართველო! (2021-2024). საარჩევნო პროგრამა 2020. მოპოვებული: 23 მაისი, 2022, https://tinyurl.com/4r86325r

ირაკლი შიხიაშვილის პრესკონფერენცია მედიაჰოლდინგ „კვირას“ პრესკლუბში. (2020, ოქტომბერი 6). [პორტალი კვირა]. YouTube. მოპოვებული: 18 მაისი, 2022, https://bit.ly/3W9H6IQ

შუკაკიძე, ლ. (2016, სექტემბერი 15). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 21 მაისი, 2022, https://tinyurl.com/2463hr9h

ცენტრისტები. შატბერაშვილი, ი. მემარცხენე ალიანსი. (2016, ოქტომბერი 3). [Centristebi]. YouTube. მოპოვებული: 22 მაისი, 2022, https://www.youtube.com/watch?v=cBHjjldeq6s

ჩაჩუა, ლ. (2016, სექტემბერი 6). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 21 მაისი, 2022, https://tinyurl.com/2b5kjwzm

ჩხარტიშვილი, ლ. (2020, ოქტომბერი 27). (რადიო ეთერი) რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 22 მაისი, 2022, https://www.facebook.com/dilissaubrebi/videos/364644358286044/

წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

წულაძე, ლ., ესებუა, ფ., კახიძე, ი., კვინტრაძე, ა., ოსეფაშვილი, ი., ამაშუკელი, მ., (2016). *ევროპეიზაციის პერფორმანსი - პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში.* თბილისი: სოციალური სწავლების ცენტრი. მოპოვებული: 7 მაისი, 2022, https://tinyurl.com/mwaahpcw

ჭიჭინაძე, დ. (2020, ოქტომბერი 8) (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 10 მაისი, 2023, https://www.facebook.com/dilissaubrebi/videos/672352387015960

ხაზარაძე ეკლესიის, ლგბტ პირთა უფლებების და საგარეო პოლიტიკის შესახებ საუბრობს. (2020, ივნისი 8). Civil.ge. მოპოვებული: 19 ივნისი, 2023, https://tinyurl.com/2wfmwyff

ხაჩიშვილი, თ. (2016, სექტემბერი 20). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 22 მაისი, 2022, https://www.radiotavisupleba.ge/a/28002063.html

ჯაფოშვილი, თ. (2016, სექტემბერი 14). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 23 მაისი, 2022, https://www.radiotavisupleba.ge/a/morning-show-guest/27988037.html

ჯიბლაძე, პ. (2016, სექტემბერი 12). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოპოვებული: 20 მაისი, 2022, https://www.radiotavisupleba.ge/a/saubari-paata-jibladzestan/27982083.html

ჯონსი, ს. (2013). *საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

Addy, J. & Offori, E. A. (2020, Ocotber). A Critical Discourse Analysis of the Campaing Speech of a Ghanian Opposition Leader. *10*(10), 1279-1287. Retrieved 28.05.2022, from https://www.academypublication.com/issues2/tpls/vol10/10/14.pdf

A talk with Cas Mudde on American and European Populism. (2016, May 30). Political Observer on Populism. Retrieved January 23, 2021, from https://populismobserver.com/2016/05/30/interview-7-a-talk-with-cas-mudde-on-american-populism/

Blame Liberals For The Rise Of Populism. (2019, February 18). [Intelligence Squared]. YouTube. Retrieved January 24, 2021, from https://www.youtube.com/watch?v=J2sOCD1Q3oI

Bonikowski , B., & Gidron, N. (2016, December 26). Multiple Traditions in Populism Research: Toward a Synthetic Analysis. *APSA Comparative Politics Newsletter*.

Brown, K. & Mondon, A. (2020). Populism, the media and the mainstreaming of the far right: The Guardians's Coverage of populism as a case study. 1-17.

Brubaker, R. (2017, October 26). Why Populism? *Theory and Society*(46), 357-385. doi:https://doi.org/10.1007/s11186-017-9301-7

Brubaker, R. (2020). Populism and Nationalism. *Nations and Nationalism, 26*(1). Retrieved January 24, 2021, from https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1111/nana.12522

Chatham House Premier: National Populism. (2018, October 24). [Chatham House]. YouTube. Retrieved January 22, 2021, from https://www.youtube.com/watch?v=oxNWQd7vbyU

De Cleen, B. (2017). Populism and Nationalism. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 434-460). New York: Oxford University Press.

De Cleen, B (VUB)., Glynos, J (Essex). & Mondon, A (Bath). (2018, April 12.) Critical Research on Populism: Nine Rules of Engagement. Volume 25, Issue 5. Retrieved March 28, 2023, from http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/1350508418768053

Gidron, N., & Bonikowski, B. (2013). Varieties of Populism: Literature Review and Research Agenda. *The Weatherhead Center for International Affairs*(13-0004).

Gogsadze, G. (2023). Populism in Georgia: Discourses and Narratives Against Sexual Minorities in Parliamentary Elections (2016-2020). European Journal of Transformation Studies (Vol.11, N.1), (7-25). Retrieved January 10, 2024, from https://www.journal-transformation.org/issues/EJTS_2023_Vol_11_No_1

Gozalishvili, N. (2021). "Europe is Awakening": Diffusion of National-Populism in an Eastern Partnership Country – The Case of "Georgian March" in Georgia. *Nationalities Paper*, 1-27.

Hawkins, K., Read, M., & Pauwels, T. (2017). Populism and Its Causes. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 267-286). New York: Oxford University Press.

Hawkins, K. (2019). The Ideational Approach. Routledge Handbook of Global Populism. Edited by Carlos de la Torre. (Pp.104-127). New York.

IAPSS Live with Pippa Norris on: Tipping Points, Cultural Backlash and Rising Populism. (2019, April 24) [International Association for Political Science Students]. YouTube. Retrieved March 24, 2022, from https://www.youtube.com/watch?v=WSB1KqnCuUk

Inglehart, R. F., & Norris, P. (2016). Trump, Brexit, and the Rise of Populism: Economic Have-Nots and Cultural Backlash. *Harvard Kennedy School*, 1-52. Retrieved May 20, 2021, from https://tinyurl.com/5bbnm637

Is populism gaining in popularity?. (2019, July 1). [FRANCE 24 English]. YouTube. Retrieved January 23, 2022, from https://www.youtube.com/watch?v=JHmVXDCRxSI

Jakobson, M.-L. (2012, November). Populism in the Baltic States. *Open Estonia Foundation, Tallinn University*.

Laclau, E. (2005). Populism: What's in a Name? In F. Panizza, *Populism and Mirror of Democracy.* (pp. 32-49). Verso.

Luke March on Left Populism. (2017, July 24). Political Observer on Populism. Retrieved February 15, 2021, from https://populismobserver.com/2017/07/24/interview-17-luke-march-on-left-populism/

McCarthy, N. (2019, May 2). *Statista*. Retrieved March 15, 2021, from https://www.statista.com/chart/17860/results-of-far-right-parties-in-the-most-recent-legislave-elections/

Moffitt, B., & Tormey, S. (2013). Rethinking Populism: Politics, Mediatisation and Political Style. *Political Studies Association.* doi:doi: 10.1111/1467-9248.12032.

Mudde, C. (2004). The Populist Zeitgeist. *Government and Opposition*, Published by Blackwell Publishing, Oxford, USA. 541-563.

Muller, J.-W. (2017). Populism and Constitutionalism. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 590-606). New York: Oxford University Press.

Nativism. European Center for Populism Studies (ECPS). Retrieved November 24, 2022, from https://www.populismstudies.org/Vocabulary/nativism/

Panayotu, P. (2017, January 6). *Transnational Left-wing Populism*. Political Observer on Populism. Retrieved December 18, 2021, from https://tinyurl.com/5n6ba845

Panizza, F. (2017). Populism and Identification. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 406-425). New York: Oxford University Press.

Pappas, T. S. (2016, March). Modern Populism: Research Advances, Conceptual and Methodological Pitfalls, and the Minimal Definition.

Poblete, M. E. (2015, May 7). How to assess populist discourse through three current approaches. *Journal of Political Ideologies*.

Prof. Francis Fukuyama. The Global Rise of Populist Nationalism? (2017, July 14). [World Affairs Council of the Monterey Bay Area]. YouTube. Retrieved February 21, 2022, from https://tinyurl.com/42fxchmp

Reuters. (2021. January, 29) *Fact Check: No evidence Bill Gates said 'at least 3 billion people need to die'.* Retrieved January 12, 2023, from https://tinyurl.com/mryyeycy

Robert Schuman Fondation. (2019). Retrieved March 15, 2021, from https://www.robert-schuman.eu/en/the-european-elections-monitor/2019/

Roberts, K. M. (2017). Populism and Political Parties. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 287-304). New York: Oxford University Press.

Rooduijn, M. & Pauwels, T. (2011) Measuring Populism: Comparing Two Methods of Content Analysis, West European Politics, 34:6, 1272-1283, DOI: 10.1080/01402382.2011.616665

Rosalind, G. (2000). Discourse Analysis. In B. M, & G. G, *Qualitative Researching with Text, Image and Sound* (pp. 172-190). London: Sage.

Sabanadze, N. (2010). *Globalization and Nationalism. The Cases of Georgia and the Basque Country.* Budapest - New York: Central European University Press.

Samuele Mazzolini about Populism in Europe and the Americas. (2015, April 10). Political Observer on Populism. Retrieved May 19, 2020, from https://populismobserver.com/2015/04/10/interview-1-samuele-mazzolini-about-populism-in-europe-and-the-americas/

Santiago Zabala. (2017, January 17). The difference between right and left-wing populism. Retrieved May 21, 2020, from https://tinyurl.com/yeuf6jrn

Silagadze, G. (2020a, February). Who is (not) Populist in Georgia? Making Sense of the Buzzword. (36).

Silagadze, G. (2020b). Is Georgian Populism Eurosceptic? (36).

Stanley, B. Populism in Central and Eastern Europe. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 187-207). New York: Oxford University Press.

Stavrakakis, Y. (2017). Populism and Hegemony. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 673-695). New York: Oxford University Press.

Taggart, P. (2003). The Populist Turn in the Politics of the New Europe. *8th Biannual International Conference of the European Union Studies Association Conference*, (pp. 1-20). Nashville.

Taguieff, P.-A. (1995, March 20). Political Science Confronts Populism: From a Conceptual Mirage to a Real Problem. *Telos Press*(103).

The Politics of Fear: Charting the Rise of Populist Movements - Public Lecture. (2018, February). [Lancaster University]. YouTube. November 14, 2020, from https://tinyurl.com/5fds3vak

The Rise of Global Populism. (2018, October 31). [Council of Foreign Relations]. YouTube. Retrieved November 14, 2020, from https://www.youtube.com/watch?v=rzK4duXePmQ

The Rise of Populism. (2017, March 4). [TRT World]. YouTube. Retrieved November 14, 2020, from https://www.youtube.com/watch?v=Q2xkgEdm19c

Usupashvili-Republicans. (2016). Netherlands Institute for Multiparty Democracy. www.partiebi.ge. Retrieved April 14, 2023, from https://bit.ly/3IeZ2fd

Van Dijk, T. (2006). Ideology and Discourse. *Journal of Political Ideologies*, 175-196.

Van Kessel, S. 2014. The populist cat-dog: applying the concept of populism to contemporary European party systems, *Journal of Political Ideologies,* 19(1): 99–118.

Verbeek, B. & Zaslove, A. (2017). Populism and Foreign Policy. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 489-514). New York: Oxford University Press.

When Populism Meets Nationalism: Reflections on Recent Trends. (Webinar). (2020. April, 19). Georgian Institute of Politics (GIP). Retrieved April 20, 2020, from https://tinyurl.com/3975u457

Wodak, R. (2015). *The Politics of Fear: What Right-Wing Populist Discourses Mean.* Sage Publications.

Wodak, R. & Meyer, M. (2016). *Methods of Critical Discourse Studies (3rd edition).* Sage.

დანართი

სიღრმისეული (ნახევრად სტრუქტურირებული) ინტერვიუს სადისკუსიო გეგმა:

ბატონო/ქალბატონო ..... მადლობას გიხდით, რომ დაგვთანხმდით ინტერვიუზე. როგორც უკვე თქვენთვის ცნობილია, სადისერტაციო ნაშრომის „პოპულიზმი საქართველოში: პოლიტიკური პარტიების 2016 და 2020 წლების წინასაარჩევნო გზავნილების დისკურსული ანალიზი“ ფარგლებში ვატარებ საექსპერტო გამოკითხვას. ინტერვიუს ხანგრძლივობა 45-50 წთ. გთხოვთ, მიპასუხოთ მოცემულ შეკითხვებზე:

<u>1. ქართული პოპულისტური პარტიები და მათი ძირითადი მიმართულებები</u>

- საქართველოში რომელი პარტიები მიგაჩნიათ პოპულისტურად?
- ვინ არის პოპულისტური აქტორების მთავარი სამიზნე?
- თქვენი აზრით, საქართველოში ჰყავთ თუ არა პოპულისტურ პარტიებს მხარდაჭერები? თუ დიახ:
    - რა ფაქტორები განაპირობებს ამას?
    - რამდენად ფართოა ეს მხარდაჭერა?

- რომელ პოპულისტურ ნარატივებს/გზავნილებს ვხვდებით ყველაზე ხშირად საარჩევნო პერიოდში?

- რითი განსხვავდება ქართული პოპულიზმი დასავლური პოპულიზმისგან? რატომ?

<u>2. პოპულისტური ნარატივები, ანტიდასავლური პოპულიზმი (ნაციონალური-პოპულიზმი)</u>

- თქვენი აზრით, რა განსხვავებაა პოპულიზმსა და ნაციონალიზმს შორის და შეიძლება თუ არა ისინი სინონიმებად მივიჩნიოთ?

-თქვენი აზრით ნაციონალისტები იყენებენ პოპულიზმს, თუ პოპულისტები ნაციონალიზმს, როგორც ინსტრუმენტს?

- უნდა მივიჩნიოთ თუ არა ანტიგლობალისტური გზავნილები პოპულისტურად?

- ზოგიერთი პარტია მოითხოვს ნეიტრალური სტატუსის გამოცხადებას (მათ შორის, უბლოკო სტატუსის ან სამხედრო მიუმხრომლობის სტატუსის); თქვენი აზრით არის თუ არა ეს ანტიდასავლური პოპულიზმის ნაწილი? რატომ ფიქრობთ ასე?

- რამდენად ფართოდ გვხვდება ქართულ პოლიტიკაში პრორუსული პოპულისტური გზავნილები?
-რა ნარატივები გვხვდება იმ პოლიტიკური პარტიების რიტორიკაში, რომლებიც პრორუსულ პოპულისტურ რიტორიკას იყენებენ?

- რამდენად ფართოდ გვხვდება ქართულ პოლიტიკაში პროდასავლური პოპულისტური გზავნილები?
- რა ნარატივები გვხვდება იმ პოლიტიკური პარტიების რიტორიკაში, რომლებიც პროდასავლურ პოპულისტურ რიტორიკას იყენებენ?

3. სექსუალური უმცირესობები და პოპულიზმი

- თქვენი აზრით, რომელი ქართული პარტიების რიტორიკაში გვხვდება სექსუალური უმცირესობების წინააღდეგ მიმართული გზავნილები?

- რა ნარატივების გამოყენება ხდება სექსუალური უმცირესობებთან მიმართებით? შეიძლება თუ არა სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული გზავნილები (ნარატივები) ჩაითვალოს ანტიდასავლურობის ნაწილად? რატომ არ ეხებიან პარტიების უმრავლესობა სექსუალურ უმცირესობების თემებს?

4. ანტისაბანკო და ანტიბიუროკრატიული გზავნილები

- თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია წინასაარჩევნოდ ყურადღებას ამახვილებს მაღალჩინოსნების ხელფასებსა და პრემიებზე, გაბერილ ბიუროკრატიულ აპარატზე; მიიჩნევთ თუ არა აღნიშნულ პოზიციას პოპულისტურად? რატომ?

- მიიჩნევთ თუ არა ბანკების წინააღმდეგ მიმართულ გზავნილებს პოპულიზმის გამოვლინებად? რატომ?

5. მემარცხენე პოპულიზმი

- არიან თუ არა საქართველოში მემარცხენე მიმართულების პოპულისტური პარტიები? თუ, დიახ, რომელი?
- თუ პასუხია რომ არ არსებობენ ან სუსტები არიან, მაშინ რა განაპირობებს მემარცხენე პოპულიზმის სისუსტეს საქართველოში?

- თუ პასუხია, რომ არსებობენ, მაშინ რას ეხება მათი ძირითადი გზავნილები? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მემარცხენე პოპულისტურ გზავნილებს ასევე იყენებენ მემარჯვენე (ნაციონალ) პოპულისტები?

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

სიღრმისეული ინტერვიუები:

ნაციონალიზმის კვლევის ექსპერტი (18.03.2023)

კულტურის კვლევის ექსერტი (20.03.2023)

პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი (22.03.2023)

პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი (28.03.2023)

პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, (29.03.2023)

ექსპერტი ელექტორალური გეოგრაფიის საკითხებში (1.04.2023)

პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 4.04.2023

პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 5.04.2023

პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტი, 12.04.2023

უსაფრთხოების საკითხის ექსპერტი 3.05.2023